

19 45/2



მნათობი

6

თბილისი
1945



მნათობი

სრულიად - საქართველოს საშჩქოთა მწერლების
კავშირის ყთჟულთეიერი სალიტერატურთ,
სახელთენთ და საბოტგადთეშიფ - საპოლიციუთ
ქერნალი

წელიწადი მმოცდაოგა

6



19 — ი ვ ნ ი ს ი
ს ა ხ ე ლ ზ ა მ ი

45 ქართველთს
რედაქციის
სახელთეი
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბაგსასურდია კონსტანტინე
ქალაძე კარლო
მაზაშვილი ალიო (პ/მ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე გალაშტიონ
ჭიაჩელი ლეო
შინგელაია დემან

ბელმოწერილია დასაბუთად 25/VI-45 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 8.
შეკვეთის № 1034, ში 01499, ტრაჟი 5000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ფარსის ქ. № 5,
რედაქციის მისამართი: მაიაძის № 13, შერალოთა კავშირი, ტელეფ. 3-04-64.



ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საბჭოთა კავშირის მარშალ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის
„გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის ყველა შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის
განსაკუთრებული დამსახურებისათვის და ჰიტლერულ
გერმანიამ სრული გამარჯვებით დამთავრებულ დიდ სამამუ-
ლო ომში მათი უნაკიანი ხელმძღვანელობისათვის დაჯილ-
დოებულ იქნას

„გამარჯვების“ ორდენით

საბჭოთა კავშირის მარშალი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე გ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 26 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისათვის საბჭოთა კავ-
შირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კავშირის მარშალ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს,
როგელიც ჩვენი სამშობლოს და მის დედაქალაქ მოსკოვის
დაცვის მიმე დღეებში სათავეში ჩაუდგა წითელ არმიას და
განსაკუთრებული მამაცობითა და სიმბქიციით ხელმძღვანე-
ლობდა ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლას, მიენიჭოს საბჭო-
თა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი
და მედალი „**ოქროს ვარსკვლავი**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე გ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 26 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის ყველა შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარ-
სარდლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისათვის საბჭოთა
კავშირის გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდების
მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის ყველა შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთა-
ვარსარდალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს მიენიჭოს უმაღ-
ლესი სამხედრო წოდება—საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე გ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 27 ივნისი.

საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი



გამარჯვებული საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ისტორიულ ბრძანებულებებს ამხანაგ სტალინისათვის საბჭოთა კავშირის გამარჯვების წოდების მინიჭებისა, „გამარჯვების“ მეორე ორდენით დაჯილდოებისა და მისთვის გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ.

ამ ცნობის მიღებისთანავე მთელი ჩვენი სამშობლო უსახლგრო სიხარულმა მოიცვა. ყველი საბჭოთა ადამიანი, იგონებს რა განვლილ წლებს, კერძოდ, სამამულო ომის ქარიშხლიან წლებს, — რომელთაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვების ბრწყინვალე მწვერვალამდე მიიყვანეს — უღრმესი მადლობით, სიყვარულითა და პატივისცემით წარმოსთქვამს ამ გამარჯვების შემოქმედის, დიდი სტალინის სახელს.

დიდი სტალინის გენიამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის ურიცხვი გამარჯვებანი სამხედრო, სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე. ბელადის გენია წარმართავდა იმ მძლავრ შემოქმედებით სრომას, რამაც სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მთლიანად გარდაქმნა და უძლეველი გახადა ჩვენი ქვეყანა.

ჯერ კიდევ თანამედროვე ომამდე დიდი ხნით ადრე, სსრ კავშირზე გერმანელი იმპერიალისტების თავდასხმამდე ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განჭერიტა მოვლენათა მსვლელობა. იგი ჩვენს ხალხს ამზადებდა საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის, ზრდიდა და წვრთნიდა წითელ არმიას, ხელმძღვანელობდა ჩვენი მძლავრი ინდუსტრიის შექმნას, რომელმაც ომის დროს მოგვცა ყველაფერი, რაც საჭირო იყო მტრის განადგურებისათვის. იგი განამტკიცებდა საკოლმეურნეო წყობილებას.

ომამდე დიდი ხნით ადრე ზრდიდა სტალინი საბჭოთა ადამიანებს სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის სულისკვეთებით, უნერგავდა მათ გმირობას და უშიშრობას, სიმტკიცესა და მამაცობას.

ომის მძიმე დღეებში სტალინმა გამარჯვების ვზა უჩვენა მთელ ხალხს, შთაბერა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების უდიდესი რწმენა. ომის ყველაზე ძნელ დღეებში ხალხის ბრძენმა ბელადმა და მასწავლებელმა, გენიალურმა სტრატეგმა თავს იღო სამხედრო ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე.

შორსმკვრეტელურად, ბრძნულად განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლის პროგრამა. დიდი სტალინის გენიალურ სტრატეგიას საფუძვლად ედო უღრმესი რწმენა ხალხისადმი, მისი გიგანტური შემოქმედებითი ძალებისადმი საბჭოთა წყობილების პირობებში. წითელი არმიის სული, ხალხის სული — თანამედროვე ომის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი — ამხანაგმა სტალინმა უდიდეს, უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა.

საბჭოთა ადამიანების გმირობამ, წითელი არმიის გმირობამ, ჩვენი მხედართმთავრის გმირობამ გზა გადაუღობა დამპყრობლებს. მოსკოვთან მტრის ურდოებმა პირველი უდიდესი დამარცხება განიცადეს.

სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი იბრძოდნენ, იტანდნენ გაჭირვებას, სძლევენ ყველა სიძნელეს და დაბრკოლებას საბჭოთა უღმრთეებთა ფრონტზე და ზურგში. ამხანაგი სტალინი, თავდაცვის სახელმწიფო უწყისების თაემჯდომარე, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ხალხის მთელ თავდადებულ ბრძოლას. მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით განვლო უდიდესი გზა მოძვე ხალხთა თანამშრომელებითი მუშაობისა, შეიძლებოდა მომხდარიყო სამხედრო და შრომითი გმირობის ასეთი სასწაულები.

წითელიწლობით იბრძებოდა და მტკიცდებოდა წითელი არმიის ბუმბერაზული ძალა. დიდმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა აღზარდა შესანიშნავი გენერლებისა და მარშლების — უმაღლესი მთავარსარდლობის დაელებათა უნიკიერესი შემსრულებლების სახელოვანი პლეადა. დიდი სამამულო ომის მატყანე ნათლად მეტყველებს ჩვენი არმიის გენერალთა და ოფიცერთა კადრების განსაკუთრებულ ზრდაზე, წითელი არმიის ზრდაზე, რომელიც ბრძოლების ქარცეცხლში გადიოდა სამხედრო მეცნიერების სტალინურ სკოლას.

ამ ბრძოლებში წითელი არმიის ლეგენდარულმა მხედრულმა საგმირო საქმეებმა გადააჭარბეს წარსულის სამხედრო დიდების ყველაზე თვალსაჩინო, ყველაზე ბრწყინვალე მაგალითებს. ვოლგის ნაპირებიდან, ცეცხლითა და რკინით ანადგურებდნენ რა მტრის ძალას, საბჭოთა მეომრებმა აღპეზის მთების ძირს შიალწიეს. ეს იყო გზა დიდებისა, სახელისა, გზა განათებული სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის ძღვევამოსილი შექით.

ასეთი ბრძოლები არ ახსოვს ომის მატყანეს. გრანდიოზული ბრძოლები უმაგალითო გააფრთხილებით იყო გაჩაღებული უდიდეს სიერცეზე ჩრდილოეთისა ყინულებიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე. საბჭოთა მარშლები წინამძღოლობდნენ ფრონტებსა და არმიებს, აწყობდნენ ლაშქრობებსა და ბრძოლებს, რომელთაგან თვითთელი მათგანი აღმატება წარსულ საუკუნეთა კამპანიებს. და ჩვენი გენერლები, ჩვენი მარშლები, მთელი ჩვენი არმია გამარჯვებისაკენ მიჰყავდა საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს.

საბჭოთა ხალხის ბედნიერება ის არის, რომ ომის მძიმე განსაცდელის დღეებში სსრ კავშირის მთელ შეიარაღებულ ძალებს გამარჯვებისაკენ წაუძღვა უდიდესი მოაზროვნე, ორგანიზატორი, სტრატეგი, რომელმაც თავის არსებაში განასახიერა საბჭოთა ხალხის გმირობა და აი, ომის თვითუღლა დღემ, ფრონტის თვითთელმა უბანმა მჭერმეტყველურად დაადასტურა, რომ ძღვევამოსილი სტალინური სტრატეგია სამხედრო გენიის უდიდესი ქმნილებაა. იგი ემყარება საზოგადოების განვითარების მეცნიერულ კანონთა ღრმად დაუფლებას, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. იგი ემყარება ხალხის მთელი ძალებისა და ნიჭის გათვალისწინებას, სოციალისტური წყობილების პირობებში ხალხის უსაზღვრო შესაძლებლობათა გამოყენებას.

ამ გზით მოვიპოვეთ ჩვენ ბრწყინვალე გამარჯვება. „ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიან-

ნობის დიადი დროშა“. ასე სთქვა ამხანაგმა **ხტალინმა** გამარჯვების დიად, სასიხარულო დღეს, როცა შეაჯამა ჩვენი ბუმბერაზული ბრძოლის შედეგები. დიდებული, კეთილშობილური და უკვდავია ეს **ხიტყვები** — საბჭოთა კავშირი **ხტალინის** წინამძღოლობით გახდა მშვიდობიანობისა და უშიშროების ყველაზე მძლავრი ბურჯი, ხალხთა თავისუფლების, დემოკრატიისა და პროგრესის ბურჯი.

წითელმა არმიამ იხსნა ჩვენი ქვეყანა, წითელმა არმიამ იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია საშუალო საუკუნოებრივი სიბნელისა და ბარბაროსობის შემოსევისაგან. წითელმა არმიამ მიიყვანა მოწინავე კაცობრიობა გონებისა და სამართლიანობის, სინათლისა და თავისუფლების ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

აა, ამიტომ არის, რომ დღეს მადლიერი კაცობრიობა პატივისცემით და მოწიწებით წარმოსთქვამს დიდი **ხტალინის** სახელს.

უსაზღვროა სიხარული საბჭოთა ხალხისა: ამხანაგ **ხტალინის** საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება მიენიჭა. ამით საბჭოთა ხალხმა შეამკო ომის დროს სახელმწიფოს ყველა შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობის საქმეში სამშობლოს წინაშე განსაკუთრებით თვალსაჩინო დამსახურება იმისა, ვინც ჩვენ გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

დიდება ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენი მძლავრი სახელმწიფოს შემოქმედს, სოციალიზმის ქვეყნის გენიალურ სტრატეგს — საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს **ი. ბ. ხტალინს!**

ქართული საბჭოთა მწერლობა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მრავალეამიერ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ძალ-ღონეს უსურვებს ამხანაგ **ხტალინს!** მასთან ერთად, მისი გენიალური წინამძღოლობით გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ უმაგალითო ომის ჭეჭა-ჭეხილი და ქარიშხალი. მასთან, მისი ბრძნული წინამძღოლობით, მიაღწევს საბჭოთა ხალხი ახალ-ახალ წარმატებას, საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიურ ძლიერების შემდგომს განმტკიცებას, ჩვენი სამშობლოს შემდგომს აყვავებას!

მსახურული ლიტერატურა



გრიგოლ აბაშიძე

აზენური ლექსები

აბნეში

მე უკან აღარ გავტრიალდები,
პირველად ვნახე ორი ატენი,
ატმის ყვავილის განთიადები,
ვაშლის ყვავილის კორიანტელი.

არა, ამ ბაღებს არ მოეცილდები,
ყვავილთა ცვენას არ გავეცლები,
სცივია პებლები დახოცილები,
სცივია ფერფლები და ნაპერწყლები.

და შენც აქა ხარ, ვით ნათლის სვეტი,
მე შენი ფრთებით უნდა ვიფრინო,
შენ — ღრუბლის გედი,
შენ — ხატის მტრედი,
მე — გაკრძალული შენი მიმინო.

ვდგავარ ამ მზეში, ამ შუქის თქეშში,
და თქვენგან შუქი მეც შემატება,
ოცნებაც შენში,

სიწმინდეც შენში,
შემოვდგომივიარ მე შენს ხატებას.

და ჩვენ არასდროს გავტრიალდებით,
თუნდ ერთად ადგეს ორი ამდენი
ატმის ყვავილის განთიადები,
ვაშლის ყვავილის კორიანტელი.

მარანში

ატენში ისმის ჰარი-არალო,
აჰა, მოვედი; ქართლის მარანო!

„ნუ შეებმებით მარანს ამ დილით!“
ვინ არი მთქმელი და გამკითხველი,

ორი ქვევრია თავგადაბდილი,
ერთი თეთრი და ერთი წითელი.

ღვინოა, ზვინებ შუა ხომ არ ვარ,
რომ გამიმნელდეს დღეს არჩევანი,
ერთი ქვევრიდან ამოდის ქარვა,
ერთიდან წითლად სცემს შადრევანი.

ღე, ორი ჯაში ერთად ამივსონ,
ღე, დავემგვანო უცებ ნასეტყვარს,
შენ რომ გიყურებ სავსე სასმისო,
მგონია, ნემო ცოდვით-სავსე ხარი

ჩავყურებ ქვევრში ჩავარდნილ
მნათობს,
როგორც ბულბული, ვარდის აშიკი.
ზოგს, დოქი რაა, კოკაც ვერ ათრობს,
ზოგს დასათრობად ჰყოფნის ჰაშნიცი!

და ჩვენც ატენურს არ ვენახებით,
მაგრამ სასწოროზე მაშინ ვიქნებით,
როცა წამოვა სავსე თასები
და იქაქებურ ჩიის ჭიქები.

ასწიე, მთვრალნი ცაში აღიან,
გაბედულია მთვრალის ნახტომი,
ასწიე, თეთრი — განთიადია,
წითელი — ცეცხლის გამონაერთომი.

ასწიე, მთვრალებს ახლა, ამ დილით,
სხვა არ გესურს ღმერთი და
გამკითხველი:

ორი ქვევრია თავგადაბდილი,
ერთი თეთრი და ერთი წითელი.

ასე გაისმის ჰარი-არალო,
დალოცვილი ხარ, ქართლის მარანო!

ხატობა

მიდიან, კრელ ქოლგებს იშლიან,
აღმართზე აღიან,

გორაზე პატარა ნიშია,
გორაზე პატარა ხატია,
დაღლილან, მაინც არ იშლიან,
აღმართზე აღიან,
აღიან.

ხარებიც დაღლილან ძაღიან,
დაღლილა ხურჯინის მზიდველი,
ჩარდახებს წითელი ავლიათ,
ბავშვებსაც ჩაუცვამთ წითელი.
რამდენი დედა და რძალია,
რამდენი ფეხია შიშველი!

გზისპირად მიხტან თიკნები,
ქედლიას მიჰყვება ბატკანი,
უშობლებს ძლივს უჩანთ ჯიქნები,
ვარიებს გაუბამთ კაკანი.
„არც ერთი ხეა აღარ ვიქნებით!“
არ ფიქრობს არცერთი მათგანი.

მიდიან,
მიდიან,

მიდიან,
გზა კიდევ ძნელი და დიდია!

თიკნებიც, ბატკნებიც წითელი,
ვინ ხატა, რა ხელმა შელგბა!
გორაზე ლოცვების მიმთვლელი,
მსხვერპლების მიმთვლელი
შეხედებათ,

აღიან, გორა ჩანს ტიტველი
და თითქო ცისკარი ეღებათ!

აღიან,

აღიან,

აღიან,

სიცხეა, ნატრობენ ზღვა ხალხი არტყია.
მცირე ნიშს ზღვა ხალხი არტყია.
სხვა ხატი არც მსურდა მენახა —
ჩემს გულში,

ჩემს თვალში ხატია,
ეს ხატი —
შენა ხარ,
შენა ხარ!

ძველ ტაძარში

ხავსი და ლოდი ნაპარტახალი,
ვიწრო სარკმლები, მძიმე ურდული,
ხან გაფრენილი მერცხლის

ელურტული,
ხან დამურების ფრთათა ფართხალი.

აღარც შუბი სჩანს, აღარც
ფარხმალი,
ცეცხლს აღარ აფრქვევს ცხენქვეშ
ურჩხული...

წლებს აღუმართავს ხელი ქურდული,
წვიმის და ქარის ხელი მსახვრალი.

და გახვეული დარდის ძაძაში,
მხატვრის აჩრდილი დარდის ტაძარში,
დარდის დაუკვირის: როგორ წაშლილა,

როგორ გამჭრალა ნახატში ცეცხლი!
მხოლოდ ჯვარცმადა მოსჩანს
აჩრდილად
და თხელ თითებში იუდას ვერცხლა.

ატენი — თბილისი.
1945 წ. გაზაფხული.

ქარიშხალი

რთმანა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

1

ოთხი ბარაკი იდგა ტყის პირად, მაგრამ სამი მათგანი ცარიელი იყო. ომის დაწყების შემდეგ მალაროებში სულ ოცდათერთმეტი კაცი დარჩა. სხვები ჯარში გაიწვიეს.

გარშემო ერთმანეთზე აბურავილი, ნაბრალეებით დაღარული, უკაცური და უღაბური კლდოვანი მთები ამართულიყვნენ.

კლდეებში შურთებები ბუდობდნენ. ხანდახან ისმოდა მათი კვნესისმაგვარი სტვენა.

ხეობებში სიჩუმე ჩაგუბებულყო. დღისით ამ სიჩუმეს მხოლოდ გვირაბებში აფეთქებული ლალუმების გუგუნე არღვევდა. ხეობები ყრულ იწეობდნენ ამ გუგუნს და შემდეგ ისევ სდუმდნენ.

ყველანი დაქანცა ბუნების ამ სიმშვიდემ და მღუმარებამ.

ერთადერთი ადგილი, სადაც მუშაობის შემდეგ თავს იყრიდნენ — საეაქრო ფარდული იყო, რომელიც ბარაკების ცოტა მოშორებით იდგა, ამბულატორიის მახლობლად, სადაც ხშირად იჭრიბებოდნენ ყველანი საღამოობით, ვითომ რაიმეს საყიდლად უფრო კი იმიტომ, რომ ფარდულის გამგეს მაქსიმეს მუსაიფი უყვარდა. მოპყვებოდა ქვეყნის ამბებს, თითონაც ერთობოდა და სხვებსაც ართობდა.

თვეში ერთხელ რაიონიდან ჩალვადრების ქარავანი მოდიოდა. ნაბღის ქუდიან ჩალვადრებს ყუთებით დატვირთული ცხენები სადავით მოჰყავდა. მოჰქონდათ გაზეთები, წერილები. ყუთებში ეწყო სურსათი, ხელსაწყო, ნაგეთით სავსე ბიღონები და ზოგჯერ მაქსიმეს ფარდულისათვის განკუთვნილი ფართო მოხმარების საქონელიც. მაშინ მაქსიმესთან ნამდვილი ზეიმი იმართებოდა. მემაღაროელნი ყიდულობდნენ ყველაფერს, რაც თვალში მოხვდებოდათ ან მოეწონებოდათ. თუთუნს და პაპიროსს კი თანაბრად ინაწილებდნენ და მაშინვე ასაღებდნენ მთლიანად.

ბოლო ხანებში ქარავანს კარგახანს დაავგვიანდა და მუშებმაც მოიწყინეს. ინტენერმა საწყობის გამგე რაიონში ვაგზაენა აზბის გასაგებად.

მუშები ყოველდღე კითხულობდნენ, ქარავანი ხომ არ მოსულა ან საწყობის გამგე ხომ არ დაბრუნებულაო. ყველას ეჩქარებოდა ახალი ამბების გაგება. არავინ არ იცოდა, ქვეყნად რა ხდებოდა ან ფრონტებზე რა მდგომარეობა იყო.

კარგახნის ლოდინის შემდეგ, როგორც იყო, გამოჩნდნენ ჩაღვადრები. პირველად ძინი მაქსიმემ დაინახა და მაშინვე გზაზე ჩაგვება.

გვირპებებში ყველამ გაიგო ქარავანის მოსვლა.

სამუშაოდან დაბრუნებული დადლილი, წვერგაუბარსაგინი მუხუშაძე მირდაპირ სავაჭრო ფარდულისაკენ გარბოდნენ. იქ ერთი ახალი კაცი იდგა: ყველანი შემოსეოდნენ მაღალ, უღვაშებდაკიდულ ილიკოს და ცდილობდნენ ხელიდან გამოეგლიჯათ ახალთ-ახალი, ლამაზად შეკერილი მაღალქუსლიანი ქალის ფეხსაცმელი.

— გაიწით იქით! — იძახდა ილიკო.

— ე, ბიჭო, დამანახვე.

— თუ ძმა ხარ, ერთი ხელი მაინც შემარებიე ზ.ღ.

— მაქსიმე, მაქსიმე! — გასძახა კბილებმოცვეთილმა და ლაყუჩებივით განიერ ყბებიანმა კოტემ ფარდულის გამგეს, რომელიც ხის ყუთს თავს ხსნიდა, — მაქსიმე, თუ ძმა ხარ, რა მოგცე ქირა, რომ ერთი წყვილი ტუფლი და ერთი ცალი ქალის საცვალი მათხოვო ერთი დამით.

— რად გინდა, ბიჭო?

— ორი წელიწადია ქალი თვალით არ მინახავს და ამას მაინც ჩავიხუტებ გულში.

მაქსიმემ ჯერ ჩაიციხა, მაგრამ შემდეგ რატომღაც გული მოუვიდა, ყუთს თავი ანება, ილიკოს ხელიდან ფეხსაცმელი გამოსტაცა და დახლს იქით თაროზე შეაგდო.

— გეყოფათ ახლა მასხრობა, გაღით გარეთ! — წაიბურღლუნა მაქსიმემ და ისევ ყუთს მიუბრუნდა.

მაქსიმეს ბურღლუნს არაფერ არ მიაქცია ყურადღება. მხიარული ღრიან-ცელი არა სცხრებოდა.

კოტემ ღია კარებიდან თვალი მოჰკრა აბესალომს, რომელმაც სამკედლოსთან ურო კუთხეში მიიგდო, ფარანი ლურსმანზე დაჰკიდა და სასადილოსაკენ დააპირა წასვლა.

— აბესალომ, აბესალომ, მოდი აქ! — გაძახა კოტემ.

— რა გინდა?

— მოდი აქ, რა გაჩვენო.

— რა უნდა მაჩვენო?

— მოდი, მოდი მაქსიმემ საქონელი მიიღო.

აბესალომმა მძიმე ნაბიჯებით ჩაუარა ბარაკებს. მას სხვებიც დაედევნენ. ყველანი ფარდულში შევიდნენ.

— რა იყო, რა ამბავია? — იკითხა აბესალომმა.

— ამას ხედავ? — შეახედა ილიკომ თაროზე კატკაქებივით შესკუბებულ ქალის ფეხსაცმელზე. — შენთვის გამოუგზავნიათ.

— რაა, კაცო, ეს?

— ესაა, ჩემო აბესალომ, ქალის ტუფლი.

— ვინ მოიტანა?

— აგერ მაქსიმემ მოგიტანა ჩექმების ნაცვლად.

— ის

— ქალის ტრუსები და პერანგები, მერე როგორი, სულ მოქარგული.

— არ გადამრიო! — გაოცდა აბესალომი და მერე მაქსიმეს მიუბრუნდა: — ამას წინად იყო და ორმოცდაათი ცალი ჰრელი ქოლგა ჩან. იიტანე,

თითქო ქობულეთის კურორტზე გქონდეს გახსნილი მადანია. ახლაა და...

— ჩემი რა ბრალია, ჩემო აბესალომ, თითონ თუ არა აქვთ მკვრა თავში, მე რა ვუყო. მიგზავნიან და რა ვქნა!

— რა ქნა და მიწერე ერთხელ და სამუდამოდ, რომ რამისმეც ვადა-
კარგულ ადგილას ვმუშაობთ, ქალს სიზმარშიაც კი ვერ წინასწარმეტყველებს.
ამ ფხეკებში ჩიტი ვერ ამოფრენილა და ქალი მოგივა ვინმე!

— მიეწერე, შენ გგონია არ მივეწერე? მაგრამ ასე შენს ნებაზე როდი
გზავნიან საქონლის ასორტიმენტს.

— კაი თუ ძმა ხარ ერთი — გაცხარდა აბესალომი — თუ მიწერე კიდევაც
დაფიქრებდნენ, მაგრამ შენი ამბავი რომ ვიცი არაფერსაც არ მიწერდა. ერ-
თიც ვნახათ „სოსკები“ გამოგიგზავნონ და მაშინ სადღა აბირებ დამალვას,
აქედან აღარ ვინდა გამასწრო?

ილიკო ახლა ქალის წინდებს გადასწვდა და გაშალა, გახედ-გამოხედდა,
ხელზე გადაიფინა. ნაზი, აბრეშუმის თხელი წინდა მიმზიდველად ბზი-
ნავდა.

— რაცა ფეხი ამას ჩაიცვამს... — ილიკომ აღარ დაამთავრა, რაღაც
უცნაურმა გრძნობამ გაიღვიძა მის გულში და ენა დაება. ის ამღვრეული
თვალებით დასცქეროდა თავის კოყრიანსა და მუშაობით დახეთქილ ხელ-
ზე ჩამოკიდულ ნაზ ქსოვილს და გრძნობდა, როგორ იღვრებოდა მის
სხეულში ერთნატიელის მომგვრელი სითბო. თითქო არაფი გადაეკრას.
უცნაური ფერისა იყო წინდა. შიშველ ქალს გაგონებდა.

— გაუშვი ხელი, რა შენი საქმეა ამისთანები! — უხეშად შეუტია კო-
ტემ ილიკოს, წინდა ხელიდან გამოგლიჯა, ასევე უხეშად ხელზე წამოი-
ცვა და ღრეკა დაიწყო: — შშვენის, ბიჭებო, შშვენის, შეხედეთ!

ილიკო ერთხანს გაოცებული შესცქეროდა თავის მეგობარს, მაგრამ
შემდეგ თანდათან სისხლი სახეზე მოაწვა და სიბრაზისაგან კბილები გა-
ახრჭიალა. ისეთმა შეურაცყოფის გრძნობამ შეიპყრო, თითქო სილა გაეწ-
ნათ მისთვის. მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა კოტეს, რომელიც ისევ განა-
გრძობდა ღრეკას და წინდაწამოცმული ხელის ტრიალს, კისერში ხელი
ჩააგლო, თავისკენ შეაბრუნა და მტკიცე ხმით უთხრა:

— დადევ!

— რა? — გაოცებული თვალები შეანათა კოტემ.

— ვინ გგონივარ, ბიჭო, მე?

— რა შენი... ვინდა, — უკმეხად უბასუხა კოტემ, მხარი გაიქნია და თა-
ვი გაინთავისუფლა.

— დადევ! მეთქი გელაპარაკებო.

— ვინ ხარ კაცო შენ?

— გასწავლი ვინცა ვარ — დაუბრიალა თვალები ილიკომ.

— კაი, კაცო, რა მოგივიდათ, — ალაპარაკდნენ მუშები და გასაშველებ-
ლად შუაში ჩადგნენ.

ილიკო და კოტე სწრაფად დააშორეს ერთმანეთს.

აყაყანდნენ. სცადეს ყველაფერი ეს ზუმრობად გადაეჭკიათ.

— რა მოგივიდათ, კაცო?

— ბიჭო, წინდაზე ამას ჩადიხართ, ქალი რომ დაგრჩეთ გასაყოფი, მა-
შინ რაღას შვრებით?

— თქვენი ჩხუბი კაცს არ უნახავს. ახლა რა გემართებათ? ილიკო და კოტე კი ისევ დამუჭრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს და მზად იყვნენ, მუშტები დაეტრიალებიათ.

— შე ლაწირაკო, შენი ტოლი ხომ არ გგონივარ? — მღრღნევეს ამოხსროლა ილიკომ, რომელსაც სიბრაზისაგან ყბები შეჰკროდა.

— ტოლი თვარა, დიდი ვინმე მყავხარ! — შეუტია კოტემ. — რო იქაჩე-ბი, რას იქაჩები?

— გაჩუქდი, თორემ გიტირებ დედას! — წინდებს ათვალეირებს ყმაწვილი, — დაცინვით ჩაიქირქილა კოტემ. — იყიდის ერთ ათ ცალს. თავს იკლავენ ქალები მისთვის და რა ქნას!

— თორემ, შენმა მზებ, შენსას მიმიგავს ან თავი ან ფეხი. ვინ... შე უბედურო ღობის ძირას. შეხედეთ ერთი, თუ ძმა ხარ, ეწერში დამბალ კვახს არ მიუგავს თავი?

— წადი შენი...

— ხმა, თორემ ესენი კი ვერ გიშველიან.

— მოდი, თუ ბიჭი ხარ!

ერთმანეთზე მიიწიეს. მაგრამ ისე გააცალკევეს: ილიკო კუთხეში მიაგდეს, კოტე ჯიკავით გაიყვანეს გარეთ. არც ერთი და არც მეორე არა ცხრებოდა. განსაკუთრებით კოტე არ ისვენებდა და ფარდულიდან შორს წასვლას არ აპირებდა. თავს შეურაცყოფილად გრძობდა იმის გამო, რომ ფარდულიდან ილიკო კი არა, ის გაიყვანეს. თითქო ილიკო იმისთანა კაჟანდვეი იყო, რომ კოტე შეიბრალებს და მოარიდეს. გაცეცხლებულმა ერთი თრჯერ სცადა, გარშემოსეული ბიჭები შემოეფანტა და ისევ შევარდნილიყო ფარდულში, მაგრამ როდესაც მათ მაგრა შეუტრეს გზა, გადმოქაჩული თვალები ფარდულის კარებს მიაშტერა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იყვირა:

— გამოდი გარეთ, თუ დედალი არა ხარ!

ფარდულიდან ბლარძენი და ხენეშა მოისმა. ილიკო გარეთ იწევდა, მაგრამ არ უშვებდნენ.

ხმაურმა დათიკო ბექაიას ყურამდე მიაღწია, რომელიც ის იყო სამუშაოდან დაბრუნდა და აპირებდა ახლად მოტანილი დასტა გაზეთების კითხვას შესდგომოდა. მან მაშინვე მიატოვა გაზეთები და აჩქარებულნი აბიჯათ გაემართა ფარდულისაკენ.

— რა მოგივიდათ, რა ამბავია? — მიაძახა შორიდან მუშებს.

ინჟინერის დანახვაზე მუშებმა მაშინვე უშვეს ხელი კოტეს და სიცილი დაიწყეს. კოტეც უცბათ გამოერკვა, დამნაშავესავეთ განზე გაიხედა და ქამრიდან ამომძვრალი ხალათის სწორება დაიწყო.

— რა მოგივიდათ? — კითხა დათიკომ ყველას და შემდეგ კოტეს ახედდა: — რა იყო, ბიჭო?

— არაფერი, პატარა შელაპარაკდნენ ეს და ილიკო, — უპასუხა კოტეს მაგიერად ერთმა მუშამ...

— რაზე შელაპარაკდნენ? — იკითხა კიდევ დათიკომ, მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა და ფარდულში შეაბიჯა.

ილიკო ისევ მიიწევდა გარეთ. მას აბესალომი ეღობებოდა და არ უშვებდა. მაქსიმემ დაინახა თუ არა დათიკო, მაშინვე თვალით ანიშნა

აბესალომს, დაანებე თავი, შეხედე ვინ მოვიდაო. აბესალომმა მრჩედა და დიმილით მოშორდა ილიკოს.

— ამას რაღა უნდა? — სიცილით იკითხა დათიკომ, რადგან უნდოდა უცბათ შეენღებინა მოჩხუბართა დაძაბული განწყობილება.

ილიკოს არც გაუგონია დათიკოს სიტყვები და თითქო არც დაუნახავს იგი. გულდაგულ გაემართა კარებისაკენ, მაგრამ დათიკომ ხელი მიაბჯინა გულზე და შეაჩერა:

— სად მიდიხარ?

ახლა გამოერკვა ილიკო. შედგა, დარცხვენილივით შებრუნდა, კართან მივიდა და ზედ იდაყვით მიეყრდნო. სახე ქალღღივით გათეთრებოდა სიბრაზისაგან და მძიმედ სუნთქავდა.

— რა მოგივიდათ, რა განჩუბებთ? — ახლა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცეთ ჰკითხა დათიკომ. — ილიკო, შენგან ჩხუბი კი არა, აწეული ხმა არ გამოგონია. რა მოგივიდა?

— ეს ჩულქი შაინც არ გაეზიათ, — ჩაერია მაქსიმე, — რომელი იხდით, ბიძია, ახლა ამის ფულს?

— რა ჩულქი? — გაკვირვებით შეხედა დათიკომ მაქსიმეს.

— რა, ბატონო, და ეს! ამის გამო ატყდა ყველაფერი. ათასჯერ ვუთხარი სახეაჭრობას, ნუ მიგზავნით ამისთანა საქონელს, ჩვენს მალაროებში ქალი წამლად არ იძოვება და შვილები ან პადვიანუკები არ გვინდათქვე, მარა... ა, ბატონო, ხედავ? — მიუთითა მაქსიმემ ვახსნილ ყუთებზე და საქონელზე: — ა, ბატონო, ა, ამ ტუფლს შეხედეთ, აბესალომ კაპანაძეა ახლა ამის ჩამცმელი?

ამ ხუმრობაზე ყველას გაეცინა. ილიკომაც კი გაიღიმა, რადგან აბესალომი განთქმული იყო თავისი დიდი ფეხებით. ორმოცდახუთი ნომერი ფეხსაცმელი სჭირდებოდა.

დათიკომ ხელში აიღო ქალის ლამაზი ფეხსაცმელი და შეათვალიერა. მერე აბესალომს შეხედა. ის თუთუნს ახვევდა და უღვაშებში იღიმებოდა.

— დაგშვენდება აბესალომ, — უთხრა დათიკომ და ფეხსაცმელზე ანიშნა.

— მაგის რა მოგახსენო, ჩემო დათიკო, მაგრამ მაგის ჩამცმელი ქე დამშვენდებოდა, მართალი რო თქვას კაცმა. — აბესალომმა კეესი გაპკრა. აბედს შეუბერა, გაადვივა და პაპიროსი გააბოლა. მერე დათიკოს გვერდით იდაყვით დახლს ჩამოეყრდნო და ტუფლი მელისასავით შეათვალიერა, თითქო პირით უნდოდა აეტაცნა და გადაეყლაპა. — ახლა იტყვიან, რომ ვითამ ჩვენც ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე.

— რაზე ამბობ მაგას? — ჰკითხა გოცემბით დათიკომ და ფეხსაცმელი მაქსიმეს გაუწოდა.

— რაზე? ჰმ! — სინანულით ამოიოხრა აბესალომმა. — რაზე და ერთხელ თბილისში ვიყავი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და რაც მე იქ ლამაზად გამოწყობილი ქალი ვნახე, ანგელოზებივით გოგონები, გელაპარაკები, კინალამ დაებრუციანდი. ცალი იქით გამიბრბოდა თვალი და ცალი აქეთ. ეს ვამაგებია, ვინ იხტეტეს ამდენ ლამაზ ქალს გულში? მე აქ აგერ ორი წელიწადია ამ კლდეებში ვარ შემძვრალი, ვუბაყუნებ ამ უროს და იქ... ერთი ჩვენებური ბიჭია, მუზიკას უკრავს. რო შეხედო, ამერიკიდან ჩამოსული მილიონერი გეგონება. ხუთი ცოლი გამოიკვალა. ასე ყოფილა ეს ცხოვრება.

— შენც ასე გაქვს საქმე?

— ჩემზე ხომ არ გელაპარაკები. რაზე წაინხუბენო, რომ ეკითხე, ამდღერათ სისხლი, თორემ ისე მაგათი ჩხუბი გაგიგონია! ბუნებრივად ასე გავუჩინებართ და რას იზამ!

— მაშ კიდევ კარგი რომ აქ ქალები არა გვყავს თორემ...

— არა, არა ხარ მართალი. თვალი რო ხედავს, ის სხვია.

დათიკომ აღარ უპასუხა. მოსული საქონელი ერთხელ კიდევ შეათვალიერა და გარეთ გავიდა. შუბლა მოასრისა და დაბნეულად მიმოიხედა. თავის თავს შეატყო, რომ მის არსებაშიაც გაიღვიძა რაღაც ფარულმა ამადლელებელმა გრძობამ. უცბად მოენატრა, ყოფილიყო პირგაპარსული, ახალ კოსტუმში გამოწყობილი, სადმე მყუდრო ოთახში სავარძელში ჩამჯდარი, მის პირდაპირ კი მეორე სავარძელში — მოსხლეტით მინაბული ახალგაზრდა ქალი, ლამაზი ფეხები რომ მუხლისთავებამდე უჩანს, მიმზიდველი ლამაზი ქალი, გრძელწამწამებიანი დაბინდული თვალებით.

მიმოიხედა.

გაახსენდა, რომ გაზეთები უნდა წაეკითხა.

წვერზე ხელი მოისვა. რამდენი ხანია ვანგებ აღარ იპარსავს. როდესაც სააკეში იხედება, თავის თავს ვერც კი სცნობს. სულ სხვაგვარი ჩანს. წვერი თმასავით ლამაზად დაუბუქუქდა. დათიკო ახლა ანტიურ ქანდაკებას ჰგავს. საბუ ბრინჯაოსფერად აქვს დამწვარი. კუნთები რკინასავით გაუმაგრდა, რადგან სხევებთან ერთად თვითონაც მუშაობს სანგრევზე.

დათიკო ჩქარის ნაბიჯით გაემართა თავის ოთახისაკენ. უნდოდა მოეშორებინა არასასიამოვნო ფიქრები, რომელთაც მისი აზროვნების ჯურღმულებში გაიღვიძეს.

მას ახლა სხვა რამეზე უნდოდა ეფიქრა, ელაპარაკა, გაზეთები ეკითხა, არ უნდოდა მოგონებებს გაჰყოლოდა. არ უნდოდა კვლავ წამოქრილიყო მის თვალწინ ბუხართან მჯდომი გრძელწამწამებიანი, ლამაზი ქალის მოლანდება დაბინდული თვალებით.

— მელიტონ!

— რას მიბრძანებთ? — ათისთავი მოწყვეტით შეჩერდა დათიკოს წინ.

— ისადილე? — ჰკითხა დათიკომ. მეტი ვერაფერი მოისახრა.

— ჯერ არა. — მელიტონი შედგა და მერე ეშმაკურად გაიღიმა: — მართლა ქალს ნივთები ჩამოუტანია მაქსიმეს?

— ჰო. შეეშალათ, ალბათ.

— ო, ღმერთმა დასწყევლოს იმათი თავი! ფრონტზე რა ამბებიო?

— არ ვიცი, გაზეთები არ წამიკითხავს.

— ჩალვადრები არაფერს ამბობენ?

— იმათ არაფერი უთქვამთ, ლტოლვილები კი ჩამოსულან ქვაბნარაში.

— ლტოლვილები ზამთარშიაც მოდიოდნენ.

ორივენი შეჩერდნენ. სალაპარაკო აღარა ჰქონდათ-რა.

— ფარდულში მიდიხარ?

— ჰო, ვნახავ ერთი მეც, რა მოუტანია. მერე თუთუნი მინდა კიდევ და...

— კარგი, წადი.

მელიტონი წავიდა.

დათიკო ოთახში შევიდა, ტახტზე გულადმა წამოწვა და ვაზეთი გამალა. „ერთი ვნახოთ, რა სწერია ამ ვაზეთში — გაიფიქრა დათიკომ, — წავიკითხოთ, წავიკითხოთ, წავიკითხოთ. რომელი რიცხვისაა? 2 დელინი. უკ, რამდენი ხნის ყოფილა!“

„რა კარგია მართლა ბუხარი! რატომ მაინცდამაინც ბუხარი? არ ვიცი. მაშინ ზამთარი იყო, ბუხარს ვუსხედით. ის თბილ სავარძელში იჯდა. რა მიმზიდველი იყო“...

„რა დროს ფიქრია! ვაზეთი წავიკითხოთ, ვაზეთი. რა სწერია? მე ზომ გადაწყვიტე, არასოდეს აღარ მეფიქრა იმაზე. არც ვფიქრობ იმაზე. მაგრამ სხვა ვინმე რომ იჯდეს ბუხრის წინ სავარძელში, სულ სხვა? ის, რომელიც მთელი გულითა და სულით ჩემთან იქნებოდა, ისეთი რომ იყოს?“

არასოდეს! არავისზე ფიქრი! ყველანი ერთნაირები არიან. ნუთუ ვერ უნდა დავძლიო ჩემ თავს. ვაზეთი წავიკითხოთ. აი რა საყურადღებო ამბები სწერია...

ეს რა მომვიდა, მაინც ვერ ვკითხულობ!“

დათიკომ ვაზეთები განზე ისროლა, ფეხზე წამოიჭრა და გარეთ გავიდა.

მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ საოცრად მშვიდი და სანეტარო საღამო იყო. ლაილას მწვერვალებში ჩამალულ მზეს თითქო ხანძარი დაენტო ცაზე და ღრუბლები აღისფრად აეფერადებინა.

საღამოს ზეფირი ოდნავ აშრიალედა ტყეს.

მოულოდნელად სადღაც შორს, ქედის გადაღმა თუ მწვერვალებზე, დაგუღული გრიალი გაისმა.

მერხზე ჩამომჯდარმა მუშებმა გაკვირვებით აიხედეს მალა.

კიდევ დაიქუხა. ცოტა ხნის შემდეგ სამჯერ ზედიზედ გაისმა გრიალი.

მუშებმა ცას შეხედეს, მერე ისევ მთებისაკენ გაიხედეს.

— ქუხილია? — იკითხა ვილაცამ.

ფარდულიდან მელიტონი და მაქსიმე გამოცვივდნენ. სამზარეულოდან თოშამ გამოიხედა.

გაისმა აქეთ-იქიდან:

— რა ამბავია?

— ლაღუმია?

— არა, კაცო, ქუხილია.

— რას სულელობ, ქუხილს რა უგავს? ზარბაზნებია.

— ზარბაზნებია?

სკელამ ვაოცებით შეხედა მელიტონს, რომელიც წარბშეკრული გასცქეროდა ქედს.

— ზარბაზნის ხმაა. — გაიმეორა მელიტონმა, მერე დათიკოს შეხედა და დასძინა: — მოგვიახლოვდნენ.

ომის ამბებს თავისებურად განიცდიდნენ და სულ მოელოდნენ იმ დღეს, როდესაც წითელი არმია შეტევაზე გადავიდოდა. ვერასოდეს ვერ წარმოედგინათ, რომ ზარბაზნების ქუხილი მათ მალაჩივებამდე მიაღწევდა.

ქუხილით კი ნამდვილად ზარბაზნები ჰქუხდნენ, რადგან მთელ საღამოს არ შეწყვეტილა მისი გრიალი.

საღამოთი, როდესაც ყველანი სასადილოში შეიკრიბნენ დათიკომ რუკა მიიტანა, მაგიდაზე გაშალა და ლამის შუქზე დაუწყა თვალყურება. გაზეთების მიერ მოტანილი ამბებით მტერი ჯერ კიდევ არ დასტურებულა უნდა ყოფილიყო. ჩალვადრებს ეთქვათ, ბრძოლები ტიხორეცხვანში მიმდინარეობს. თუნდაც აგრე ყოფილიყოს, მანძილი ფრონტამდე მაინც საკმაო გამოდიოდა. თითქმის ოთხასი კილომეტრი.

ნუთუ შესაძლებელი იყო ოთხას კილომეტრზე ზარბაზნის ხმას მიეღწია?

— იქნება თვითმფრინავებით რომელიმე სოფელს ბომბავენ და იმის ხმა ისმის? — იკითხა მელიტონმა.

ამ მოსაზრებას არავინ არ დაეთანხმა, რადგან გრიალი განუწყვეტლად ისმოდა და რამდენიმე საათის განმავლობაში ხომ არ შეიძლებოდა ებომბათ რაიმე ობიექტი.

— რა ექნათ ახლა, დათიკო? — იკითხა აბესალომმა, — რაფა იქნება ჩვენი საქმე?

— რა და მუშაობა განვაგრძოთ, — უპასუხა დათიკომ, რუკას თავი ანება, კედელს ზურგით მიეყრდნო და პაპიროსს მოუკიდა. — გესმით? კიდევ ისმის.

— ისმის და მაგრე? — სთქვა აბესალომმა — ჰო-და შენ იძახი, მუშაობა განვაგრძოთ. არ ჯობია, რომ ავიკრათ გულა-ნაბადი და მოვუსვით აქედან?

— ნუ გეშინია, ჩემო აბესალომ, მტერი ჯერ შორსაა.

— ის

სწორეთ ამ დროს კიდევ გაისმა გრიალი და ისე ახლო, თითქო ყუმბარა იქვე ხეობაში დაცემულიყოს.

— ესაა შორსო? მე მგონია, ამაღამვე რომ წავიდოდეთ არ იქნება უჭკობა.

— კარგი ერთი. ეინ მოგცა მაგდენი ლაპარაკის უფლება! — ღიმილით შეუტია დათიკომ. — სანამ მე აქა ვარ, ვერც ერთი ფეხს ვერ მოიცვლით. აბესალომმა ამოიოხრა და ჩაბნელებულ ფანჯარას მიაცქერდა.

ყველანი ჩუმად ისხდნენ, თავთავიანთ ფიქრებში წასულნი.

— ხვალ მე დანავითაუსკენ წავალ. შეიძლება მწვერვალზედაც ავიდე, — სთქვა მცირე სიჩუმის შემდეგ დათიკომ, — ვნახავ, რა ამბებია ქედის გადაღმა. ახლა დავიძინოთ, ჯობია. ხვალ ძალზე ადრე უნდა გახვიდეთ სამუშაოდ.

თავი მეორე

ეს მთები ცოცხალ ადამიანებს გვანან.

როდესაც ქარი ღრუბლების გროვას ერეკება, მთები ნაბდებში გახვეული მეცხვარეებივით დინჯად დასცქერიან ზემოდან ღრუბელთა ფარას.

ცივ ამინდში მთები ჰაზავატისათვის სათათბიროდ შეკრებილ ნაიბებს გვანან. თავზე ნისლის ჩალმები აქვთ მოხვეული, ხოლო გულ-მკერდზე თოვლის თეთრი წვერი დაჰფენიათ.

დილაობით, უფრო კი საღამო ქამს, როდესაც მზე ჩაიწვევრება, მთების მხრებზე სხივთა შუბები აღიმართებიან და ცაზე ქსელივით დრუბელთა ალისფერი დროშები აფრიალდებიან.

მაშინ მთებს თითქო რთველი აქვთ გამართული.

ხეობების საწინებლებიდან გადმოდენილ ჩანჩქერებს, გარშემო შემომსხდარან მთები და ღრეობაზე შეკრებილ მთერალ ხეცსურებივით, ლოყებაწითლებულნი, ულვაშადაგრებილნი მზიარულად ვასცქერიან დაფიონს.

მაშინ მღერიან მთები.

მღერიან ეხებსა და გამოქვაბულებში დასტვენილი და აბუბუნებული ქარის ხმებით.

მღერიან, გვირილებითა და ლომისპირა ყვავილებით მოქარგულ ტალავარებში მორთული, საკინძგადადღედილი ზარხოში ხეცსურთ მთები.

ისმის კახანი ჯიხვთა რქებისა. სტვენენ ქარაფებში ჩაყუყული შურთხები, ხოლო ცაში დაკიდული არწივი დარაჯად გაყურებს მიდამოს.

ახლა სწორედ ასეთები არიან ეს მთები და დათიკო დიდხანს ვასცქერის მწვერვალებს.

დასავლეთისკენ წითელია ცა და თეთრი ფუნჩულა შიშველი დრუბლები ნებივრად იცქირებიან ცის სარკეში.

ტყეში უკვე ჩაწოლილა ბინდი.

ასწლიანი ხეების კენწეროები ოდნავ შრიალებენ.

ქვემოთ, ქალაში ახალშენის ბარაკები მოსჩანან. შორიდან ძალზე ლამაზნი არიან ეს ბარაკები. ისინი პატარა კოლოფებს გვანან, მწკრივად დაწყობილ პატარა კოლოფებს.

დათიკომ დაღლილი მუხლები გამართა, ქისა ამოიღო და თუთუნის ხეევას შეუღვა. მერე მხართედოზე წამოწვა და თამბაქო მადიანად გააბოლა.

შორეული ზარბაზნების სროლის ხმა მთელ დღეს ისმოდა და ხანგამოშვებით ახლაც ისმის.

სროლის ხმაზე დათიკო იჭმუხნება. გარინდული ცდილობს ყური მიუგდოს და მიმართულებით გამოარკვიოს, სად უნდა იყოს სროლა.

კვლავ ისმის ზარბაზნების ქუხილი, გაბჟული, რალაც გულმოსულად გამუდმებული, თითქო ტყვიამფრქვევებს ისროდნენ, მაგრამ მიმართულების გამორკვევა შეუძლებელია.

დათიკომ პაპიროსი ყუნწამდე მოსწია, ნამწვი ქვაზე დაასრისა, მძიმედ ზეზე წამოდგა, ერთხელ კიდევ დაუგდო ყური შორეულ ქუხილს და ბარაკებისაკენ თავქვე დაეშვა. სწრაფად ჩაირბინა ნაშალი ფიქალებით დაფარული ფერდობი, მსუბუქად გადახტა ხრამზე და მდინარის პირად მაღაროებისკენ მიმავალ გზაზე გავიდა. ბარაკები უკვე ახლოს იყო და მოსახევეიდან სულ ასიოდე ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული.

მდინარის ნაპირს თხილისა და ყოლის ბუჩქები მიუყვებოდნენ. დათიკომ ამ ბუჩქებისაკენ გადაუხვია, გზადაგზა ყოლი უნდოდა დაეკრიფა, მაგრამ შოულოდნელად ერთ ადგილას გაირინდა და მეძებარივით განაბული სრულიად უჩვეულო სურათს შეაცქერდა.

მთის პატარა მდინარის მორევში ტანს იბანდა ახალგაზრდა ქალი. მას წინდახედულად, საბანაო კოსტუმში ჩაეცვა. ალბათ, გრძობდა, რომ ამ თითქო უდაბურ ადგილას შესაძლებელი იყო შემთხვევით ვინმეს გაეგვლო და მისთვის თვალი მოეკრა. პატარა მორევში ცდილობდა გვეცნობოთ მაგრამ ერთი მკლავის მოსმის შემდეგ უკვე მეორე ნაპირას იყო და ქალი ტანსუში ჩავდებულ მოზრდილ თევზივით წალმა-უკულმა ტრიალებდა. ბოლოს ცივ წყალს ვეღარ გაუძლო, დგაფუნით ამოვიდა მდინარედან და აძაგდაგებულმა ტანის გამწრალება დაიწყო. ხელი გააქანა, რომ სველი საბანაო ტანსაცმელის სამხრეულები მოეხსნა, მაგრამ უცბათ გუჟანით იგრძნო, რომ ვიღაც უტყუროდა და შეშინებულმა მიმოიხედა.

შორიასლოს ბრინჯაოს ქანდაკებასავით ჩამოსხმული წვერგაუბარსავი ახალგაზრდა იდგა და გოცებული, თანაც მოხიბლული თვალებით უცქეროდა მას. ქალებისათვის ჩვეული სიხუსტით იგრძნო დათიკოს თვალების მოძრაობის ყოველი მიმართულება და ინსტინქტიურად დაიწყო ხელების დაფარება მკერდზე, შიშველ მხრებზე, თეძოებზე, ერთ წუთს ისევე დააპირა წყალში ჩასვლა, მაგრამ სიცივისა უფრო შეეშინდა და აძაგდაგებულმა მუდარით აღსაესე თვალებით შეხედა უცნობ ახალგაზრდას.

— ვინა ხარო? წადით აქედან! — უთხრა ქალმა ვაჟს.

დათიკომ გაიღიმა და ადგილიდან არ დაიძრა.
— მე რომ სასწაული მჯეროდეს, — მშვიდად სთქვა დათიკომ, — მაშინ სრულიად არ გამიკვირდებოდა თქვენი ნახვა. საიდან გაჩნდით აქ?

— წადით-მეთქი. არა გრცხვენიათ? ხომ ხედავთ, შიშველი ვარ.

— შიშველი არა ხართ. ზღვის პირად უფრო შიშველი ქალები მინახავს, — უფრო მშვიდი და თანაც საოცარი მიმზიდველი ღიმილით უთხრა დათიკომ ქალს. — მითხარით, ღეთის გულისათვის, საბანაო ტანსაცმელში გამაწყობილი ტყის ქალღმერთა ხომ არა ხართ?

— იცით რა? — ვითომ გაჯავრებული, მაგრამ უფრო საქმიანი კილოთი უთხრა ქალმა: — მე ყველაფერს ვეტყვი თქვენი თავხედობის შესახებ მთავარ ინჟინერს და თქვენ თავს სამუშაოდან მოგახსნევენ.

— კარგი, უთხარით.
— ასეთი ახალგაზრდა, იმის მაგივრათ, რომ ფრონტზე იბრძოდეთ, აქ მაღაროებში შემალულხართ და თავხედობთ.

დათიკო ოღნავ მოიღუშა.
— მაშ, არ გინდათ მითხრათ, საიდან გაჩნდით აქ?

— ოღონდ ტანსაცმელის ჩაცმის საშუალება მომეცით და ყველაფერს ვეტყვი.

დათიკო უსიტყვოდ გაბრუნდა. გზაზე ავიდა. ასწლოვან წიფლის დაგრებილ ფესვებზე ჩამოჯდა და ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო. ნელა მოახია დაკეცილ გაზეთს ქალაღდი. ხელების მოძრაობაზე ეტყობოდა ალღუება.

რამდენჯერმე ჩამოჰკრა კვესი და ძლიეს მოუკიდა პატრუქს. გააბოლა და თხილნარისაკენ გაიხედა.

ქალი თითქო განგებ იგვიანებდა.
„ხომ არ გაიპარა“, — გაუელვა თავში დათიკოს. ალღა და მიმოიხედა. არა, ქალს არ შეეძლო შეუმჩნეველად გაპარულიყო.

თხილის ბუჩქები შეივსება და ქალი გზაზე გამოვიდა.

უბრალო ჩითის კაბა ეცვა და ჩაცმული აღარ იყო ისეთი მშვენიერი. მძიმე, ქუსლებმოქცეული ჩექმები უფრო აუშროვებდნენ. საბუღალბო ლამაზი ჰქონდა, მაგრამ ოდნავ ტლანქი.

— მამატიეთ თავხედობა, — უთხრა ქალს დათიკომპანიაში მუშაობისას ამ უდაბურ ადგილას ორი ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობზე, ჩვენი მალაროს მუშების გარდა, ადამიანის ნასახიცი კი არ არის. ჩვენ კი სულ მამაკაცები ვართ. ამისთვის თქვენი დანახვა ჩემთვის ნამდვილი სასწაული იყო.

— ნუ თუ მართლა? — სთქვა ქალმა და გაიღიმა.

— სინდისს გეფიცებით. წიკოს ხომ არ მოსწევთ?

— არა. არ ვეწევი. ეხლა მესმის, ისე გაკვირვებული ყოჩივით რომ მიცქეროდით.

— საიდან გაჩნდით აქ?

— თქვენ აქ მუშაობთ? — ჰკითხა ქალმა და დაწნული თმა შეისწორა, რომელიც თავზე ლამაზად ჰქონდა შემოხვეული.

— დიახ.

— ჩვენ აქ სამუშაოთ მოვედით.

— როგორ? ვინ თქვენ? როდის მოხვედით?

— ჩვენ ევაკუირებულნი ვართ. რაიონში აქაური მნე შეგხვდა და იმან წამოგვიყვანა. დღეს მოვედით.

— სტეფანემ?

— არ ვიცი, რა სახელი ჰქვია. პო, გამახსენდა, სტეფანემ.

— რამდენი ხართ?

— ოცდა ცამეტი.

— სულ ქალები?

— სულ. იცით რა, მნე გვეუბნებოდა, ჩვენი ინკენერი ქალების მოძულეა და მეშინია, ყველანი უკანვე არ გიფრინოთო. მართლა ასეთი კაცია?

— მართალი უთქვამს. ის ყველას უკანვე გაგაბრუნებთ. თქვენ ხომ ვერ შეიძლებთ მალაროში მუშაობას?

— თქვენზე უკეთ შევიძლებთ. თქვენ მნგრეველი ხართ?

— დიახ, — ღიმილით უთხრა დათიკომ.

— მამ დამეჯობრეთ, ერთი ვნახოთ, ვინ ვის. რატომ ფრონტზე არა ხართ? ასეთი ახალგაზრდა, ჯანლონით სავსე.

— დამეჯავშნეს. ამბობენ, ესეც ფრონტიაო.

— ეგეც მართალია. აი მე ფრონტზე მინდოდა წასვლა, არ გამიშვეს. შეხედეთ, რა ლამაზი ხეა.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ბარაკებისაკენ. უკვე არსიყობდნენ. ქალმა წყლის პირზე გადახრილ უზარმაზარ მუხაზე მიუთითა. ვაჟმა მუხა შეათვალიერა.

— კარგი ხეა. თქვენ რა გქვიათ?

— ნადია. თქვენა?

— დავითი ანუ ჩვენებურათ დათიკო.

— თქვენ სახელით და მამის სახელით არ მიშართავთ ერთმანეთს, ხომ?

— არა. აი შეხედეთ, ეს უფრო ლამაზი ხეა, — მიუთითა ტატიკომ ახლად წამოყრილ ტანწერწეტა არყის ხეზე.

ნადიამ მიიხედა. ისინი ერთმანეთს ადარებდნენ ხეებს. გაილიმა ხე მართლა ლამაზი იყო.

— სრულიადაც არ არის ლამაზი. მე აი ის მუხა უფრო მომწონს, — უთხრა ნადიამ, თან თავისთვის გაიფიქრა, რა კარგი ბიჭიაო.

მთებიდან კიდევ მოისმა ზარბაზნების სროლის ყრუ ხმები. ორივენი შედგნენ.

— ეს რა არის? — იკითხა ნადიამ. — მაღაროში აფეთქებენ?

— არა. სროლის ხმა ისმის.

— ნუთუ? ჩვენ რომ წამოვედით ჩრდილოეთ კავკასიიდან, ამბობდნენ ფრონტი ახლოსააო, მაგრამ სროლის ხმა არ გამოგონია. აქ კი ისმის. ნუთუ მტერი ასე ახლოა.

— არა მგონია.

— როგორ ფიქრობთ, მოვლენ აქ?

— ნუ გეშინიათ. აქ ვერ მოვლენ.

მოსახვევიდან ბარაკები გამოჩნდნენ. ახლად მოსული ქალები ჯგუფებად იდგნენ ბარაკებთან. ისინი ინეენერის მისვლას ელოდებოდნენ.

თავიანთი ბარგი-ბარხანა იქვე დაეწყოთ. ერთმანეთზე იყო დახვეაებული ჯვარედინაო თოკებით გაკრული ფანერის ჩემოდნები, თავწაყრული ტომრები, ტელეფონის მავთულით შეკრული საბნები, ყურებაცქვეტილო ფუთები, თუნუქის ჩაიდნები, ალუმინის პატარა ქვაბები. ერთ ფუთაზე ბალალაიკაც კი იყო მიბმული.

ქალების უმრავლესობა ახალგაზრდობა იყო, მაგრამ მათ შორის ხნიერიც ერივნენ. თითქმის სუყველას მამაკაცის მძიმე ჩექმები ეცვა. ყველანი ჯან-ლონით სავსე ლოყებაწითლებული დედაკაცები იყვნენ, გარდა ერთისა, რომელიც თავის გარკნობით და ნაზი აგებულებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა სხვებისაგან და ეტყობოდა, მათი წრიდან არ იყო. მას რუსული სარაფანი ეცვა და ზურგი წელამდე შიშველი უჩანდა. ქერა თმაც ახალ მოდურად ჰქონდა ბეჭებზე დალალებად დაყრილი. მას გალინა ერქვა.

ნადიამ და დათიკომ აღმართი აიარეს. დათიკო ქალებს მიესალმა, რომელთაც სანამ დათიკოს სალაშზე უპასუხებდნენ, შორიდან გასძახეს ნადიას:

— ნადია, ტყეში იპოვე?

— ჩვენ არ ვაგვაცნობ?

— ყოჩაღ, ნადია. წაეიდა გოგო ტყეში სოკოს საძებნელად და ბიჭი კი იპოვა.

— ნადია, მოდი აქ.

— ეგეც მოიყვანე.

ქალების ამ ოხუნჯობამ დათიკო სრულიად დააბნია. უნებურმა სიწათლემ გადაურბინა სახეზე, მაგრამ იმავე დროს საოცარი სიამოვნება იგრძნო. სრულიად დაევიწყდა, რომ ის ამ მაღაროების უფროსი იყო და რო-

გორც ოფიციალური პიროვნება, მეტად გულცივად უნდა შეგებებოდა ქალების ლად შემახილებს. ამის ნაცვლად მან მხიარულად გაიღრმა და ნაძალადევი საქმიანი სახით ბარაკისაკენ გაიხედა.

ქალები კი განაგრძობდნენ მხიარულ ოხუნჯობას:

— ნადია, სანახევროდ.

— გაგიღიმა ბედმა და ახლა აღარც გვიცქერი.

— გასამცლელს არ აიღებ?

— შეხედეთ, არც კი გვიცქერის.

— გაგვიქალბატონდა.

ნადიამ მათ ყურადღება არ მიაქცია და ბარაკიდან გამოსულ სტეფანეს გასძახა:

— სტეპან, ინეენერი არ მოსულა?

— მაშ ეგ ვინ არის? — მიუთითა სტეფანემ დათიკოზე.

ნადიამ შეშინებულივით მოიხედა, დათიკო შეათვალიერა და თავისდაუნებურად აღმოხდა:

— ოი!

დათიკომ გაიცინა, სტეფანესთან ერთად ბარაკში შევიდა. ნადია კი მოსხლეტილი ნაბიჯებით მიუახლოვდა თავის მეგობრებს. მან უეცრად მოიწყინა და ქალების კითხვებზე არ უპასუხებდა.

სამზარეულოში ბოლი ტრიალებდა. თომა მზარეული დათიკოს შეეგება და სამფეხა სკამი მიაწოდა. სტეფანე ჯერ კარებში შეჩერდა, შემდეგ თომას გვერდით სკამლოგინზე ჩამოჯდა.

— საკმელი გაქვს რამე? — ჰკითხა დათიკომ თომას.

— მალე იქნება.

— გეყოფა? — დათიკო ახლად მოსულ ქალებს გულისხმობდა.

— ვიყოფინებთ.

— ეს ქალები საიდან მოიყვანე? — მიუბრუნდა დათიკო სტეფანეს.

— სულ შეშინოდა უკან არ გამაბრუნებიათ-თქო. — სტეფანე ხანდახან სანს ვერ ამბობდა, კბილები აკლდა: — მარა რა მექნა? რაიკოშში მიტხრეს, წაიყვანე, თორემ მერე ველარაგის იშოვიო. სადაა მუშა, თითონ დაეძებენ.

— რა ამბავია რაიონში? გაზეთები მოიტანე?

— კი, იქ დავდევი შენს ოთახში. გლახათაა ჩვენი საქმე.

— როგორ?

— მთელი რაიონი ბეყენცებითაა შავშე. ჯარი მოდის და მოდის. იმიშთანა ამბავია, რომ შენს მტერს.

თომამ ჩიბუხი გატენა, ღუმელის კარი გამოაღო, ჩიბუხს თავი ნალვერდალში წაუყრა, მერე რამდენჯერმე მოუბლაკუნა და დათიკოს ჰკითხა:

— რაეა ფიქრობ, დათიკო ბატონო, შენს მსწიფელი კაცი ხარ, ემარცხდე ბიო ვაიომ?

— რა ვიცი, ჩემო თომა, — ეგუნებოდ უპასუხა დათიკომ. — ვაგ, წარვიცი ვიცი, რაღა მიჭირს.



— ასე ამბობენ, გერმანიას უთქვამს, მოსკოვი არ დამანებებ, მარა საქართველოს და კავკასიას მაინც წაგართმევია. ბაქოს ნაუთი და ეს ჩვენი მადნები უნდა იმ ურჯულს. რავე იტყვი შენ?

— კი უნდა, თუ გაატანეს, — დათიკო სხვა რაღაცაზე დასწრებდა და შუბლშეჭმუხვნილი ქურას უტყუროდა.

— ეგეც არი, — სთქვა თომამ და დასძინა: — აჯობა, ხო იცი, სტალინმა, ძალიან უნდოდა თურმე გიტლერს მოსკოვის წაღება, მარა ვერა. პაი დედასა, რა ქალაქია მოსკოვი! ხო ყოფილხარ?

— შენ ყოფილხარ?

— რავე არა. სამი წელიწადი ვიყავი. ერთ ჩვენებურ კაცს რესტორანი ქონდა ახორტი რიადში. იმასთან ვმუშაობდი. კაი ქალაქია, კაი. ახლა სად ვარ ამ დაღუპულ ადგილას! რო გაშვეილოდი გამოწყობილი, რვეიზორ დეიქენია გეგონებოდი.

დათიკომ გაიცინა, ადგა და სტეფანეს უთხრა:

— მაგ ქალებს ბინა მიეცი. მესამე ბარაკი გაანთავისუფლე. კოლია და ილიკო მეორე ბარაკში გადავიდნენ. თუ იმუშავეს ახლა მაგათი — რაღაც შეწუხებული ხმით ჩაილაპარაკა დათიკომ და გასასვლელად მოემზადა.

— აჰ! მაგიშ დარდი ნუ გექნება, — ცხარედ წამოიძახა სტეფანემ: — რუშიმ ქალი ყველაფრად დალოცვილია. ჩვენ ქალებშ კი არ ჰგვანან. აგერ ნახავ. მალაროშ მუშებია ყველა.

— ჰო! კარგი, ვნახოთ. ბიჭებს უთხარი, თავი წესიერად დაიპირონ.

კარებში დათიკოს ქერათმიანი გალინა შეეფეთა, რომელმაც კეკლუცად შეიხედა ბარაკში და თამამად იკითხა:

— შეიძლეა? დამარჯობათ!

— შობრძანდით, — მიეგება თომამ.

დათიკომ გზა დაუთმო. ქალმა ახედ-დახედა დათიკოს და მერე თომას შიშბრუნდა:

— ცხელი წყალი ხომ არ გექნებათ?

— რამდენიც გნებავთ, — დაუგო თომამ. — ჩაიღანი გაქვთ? აი აგერ დიდი ქვაბი საცხია.

გალინა განგებ შევიდა, რომ დათიკოს გამოლაპარაკებოდა. ის ბევრად სჯობნიდა გარეგნობით ნადიას, რომელმაც ასე ბედზე პირველმა მოახერხა ახალგაზრდა ვაჟის გაცნობა. ნადიამ უამბო ქალებს, როგორ გაიცნო ინჯენერი. ეგონა, მალაროს მუშა გავიციანო.

— ის-კი ინჯენერი გამოდგა, — უთხრა გულდაწყვეტილმა ნადიამ ქალებს.

— რაო, შეგიყვარდა უკვე? — სიცილით უთხრა ხანში შესულმა, მაგრამ ჯანღონით საცხე პელაგიამ ნადიას. — იმედი ნუ გექნება.

— ეჰ, იმედი დაიკარგოს აქედან! — გულმოსულად წამოიძახა ნადიამ, — იმედი სხვისთვის დამითმია.

ყველამ ქერათმიან გალინას შეხედა, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქალებისაგან როგორც გარეგნობით, ისე ჩაცმულობით. ჩანთაში ყავისფერი მალალქუსლიანი ტუფლებიც კი აღმოაჩნდა. მაშინვე ჩაიყვია, როგორც კი გაავო ინჯენერი მოვიდაო. მას სურდა ახლავე მოეზდინა შესაფერი შთაბეჭდილება ქალებზე იმით, რომ მართო ის შიიქცევლა დათიკოს ყურადღებას.

— ქალებო, ჩაი არ გინდათ? — მიმართა გალინამ ქალებს, — მოდიოთ დავლიოთ.

პასუხს არც კი მოუცადა და ტანის მოხდენილი რხევით გაემართა სამზარეულოსაკენ.

ღათიკომ, მართალია, გალინა შეათვალღერა, მაგრამ მართო სიტყვაც არ უთქვამს მისთვის. სამზარეულოდან გავიდა, მესამე ბარაკში შეიხედა და შემდეგ ქალებს მიმართა:

— აი ამ ბარაკში მოთავსდით. სტეფანესთან მიდით, რაც საჭიროა, საწყობიდან ყველაფერს მოგცემთ. მოეწყეთ, დანაყრდით და შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ქალები აიშალენ, თავიანთი ჩანთები, ფანერის ჩემოდნები, ფუთები და სხვა ბარგი-ბარხანა აკრიფეს და სამზარეულოსკენ გაემართნენ.

სტეფანე გაუძღვა ქალებს და ყველანი მესამე ბარაკში მიიყვანა. გრძელსა და ოღნაე ბნელ ბარაკში მწყრივად იდგნენ ცარიელი ტახტები. მხოლოდ ორ ტახტზე იყო გაშლილი ლოგინი.

— ამათ სხვაგან გადავიყვანოთ, — მიუთითა სტეფანემ ლოგინზე, — თქვენ კი მოეწყეთ. ლოგინს ყველა მიიღებს.

— ბალღინჯოები არა გყავთ? — იკითხა გალინამ, რომელიც ოღნაე გაჯავრებული იყო, რომ ღათიკომ არაკითარი ყურადღება არ მიაქცია და ახლა ყველაფერს გაბრაზებული უცქეროდა.

— ბალღინჯოებით? — გაიკვირვა სტეფანემ. — აქ რა უნდა ბალღინჯოებს. ქალები ხმაურით დაიფანტნენ ბარაკში. ტახტებს ირჩევდნენ და ერთი დავა ჰქონდათ, ვინ ვის მეზობლად ყოფილიყო. პელაგიამ ნადიასთან ახლო მოისურვა დაბინავება და ორთავემ ბარაკის ბოლოში დადგმული ტახტები აირჩიეს. მოუსვენრად დარბოდა და ტახტებს ათვალღერებდა საოცრად პატარა ლიდა, რომელიც ტანადობით ბავშვს წააგავდა, მაგრამ სახე უმტკიცებდა, რომ ოცდაათწლამეტ წელს უნდა ყოფილიყო ვადაცილებული.

— არ არის შენი ზომის, არა, ვერ ხედავ? — სიცილით უთხრა მას პელაგიამ. — აუცილებლად აკვანი გინდა?

მართო გალინა არა ჩქარობდა და ამრეზილი უცქეროდა ქალების ფუსფუსს. მას არ მოსწონდა ბარაკი. პირველ შეხვედრილ ტახტზე ჩამოჯდა და სასთუმალაან მიდგა თავისი ლიდერინგადაკრული ჩემოდანი.

— შენ ამ ტახტს იკერ? — ჰკითხა მას პატარა ლიდა.

— ეპ, რა მნიშვნელობა აქვს, ყველა ერთია!

სტეფანემ ყველას დაურთო ლებისა და ბალიშის პირები და ბაიკის რბილი საბნები.

— ხმელი თივა აგერ იქ არის, — მიუთითა სტეფანემ ფარდულზე და ისევ სამზარეულოსკენ გაემართა.

ქალები მზიარული ტყრციალით მოედვენ ამ პატარა ახალშენის მიღამოს. ზოგი ლებებს და ბალიშებს სტენიდა თივით, ზოგი ბარაკს ჰგვიდა და ფანჯრებზე ფარდებს ჰკიდებდა. ნადია და პელაგია ბარაკების წინ ეზოს ჰგვიდნენ.

— არ გამოაცოცხლეს აქაურობა ამ ქალებმა! — უთხრა თომამ სტეფანეს.

— მაგ კი არა, შენ იმ თქვი, აშე იოლად რო გადავრჩი უპასუხა სტეფანემ: — შულ მეშინოდა, დათიკომ უკან არ დამამრუნებოშ ე ქალები-თქვა.

გარკნუნული
გიგლიჩიშვილი

— მაგის ამბავი იცი? — ჰკითხა თომამ.

სტეფანემ თვალბში შეხედა თომას და უსიტყვოდ სახის ოდნავი მოძრაობით იკითხა, ვისი ამბავიო.

— დათიკოსი, — კარებისაკენ მიხედვით ანიშნა თომამ, თითქო დათიკო კარების უკან იდგა.

— არა, რა ამბავი?

— რაზე ეზარებოდა ქალები თვალთ დასანახავად. არ იცი?

— ჰო? არა.

თომამ ქურას შეუკეთა, ქვაბებს თავი ახადა, შემდეგ თავისი განუყრელი ჩიბუხი გააბოლა და განავრძო:

— მაგას, ჩემო სტეფანე, იმისთანა ამბავი შეემთხვა, რომ სხვანაირ კაცს შეიძლება ცოდვაც კი დაეტრიალებია.

— თუ ძმა ხარ? რაზე?

— რაზე და ერთი თვის შერთული ცოლი გაეძქა!

— რას მეუბნები როდის? — წამოიძახა გაოცებულმა სტეფანემ და თითქო იმისთვის, თომას ხომ არ ეშლებაო, ხელმეორედ ჰკითხა: — ჩვენ დათიკოს, კაცო?

— ჰო, ჩვენ დათიკოს.

— ღმერთო შენ დამიფარე! — გამოისახა პირუჯვარი სტეფანემ დიდი გაოცების ნიშნად. — რაზე, კაცო?

— რაზე და ახლანდელი ქალებზე ალიკვალს შენ გაიგებ? მაგან, ჩემო სტეფანე, უმაღლესი რო დაამთავრა, ახალციხის რაიონში მუშაობდა პირველად. უცოლო იყო მაშინ. ჩასულა ერთხელ, შენ ხარ ჩემი ბატონი, თბილისში. ერთი ლამაზი ქალი გაუცვნიო. საცხა შეხვედრია. გაუცვნიო, ბატონო, და ნამეტანი მოწონებია. მარტლა კარგი იყო. მე ქე მინახავს ის ქალი. სოფელში ყავდა ერთ-ორ დღეს. იმის შეხედვას არაფერი სჯობდა, კალმით ნახათიო, რო იტყვიან. მე იმაზე კარგი დახატული სურათიც არ მინახავს.

— მერე, მერე?

— მერე. ჩემო სტეფანე, იმ ქალს ერთი ვიდაცა დიდი ხნის შეყვარებულ ბიჭი ჰყოლია. იმას უნდა წაყოლოდა თურმე ცოლად მარა რაცხაზე წახებებოდა და იმის გამოჯინებული დათიკოს რო შეხვედროდა, წამოყვა. დათიკომ რა იცოდა, თუ ასე იყო საქმე.

— მერე, შენ გენაცვალე, მერე? — აჩქარებდა მოუთმენლად სტეფანე და თვალბში შესცქეროდა თომას.

— მერე, შენი ჰირიბე, წამოყვა ამ ჩვენ დათიკოს ის ქალი, მარა ერთი თვის შემდეგ ქე შერიგებია იმ ბიჭს. შერიგებია, ბატონო, ჩაკვრია გულში და ოუტეხია ერთი ვაი უშველებელი. ამასობაში ამ ბიჭს დოუბატიენია ჩვენი დათიკოს სიმაპრი, გოუშლია სუფრა, მარა რა სუფრა. უქეიფნიათ. შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგად. მერე გადახვევია ამ ჩვენი დათიკოს სიმაპრი იმ ბიჭს. ასე და ისე, შენ ხარ ჩემი სიძე, მეტი არავინო.

— ბიჭო, იჭნება მეორე ქალიშვილს ურიგებდა, — შეაწყვეტინა სტეფანემ.

— არა, კაცო, მეორე სად ყავდა! ის ერთი ქალიშვილი ყავს ეს ის ერთის სიტყვით, გადახვევია იმ ბიჭს, უტირია, აქეთური, იქეთური და ახლა ეს ამბავი დათიკოს ხომ არ გამოეპარებოდა. კითხა ქალს. მართალიაო, უთხრა ქალმა. მე ის ბიჭი მიყვარს და შეეცდი, შენ რომ წამოგყევიო. დაიხურა დათიკომ ქუდი და წამოვიდა.

— იმათთან იყო ბინად?

— ჰო, ჩაისიძეს ვითომ. წამოვიდა, მარა რავარ გუნებაზე იქნებოდა, შენც მიხვდები. ჩამოვიდა სოფელში ეს ბიჭი, დადის, ხმას არ იღებს. შევიცხადეთ ყველამ, მარა რას ვიზამდით. დავტრიალდით ყველა, აი აქეთ, აი იქით, ქალი რომელიც გინდა აირჩიე, ვეუბნებით. გვინდა ხასიათი გაუუკეთოთ, შენც არ მომიყვდე. ქალი არ გამაგონოთო, თქვა. ერთხანს დაეძალა სმას, მარა მალე მიატოვა, დაკრა ფეხი და წამოვიდა აქ. შენც ქე ხედავ, აგერ ორი წელი სრულდება, აქედან ფეხი არ გაუღვია. ომი რო დაიწყო ფრონტზე ამირებდა წასვლას, მარა მთავრობამ არ გოუშვა. აქ უფრო გვჭირდება.

— შენ გენაცვალე, ეს რა მითსარის ის ბიჭი ვინაა, რა კაცია?

— რა ვიცი. ვინცა პროფესორის შვილიაო.

— შესახებდავად იქნებოდა ალბათ ნამეტანი კარგი.

— შესახებდავად რავეა, ეს გლახა ბიჭია თუ?

— გლახა კი არა, მაგისტანა ერთი ხუთი მყავდეს ვაჟიშვილი, ბენდიერო კაცი ვიქნები. არ გამიკვირდა: ამიტომ ყოფილა თურმე, ქალებს რო არ აკარებდა ამ მიდამოს. შარშან, მახსოვს, ორი შტუდენტი ქალი რო ამირებდა აქ მოსვლას და უკანვე რო გაგვაბრუნებია, მე ვთქვი, რაშია საქმე, იმ ქალებს ხო არაფერი დაუშავევით ჩვენნი დათიკოსთვის-თქვა. თურმე ნუ იტყვი, კაცი ჰკუაზე აღარაა იმათი უკუღმართობით.

— ასეა, ჩემო სტეფანე.

— ის ქალი წაყოლია მერე ნეტავ იმ ბიჭს?

— ეგ აღარ ვიცი, მგონია, არა.

— წაყოლა რად უნდა, როცა დაჭირდებათ, ქე იქნებიან ერთად. ბოზი ყოფილა, შე კაცო. მაგისტანა ქალი, რაც უფრო აღრე გაგეპტევა, ის სჯობია.

— ეჰ, რა ვიცი, ჩემო სტეფანე, — ამოიოხრა თომამ: — ეს ბიჭი კი გაუბედურა, ხასიათი მოუკლა. საქმეს კარგად ეკიდება, მაგრამ ახალგაზრდა კაცს სხვა რამეც უნდა უხარებდეს გულს. რუსთაველს უთქვამს: „მოკლური შიშგსა გვიქვიან არაბულისა ენითა, მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხდომისა წყენითა“. სხვის გულში აგრე ადვილად ვერ ჩაიხედავ და რა იცი კაცმა, იქ რა ცეცხლი ტრიალებს! ასე არაა?

— ასეა, — დაემოწმა სტეფანე.

— უჰ, აქ ლაპარაკს მოვეყვით. იცი რა გითხრა, მოდი, სანამ მუშები მოვიდოდნენ, ამ ქალებს ვაჭამოთ პური. დათიკოც მშვიერია. დღეს უთენია წავიდა მწვერვალზე.

— ნახა რამე?

— რას ნახავდა, იქიდან რას დაინახავ. მე მგონია, ეს ხმა იქედან მოდის.

— საიდან?

— კისლაგოდსკიდან.

— აუჰ! ამხელა მანძილზე რა უნდა გავარდეს იმისთანა, *რომ აქ ხმა მოვიდეს*, — გაოცდა სტეფანე. — არ ვიცი, ძმაო, არ ვიცი. აბა, მის მოვდენო ქალები საშადილოდ?

— ჰო, ბარემ მოვიშორით მაგენი, სადაცაა ჩვენი ბიჭები, — აფუსფუსდა თომა და ქვაბების სახურავები აახრავუნა.

თავი მესამე

ბინდდებოდა, როდესაც მაღაროდან მომავალი მუშები გამოჩნდნენ. ისინი თითო-თითოდ ჩამორბოდნენ გზის შესამოკლებლად დადებულ ბილიკზე. ყველაზე წინ ქართლელი ვანო მოდიოდა. მხარზე გამოსაპირავე ფოლადის ბურები გაეწყო და არხეინად მოლიდინებდა. ვანოს უკან ექიმი მოაბიჯებდა. ის ერთი თვის წინად დანიშნეს ამ მაღაროების საექიმო პუნქტის გამგედ. ამხნის განმავლობაში საქმე არაფერი ჰქონდა და თავი რომ გავართო, გადასწყვიტა გვირაბები დაეთვლიერებინა. დილიდანვე წავიდა მუშებთან ერთად და მთელი დღის განმავლობაში სამუშაოებს არ მოშორებია. გვირაბები დაიარა, სანგრევებთან მთელი საათობით უცქეროდა მაღაროელთა მუშაობას და ყველას ფეხებში ებლანდებოდა. ისე გავართო ამ უჩვეულო სანახაობით, რომ ვერც კი შენიშნა, დღემ როგორ გაიარებინა და ახლა თითქო დიდი საქმე გაეკეთებინოს, დაღლილი ბრუნდებოდა უკან.

ვანომ სამკვდლო ფარდულში ბურები დაჰყარა და როდესაც ბარაკებთან ქალებს თვალი მოჰკრა, ყოჩივით შედგა და გოცებულმა წამოიძახა:

— ვა! ეს რა ამბავია, კაცო, ყუენობაა?

მოიხედა, ექიმი დაინახა.

— სიმონ, ხედავ? — მიუთითა ვანომ ქალებზე.

— რას? — გაუკვირდა სიმონს.

— ქალები, კაცო!

— ჰოო, ქალები, საიდან მოვიდნენ, ნეტავი? ალბათ, აქ თუ გამოგზავნეს სამუშაოდ.

— ქალები, კაცო? — კვლავ გაოცდა ვანო.

— მერე რა?

— ერთი ხელი აიღე, თუ ძმა ხარ!

სიმონმა აღარ უპასუხა ვანოს, წინ გაუსწრო და დათიკოს ოთახში შევიდა.

დათიკო მარტო იყო. თავის პატარა მაგიდას უჯდა და გამალებით სწერდა ცალკე ფურცლებზე დღევანდელი მარშრუტის გეოლოგიურ დაკვირვებათა შედეგებს.

სიმონის შესვლაზე დათიკომ მიიხედა და ისევ წერა განაგრძო.

— სად იყავი, სიმონ? — ჰკითხა თავაულებლად დათიკომ.

— მაღაროში. გაზეთები მოიტანეს?

— მადაა, ტატზე.

— მთელი დღე სროლის ხმა ისმოდა. გაიგონე? — სიმონი ტატზე ჩამოჯდა, გაზეთები გაშალა.

— კაცო, მე ის მაკვირებს — გაანება წერას თავი დათიკომ და სიმონისკენ მიბრუნდა: — განა შეიძლება ზარბაზნის ხმა ხელთახ კილომეტრზე გაერცელდეს?

— რა ვიცი, ინეენერი შენა ხარ, შენ უნდა იცოდე. გარედან ქალების სიცილი და მოსული მუშების ხმაური მისიმა. ისინი ხრავუნით ჰყრიდენ ფარდულთან ბურებს, უროებს.

— ეს ქალები საიდან მოიყვანე? — ჰკითხა სიმონმა.

— რაიონიდან გამოუგზავნიათ.

— მალაროში გინდა ამუშაეო?

— ჰო, ევაკუირებულნი ყოფილან.

— კაცო, დღეს თუ ხვალ ჩვენც უნდა ავიბარგოთ, მგონი, აქედან. ხელთახი კილომეტრიო, რომ ამბობ, კისერი მომჭერი, თუ ას კილომეტრზე შორს იყოს მტერი, — სთქვა სიმონმა და შუბლი შეიჭმუნა.

— შეიძლება უფრო ახლოსაც. დღეს დანგითაუზე აველ.

— მერე?

— არაფერი. იქიდან რას დაინახავ. თვითმფრინავმა გადაიფრინა.

— ჩვენი იყო?

— არა.

სიმონს მოტყვეპილი თავი გაქონილივით უბზინავდა. დათიკომ სიცილით უთხრა სიმონს:

— მაგ შენ თავს კი დასჭირდება შენიღბვა.

— მაინც, ღმერთმანი, — მოისვა თავზე ხელი სიმონმა და გაზეთებს მისწვდა.

— თუ კაცი ხარ, ის ქალები ჩააყენე რიგში და გასინჯე ყველანი. ებიღემია არაფერი შემოიტანონ. სადღეინფექციო ზომებიც მიიღე.

დათიკო თავის საწერს მიუბრუნდა. სიმონმა გაზეთები მოხვეტა, იღლიაში ამოიჩრა და თავის ამბულატორიისკენ გასწია.

კარები მორიდებულად დააკაუნეს.

— შემოდი, მელიტონ, — გასახა უკანმოუხედავად დათიკომ, მან იცოდა, რომ ეს ათისთავი იყო. კაკუნზე იცნობდა.

ჩექმების ბრახუნით შევიდა ქალარა შერთული, სახედამწვარი მელიტონი. მას ქრონიკული ბრონქიტი აწუხებდა და ისე სუნთქავდა, თითქო ყელში ხელი წაეჭირა ვისმე. ხრიალებდა.

— ეს ქალები ძალიან მოგიყვანია, დათიკო.

— გაგეხარდა? — ჩაიციხა დათიკომ და ლამპას მისწვდა. ოთახში უკვე ბნელოდა. — დღეს როგორაა საქმე?

— ცუდად, — უპასუხა მძიმე ჰსინტვით მელიტონმა.

— რა მოხდა? — შეკრთა დათიკო, ასანთი ფუსფუსით მოძებნა, ლამპა აანთო, ალი ზომაზე დაუყენა და მელიტონს მიაცქერდა.

— მეხუთე გვირაბში დღეს წყალგამტარი ფენა გადავკვეთეთ. ეს რჯულ-ძალლი ამისთანა მშრალი გვირაბები საქართველოში არ მინახავს და რაღაც ვიფიქრებდი.

— ბევრია წყალი?

— ბევრი. სულ თქვიანით მოდის. ჰენეკში ჩავიდა, იქედან მეორე გვირაბს გაუყვა, პირველ შახტში ჩაეშვა და სულ ქვედა, მესამე გვირაბში შეიჭრა.

- კარგი ერთი — წამოიძახა შეშფოთებულმა დათიკომ.
- შესამე შტოლნა მთლად გაივსო წყლით. ამაღამ შახტა გიაგსებს და ხეალ მეორეც უნდა დაგვეტოთ. ისიც გაივსება.
- რას მიშეება ის მამაძაღლი: სამი დღით გავუშვარს მკნაქურს მეათე დღეა არა ჩანს! — გულმოსულმა დათიკომ გრაგნილებად დახვეულ ნახაზებს დაუწყო თვალღერება, თითქოს ის, ვიზედაც ასე გაბრაზებული ლაპარაკობდა, ამ ნახაზებში იყო დამალული.
- ეიზე ამბობ?
- მარკშეიდერზე.
- მართლა, თუ მეოთხე ნომრიდან შემხვედრი ჰეზენცი არ ავჭერით, გლახათაა საქმე.
- ელთხარი წასვლამდე, მიმართულება დაენიშნა. აქამდე მინდოდა ჰეზენცი ამეჭრა ქვემოდან. იმას ხომ არ გონია, რომ ან მოვხსნი, ან პასუხისგებაში მივცემ: დავიდებ ქვეშ და ისე გავაბრტყელებ, პატრონმა ვეღარ იცნოს. თეოდოლიტი აქ არის?
- საწყობშია.
- გაგზავნე მაღაროში. დილას მე თითონ მივცემ მინართულებას. ცოტას თუ შეეცდები, არა უშავს რა. მოვა და მერე თითონ გაასწორებს. სხვა რა ამბავია? მეექვსე შემხვედრი როგორაა?
- კარგად. ხეალ გავალთ ბოლოში. ეს ქალები მაღაროში იმუშავებენ?
- ჰო.
- მაშინ ან მეორე ცვლა დავაწესოთ, ან ახალი სანგრევი გავხსნათ. ჩემი სწავლება კი არ გჭირდება, მაგრამ... — მელიტონი უბერხულად შედგა. მერე მცირე ხნის დუმილის შემდეგ დასძინა: — მართლა, ეს ჩვენი საქმე როგორ იქნება, დათიკო? დღეს მთელი დღე ისმოდა სროლის ხმა. რამდენიც გამოვედი გვირაბიდან, სულ მესმოდა.
- შეშინდი, მელიტონ?
- შიში რა მოსახსენებელია, მაგრამ, — მელიტონს ხველა აუტყდა და სული მძიმედ მოითქვა: — ჩემ თავს კი არ დავეძებ, ამ ტყეშა საცხა შევაფარებ თავს, მარა სახლი, კარი, ოჯახი, მიტოვებული მყავს ყველა.
- ეგ არაფერი, ჩემო მელიტონ. არც მასეა საქმე, შენ რომ გგონია.
- ვითამ?
- დამერწმუნე.
- ეს სროლა რომ ისმის?
- მერე რა?
- ი, რავე რა! — მელიტონი ვერ ეგუებოდა დათიკოს უღარდელ განწყობილებას. მას ეგონა, დათიკო განგებ ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, ვითომ არაფერს არ ნიშნავდა ფრონტის მოახლოვება.
- შე კაცო, დღეს ხმა ისმის, ხეალ ზედ თავზე დაგვეცემა ყუმბარა.
- არ დაგვეცემა. შორს არიან.
- შორს რავე არიან, შენი ჰირიმე. ცხრაას თოთხმეტში, თათრის ფრონტზე ვიყავი. გორას რო მოვეფარებოდით, ზარბაზანი კი არა ბუზის გაფრენა გვესმოდა.
- ის სხვა დრო იყო, ჩემო მელიტონ. მაშინდელი ზარბაზნის ხმა რა სახსენებელია. საჭყებელასავით ზარბაზნებს საიდან ექნებოდა დიდი ხმა.

— აქ ისე ვართ მიტოვებული, ჩემო დათიკო, რომ ამბავს გერც კი შეგვატყობინებენ, კიდევაც რო უნდოდეთ. რაიონამდე უაი ოთხმოცი კილომეტრია და აქეთ ამ კლდეების მეტი არაფერია.

— ეგ არაფერი. საქმე საქმეზე თუ მიდგა, შეგვატყობინებენ და შეტიც. — მელიტონ! — გაისმა გარედან ძახილი და სანამ მელიტონი პასუხს გასცემდა, ოთახში კოტე და აბესალომი შემოვიდნენ.

— მელიტონ, აქ ხარ? — ერთის ფუსფუსით და სიცილით მიმართა აბესალომმა მელიტონს, მკლავში ხელი წაავლო და კარებისაკენ დაუწყო ქაჩვა: — წამო, კაცო, ქალები მამასახლისად გირჩევენ. ეს ამდენი ქალი საიდან მოიყვანე, დათიკო? — მიუბრუნდა ახლა დათიკოს აბესალომი. — ჯანღონიერები ქე არიან, ხო იცი, მარა... ამალამ აღარ დაეძინებთ ბიჭებს.

— რატომ? — დათიკოს ცოტა აბრაზებდა, რომ ყველას ასე უკვირდა ქალების გამაჩენა.

— რატომ, შე კაცო, და არ იცი ახლა მაგ? — ისე უპასუხა აბესალომმა, რომ ავრძნობინა, ეს ახალგაზრდული გულისცემა არც შენ მოგასვენებსო. მერე მელიტონს მიუბრუნდა: — წამო, კაცო, მოვეკვდი შიმშილით, ვკამოთ რამე.

— შენ არ გიკვირს ამდენი ქალის ერთად დანახვა? — ჰკითხა დათიკომ კოტეს, რომელიც ხმაამოუღებლად იდგა და რალაც სულელურად ილიმებოდა.

— ჰი, ჰი! — ჩაიჭირჭილა კოტემ, თავი ჩაღუნა და განზე გაიხედა.

— რას იჯღანები, ბიჭო, შერიგდით შენ და ილიკო?

აბესალომმა მელიტონს თვალი ჩაუკრა და ორივემ გულიანად გადიხარხარა. დათიკომ გაოცებით შეხედა ორთავეს.

— რა გაცილებთ?

— კი, ბატონო, შერიგდენ, — უთხრა აბესალომმა დათიკოს და სიცილისაგან თვალეზე მომდგარი ცრემლი ხელისგულით მოიწმინდა. — გუშინ დაუმარტოხელებიათ ერთმანეთი და რომ არ მიეშველებოდით, გლახათ იყო კოტეს საქმე. ყვიჩილებივით ხან ეს შეხტება და მოუქნევს ხელს, ხან ის. დაწყდით ყველა სიცილით.

— როდის, კაცო? — გაუკვირდა დათიკოს.

— შენ რომ გააშველე, იმის შემდეგ, შენთვის აღარ გვითქვამს. მერე ვანომ შეარიგა. სტაცა ხელი, ჯერ ეს ყმაწვილი ძნეყვა ძირს, მერე ილიკო. ასე უთხრა, თუ ვაეკაცობა გინდათ, ვიჭიდაოთ, ჩხუბი რა საკადრისიაო. ვანოს მერე შენ მოკიდებ ხელს! ცირკში ჰკიდაობდა და აგრე ვაგლახათ, ტყუილია, ვერ მოერევა ვერაფერს.

— რაფრად გადმოიღო კისრულით ეს ამხელა კაცი, — დასძინა მელიტონმა. — თუ ადგებოდა ილიკო ფეხზე, აღარ მეგონა. უჰ, ბევრი ვიცინეთ მაშინ.

— მერე ხომ შერიგდით, ბიჭო? — შეხედა დათიკომ კოტეს.

— იმე, რაფრათ მერე, — უპასუხა კოტეს მაგიურად აბესალომმა, — გადავაკოცინეთ ერთმანეთი.

— წადით ახლა, პური ქამეთ. აქ ხელს მიშლით, — უთხრა ღიმილით დათიკომ.

სამივენი ჩექმების ბრახუნით გავიდნენ ოთახიდან.

ლათიკო ისევ მოუბრუნდა მაგიდას. ჯერ სცადა წერა განუგებოდ, მაგრამ აზრი ვერ მოიკრიბა. თაროზე შემოდებულ გრაგნილს მისწვდა და გაშალა. რუკაზე უნდოდა გეოლოგიური კონტურები გაეჭრა.

კარგა ხანს დასცქეროდა რუკას. მერე უცხად შეკრთა და შუბლი მოისრისა. ისე მიმოიხედა, თითქო ეშინოდა, ხომ არაეინ დამინახაო. ნაღია მოაგონდა, როდესაც ის წყლიდან ამოვიდა. მოაგონდა მისი შიშველი მკლავები, საგსე გულმკერდი, თეთრი ლამაზად ჩამოსხმული თქძოები.

უცნაური გულისძვრა იგრძნო.

უცხად ისევ მოუნდა შეეხედა მისთვის. შეეხედა და დალაპარაკებოდა. მაშინ ხომ ვერ დაამთავრეს საუბარი. ლათიკოს არ შეეძლო ახლა სხვა რამეზე ფიქრი. გეგმას ხელი უშვა, რომელიც სრიალით თავისთავად ისევ დაეხვია.

ადგა და გარეთ გავიდა.

ჯერ კიდევ არ იყო დღამებული. სასადილოდან მუშების მზიარული სიცილ-ხარხარი ისმოდა.

— ამხანაგო ინტენერო! — მოესმა ხმა.

მიიხედა, მის წინ პატარა ტანის ლიდა იდგა.

— რა გნებავთ?

— საექიმო შემოწმება ყველასათვის სავალდებულოა?

— აუცილებლად.

— თუ ავად არა ვარ?

— თქვენთვის უკეთესი, მაგრამ ჩვენ საიდან ვიცით?

ლიდას ეტყობოდა სურდა ეთხოვნა, რომ საექიმო შემოწმებისაგან გაენთავისუფლებინათ, მაგრამ როდესაც ლათიკოს თვალბში შეხედა, მიხვდა, რომ თხოვნა უნაყოფო იქნება. ამიტომ ვითომ მარტო ამისთვის არ იყო მოსული, კიდევ ჰკითხა:

— საპონს არ დაგვირიგებენ?

— ყველაფერს მიიღებთ: საპონსაც, პირსახოცებსაც და, თუ გნებავთ, ოდნეკონსაც.

ლიდა წაეიდა. ლათიკომ ამბულატორიისაკენ გაიხედა. ქალები აივანზე შეგროვილიყვნენ და თავიანთ ჯერს ელოდებოდნენ. მათ შორის ნაღია არა ჩანდა. ალბათ, სიმონთანაა, გაიფიქრა ლათიკომ და გული უსიამოვნოდ შეეკუმშა. უცხად დაინახა ნაღია ამბულატორიიდან ოცი ნაბიჯის მოშორებით, სხლტის პირად იდგა, ლათიკოსკენ ზურგშექცეული და მთებს გასცქეროდა.

ლათიკომ მგებით ამოისუნთქა. რატომღაც გაეხარდა, რომ ნაღია მარტო დაინახა. ერთ წუთს დააპირა მისულიყო და დალაპარაკებოდა, მაგრამ შედგა, თავს ძალა დაატანა, მიბრუნდა და მალაროებისაკენ წავიდა.

— ლათიკო, ლათიკო! — მოესმა ხმა.

მიიხედა. მისკენ კოტე მირბოდა.

— რა გინდა, ბიჭო?

— ლათიკო, ბიჭებმა გთხოვეს, რომ... — უხერხულად შედგა კოტე და ყურები გაუწითლდა: — თუ შეიძლება დანა გვათხოვეო.

— რა დანა? — ჯერ ვერ გაიგო დათიკომ, მერე უცხად მიხვდა და გაეცინა, — ჩემს ოთახშია თაროზე. არ გამიფუტოთ, ტყავიც იქაა და სალესიც.

— აჰ, რას ბრძანებთ, — უპასუხა გამხიარულებულმა ქართველმა გოგონამ, რომ შენი მოწონებულა.

დათიკომ თითონ შეისვა წვერზე ხელი. მეც ვაფიქროსო? — ვაფიქროსო მან — არა. ახლა არ შეიძლება. გუშინ რომ გამეპარსა კარგი იყო.

კოტე წავიდა სამართების წასაღებად. დათიკომ კი გზა განაგრძო. უნდოდა დაეთვალა იერებინა საკომპრესორო სადგური, სადაც შალიკო მემანქანე მსუბუქი ტიპის კომპრესორის მონტაჟს ამთავრებდა. დიდის გაჭირვებით აიტანა ეს მანქანები დათიკომ ამ უღრან ადგილას და ახლა გულისცემით მოელოდა მათ ამუშავებას. შალიკოც ჩქარობდა და თავის შეგირდთან ერთად დღე და ღამე სადგურში იყო. იქვე ჰქონდა ლოგინი. ათსჯერ გადატვირთვა-გადმოტვირთვით, სადგურებში გდებით, შორ გზებზე ნათრევი დაქანგულ-ჩაშავებული მანქანის ნაწილები შალიკოს ხელში სარკესავით ლაპლაპებდნენ, ბზინავდნენ და მნახველს საამოდ სჭრიდნენ თვალს.

— როგორაა საქმე, შალიკო? — ჰკითხა დათიკომ, როდესაც ფარდულში შევიდა და მანქანებს გადახედა.

— კარგად, — უპასუხა შალიკომ და ქლიბვას თავი ანება.

— ამ ორ კვირაში ავამუშავებთ?

— კი, ავამუშავებთ.

— რაღა საქორწილოდ მოკაზმული ქალივით ვალამაზდნენ ეს მანქანები, კაცო. რას ნიშნავს ვაწმენდა-გასუფთავება.

— ბიჭო, აბა როგორ გგონია! ლამაზ ქალს რო ძონძები ჩააცვა და სახეზე მური წაუსვა, რას ემსგავსება? ისეა ეს მანქანებიც.

დათიკოს ისევ ნაღია ვაახსენდა, რომელსაც ჩითის უბრალო კაბა და ქუსლებმოქცეული ჩექმები ეცვა.

— ბენზინის საქმე როგორ იქნება? ეს რაცა გვაქვს, არ გვეყოფა, — სთქვა შალვამ. ვასაქლიბავ კანკიკს საჭერში გვერდი უცვალა და ქლიბი მოიმარჯვა.

„საბრალო ქალს, ალბათ, მეტი ფეხსაცმელი არა აქვს, — განაგრძო ფიქრი დათიკომ. — მართლა, საწყობში რომ ქალის ტუფლება მივიღეთ, ეს რა კარგი გამაზსენდა“.

— ბენზინზე რას გვეუბნებიან? — შეხედა შალვამ დათიკოს და გაოცდა. დათიკო ყურს არ უგდებდა.

— დათიკო!

— ჰა, რაო, რა სთქვი?

— ბენზინზე რას გვეუბნებიან?

— ბენზინზე?

— მოგვემენ თუ არა?

— ბენზინს სამ ტონას გვაძლევენ. ერთ წელიწადს გვეყოფა.

— წელიწადს არა, მაგრამ კარგახანს კი გვეყოფა, — სთქვა შალიკომ და ქლიბვა განაგრძო.

დათიკომ ერთხელ კიდევ შეათვალიერა სამანქანო შენობა, რატაკი და სქელი ფიცრის თაროები სავსე იყო დაშლილი მანქანის ნაწილებით — დღე-შეებით, სალტეებით, ემალირებული ზოკერებით.

— თუ ის პატარა მიკროპესიცი მივიღებ, მაშინ პირდაპირ გავქვითავებ, — სთქვა დათიკომ.

— შეგპირდნენ?

— გამოუგზავნიათ უკვე.

— კარგი ერთი!

— სინდისს გეფიცები. გზაში თუ არ გაეჩხირა სადმე.

— რაიონამდე მოვიდეს და მერე ჩვენ ვიციით. ორ დღეში ავაწყობ.

— გაენათოთ ერთი აქაურობა, კინოც კი მოვაწყოთ, მგონია.

— გაენათოთ კი არა, — თავი გაიქნია შალვამ, — დღეს მთელი დღეა ბაგა-ბუვი ისმის. კისლოვოდსკი აუღიათო.

— ეინ სთქვა?

— ქალებმა სთქვეს. მაგენი ნალჩიკის რაიონიდან არიან, მგონი. თუ ასაფეთქებლად არ დაგვირჩა ყველაფერი, შენ ის სთქვი.

დათიკომ ამოიოხრა და არაფერი არ უპასუხა შალვას. მას ფიქრიც კი არ უნდოდა ამაზე.



როდესაც დათიკო უკან გამობრუნდა, სიმონს უკვე დაემთავრებინა ახლად მოსულთა საექიმო შემოწმება და თავის თეთრი ხალათით ამბულატორიის აივანზე გადმომდგარიყო.

დათიკო მძიმე ნაბიჯებით ავიდა აივანზე.

— დაამთავრე? — ჰკითხა მან სიმონს.

— კი! — უკან მიუხედავად უპასუხა სიმონმა.

ორივენი ერთხანს ჩუმად გასტეკროდნენ მიდამოს. დათიკოს სურდა დაწვრილებით გამოეკითხა სიმონისათვის საექიმო შემოწმების შედეგების შესახებ, მაგრამ შეშინდა, ვაი თუ სხვაგვარად ჩამომართვასო და თავი შეიკავა. მოთმინებით დაუწყო ლოდინი, რას იტყოდა თითონ სიმონი.

სიმონი კი არაფერს ამბობდა და ჯიუტად სდუმდა.

— ამაღამ რა გქნათ, — დაარღვია ბოლოს სინთმე ისევ დათიკომ: — ჭადრაკი არ ვითამაშოთ?

დათიკოს გული ერეოდა. ყელთან ბურთივით ებჯინებოდა რაღაც და პირიც საოცრად მწარე ჰქონდა.

— ჭადრაკი? — სიმონმა ეშმაკურად მოჰქუტა თვალი, — რა დრომ ჭადრაკია, კაცო!

— როგორ? — შეკრთა დათიკო და გულმა უფრო მაგრა დაუწყო ცემა. ღრმად ჩაისუნთქა, რომ გულისცემა შეენელებინა. „ჩემს დღეში არ დამმართნია ასეთი რამ, ეს რა მომდის?“

— როგორ და არ იცი?

— რა?

— ორი ვედროს რქაწითელი მოუტანია სტეფანეს. იმას დალევა არ უნდა?

— მართლა? — გაეხარდა დათიკოს და შევებით ამოისუნთქა. მის ეგონა, სიმონი სხვა რამეს ეტყოდა, მაგალითად, ავირჩიოთ ამ ქალღმერთს, ორი კარგი ვოგო და ტყისკენ ვავისეინროთო.

„რა სულელური აზრები მიტრიალებენ თავში!“ გაბრაზდა სიმონი და ვეფხველად დათიკო.

მაგრამ ეს აზრები მაინც არ ეშვებოდნენ. განგებ ხმამაღლა ლაპარაკობდა, თავს ძალას ატანდა, რათა არ ეფიქრა მორევში მობანავე შიშველ-მკლავება მკერდსავე ქალზე.

ყურები უშხუოდა.

— მაშ, დაგვილევია ამ საღამოს.

— ეჭვი გეპარება? — წამოიძახა ალტაცებით სიმონმა.

— დავლიოთ, მაგის რჯულიც კი დაიჭყეს!

— ამ უდაბურ ადგილას მაგით მაინც ვავისაროთ გული. სულერთია ვიღუპებით, მგონი, და ეს მაინც მოვასწროთ.

— მაშ წავალ, ბარემ ქალთა ბრიგადებს დროულად დავაკომპლექტებ. ხეალ დილისათვის მინდა გავუშვა ყველანი სამუშაოდ და მერე ჩავეუქინ-ქილოთ.

— აგრე ჯობია. ერთის სიტყვით, ყველა რომ დაიძინებს, მერე ჩავეუჯდეთ.

დათიკომ წასვლა დააბირა.

— მართლა, იქ ერთი ქალღმერთი, დაიცა, — შეაჩერა სიმონმა დათიკო, — ჩაწერილი მაქვს მისი გვარი. იმას ნუ გაუშვებ სამუშაოდ.

— რომელია?

— ახლავე გეტყვი ლიდა... რა გვარია? ლიდა... ერთის სიტყვით, ყველაზე პატარაა ტანად.

სიმონი ოთახში შევიდა, სია გამოიტანა და თვალი გადაავლო.

— ლიდა კარაულოვა.

— რა დაემართა?

— ავადია და ერთი ათიოდე დღეს არ გაიშვება სამუშაოდ.

— რითია ავად? — ჰკითხა დათიკომ.

— აქ ამუშავე ამ ხნის განმავლობაში, იოლ საქმეზე. დამლაგებელი მაინც არა გეყავს, — არ უპასუხა კითხვაზე სიმონმა.

— კარგი, აგრე ვიზამ, — მიუგო დათიკომ და თავის თავს ვერც კი შეამჩნია, როგორ შედგა და დაეინებით დაუწყო ცქერა წყალგაღმა აყირავებულ უჩარმანარ ლოდს, რომელიც ბინდბუნდში ზღაპრული დინოზავრით გარინდულიყო.

მას სურდა ამ ლოდისთვის ეცქირა და მაინცდამაინც ამ ლოდზე ეფიქრა. რა არის ეს ლოდი? ეს არის დიდი კლდე, მთას მოსხლეტილი და აქ ჩამოწოლილი. იქნება ეს ლოდი აქ დიდხანს, ძალიან დიდხანს არის (ისევე გაუელვა თვალწინ მდინარის აუზში თევზივით მოქნილმა შიშველმა ქალმა). ეს ლოდი, მაშასადამე, ასე იქნება რამდენიმე ათას ან მილიონ წელიწადს. მერე ამ ლოდს ქარი და წვიმა დაშლის, გამოფიტავს, მთას კი მეორე ლოდი მოსწყდება. მერე ვიღაც სხვა, მეორე დათიკო მიაცქერდება იმ ლოდს და ისიც გაიფიტურებს, რომ ეს ქვა იქნება აქ დიდხანს, დიდხანს (და ისევე ქალი აუზში, როდესაც ის მობრუნდა, გულაღმა შეტრიალდა, მკლავ-

ვები გაშალა და დგაფუნით ამოვიდა მორევიდან. მარგალიტის ქივიებიც ჩამოიბნენ მისი ტანიდან წყლის წვეთები).

— კარგი, კარგი, — რაღაც არაბუნებრივად ხმამაღლა დაიძახა დათიკომ და შესამე ბარაკისაკენ გაეშურა.

ბარაკში ქალები უკვე დალაგებულყვენ. ლოგინები კონტად გაეშალათ, ფანჯრებზე ფარდები დაეკიდათ. აქა-იქ მინდერის ყვავილებისაგან შეკრული თაიგულებიც კი დაედგათ კონსერვის კოლოფებით, სასათუმალთან მიდგმულ პატარა მაგიდებზე. თავსა და ბოლოში კედელზე დაკიდულ ორი ლამაზ მკრთალად ანათებდა მთელ ბარაკს.

მუშებს უკვე გაეცნოთ ახლად მოსულნი და უმრავლესობა იქ იყო. თითქმის ყველას გაეპარსა წვერი და გამოეცვალა ტანსაცმელი. ქართლელ ეანოს თავისი ჩექმებაც კი ჩაეცვია. ისმოდა მზიარული მასლაათი, ამბების გამოკითხვა, ზღმრობა, ოხუნჯობა და სიცილ-ხარხარი. კოტეს თავისი მანდოლინაც კი მოეტანა, რადგან რუსული ლაპარაკი არ იცოდა და იქნებ ამით მაინც მიექცია ქალთა ყურადღება. ეგონა, შეეხვეწებოდნენ, აბა კოტე დასცხე, გვასახლეო, როგორც იმ სანტარო დროს, როდესაც პირველად მოვიდა აქ და თავისი მანდოლინით ყველა გააგიჟა. მთელი კვირის განმავლობაში განუწყვეტლად უკრავდა, ვიდრე ბოლოს თავი არ მოაბეზრა ყველას. მის გულის საკლავად, ახლა არავის არ გაახსენდა, არავინ არ შეეხვეწა, დაუკარო, და ერთხანს სცადა თითონ გამოეჩინა ინიციატივა. ერთი-ორჯერ ჩამოჰკრა კიდეც სიმებს ზღმრაფი, მაგრამ ყურადღება არავინ არ მიაქცია და ახლა მოწყენილი იჯდა კუთხეში ცარიელ ტახტზე, აბესალომის გვერდით. ხანდახან ის ქურდულად იტქირებოდა ილიკოსაკენ, რომელსაც ბარაკის ბნელ კუთხეში ერთი ქალიშვილი დაემარტოვლებინა და ხმადაბლა საუბრობდა მასთან.

პირველად ბიჭები ლაპარაკს ვერც კი ახერხებდნენ. ერთმანეთის გაცნობისა და ამბების გამოკითხვის შემდეგ თითქო კიდეც განოვლიათ სასაუბრო მასალა და თითონ ქალები რომ არ მიშველებოდნენ, აღბათ, სრულიად დამუნჯდებოდნენ. ქალებმა დაწვრილებით გამოჰკითხეს მუშებს მათი მალაროებისა და მუშაობის პირობები. ბევრი რამ აცვირებდა მათ და პირველ რიგში ის, რომ მალაროებში მარტო მამაკაცები მუშაობდნენ.

— ეს რა ყვინჩილების სამყაროში მოვხვდით, — სიცილით სთქვა პელაგიამ.

ამ ზღმრობამ საერთო სიცილი გამოიწვია (კოტემაც-კი გაიცინა, თუმცა ვერ გაიგო, რა სთქვა პელაგიამ), და საუბარმა უცბაო ლალი ზღმრობის ზასიათი მიიღო. აბესალომმა მაშინვე უპასუხა პელაგიას და უცბად მიიპყრო საერთო ყურადღება. ყველა აბესალომის ზღმრობა-ოხუნჯობას უგდებდა ყურს. ის ვითომ არშიყობას უპირობდა პელაგიას და უმტკიცებდა, რომ ეს ზელობა მას ცხრაას თოთხმეტში ჯარისკაცობის დროს ჰქონდა შესწავლილი. ყველანი იცინოდნენ, განსაკუთრებით პელაგია.

— შენც დამკვრელი, მეც დამკვრელი, სწორედ შევეყვრებით ერთმანეთს, — უთხრა აბესალომმა პელაგიას და ბიჭებს ეშმაკურად გადახედა.

ბიჭები გადაჰარბებულად ხითხითებდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ.

— შეხედე რა უთხრა, კაცო, ხი, ხი, ხი!

— მიდი, მიდი, აბესალოში!

— ძველია, ძველი, მაგ დაღუპული!

პელაგიამ ახედ-დახედა აბესალოშს, უცბად სერიოზულად შეხედა მიილო და ჰკითხა:

— დამკვრელი ხარ?

— სნაიპერი ვარ დამკვრელობაში — უპასუხა აბესალოშმა.

ბიჭები უზრდელად ახარხარდნენ. ერთმანეთს მიეხალ-მოეხალნენ.

— არ ვარგებულხარ, — სთქვა პელაგიამ, როდესაც სიცილი მიწყნარდა: — მე სტახანოველი მეგონე, ორდენოსანი.

— ორდენი, ზემო კარგო, არც შენ გაქვს, არც მე.

— აგრე ფიქრობ? — პელაგია უცბად მისწვდა თავის ყუთს, იქიდან პატარა კოლოფი და წიგნაკი ამოიღო, აბესალოშს გაუწოდა.

აბესალოშმა წიგნაკი გაშალა და გაოცდა. პელაგიამ კი კოლოფს თავი ახადა იქიდან ლენინის ორდენი ამოიღო და სწრაფად დაიმავრა გულზე.

ბიჭები უცბად გაჩუმდნენ. მთელ ბარაკში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ნადიას წასკდა სიცილი, იგი თავის ტახტის სასთუმალთან იჯდა და საერთო ხორხოცში მონაწილეობას არ იღებდა.

აბესალოში ისე დაიბნა, რომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ან რა ეთქვა.

სწორეთ ამ დროს შევიდა ბარაკში დათიკო მელიტონთან ერთად და აბესალოშმა შეებით ამოისუნთქა.

— მობრძანდი, დათიკო, — წამოდგა ფეხზე აბესალოში.

ყველანი წამოიშალნენ. ნადიამ თავი დახარა და იატაკს ჩააცქერდა, მერე თითქო უხერხულობა იგრძნო და ისიც ადგა.

— ისხედით, რას წამოიშალეთ? — მიმართა დათიკომ ყველას და ბარაკი შეათვალიერა.

— როგორ მოეწყეთ, ქალებო, — იკითხა დათიკომ და ისე მიმოიხედა, თითქო არ იცოდა, ვისთვის შეეხედა. ერთ წუთს, მხოლოდ ერთ წუთს შეხედა ნადიას, მზერა დაეხრა და უხერხული ნაბიჯით გაიარა ბარაკი.

— არა უშავს-რა, კარგად მოეწყეთ, — უპასუხა ყველას მაგივრად პელაგიამ, — ცოტა ლეიბები არ გვივარგა, მაგრამ არა უშავს-რა. ვითომ ჯარში ვიყოთ. მობრძანდით, აი აქ დაბრძანდით.

— ბიჭებს როგორ უჭირათ თავი, ხომ არ უზრდელობენ? — იკითხა დათიკომ და პელაგიას გვერდით ტახტზე ჩამოჯდა.

— არა, კარგი ყმაწვილები არიან. ხუმრობა ჰყვარებიან, მაგრამ არც ჩვენა ვართ ფარშევანგები.

აქა-იქ მორიდებულად გაიციენს. დათიკომ პელაგიას შეხედა, მკერდზე ორდენი შეამჩნია და გაეხარა. თითქო ამ ორდენით ნადია ყოფილიყო დაჯილდოვებული. თვალები აუციმციმიდა და ნადიას ახლა თამამად შეხედა. გაუღიმა.

ხშირია, როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთის აზრებსა და გრძნობებს უსიტყვოდ გებულობს.

სანეტარო გრძნობამ შეიპყრო ნადია, როდესაც მას დათიკომ შეხედა. მართალია, არ შეეძლო გარკვევით ეთქვა, რამ გამოიწვია მასში ასეთი

სიხარულის გრძობა, იმან, რომ პელაგიას ორდენოსნობა უცხად ამალღებდა ყველა მოსულ მუშა-ქალს დამხდურ მამაკაცთა თვალში, თუ დათიკოს თვალების კმაყოფილი გამომეტყველება, მაგრამ ნადიამ იგრძნო სიხარულის გრძობათა საოცარი მოზღვაება და ლოყები ნელნელს წარქმედნობდა აეტციცა.

მედიკოსი

დათიკომ სათუთუნე ამოიღო, შედგა და პელაგიას ჰკითხა:

— თამბაქო რომ მოვწიოთ, შეიძლება?

— ეგ რაა, წყევია? არა უშავს-რა, მოსწიეთ. ზამთარი რომ იყოს, ცუდი იქნებოდა, ეხლა კარები ღიაა.

— თქვენ ხომ არ ეწევით?

პელაგიამ გაიცანა.

— ეგ თქვენი ქალაქელი ვოგოები ეწევიან. ეშმაკმა წაიღოს მათი თავი განა თქვენი ცოლი არ ეწევა?

— არ ეწევა, რადგან ცოლი არა მყავს, — სიცილით მიუგო დათიკომ, მერე უცხად ღინჯი გამომეტყველება მიიღო და ბიჭებს ქართულად მიმართა: — თქვენ წადით ახლა, აქ ხელს ნუ გვიშლით.

მუშები ზანტად წამოიშალენ.

— ესენი რატომ მიდიან? — ჰკითხა პელაგიამ დათიკოს, — იყვნენ აქ.

— თუ წყნარად იქნებიან, იყვნენ, — დაეთანხმა დათიკო და მერე მელიტონს მოუბრუნდა: — მომეცი ამათი სია.

მელიტონმა ტყავის ჩანთიდან წიგნაკი ამოიღო და დათიკოს გაუწოდა.

— ამხანაგებო, — გახედა თავის მუშებს დათიკომ, რომელნიც უხერხულად ატუზულიყვნენ აქ-იქ და არ იცოდნენ, წასულიყვნენ თუ დარჩენილიყვნენ, — ან გადით, ან აქ დარჩით.

ყველანი დასხდნენ, ვანოსა და აბესალომს გარდა, რომელნიც ჩექმების ბრახუნით ბარაკიდან გავიდნენ.

— ამის... — შეიგინა ვანომ, — ბედი არ მწყალობს, ჩემმა მზემ.

— რაზე ამბობ? — ჰკითხა აბესალომმა.

— რაზე და ამ მალაროებში წელი გვაქვს მოწყვეტილი და მადლობასაც არავინ გვეუბნება. ამ დედაკაცს კი ხედავ? ლენინის ორდენი აკრავს გულზე. ახლა ვითომ ეგ მე მაჯობებს?

— ვინ იცის.

— დედაკაცი, კაცი? ერთი შენც!

ორივენი თავიანთ ბარაკისაკენ წავიდნენ. ვანო უკმაყოფილოდ იქნევდა თავს და გულდაწყვეტილი იმეორებდა: „მამ მაგასაც მართყათი უნდა“...

დათიკომ თვალი გადაავლო სიას და ქალებს გამოჰკითხა, ვინ სად მუშაობდა ევაკუაციამდე. აღმოჩნდა, რომ ყველანი ერთი მალაროდან იყვნენ, ჩრდილოეთ კავკასიიდან, გარდა ერთისა, რომელიც გზაში შეჰკედლებოდა დანარჩენებს.

— ეგ რომელია? — იკითხა დათიკომ.

— მე ვარ, ამხანაგო ინჟენერო, — უპასუხა გალინამ და კეკლუცად გაიღიმა.

— სად მუშაობდით?

— მე სასადილოში ვმუშაობდი, — სწრაფად უპასუხა გალინამ.

— სასადილოში? — დათიკო ცდილობდა კარგად დაენახა გაურჩა.

— დიახ.

— მაღაროებში არ გიმუშავნიათ?

— არა. მე შეიძლება მაქვს დამთავრებული. ესწავებოდა მონაგარი-
შეთა კურსებზე.

— სასადილოში რას აკეთებდით?

— მოლარედ ვიყავ.

დათიკომ გაკვირვების ნიშნად მხრები ასწია და მელიტონს შეხედა. მე-
რე ისევ გალინას მიუბრუნდა:

— თქვენ, ალბათ, უკანვე გაგაბრუნებთ.

— ოი! რისთვის? — გაოცდა გალინა.

— მაშ რა გიყოთ: აქ რა უნდა გაგვიკეთოთ?

მელიტონი დაიხარა და დათიკოს წაულაპარაკა:

— თომასთან ვერ იმუშავებს? სამზარეულოში? ცოდვია, კაცო.

დათიკო დაფიქრდა, მერე გალინას შეხედა. ეტყობოდა, ეექვებოდა, რომ
გალინა მოახერხებდა მზარეულობას.

— ამხანაგო ინტენერო...— დაიწყო გალინამ და ქალებს გადახედა, თით-
ქო შევლას ევედრებოდა, — არ შეიძლება, რომ როგორმე... მე ვეცდები
ვიმუშაო... თუნდაც მაღაროში...

— კარგი. ვიფიქრებ, იქნებ თქვენც გამოგინახოთ შესაფერი სამუშაო.
ახლა კი შევეუდგეთ ბრიგადების დაკომპლექტებას. იცი, რა ექნათ, — მიუ-
ბრუნდა დათიკო მელიტონს: — ჩვენი ბიჭები, ყველანი სანგრევეებზე და-
ვაყენოთ, ქალებს კი მაღნის გამოზიდვა დავავალოთ. როგორ ფიქრობ?

— მეც აგრე მგონია, — უპასუხა მელიტონმა და შემდეგ ქალებს ჰკითხ-
ხა — რომელს ვიმუშავნიათ მნგრეველად?

პელაგიამ ქალებს გადახედა და თითებზე ჩამოთვალა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ტანია ხუთი, მარია ექვსი, შვიდი... შვიდი
ქალი კვალიფიციური მნგრეველია.

— საქმე ის არის, — დიმილით სთქვა დათიკომ, — აქ ძალიან მაგარი
ქანებია. ცვლაში სანგრევეზე ნახევარი მეტრის ვაჭრას ძლივს ვახერხებთ.

— ოჰო! — წამოიძახა გაოცებულმა პელაგიამ. — ნახევარი მეტრიც ეგ
მართლა საოცრება ყოფილა.

— გრანიტებია, ალბათ, — სთქვა ნადიამ და თითქო შეეშინდა, რომ ყვე-
ლა მას დაუწყებდა ცქერას. თავისი თავი შეათვალაერა. მერე მუხლებთან
კაბის კალთა შეისწორა, ჩექმებზე დაიხედა და ფეხები ტახტის ქვეშ შეს-
წია. — გარშემო სულ გრანიტის ლოდები ჩანს.

— თქვენ საიდან იცით გრანიტის ცნობა? — ვითომ სხვათა შორის
ჰკითხა დათიკომ, ისე რომ ნადიასკენ არც-კი მიუხედნია, რადგან უბის წიგ-
ნაკს ათვალაირებდა.

— ვიცი.

— საიდან? — ნელა მიიხედა დათიკომ და გაუღიმა.

— მისწავლია.

— მართლა? — რაღაც მეტად მოფერებით წამოიძახა დათიკომ და უც-
ხად იგრძნო, რომ ყველანი სდუმდნენ. თითქო განგებ გაჩუმდნენ, რომ
მათი გასაუბრებინათვის ყური დაეგდოთ.

ამ დღემილმა დათიკო შეაკრთო. უეცრად მოხეტყებული ძარცხვილის გრძობა რომ დაეფარა (რადგან მოეჩვენა, რომ მუშეშმა ერომანეთს ღიმილით გადახედეს), მელიტონს მიუბრუნდა და პირდაპირ შეუდგა საკმეს. აღუნიშნა რომელ სანგრეებზე გაეშვა ტალეები სამუშაოდ და წაიღო განკარგულება გასცა, ყველასათვის ამალამვე დაერიგებინათ სპეტახსაცმელი, და ბარაკიდან გარეთ გავიდა.

უკვე ბნელოდა და შავი ხავერდის მაგვარ ცაზე მობნეული ვარსკვლავები ოქროსფრად ციმციმებდნენ. ზრამში ვილაცას ხენეშითა და შხაპუნით ეჩხუბებოდა მდინარე. თბილ ჰაერში ხანდახან სატევეარივით იჭრებოდა ყინვარებიდან მოდენილი ცივი სიო.

დათიკო კარგახანს იდგა დაფიქრებული. შემდეგ, როდესაც თავის ოთახის კიბეზე აღიოდა, წამოწეულმა მელიტონმა შეაჩერა:

— იქ რალაცას აწყობენ ბიჭები, სტეფანეს ლეინო მოუტანია, არ წამოხვალ?

— არა. უნდა დავიძინო. დაღლილი ვარ, — უპასუხა დათიკომ, განგებ გაკვიანურებულად დაამთქნარა, გაიზმორა და ოთახში მოწყვეტილი ნაბიჯით შევიდა.

(გავრძელება იქნება)

ღ ე რ ე *

პ თ 7 8 ა

იქ კოლმეურნე ქალები ამ დროს
დასტრიალებენ სუფრას განიერს,
სულ სთავაზობენ თანდოს, სულ თანდოს,
და სადღეგრძელოც მისი დალიეს.
და უჩვენებენ ჭიქას ცარიელს...
აგერ, მღეროიან შრავალყამიერს!

•
•

მარინე ძალო დადგრემილია...
ბოლოს ტარიაც ერთხმად ახსენეს,
— ისიც შეილია, ესეც შეილია! —
და დედის გული უფრო დასერეს.
თამადამ მდაბლად თავი უხარა,
რაკი შეატყო დაემწუხარა.
აქეთ-იქიდან ეუბნებოდნენ:
„ისიც მოვივა! ნუ სწუხ, ნულარა!“

•
•

ზეიმი მორჩა.
მამლებმაც იწყეს შეხლა ფრთებისა...
მოვიდნენ სახლში...
ყველამ უსურვა ძილი ნებისა,
მალე განშორდნენ, ვინც კი თან ახლდა!
დალლილი იყო ისედაც თანდო,
დედამ უშველა ჩექმების გახდა —
და, რაკი თავი რბილ ბალიშს ანდო,
ღრმა ძილს მიეცა...

•
•

და მარინეც გაეცალა,
მან საწოლი თვისი მართა;
დაწვა, მაგრამ ვერ იძინებს,
ფიქრი, აზრი დაეხლართა;

*) იხ. „მნათობი“ № 4 — 5.

ერთი შვილი მასთან არის,
 მეორეს რა დავმართა?
 წყრილს მაინც რატომ არ სწერს,
 ერთი სიტყვა მოემართა?..
 და მიღწევა მძიმედ თვალი...
 სიზმარს ჰხედავს გულმღელვარით.
 აგერ წითელარმიელმა
 შემოაღო თითქოს კარი!
 შემოვიდა სახე მკრთალი...



და იცნო დედამ, ეალერსება
 და სიხარულით გული ევსება:
 — მოდი ბუხართან! მოდი, აქ თბილა...
 შენ გენაცვალოს დედა, ტარიელ!
 პურსაც მოგიტან, განა ცარიელს?
 ყველი მაჭვს... ძეხვი... კარაქი ქილა...
 ეხლავ ერბოკვერცხს შემოვდგამ ტაფით!
 დეინოს მოგიტან გინდ დიდი ჩაფით!
 შეილო, ჩურჩხელაც მაჭვს შენახული...
 სულ დაშაქრული, ნამდვილ კახური.
 შენ შემოგველე, ჩემო თამამო!
 ალბათ შენც ომში ისახელებდი“
 და დაუკოცნა დედამ ხელები...
 ფაციფუცობდა მარინე-ძალო!
 რას ჰკიდოს ხელი, დაიბნა ქალო!
 შვილზე რჩებოდა ნიადაგ თვალი!
 — წაველ, ციალას შევატყობინებ...
 თითქოს ციალას ეძახდა, მაგრამ
 ბრანობდა შვილი:
 — არა, ნუ გინდა...
 თითქოს ტარიამ ჩაღუნა თავი,
 არ ასვენებდა მას ფიქრი შავი,
 გეგონებოდა,
 თითქოს კრთებოდა,
 თითქოს ვიდაცას ემალებოდა;
 მახვილი სმენით,
 ოღნავი ქშენით,
 თითქოს ფანჯრისკენ გადაიხარა.
 დედამ შენიშნა, არა ჰკითხა-რა.
 და თითქოს ამ დროს თქარა-თქური მოიხმა გარედ
 და იძახიან:
 — ჩააქრე ლამფა! ფანჯრებს ფარდა ჩა. რაფარე“...
 ხვით იცნო ძალომ და ეცა კარებს.
 — თქვენ გაიხარეთ... მოლით სტუმრებო“...

უცხად ტარიამ სიტყვა პირში შეაწყვეტინა.

— რას სჩაჯი, დედი

გვერდზე მიაგდო, დედას თითქმის მკლავი ეტყინა,
კარი დახურა.

მიაჯახუნა.

— არა მსურს მნახონ!

გაქვირვებული შეიღს უცმერს დედა,

ეჭვში ჩააგდო ამ გვევამ მეტად,

ვის ერიდება? რად იმალება?

რა იფარება იღუმალემა?

სახე შეექმნა მას, როგორც ფითრი:

თავს დასტრიალებს ათასი ფიქრი.

შვილსაც აწუხებს აზრი ფარული,

და თითქო მიხვდა რომ მისი ვაჟი

იყო ჯარიდან გამოპარული!

და ნუთუ მართლა?

ლახვარი ეცა,

და ჩაიკეცა,

თითქოს გრძნობს, მაგრამ ვერცა ჰგრძნობს ნათლად.

ხოლო ტარია სდგას და ხარხარებს,

ამით ჰგონია, დედას ახარებს.

და შემოფრინდა ყორანი შავი,

მას მოეშველა ბრჭყალებით სეფი...

დააცხრნენ დედას და გულს ჰლადრიან!

ნეტა ეს თოვლი საიდან გაჩნდა,

რომ გარედ ეზო დაუბარდნია?

შავი ბუხები ტახტზე ცვივიან...

არა, ეს თოვლი არა ყოფილა...

კალია ფრინავს...

შავი კალია!

თან ცივა, ჰყინავს...

თუმცა მზე ბრწყინავს...

და ხან სინათლეც მთლად ჩამქრალია!

დედა ტკივილმა წელში მოხარა...

თითქოს მოღალა.

და ეუბნება შეიღს საყვედურით:

„მე ვამაყობდი შენის სახელით.

ვაქვაცი იყავ, კარგის მნახველი...

რაღა ესტევა ხალხში? გამომარჩიე...

გაუხარელი რად დამარჩინე?

შენ ერთი იყავ, მაგრამ ხომ ვიცით,

ნემსმა სასწორი თვისკენ დახარა!

რად შეარცხვინე დედის ჰალარა?

რად მომიტანე გულის გლოვანი!

რატომ შენც არ ხარ საბელოვანი?“

ტარია უსმენს და კვლავ ხარხარებს...

ასეთი ქცევა დედას აწუხებს.

„ვאי თუ შესცდა, დაჰკარგა გონი!“

თითქოს უქერენ შუბლზე მარწუხებს.

დაჯდება, ფიქრობს, არ შესწევს ღონი,

თითქოს მის გულზე მძიმე ლოდია.

ჰხედავს: ეზოში მიღი-მოდიან.

„რა დაგემართა?“ ეკითხებიან.

უნდათ აამონ, ეფერებიან.

„ეგ სიზმარია, ჩემო მარინე!“

ამაო წუხილს თავი არიდეს!

თითქოს მოეარდა, აგერ, ცილა,

ვაემა თვალეზი დაუბრიალა.

რა უცნაურად ცილა ყვირის:

„როგორ ესტევა ხალხში, ჩემი ქმარი ხარ,

როცა ცოცხალი უკვე მკედარი ხარ?“

შენ აგირჩიე მრავალთა შორის...

მეგონა, არც თუ გყავდა შენ სწორი,

მაგრამ ჰყოფილხარ, ვაჰ ჩემი ბრალი —

უპირო მხდალი!

შენ საიდანაც გამოიპარე,

მაგიერ წაეალ, არც დავახანებ“.

ტარია უცქერს და კვლავ ხარხარებს...

მარინე ტირის... მსურს, ხმა დაჰფაროს,

მაგრამ მისი ხმა მიღის შორამდე:

ვიღაცა ჰყვივის და თითქოს ჰხარობს:

„უთუოდ უნდა კაცს თქვენ სჭორაედეთ!

ჩვენი ტარია ვეფხვი გმირია

და აქ კი, გესმით, რას არ ჰყვირიან!“

და თვითონ ყვირის, საზარლად ჰყვივის,

ბუხრის კუთხესთან ახლოს მიმჯდარი.

და ამ ყვირილზე ჰქრება სიზმარი!

წამოჯდა დედა და უნებურად

გამოისახა გულზე პირჯვარი.



გულდაწყვეტილი წამოდგა ზეზე,

გაალო კარი, გავიდა მზეზე.

აგერ, ეზოდან ფურმაც შებღავლა.

სწველიდა ძროხას და თან ნანობდა:

სიზმარში შეილი რატომ შებღალა?

რად შეურაცხყო? რად შეხვდა გმობით?

და აამტრო გრძნობით?

რად დაიჯერა თუნდ ერთის წამით,

ლაჩარი იყოს მისი ტარია?



ეს მოგონება, მისთვის ეს ღამე,
სულის მკეჯნავი მუდამ მწარეა!
დედამ თავი კვლავ ჩაღუნა
და ოცნებას ფართოდ კშლის;
შორს დაეძებს, ბრძოლის ველზე
თავის ძვირფასს პირმშო შვილს.

— ნეტა, შვილო, სად ხარ ეხლა?
შენც თუ მტერზე მარჯვე, მძლე ხარ,
ჩემს სიხარულს რაღა დაპლევს?
დაგიჟოცნი ვაჟიკაცს თვალებს!

მაგრამ, შვილო, თუ დაჭრილი
ველზე გდიხარ, დაგდის სისხლი, —
დედის ლოცვა შეეწევა
გაჭირვებულს ვინც შენ გიხსნის.

შვილო ჩემო, სანუკველო,
სიხმარშიაც განუყრელო,
ხე-ნამყენი, შენ რო დაარვე,
კვლავ ფოთლებით შეიმოსა;
ვინ იქნება მადლიანი,
რომ მახაროს შენი მოსვლა?

შენგან მოვლილს ჩვენს ბაღჩაში
დაყვავილდა უკვე ნუში,
უცნაური, ჭრელი ჩიტი
ჭიკჭიკებდა ტკბილად გუშინ.

იქნებ გნახა თხრილში სადმე,
ჩემთვის მცირე სალამს ვთხოვდა?
რად დაყრუვდა დედის გული,
თუ შენს ამბავს მომიტხოვდა?

შვილო, სიზმრად განუყრელო,
ბაღჩა მწვეანით შეიმოსა;
ვინ იქნება მადლიანი,
მე მახაროს შენი მოსვლა?

დედა ფიქრით შვილთან არის,
თითქოს შვილთან თავს გრძნობს ახლოს.
მეც მსურს მასთან გადავფრინდე,
რომ მკითხველმაც საქმით ნახოს:
თუ რა ბრძოლის ცეცხლში იყო,
შორს წასული ჩვენის მხრიდან;
მოძმე ერის სხვა შვილებთან
გვერდით მდგომი მტერს შიშს ჰგერიდა!

კარი მხუთი

მკითხველი ალბათ ჩემზედაც ბრაზობს:
რომ მთავარია ტარიას საქმე
და ერთხელ მაინც ვერ ვნახეთ სადმე.
მისი ამბავიც გრძლად სათხრობია,

მაგრამ ვკრი მოკლედ, ჩემთვის სჯობია!
რომ ისევ დედას მივხედო მალე...



ქართველი
წიგლისმწიქნის

ჩვენს ჯარს ხელში აქვს უკვე სადავე,
ჩვენები სცემენ, ლეწეს სანგრები;
მაგრამ ერთ ადგილს დახვდათ სათავე
მრავალგვარ მარცხის, მტრისგან ნაგები!
და ამ სათავეს ვერ მისდგომიან,
თუმცა ერთ კვირას უკვე ომია!
სახერხო ადგილს ჩასაფრებულან
და ჩვენი ჯარი დიდად ვნებულა,
„უნდა აფეთქდეს!“ იყო ბრძანება. —
„და ნურცა მოხდეს დროს დახანება!“
ან ამოჯანის შესასრულებლად
გამოყოფილნი საძნი არიან:
პლისკო და შჩუკინ, ერთიც ტარია.
ჩვენი ტარია აქ როგორ გაჩნდა?
ერთი კრილობის დაღი მას აჩნდა.
მეთაურია შჩუკინი მათი,
ვით იმოქმედოს, როგორის ხლართით!



სამთავ შეექნათ თათბირი:
პლისკოს, შჩუკინს და ტარიას;
თითქო იღებდნენ ძველ ჭაჯეთს,
თუმც იქ სხვა ციხე მდგარია.
ტარია ამბობს ჩურჩულთ,
დაბლა მიწაზე მწოლია;
იმისი სიტყვა ყრუდ ისმის,
ვით ნიავს დაუქროლია:
— ძმებო, მე ასე მგონია
და ასეც ამიწონია,
რომ ღონეს ხერხი სჯობია“...
მაგრამ რა ხერხი? რა ღონე?
შჩუკინმა აღარ აცალა;
უთხრა: „სამივე წავიდეთ,
სამსავე მხარეს ცალცალად.
მარცხნით ზე, პლისკო პირდაპირ,
იქნებ აეტეხოთ ხნაურიც,
რომ ყურადღება მივიპყროთ...
შენ კი იმ ჩირგვებს აუვლი,
იქ შენ დარაჯი დაგხვდება
და გულში ხიშტი უტიე;
როს მიხვალ ახლოს, მაშინ კი
შენ იცი... დედა უტირე“.



სხვადასხვა მხრიდან ტანად ტოლები
 მივიდნენ ახლოს მუცელზე სობვით;
 გადმონათეს პროექტორები...
 ერთს ტინი ჰფარავს, ხოლო ორს გობი!

სისინებს იქ ტყვია,
 სიცოცხლეს დასცინის;
 რაკ! ქვაზე მოადენს...
 რაკ! მიჰქრის ნაცილი;
 წკაპ! ჰხედება ძირს მიწას...
 წკაპ! ჰხედება მაღლა ხეს...
 სწვავენ და ჰხუგავენ...
 სცელავენ ბალახებს.
 ხანდახან ყუმბარაც
 ღრიალებს, გრიალებს;
 ხეს მაღლა ასტყორცნის,
 პაერში ტრიალებს.
 აწ რა ჰქნას ტარიამ,
 აწ რა ჰქნას, არ იცის?
 მტერი წინ არ უშვებს
 და ღელვას განიცდის.
 რომ მოჰკლან ტარია,
 დახოცონ ისინიც,
 ზომ საქმე წახდება...
 ტყვია ჰქრის სისინით!
 წკაპ! ჰხედება ძირს მიწას,
 წკაპ! ჰხედება მაღლა ხეს;
 სწვავენ და ჰხუგავენ...
 სცელავენ ბალახებს...

პლისკოს და შჩუკინს დარჩათ საცურო
 მცირე ფერდობი — სიკვდილის მახე;
 წამოდგა პლისკო... ოდნავ ტკაცუნია...
 სისხლმა შეღება ვაჟკაცის სახე!
 შჩუკინი შედგა... ველარც წინ მიდის
 და ველარც უკან დაუხევია;
 ხსნა მის სურვილზე აღარ ჰკიდია...
 მტერს მოსაკლავად ჩაუხელია!
 დრო მიჰქრის... არ იცდის...
 წამოდგა შჩუკინი...

მისობავს... მიცურავს...
 და მოხვდა
 იმ გოხთან!
 იხელთა ტარიამ...
 და განვლო აღმართი...
 იქ დახვდა ჯებირი,
 ეკლებით ნახლართი.
 და იქვე დარაჯი...
 სხვა მხარეს მზირალი:
 მას ზიმტი ჩაასო,
 სისხლი სდის თქრიალით;
 და კლდიდან სალ კლდეზე
 ჩაგორდა ტრიალით...



ჩაჩუმდა სროლა შჩუკინის მხარეს,
 აწ განსაცდელში დარჩა ტარია;
 მის ირგვლივ ტყვიით მიწაც კი თხარეს...
 მას ჰფარავს ლოდი — ქვა მაგარია!
 მაგრამ როდემდის?

და გული ბორგავს...

მაინც მიცურავს...

და თავს არ ზოგავს.

და გულში ფიქრობს: ვაი თუ მომკლან...
 და მაშინ საქმე? ან დაეალება?!
 ხსნა, გადარჩენა ათასეულის?
 საშობლოს ბედიც იქნებ აქ წყდება...
 იქნებ მარცხდება აქვე წყეული?..
 რა ჰქნას? და ფიქრობს: ხერხი სჯობია...
 მიდის... წინ უძღვის ქარი ფრიალა...
 მტერს მოეჩვენა: ჩვენკენ გადმოდის,
 რაკი დახოცეს სხვები მთლიანად.

მივიდა ახლო...

უცბად ყუმბარამ დაიგრიალა...
 ერთი და ორი! აგერ მესამეც...
 მან მტრის საფარი გაატიალა!
 იძანდა: „მოკედით, გამოესალმეთ!“
 კაცთან იზილა მიწა-ქვიშანი
 და ეს გრიალი იყო ნიშანი,
 რომ წამოვიდა ჯარი ძახილით...
 და აზანზარდა კლდე და ხეხილი...
 უკან დახეულს უქრიდნენ საგალს...
 იქ მოუსწრაფეს სიცოცხლე მრავალს...
 მტერი განდევნეს უღელტეხილით.



შტუკინი ნახეს დაპრილი ვოხთან...
 ძლიეს უამბობდა, რა როგორ მოხდა,
 თან ანიშნებდა: „იქ... იქ... ტარიას!“
 ეცნენ ტარიას... ცოცხალ-მკვდარია.
 წამოაყენეს, არ ჰქონდა ძალი;
 გადაჰლეჯოდა მარცხენა წარბი.
 სთქვა: „მტერი გარბის...
 უკვე ნასრესი... წელში ნაკეცი...
 ძმებო, იბრძოლეთ მამულისათვის!
 ძმებო, იბრძოლეთ სტალინისათვის...
 შური მიაგეთ... ზღვევა სამკეცი“.
 ღონე მიხდილმა დახუჭა თვალი...
 და წაიყვანეს ღებმა საკაცით!

ეს რა ხმა ისმის? ვინ სტირის მწარედ?
 გლოვით ვინ მოსთქვამს სახლს წინ, გარედ?
 ვის გასჩენია გულში იარა? —
 სტირის საბრალოდ ქალი ცილა!
 სტირის, დასცურავს ცრემლის გუბეში
 და არ არსებობს მისთვის ნუგეში.
 გულში იკონებს ნაცრისფერ ჩოხას...
 „ვთი ტარიელ!“ კენესის და ოხრაეს!
 „ვერ ჩაიცვა შენი ჩოხა,
 მოკაზმული ველარ გნახო,
 მე დამტოვე დათალბული,
 ვითირო და ვივაგლახო!
 დანიშნული წახველ ჩემგან
 და სიკვდილის მოხველ ელდა;
 მე ყოველ დღე მოგელოდი,
 მწამდა, მტერი ვერა გძლევდა!
 ნუთუ მართლა ველარ გნახო?
 მაშ მე რა ვქნა, რა ვქნა, ხალხო?...
 ვთი დედა, ვთი გული,
 ან რაღა ვარ მე ბედკრული?
 მე იმედის ვარდებს ვშლიდი,
 შემეცვალა დღეს კი გლოვად;
 ვერ ჩაიცვამს კოხტა ჩოხას,
 იგი ჩემთან აღარ მოვა...
 მაშ წამიყვან, იქ დამმარხეთ,
 მასთან მიწას მიმბარეთ;
 მე სიცოცხლე რაღად მინდა,
 უიმისოდ მუდამ მწარე?

უკანასკნელ წუთში აღბად
 ახსენებდა ის ჩემს სახელს;
 ჩემს სიცოცხლეს მას მივცემდი,
 ჩაუდგამდი თვალში ნათელს!
 ეხლა რა ვქნა? რა ვქნა, ხალხო...
 დანიშნული ვეღარ ვნახო!
 მზე-ბნელი ვარ და ბედკრული!
 ვაი დედა, ვაი გული!"



•
 •
 მას მეზობლები თავს ევლებიან,
 ანუგეშებენ, ვერას ხდებიან,
 და ბოლოს თვითვე იცრემლებიან!

•
 •
 სამუშაოდან ძალო დაბრუნდა,
 „რა ამბავია, ამ ხალხს რა უნდა?“
 სთქვა და გაჩერდა... შვილის დაღუპვას
 მიხვდა და ცრემლი მოადგა თვალში.
 თითქოს შესუსტდა გულით მედგარი.
 მაგრამ უცბადვე გონზე მოვიდა.
 ფეხი არ წარსდგა წინ, დერეფანში;
 ერთს ადვილს დარჩა, როგორც ხე მდგარი,
 გარეგან სახით მშვიდი და წყნარი.
 შევამჩნიე კი, რომ იმის შუბლზე
 ერთმა ნაოკმა ხაზი გაავლო,

სახე დაღარა.

მოაჯირს ძალომ ხელი მოაელო,
 საფეთქლებს ელდამ შემოუარა,
 „ვაი“ წამოსცდა თვის უნებურად
 და თმა სრულიად ექმნა კაღარა.
 ის დიდხანს იდგა, დიდხანს, უსიტყვოდ!
 შემდეგ ციალას მიუბლოვდა,
 უთხრა: „იუუჩე!

კაცი ის იყო!"

თან მოუფერა, მოუალერსა...
 ოღნავ ისმოდა, რასაც ამბობდა:
 „ჩემი ტარია განა მკვდარია?
 შენ შემოგველე, ჩემო ციალა,
 არ გამაგონო მე მასზე გლოვა!"
 და დაითხოვა
 იქ მყოფი ყველა...

როს დარჩა მარტო, არც მაშინ ენა

მან ამეტყველა.



აიღო ჩოხა, მიიკრა სახეს,
 თითქოს ჰკოცნიდა, ცრემლიც სდიოდა,
 მაგრამ მწარე ბედს ის არ ჩიოდა.
 როცა ბაღჩაში ის გავიღოდა,
 ქართ ხეხილი შეირხეოდა,
 შეიღზე ფიქრობდა:
 „აი, ეს დარგო ჩემმა ტარიამ!“
 და იმ მცენარეს მოეხვეოდა.
 ამ დროს სიზმარიც ავონდებოდა,
 როცა შეიღს იგი ურისხდებოდა.
 ვინ იცის, იქნებ სწორედ იმ დამეს
 მისი ტარია ტყვეით კვდებოდა?!
 უკანასკნელად ეძახდა დედას,
 დედას კი ლაჩრად ეცხადებოდა
 დარდად ეს ჰქონდა მარინე-ძალოს
 და გულჩამკვდარი შეღონდებოდა,
 წაიტირებდა: „შეიღო ტარია,
 ჩემგან ეს დიდი ცოდო-ბრალია!
 სჩანს დედაშენი დაექვედა შენში,
 შიტომ იმ სიზმრის ვიყავ მნახველი;
 დამნაშავე ვარ და მაპატიე,
 ძილში შევბღალე შენი სახელი!“
 ბილიცს მისდევდა,
 ეაზს ხელს ჰკიდებდა
 და ნამყენ ვაშლებს ეკითხებოდა,
 როს ხელით ტოტებს შეეხებოდა:
 „ასე რომ ჰყვავით, რა გინაჩიოთ?
 დღეს თქვენთან ცოცხლობს ჩემი ტარია..
 იმას უყვარდით და თქვენც გიყვარდით...
 მის მოსაგონად ასე იხარეთ,

ასე იგვარეთ!

და რამდენჯერაც ნაყოფს მოისხამთ,
 ვიფიქრებ, თქვენთან მოსულა შეიღი,
 მას ეგვებებით ტოტებ-გაშლილი...
 თქვენს სილამაზეს ის კიდევ ჰხედავს...
 და თავს გველეზათ, ვაი მის დედას!..
 ის დაჰჭრის თქვენთან, როგორც ნიავი,
 მასთან ჩურჩულებთ ჩუმი შრიალით...
 და ისიც ხარობს თქვენის სიამით“..
 ფოთლებს ჰკოცნიდა, ცრემლიც სდიოდა,
 მაგრამ მწარე ბედს ის არ ჩიოდა!

(დასასრული)

აბაყი კატი

მთხარე

საზონოვი 1941 წლის ივლისში დაიღუპა, სმოლენსკთან. მის მეგობარსა და ზელჰეიტიის კაპიტან მარკუშევს მხრით სამ კოლომეტრზე მიჰქონდა იგი, სასიკვდილოდ დაჭრილი. მან საზონოვი ტყეში დაასაფლავა, დიდი ნაძვის ქვეშ, ნაძვი შეთარჯა, და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, როდესაც გარემოცვიდან გავიდა, საზონოვის ცოლს ზინაიდა ივანოვნას მისწერა საზონოვის სიკვდილის შესახებ, ამასთან არაფერი არ მოუწერია ყოველივე იმაზე, რაც ზედმეტ წერილმანად ეჩვენებოდა.

ცხრა წლის წინათ მათ ერთად დაამთავრეს საარტილერიო სკოლა, დიდ ხანს მსახურობდნენ ერთ პოლკში, ცხოვრობდნენ ერთ სამხედრო ქალაქში, ერთად ნადირობდნენ და ერთად დაიარებოდნენ მანევრებზე. ოჯახობით იცნობდნენ ერთმანეთს და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ისე მიეჩვენენ ერთმანეთს, რომ ვერც კი ამჩნევდნენ საკუთარი მეგობრობის ძალას.

მხოლოდ როცა საზონოვი დაიღუპა, მარკუშევმა იგრძნო, თუ რაოდენ ძვირფასი იყო მისთვის ეს კაცი. საზონოვის ცოლისადმი მიწერილ წერილში იგი არ იხსენიებდა ნუგეშის ფუქსავეტ სიტყვებს, რადგან იცოდა, რომ ზინაიდა ივანოვნას უყვარდა საზონოვი, მისგან სამი შეილი ჰყავდა და რომ ნუგეშის სიტყვები ამოა. მხოლოდ წერილის ბოლოს მიაწერა მოკლედ, ეიზიარებ შენს მწუხარებას და მოგწერ ხოლმეო.

მარკუშევის წერილმა ორ თუ სამ თვეს იმოგზაურა, და ზინაიდა ივანოვნას მიუვიდა არა უკვე იქ, სადაც იგი წინათ ცხოვრობდა, არამედ, ურალში, ევაკუაციის ადგილას.

ზინაიდა ივანოვნა პირველად ატირდა მეშვიდე თუ მერვე დღეს მას შემდეგ რაც წერილი წაიკითხა. ერთი კვირის განმავლობაში მას ტირილიც კი არ შეეძლო, — მწუხარებამ თავზარი დასცა.

ოთახში, სადაც იგი თავის სამ შეილთან ერთად ცხოვრობდა, მთელი კვირის განმავლობაში უჩვეულო სინუშე სუფევდა. უფროს ქალიშვილს ათი წლის ლენოჩკას ყველაფერი გაეგებოდა. უმცროს ბავშვებს კოლიასა და ოლეგს, პირიქით, არაფერი არ გაეგებოდათ, მაგრამ, ალბათ, შეუგნებლად გრძნობდნენ, რომ შინ მწუხარება იყო და არაბავშვურად დაწყნარებულნი და მღუპარენი დაიარებოდნენ.

იმ ქალაქის მცხოვრებნი, სადაც ზინაიდა ივანოვნა მივიდა, შევიწროვდნენ, და ევაკუირებული ოჯახები, უმთავრესად დროებით მცხოვრებთა უფლებით ცხოვრობდნენ უცხოთა ბინებში. ზინაიდა ივანოვნა მოხვდა ინჟინერ ნიკოლსკის ბინაში. ნიკოლსკი იყო დაბალი, ავადმყოფი კაცი, რომელსაც ახასიათებდა დინჯი მოძრაობა და ძალიან წყნარი ხმა. იგი მარტო-

ხელა იყო. ზინაიდა ივანოვნა ბავშვებიანად შეუწყო ორიდან ყველაზე დიდ ოთახში, თვითონ კი თავის პატარა კაბინეტში გადავიდა. განთიადისას მილიოდა, ხოლო გვიან ღამით ბრუნდებოდა, და ბინაში მისი ყოფნა შესამჩნევი იყო მხოლოდ იმ ორ-სამ საათს, როცა ეძინა და მიძინებდა. ბავშვებიანად ახველებდა. თუმცა, უფრო ხშირად, იგი, საერთოდ, შინასტანს ვერ ხედავდა და ღამეს ათეულა საარტილერიო ქარხანაში, სადაც მუშაობდა.

როდესაც ზინაიდა წერილის მიღების შემდეგ პირველად ატირდა, უკვე გვიან ღამე იყო. ბავშვებს ეძინათ. ქალი მარტოდ-მარტო იჯდა სხვის ოთახში, სხვის მაგიდასთან. თავი მაგიდის ცივ საფეხზე დაედო და დიდხანს მწარედ ქვითინებდა. ნიკოლსკი, როგორც ყოველთვის, მეზობელ ოთახში ახველებდა. მერმე უეცრად დააკაკუნა კარი და შევიდა.

— რა მოგივიდათ? — ჰკითხა მან.

ზინაიდამ არა უპასუხა—რა და უსიტყვოდ გაუშვირა წერილი. ეს მისთვის უფრო ადვილი იყო, ვიდრე განმარტება.

ნიკოლსკიმ თვალი გადაავლო წერილს, მის პირდაპირ მაგიდას მიუჯდა, დიდ ხანს სდუმდა და ბოლოს, როდესაც ქალმა თავი ასწია, პაპიროსის შეკვრა ამოიღო, მოსწია და ქალს მიაწოდა.

ქალმა მოულოდნელად პაპიროსი აიღო და მოსწია, — პირველად და უკანასკნელად თავის სიცოცხლეში.

მაშინ ინჟინერი უეცრად ჩვეულებრივი სიმკვირცხლით წამოხტა, გაიქცა და ჩაიდანო დასდგა. ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა და თან მოიტანა ჩაიდანო, ფინჯნები და გაზეთის ქალაქში შეხვეული რამდენიმე ნატეხი შაქარი.

და ზინაიდა ივანოვნამ ისევე მოულოდნელად, როგორც პაპიროსი მოსწია, დალია ჩაი, ერთი და მერე მეორე ფინჯანი, თუმცა ერთი წუთის წინად ასე ეგონა, ჩემს სიცოცხლეში ველარასოდეს ლუკმასაც ვერ გადაეყლაპავო.

ნიკოლსკი იჯდა, ზედიზედ ეწეოდა პაპიროს და თითქმის არაფერს არ ამბობდა, რისთვისაც ზინაიდა ივანოვნა მხოლოდ მაღლიერი იყო მისი.

როდესაც ქალმა ჩაი დალია, ნიკოლსკიმ ჩაიდანო და ფინჯნები აიღო, წასასვლელად გაემზადა, მაგრამ კარებში შესდგა და მთელი საღამოს განმავლობაში პირველი გრძელი ფრაზა წარმოთქვა:

— იცით რა, თქვენ მუშაობა უნდა დაიწყოთ, უსათუოდ უნდა დაიწყოთ.

და გავიდა. ამის შემდეგ იგი შინ ორ კვირას არ გამოჩენილა. ზინაიდა ივანოვნას, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, არ შეეძლო ეს არ შეეშინა. მან გაიდიქრა, იგი ან ძლიერ დელიკატური კაცია, ან ისეთი ადამიანია, რომელსაც არ უყვარს სხვისი მწუხარებით თავის შეწუხება.

ორი კვირის შემდეგ ნიკოლსკი რატომღაც დღისით მოვიდა, ალბათ, საღილის შესვენებისას, და ძალზე აჩქარებულმა (ისმობდა, როგორ გუგუნებდა ჰიშკართან მანქანის გამოურთავი მოტორი), სწრაფად დასდო მაგიდაზე დიდი გაჭონილი ფუთა.

— ეს თევზია, ორაგული. — სთქვა მან. — ორაგული ბავშვებისათვის ძალიან მარგებელია, მაწიერია.

რატომ იყო ეს თევზი ბავშვებისათვის სასარგებლო, გამოურკვეველი იყო, მაგრამ ეს ისე უბრალოდ და რწმენით სთქვა, რომ ზინაიდა ივანოვნას მაღლობის გადახდაც კი დაავიწყდა.

შემდეგ ნიკოლსკიმ სთქვა:

— პო, როგორ არის თქვენი მუშაობის საქმე?

— ჯერ არაფერია, — მიუგო ზინაიდა.

— წინათ ხომ არ გიმუშავენიათ? — ჰკითხა მან.

— არა.

— მე თქვენ ტელეგრაფში მოგაწყეთ. ხვალ ათი საათისათვის გამგესთან მიხვალთ, — წყნარად სთქვა, მაგრამ ისე დამაჯერებლად, თითქოს დიდი ხნის წინათ გადაწყვეტილი საქმეაო.

ზინაიდა ივანოვნამ კვლავ არა უპასუხა რა.

კაცი აჩქარდა, პაპიროსი მოსწია, ბავშვებს გადაჰხედა, ორი თითით გააკეთა: „მოვიდა რქიანი თხა, მოვიდა მრჩოლი თხა“ და ლენოჩკას ცხვირწინ გაუტარა. მერმე ისევ სწრაფად გავიდა, როგორც შევიდა.

რატომ მაინცა და მაინც ლენოჩკას, რომელიც მესამე კლასში სწავლობდა, ხვდა წილად ასეთი გართობა, რაც ჩვეულებრივად ორი წლის ბავშვებს ახარებს ხოლმე, გაუგებარი იყო. უფრო დასაჯერებელი იყო, რომ ნიკოლსკი ვერც თუ ძალიან კარგად ერკვეოდა ბავშვების ასაკსა და მოთხოვნებში. როდესაც იგი წავიდა, ზინაიდა ივანოვნა ამაზე დაფიქრდა და დიდი ხნის შემდეგ პირველად გაიღიმა.

მეორე დღეს იგი ტელეგრაფში წავიდა და მართლაც აღმოჩნდა, რომ იქ მასზე უკვე ლაპარაკობდნენ და სამუშაოზედაც მიიღეს. მას მიღებული დეპეშები უნდა ეხარისხებინა და ეწებებინა.

ეს არც თუ ისე საამო საქმე იყო იმ ადამიანისათვის, რომელსაც თავისი მწუხარება ჰქონდა. ომი იყო და ქალაქში ძალიან ხშირად მოდიოდა დეპეშები, რომლებიოც იტყობინებოდნენ სიკვდილის, დაჭრისა და ადამიანის ყოველგვარი სხვა უბედურების შესახებ.

ზინაიდა ივანოვნა იმ ადამიანთა რიცხვს როდი ეკუთვნოდა, რომლებისთვისაც სხვისი მწუხარების დანახვა საკუთარი მწუხარების სიმწვავეს ააღვილებს. მას ებრალებოდნენ ადამიანები, და ყოველთვის, როდესაც იღებდა მორიგ ბლანკს მოკლე სტრიქონებით სხვისი უბედურების შესახებ, იგი განსაკუთრებული სიმწვავეთა და სიმწარით იგონებდა თავის დანაკლისს.

ასე გაიარა შემოდგომამ და დაიწყო ზამთარი. მთელი ქვანახშირი საარტილერიო ქარხნის საჭიროებას ხმარდებოდა, სადაც ნიკოლსკი მუშაობდა. საცხოვრებელ სახლებში თითქმის სულ შესწყვიტეს გათბობა და ამიტომ აუტანელად ციოდა.

ერთხელ ზინაიდა ივანოვნა შინ ძალიან გვიან დაბრუნდა და ნახა, რომ მთელი იატაკი ნაჯეგი და მოსვრილია, კედელთან კი დგას, ბოლავს და შრება პატარა აგურის დროებითი დუშელი. ბავშვებმა უთხრეს: ნიკოლსკი მოვიდა და თან მოიყვანა ოსტატი, მეღუმელე მთელ დღეს მუშაობდა, დუშელი აანთო და ეს არის წავიდაო.

ზინაიდა ივანოვნას გული აუჩუყდა იმიტომ, რომ სასიამოვნო იყო მისთვის ასეთი ყურადღება, და იმიტომაც, რომ ოთახში თბილოდა. იმ საღამოს რომ ნიკოლსკი მისუღიყო, ქალა უთუოდ დიდ მადლობას ეტყოდა. მაგრამ ინტინერი არც ამ საღამოს მოსულა, არც მეორე დღეს და ბინაში მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდა დაღლილი, გაუპარსავი. მათს ოთახში დააკაკუნა და ჰკითხა, ასანთი ხომ არა გაქვთო.

როდესაც ზინაიდა ივანოვნამ მადლობის გადახდა დაიწყო, ~~ტექელისა-~~
თვის, მან პირველ წუთს ვერც კი გაიგო, რაზე ელაპარაკებოდნენ. შემ-
დეგ გონს მოვიდა, ღუმელს გადაჰხედა, რატომღაც ორჯერ ფეხი ჰკრა
ღუმელის აგურებს და როგორც ყოველთვის, სწრაფად ~~სწავნიან~~
— ოჰ, დიად, დიად, დიად. არა ბოლავს? ~~ბინჯნიან~~

— არა, — მიუგო ზინაიდა ივანოვნამ.

— კეთილი.

ასანთი წაიღო და გავიდა.

— ფეოდორ ფეოდოროვიჩ! — მიამხა ქალმა: — მოგეცადათ და გამთბა-
რიყავით, თქვენს ოთახში ზომ ცევა.

ნიკოლსკის მართლაც დაავიწყდა ღუმელის დადგმა და მის ოთახში ისე
ციოდა, როგორც თითქმის ქუჩაში. მაგრამ მან უკვე კარებიდან მოამხა:
არაფერია, სულერთია უნდა დავწვე და ცივ სადგომში ძილი მარგებე-
ლიაო.

როგორღაც გაზაფხულზე ზინაიდა ივანოვნას ტელეგრაფში ერთ დღეს ხელ-
ში მოხვდა სამი თუ ოთხი მისასალმებელი დეპეშა ნიკოლსკის სახელზე. ამ
დებეშებით ქალმა შეიტყო, რომ ნიკოლსკიმ ორდენი მიიღო. უნდოდა
მიელოცნა, მაგრამ ორი დღის განმავლობაში იგი შინ არ გამოჩენილა და
მივიდა მხოლოდ მესამე საღამოს, ფეხით დააბრაზუნა კარს, ოთახში შე-
ვარდა და ორი დიდი ფუთა შეიტანა.

— აი, — სთქვა მან და ფუთები მაგიდაზე დადო, — ეს ახალ წლის სა-
მაგიეროა ბავშვებისათვის. ახალ წელს მათთვის არაფერი მიჩქნია.

რად გაიხსენა ახალი წელი, გაუფებარი იყო. ახალი წელი ხუთი თვის
წინად დადგა.

შემდეგ ორი ბოთლი პორტვინი ამოიღო და ისინიც მაგიდაზე დადგა.

— ეს პორტვინია, ძალიან სასარგებლოა, — სთქვა მან.

— ფეოდორ ფეოდოროვიჩ, — მიმართა ზინაიდა ივანოვნამ, — მომილოც-
ნია ორდენი.

— დიად, დიად, — მიუგო მან, — აი სწორედ. და აი ეს სახელდობრ ამ
შემთხვევისათვისა... და თუ შესაძლებელია, მეც თქვენთან დავლევ ჩაი.
კარგი?

— რა თქმა უნდა, — მიუგო ზინაიდა ივანოვნამ, — დიდად მადლობელი
ვიქნები.

ბავშვები სუფრის გარშემო იდგნენ, და ზინაიდა ივანოვნა გრძნობდა,
როგორ მოუთმენლად ელოდებოდნენ ისინი ფუთების გახსნას. გაჭირვების
დრო იყო და დიდი ხანია გემრიელი არაფერი ეჭამათ.

— მე ახლაც დავბრუნდები. გავიპარსები მხოლოდ, — სთქვა ნიკოლს-
კიმ, — თორემ მთლად გავიბუძვე.

და თავის ოთახში გაიქცა.

ზინაიდა ივანოვნამ ფუთები გახსნა, პორტვინის ბოთლს თავი მოხადა
და სუფრა გაშალა.

მაგრამ ნიკოლსკის მაინც არ მოუხერხდა მათთან ერთად ევახშვნა. ეზო-
ში მანქანა აგუგუნდა. ვიღაც მძიმედ ამობრავუნდა კიბეზე, ნიკოლსკიმ
კარი გააღო და, როგორც ყოველთვის, ნაჩქარევად წარმოსთქვა:

— იცით, რა, ველარ მოვასწრებ. საამქროში რაღაც უსიამოვნებაა. რო-
გორმე სხვა დროს იყოს. მომილოცნია, მომილოცნია.

თუმცა გაუგებარი იყო, რატომ იგი ულოცავდა და არა მაკ ულოცავდნენ. უფრო დასაჯერებელია, რომ მან აურ-დაურია იმიტომ რომ ძალიან ეჩქარებოდა.

ზინაიდა ივანოვნა დროგამოშვებით იღებდა წერილებს, მაკ ულოცავდა. მარკუშევი სიტყვას ასრულებდა და საკმაოდ რეგულარულად იწერებოდა, მაგრამ ძალიან მოკლედ იტყობინებოდა: ცოცხალი ვარ, კარგად ვარ და მუდამ კითხულობდა ბავშვები როგორ არიანო.

მარკუშევის წერილები, რომლებიც ზინაიდა ივანოვნას დაღუპულ ქმარს მოაგონებდნენ, ჩვეულებრივად რაღაც აბნეულობის მდგომარეობაში აყენებდნენ მას. მთელ საღამოებს მღუმარედ იჯდა ხოლმე, კითხულობდა წერილებს და ყოველივე, რასაც იგი აკეთებდა და როგორც ცხოვრობდა ამ წუთებში, უაზრო და გაუგებარი ეჩვენებოდა.

— რა საჭიროა ყოველივე ეს? — ფიქრობდა იგი.

ზოგჯერ სურდა მეგობრულად მოლაპარაკებოდა ნიკოლსკის, თავის ბედზე შეეჩივლა მისთვის. ქალს ეჩვენებოდა, რომ იგი თავისი წყნარი ხმით შესძლებდა ისეთი რამ მართალი და კარგი ეთქვა, რაც ქალს დააწყნარებდა. მაგრამ იგი ასეთ წუთებში შინ არ იყო ხოლმე.

ხოლო როდესაც შეირბენდა ხოლმე რაღაც მორიგ ნაკრიანად ბავშვებისათვის, მაშინაც ოდნავ მიუჯდებოდა სუფრას, ახველებდა, პირს იწვავდა ცხელი ჩაით და მუდამ საათს დასტკეპროდა, თითქოს ეშინია, იმაზე მეტს ხანს არ დაერჩე, რაც საამისოდ განესაზღვრო.

მეორე ორდენის შესახებ, რომელიც ნიკოლსკიმ 1942 წლის გაზაფხულზე მიიღო, ზინაიდა ივანოვნამ თავისი უფროსი ვაჟის კოლიასაგან გაიგო, რომელიც ახლა უკვე შვიდი წლისა იყო.

ერთხელ, როდესაც ქალი სამსახურიდან დაბრუნდა, ბავშვი კარებში შეხვდა ძახილით:

— ძია ფედიამ ლენინის ორდენი მიიღო!

— რაო? — ჰკითხა მან, რაკი ერთბაშად ვერ მიხვდა, ვის ჰგულისხმობდა ძია ფედიას სახით.

— ძია ფედიამ ლენინის ორდენი მიიღო! — ისე გაიმეორა კოლიამ, თითქოს მის საზიაროდ მიეღოს ორდენი, და დედას გაზეთი გაუწოდა.

საოლქო გაზეთში მოთავსებული იყო ნიკოლსკის სურათი.

თუმცა ეს უცნაური იყო, მაგრამ ზინაიდა ივანოვნა პირველად დააკვირდა მის სახეს, არა ცოცხალ სახეს, არამედ სწორედ ამ სურათზე გამოხატულს. ეს იყო ჩვეულებრივი, ცუდად დაბეჭდილი საგაზეთო სურათი, მაგრამ ძალიან ჰგავდა ნიკოლსკის, ხოლო, რაც მთავარია, ქალმა პირველად შეამჩნია, რა კარგი, კეთილი, დაღლილი თვალები ჰქონდა მას.

— კარგი კაცია, — ჩაფიქრებით სთქვა მან, — ძალიან კარგი კაცია.

— ვინა? — ჰკითხა კოლიამ.

— ფეოდორ ფეოდოროვიჩი.

— ჰმ, რასაკვირველია! — ენის გაწყლატუნებით დინჯად სთქვა კოლიამ.

მალე ზინაიდა ივანოვნამ გაკვირვებით გაიგო, რომ დღისით, როდესაც ხამლშაოზე იყო ხოლმე, ნიკოლსკი სადილის შესვენების დროს საკმაოდ ხშირად შედიოდა ბავშვებთან, მიჰქონდა მათთვის ძეხვიანი და ყველიანი ბუტერბროდები, „სპეც ულუფა“. როგორც დიდმნიშვნელოვნად ამბობდა

მათზე მუდამ და ყველაფრის მცოდნე კოლია, და დიდ ხანს კმაჯებოდა ბაჟეშებს სხვადასხვა და მოულოდნელ, მათთვის საინტერესო თქმულზე.

დეკემბერში, ახალ წელზე ცოტა ადრე, ზინაიდა ივანოვნა ავად გახდა და ექიმთან მივიდა საქარხნო პოლიკლინიკაში, სადაც უკვე დიდი ხნის წინათ მიამაგრა ნიკოლსკიმ. ქალი თავის რიგს ელოდებოდა ექიმის კაბინეტში და უეცრად დაინახა, რომ კარი გაიღო და ნიკოლსკი გამოვიდა.

— გამარჯობა! — სწრაფად სთქვა მან, — რაო, ავად გახდით?

— ოდნავ, — მიუგო ზინაიდა ივანოვნამ.

— პო-და, საქიროა მკურნალობა, დიად საქიროა, — მიუგო ნიკოლსკიმ. — მაშ, კარგად იყავით!

— თქვენ რაღა ვინდოდით აქ? — ჰკითხა ზინაიდა ივანოვნამ.

— მე? ისე... ვახველებ.

იგი გამოეთხოვა და წავიდა. არ მოეწონა მისი შეხედვა ზინაიდა ივანოვნას, ვერ მოითმინა და ჰკითხა მის შესახებ თერაპევტ ექიმ ქალს, რომელთანაც იგი ნიკოლსკის წასვლის შემდეგ მოხვდა.

— ცუდად არის, — სთქვა ექიმმა ქალმა. — მოქანცულობა, დაუმატეთ ამას ძველი პროცესი ფილტვებში. თუ ეგ კაცი ამჟამად კიდევ დანდის და მუშაობს, მხოლოდ თავისი რკინისებური ნებისყოფის მეოხებით.

ზინაიდა ივანოვნა გააკვირვებს სიტყვებმა „რკინისებური ნებისყოფა“ ამ პატარა, დელიკატური, წყნარზმიანი კაცის მიმართ.

— დიად, იგი ძალიან ბევრს მუშაობს, — სთქვა მან. — ჩვენ ზომ მეზობლები ვართ, მე ვიცი.

— ბევრს მუშაობს! — სიცილით სთქვა ექიმმა ქალმა. — რა თქმა უნდა! ნახევარი ქარხანა მაგაზეა დამყარებული.

— ნახევარი ქარხანა?

ზინაიდა ივანოვნას გაახსენდა გიგანტური ქარხანა, რომელსაც თავისი კორპუსებით თითქმის ათეული კვადრატული კილომეტრი ეკავა, და მთელი ეშელონები ზარბაზნებიანად, რომლებიც ყოველ დღე გადიოდნენ ქარხნის კიშკარში. და დღევანდელი დღის ბაასში იგი მეორედ გააკვირვებს ამ სიტყვებმა — „ნახევარი ქარხანა“ — სწორედ ნიკოლსკის მიმართ.

ზინაიდას ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, რომ ამ კაცს შეეძლო ასეთი ადგილი სჭეროდა უზარმაზარ ქარხანაში, სადაც ქალაქის ორი მესამედი მუშაობდა. მან სიტყვა მისცა თავის თავს, უთუოდ მოველაპარაკები, რომ თავს უფრო გაუფრთხილდესო.

მაგრამ ეს მაინც ვერ მოახერხა. იგი ორი თუ სამი დღის განმავლობაში არ გამოჩენილა და ქარხანაში ათედა ღამეს. მეოთხე ღამეს გაიგონა, როგორ დაბრუნდა იგი, მაგრამ ძალიან გვიან იყო და ვერ გაბედა მასთან ლაპარაკი.

დილით კი, როდესაც ქალი სამუშაოზე წასვლას ეპირებოდა, ნიკოლსკიმ თვითონ დააკაკუნა კედელს. ეს არაჩვეულებრივი იყო მისთვის. ქალს გაუკვირდა, ტალანში გავიდა და კარი შენღო მის ოთახში.

ნიკოლსკი გაუხდელი იწვა სავარძელში და ზემოდან მთელი ტანისამოსი ეხურა, რაც კი ოთახში მოიპოვებოდა.

— ზინაიდა ივანოვნა, — ჩვეულებრივზე უფრო წყნარად უთხრა მან, —

ტელეფონი გამიფუჭდა. ჩაირბინონ ბავშვებმა ქარხნის სამმართველოში და უთხრან, რომ ადგომა არ შემოძლია, და ექიმი გამომიგზავნონ.

ზინაიდა ივანოვნამ ქარხნის სამმართველოში შეიარა, ექიმს ავადმყოფობის შესახებ აცნობა, შემდეგ კი, სამუშაოზე რბილად მიეცა დილის ცელა ღამისაში გასცვალა და ერთი საათის შემდეგ შინ დაბრუნდა.

როდესაც მან ნიკოლსკის კარებს დააკაკუნა და შევიდა, იქ ქარხნის ექიმი და დირექტორი იყვნენ. ნიკოლსკი უფრო ცუდად გამხდარიყო.

როდესაც ექიმმა ხელი დაიბანა და წასვლა დააპირა, ზინაიდა ივანოვნამ იგი და დირექტორი თავის ოთახში მიიწვია და ნიკოლსკის ამბავი გამოჰკითხა.

— ახლა ფილტვების ანთება აქვს, — უთხრა ექიმმა, — საზოგადოდ კი დაქანცულია, საშინლად დაქანცულია.

— რა უნდა უყოთ? — ჰკითხა ზინაიდა ივანოვნამ.

— მე ვფიქრობ, საავადმყოფოში უნდა გავგზავნოთ, — სთქვა დირექტორმა.

— ცუდია ახლა, რა თქმა უნდა, სიცივეში წაყვანა, მაგრამ იძულებული ვარ, — სთქვა ექიმმა. — აქ ხომ ვერ დარჩება?

— რატომ ვერ დარჩება? — უეცრად მგრძნობიარედ სთქვა ზინაიდა ივანოვნამ. — სწორედ აქ უნდა დარჩეს. ჩვენ ვიმორიგეებით.

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ მუშაობთ? — სთქვა დირექტორმა.

— მერმე რა, ბავშვები იმორიგეებენ, და მეც ხომ მთელ დღესა და ღამეს არ ვმუშაობ, ვმუშაობ მხოლოდ რვა საათს.

დირექტორმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ზინაიდამ უეცრად, თავისთვის მოულოდნელადაც კი, მუშტი მაგიდას დაარტყა და ჩაწყვეტილი ხმით ზედისუდ იწყო ლაპარაკი რაღაც საშინლად მწვავე სიტყვებისა იმის შესახებ, რომ ნიკოლსკი გადაეყვანათ საავადმყოფოში.

ზინაიდა ივანოვნა ლენოჩკასთან ერთად მთელ დღეს ამ ხნის განმავლობაში პირველად ალაგებდა ნიკოლსკის ოთახს და თან რცხვენოდა, რომ წინათ ვერ მოეფიქრებინა ესა.

ღამით ნიკოლსკიმ მთლად დაჰკარგა ვონება. ზინაიდა გვერდით ეჯდა, თავს უწყევდა, ბალიშს უბრუნებდა, ძალით უხსნიდა კბილებს და აძლევდა სასმელს. უსაზღვრო სიბრალული და გულხშიერი მოპყრობა ამ კაცისადმი უფრო და უფრო ეუფლებოდა...

იგინი შეუღლდნენ ორი თვის შემდეგ, როცა ნიკოლსკი გამოჯანააღდა და ზეზე აღვა. ბევრმა რამემ ჩააღწინა ეს ზინაიდა ივანოვნას. ამ კაცის სიყვარულმაც, რასაც იგი კარგა ხანია ხედებოდა, მაგრამ ცდილობდა წინათ არ ეფიქრა; იმანაც, რომ ქალს არასოდეს არ დაჰკარგვია მოთხოვნა, გაებდნიერებინა ის კაცი, რომელსაც უყვარდა; მადლიერების გრძნობამაც მთელი იმ წლები განმავლობაში, რომლებიც ნიკოლსკიმ თავდაღებული მზრუნველობით მღუშარედ გაატარა მის ახლოს; ბავშვების გრძნობამაც ნიკოლსკისადმი, ვის შესახებაც ქალს წინათ არც კი უფიქრია. თუ რაოდენ ძლიერი იყო ეს გრძნობა.

ყოველივე ამან ათქმევინა ქალს „დიად“, როდესაც მან ავადმყოფობის შემდეგ ისეთი ხმით, რომელიც თითქოს კიდეც უფრო წყნარი გამხდარიყო, ჰკითხა ქალს, მომავალზე რას ფიქრობო.

და თუ ქალს მისდამი არა ჰქონია ის ქალწულებრივი, ^{მეტი} თავდავიწყებული შეყვარებულობის გრძნობა, რომლითაც მას ათი წელი გაატარა პირველ ქმართან, ქალი მაინც გრძნობდა ამ კაცისადმი ისეთ დიდ სიბნობას და სინაზეს, რომ სულ უფრო ხშირად სწამდა ხოლმე, რომ ეს გრძნობები როდისმე გადაიქცევიან იმ სხვა გრძნობად, რომელიც, როგორც ჯერ კიდეც ამას წინათ ეჩვენებოდა, მან სამუდამოდ დაჰკარგა.

ფრონტზე შემოდგომის წყნარი დღეები იდგა. მარკუშევი, რომელმაც სამი წლის ომის განმავლობაში პოლკოვნიკობა მიიღო და რომელიც ტანსაწინააღმდეგო არტილერიის ბრიგადის შტაბის უფროსად მსახურებდა, ამ შემოდგომის დღეს სამგზავროდ ემზადებოდა.

ბრიგადიდან, რომელიც შესავსებად იდგა, დელეგაცია ურალს მიემგზავრებოდა შეფებთან — საარტილერიო ქარხნის მუშებთან. ბრიგადაში ოთხი კაცი იყო, ამასთან ისეთები აირჩიეს, რომელთაც ოჯახები ურალში ჰყავდათ, და მათ იმედი ჰქონდათ გზადაგზა ერთი-ორი დღით მაინც შეეარნათ შინ.

მარკუშევის ოჯახი ოცი საათის სავალზე ცხოვრობდა იმ ქალაქიდან, სადაც ქარხანა იყო, ხოლო ქალაქში ზინიდა ივანოვნა იმყოფებოდა, რომელიც მთელი სამნახევარი წლის განმავლობაში დრო და დრო უპასუხებდა ხოლმე მის წერილებს ფრონტიდან.

რასაკვირველია, გულში იგი აჰჯობინებდა ჯერ შინ მოხვედრილიყო, შემდეგ კი ქარხანაში, მაგრამ სწორედ, პირიქით უნდა ექნა. და რამდენადაც, სულერთია, ასე გამოდიოდა, საამო იყო ის ფიქრი, რომ ორი დღის განმავლობაში, სანამ ოჯახს ნახავდა, ქალაქში დარჩებოდა, სადაც ზინიდა ივანოვნა ცხოვრობდა. მოგონებანი ამ ქალზე ერთვოდნენ მოგონებას საზონოვსა და საერთოდ ყოველივე კარგსა და შორეულზე, რაც მშვილობიანობის დროს იყო.

რამდენიმე დღეს რკინიგზით მგზავრობის შემდეგ სალამოს ისინი ჩამოხდნენ გრძელ, რკინით დახურულ პერონზე.

იქ უკვე თოვლი იყო. დღე მზიანი, მზიარული იყო, ვაგზალზე ხმაურით და კარგად შეხედნენ.

ყოველივე ამის გამო და ოჯახის ნახვის მოლოდინით მარკუშევი მეტად კარგს გუნებაზე იყო.

სადგურიდან პირდაპირ გენერალთან — ქარხნის დირექტორთან გაემგზავრნენ. იგი მათ შეხვდა თავის დიდ კაბინეტში, რომელიც სახეს იყო საარტილერიო საჭურველის მრავალი კოლექციით. კოჭლობითა და ჯოხზე დაყრდნობილი, იგი შუაგულ კაბინეტში გამოვიდა, გადაეხვია მათ და გამოჰკითხა ფრონტის შესახებ, საიდანაც ამ ერთი თვის წინათ დაბრუნდა პრილობის მიღების შემდეგ. მერმე სთქვა, ჯერ არ შეგაწუხებთ არავითარი შეხვედრითა და დათვალიერებით, მით უმეტეს, რომ დღეს თვიური პროგრამის უკანასკნელი დღეა და მთავარ ინჟინერს, რომელმაც ქარხანა უნდა გაჩვენოთ, არა სცალიანო.

— ახლა ქარხნის სასტუმროში დაგაბინავენ, ივანშმებთ, გამოიძინებთ, ბგალ კი დილიდანვე მობრძანდებით.

მარკუშემა უთხრა, მინდა მივიარ-მოვიარო, ქალაქში ნაცნობები მყავსო.

— თქვენი ნებაა, — მიუგო გენერალმა. — ჩემს მანქანას მოგართმევთ.

მარკუშემა ბარგი სასტუმროში დასტოვა, თან გააფრთხილა ალბათ, გვიან დაებრუნდებით, ძირს ჩავიდა, მანქანაში ჩაჯდა და მოსტეკნაძემ ქუჩისა და სახლის მისამართი მისცა, სადაც მიდიოდა.

კვლავ მშვენიერ გუნებაზე იყო და ხელის გულით ხშირად სწმენდავდა დაორთქლილ მინას, ინტერესით ათვალეირებდა ქალაქის ქუჩებს, სახლებს, ტრამვაის, ხალხს, რომლითაც სავსე იყო ქუჩები, ალბათ, ქარხანაში ცვლის შემდეგ.

„დიოლ, ესენიც აქ ზურგში, ალბათ, იოლად როდი ცხოვრობენ, — ფიქრობდა იგი და ხალხს ათვალეირებდა. — შეიძლება ზოგჯერ უფრო გაჭირვებითაც, ვიდრე ჩვენ“.

შოფერმა მანქანა გააჩერა და ჰკითხა: რომელი ბინა გინდათო.

— საზონოვასი, — მიუგო მარკუშემა.

— მაშინ აქ კი არა, მესამე შესასვლელში, — სთქვა შოფერმა, ორმოცდაათიოდე ნაბიჯი კიდევ გაიარა და სხვა შესასვლელთან გაჩერდა.

შოფერის ასეთმა ცოდნამ გააკვირვა მარკუშევი, თვალი შეავლო მას, მაგრამ არაფერი არ უთქვამს, ისე გამოძვრა მანქანიდან.

— გელოდოთ? — ჰკითხა შოფერმა.

— გელოდოთ? — კითხვითვე მიუგო მარკუშემა. მერმე გაიფიქრა, ზინაიდა ივანოვნასთან, ალბათ, სამ-ოთხს დავრჩები, რაც უნდა იყოს, რამდენი საერთო მოგონებააო, — და მიუგო: — არა, ნუ დამელოდებით, ფიქით დაებრუნდები. წადი — და კიბეს შეუდგა. ბინა რომ მოსძებნა, რამდენჯერმე დააქირა თითი ზარის ღილს, მაგრამ ზარი არ მუშაობდა. მაშინ დააკაკუნა.

— ვინ არის? — იკითხა შიგნიდან ზინაიდა ივანოვნამ.

— ზინოჩკა, მე ვარ, მარკუშევი, — გაეხმაურა და იგრძნო, რომ ლულავდა.

ქალმა საჩქაროდ კარი გააღო: ხელში ხელი სტაცა, მიიზიდა და რამდენჯერმე ორივე ლოყა დაუკოცნა.

— ღმერთო ჩემო, პოლკოვნიკი?

— მე ზომ გწერდიო.

— შენ იწერებოდი, პოდპოლკოვნიკი ვარო.

— შესაძლოა. ახლა კი აი პოლკოვნიკი ვარ. რაღაც ბნელა თქვენსა, ვერ დაგკვირვებია.

— დიოლ, ახლა მთელი ელექტროენერგია ქარხანას ხმარდება. „ლამპურა“ ფარანს ვკმაყოფილებით. არაფერია, ახლავე აუწუცე, — დამაკვირდები.

დიდ ოთახში შევიდნენ. ზინაიდამ ბუფეტზე მდგარ „ლამპურას“ აუწია. მარკუშევი დაჯდა, მალე შეეჩვია ამ სინათლეს და ოთახი ჩამოათვალეირა.

ოთახი სასადილოს და საწოლი ოთახის ნარევს წარმოადგენდა: დიდი სუფრა, ბუფეტი, რამდენიმე სკამი და სამი კედლის გასწვრივ სამი საბავშვო საწოლი.

ზინაიდა ვახშმის მზადებას შეუდგა.

— შენ ზომ ივანშემებ, ვიცი, მუდამ გაუმაძლარი იყავი.

— ვივახშმებ, ვივახშმებ! — დაუდასტურა მარკუშევმა. — სსტუმროში განგებ არ ვივახშმე, შენთან რომ დავრჩენილიყავ.

— ძალიან კარგად ვიქნია, — კარებიდან მოაძახა მან. — არაყა წინანდებურად არა სვამ?

— ვსვამ. ფრონტზე მივეჩვიე, — მიუგო მარკუშევმა.

— ძალიან კარგი. დაჯექ, მოიცადე, ჩემს მაგიერ კი ბავშვებს გამოვგზავნი.

ტალანში ბავშვთა ორი წყვილი ფეხი ატყაბუნდა და ოთახში შემოვიდა ოლეგი და კოლია. ოლეგმა დაირცხვინა, პირში თითი ჩაიღო და კარნაგელთან გაჩერდა. სამაგიეროდ კოლია ძალიან თამამად მივიდა მარკუშევთან, მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა დაუმთავრებელი მტრედი, რის გასაყეთებლადაც იგი, ალბათ, ახლახან წვალობდა, და სტუმარს ხელი გაუწოდა.

— რა დიდი გამხდარხარ! — უთხრა მარკუშევმა.

— მალე სკოლაში დავიწყებ სიარულს, — მიუგო კოლიამ.

— მე ვახსოვარ? — ჰკითხა მარკუშევმა.

— არა, არ მახსოვხართ, — მიუგო კოლიამ, — თქვენ არტილერიისტი ხართ? — და მარკუშევის სამხრულისაკენ მიიწია, რომელსაც ორი გადაჯვარადინებული ზარბაზანი ეკრა.

— არტილერიისტი ვარ.

— ჩვენთან კი აქ არტილერიას აკეთებენ, — სთქვა კოლიამ.

— ვიცი, — მიუგო მარკუშევმა.

— გინახავთ ჩვენი ზარბაზნები?

— მინახავს, — სიცილით სთქვა მარკუშევმა, — რა თქმა უნდა, მინახავს.

— კარგი ზარბაზნებია! — თამამად განაცხადა კოლიამ. — თქვენ რომელ არტილერიაში ხართ? ტანკსაწინააღმდეგოში?

— ტანკსაწინააღმდეგოში, — უპასუხა მარკუშევმა.

— მაშასადამე, იცით. ახლა ჩვენთან ძალიან გრძელებს აკეთებენ. იცით?

— ვიცი, — და კვლავ გაიციინა მარკუშევმა.

— რამდენი ორდენი გაქვთ? სამი? — მან თითით დასთვალა მარკუშევის ორდენები. — ძია ფედისასაც სამი აქვს. მხოლოდ თქვენ ლენინის ორდენი არა გაქვთ. მას კი აქვს. თქვენ მედალი გაქვთ, მას კი არა აქვს. მედალი რისთვის გაქვთ?

— მოსკოვისათვის, — მიუგო მარკუშევმა.

— გასაგებია, — სთქვა კოლიამ. — მოსკოვთან გერმანელების განადგურებისათვის?

— დიალ, — მიუგო მარკუშევმა.

მას უნდოდა ეკითხნა, ვინ არის ძია ფედიაო, მაგრამ ამ დროს შევიდა ზინაიდა ივანოვნა და ზონჩა შეიტანა, რომელზედაც საუბრემულობა და არაყი იყო. კოლია სამხარეულოში გაგზავნა რაღაცის მოსატანად და უთხრა, შემდეგ კი კაბინეტში იჯექიო.

— შენც წადი, — უთხრა მან ოლეგს, რომელიც წინანდებურად იდგა და პირში თითი ჰქონდა.

— სულ ვეღარ იცნობ მას, ზომ მართალია? — თვალის ჩაწნევით უთხრა მარკუშევის ოლეგის შესახებ.

— დიად, მგონი ორი წლისა იყო მაშინ, — სთქვა მარკუშევმა — ვეღარ იცნობ. შენ კი ადვილი საცნობი ხარ. ძალიან ცოტათი ღმობდნენ ხარ.

— ამ სიტყვებში ზინაიდამ რაღაც საყვედურის მსგავსი იგრძნო, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— ოდნავ გამოცვლილხარ, — გაიმეორა მარკუშევმა. — შენ მაქვს სურათი სადაც შენ პეტრასთან ხარ გადაღებული. აი ისეთი ხარ, როგორც იმ სურათზე.

— ესა? — ჰკითხა ზინაიდამ და თვალთ ანიშნა კედელი, სადაც მისი და საზონოვის სურათი ეკიდა.

— სწორედ ეგ, — კედელთან მივიდა, სურათი დაათვალიერა და დაადასტურა მარკუშევმა. — დიად, თუ კი შე პოლკოვნიკი გავხდი, იგი, უეჭველია, ახლა გენერალი იქნებოდა.

ზინაიდა ივანოვნას არაფერი უთქვამს.

— რაო, ოდნავ მოგეშვა თუ არა გულს? — ჰკითხა მარკუშევმა. — ჰო, ეს... — თვალთ ანიშნა სურათზე.

— დიდ ხანს არ შემეძლო დამეგერებინა, რომ იგი გარდაიცვალა, — პასუხის მაგიერ სთქვა ზინაიდა ივანოვნამ — ვიცოდი, რომ მოკვდა, მაგრამ დაჯერება არ შემეძლო.

— ახლა კი დაიჯერე? — მოულოდნელად მკაცრად ჰკითხა მარკუშევმა და ამ წუთს გაახსენდა, კოლიამ რომ სთქვა: „ძია ფედისაც სამი ორდენი აქვსო“.

— დავიჯერე, — უბრალოდ მიუგო ზინაიდა ივანოვნამ. — მალე ოთხი წელი იქნება. ეს ძალიან ძვირფას რამეს წარმოადგენს ჩემთვის, მაგრამ მაინც უკვე წარსულია. ხოლო როცა აწმყო იყო, არა მჯეროდა.

— რა გაეწყობა, — სთქვა მარკუშევმა, კედელს მოშორდა და კვლავ სუფრას მიუჯდა. — მაშ გამიმასპინძლდი, რა კი გადასწყვიტე.

ზინაიდა ივანოვნამ არაფერი დაუსხა დიდ ტიქაში მისთვის და სულ პაწაწინაში კი თავისთვის.

— დალევ? — ჰკითხა მან.

— რატომაც არა? რა თქმა უნდა, ამ პაწაწინა ტიქას დავლევ შენი მოსელისათვის.

— მოდი, ჯერ პეტრესათვის, მისი ხსოვნისთვის დავლიოთ. არაფერია, რომ ამაზე გელაპარაკები?

— აგრე რათ მეკითხები?

— არ გეკითხები. დავლიოთ.

— დიდი ხნით მოხვედი? — ჰკითხა ზინაიდა ივანოვნამ, როდესაც არაფერი დალიეს.

— ორი დღით. დედეგაციასთან ერთად შეფებთან აქსაარტილერიო ქარხანაში, შემდეგ კი სამიოდე დღით შინ შევივლი.

— ჰო, შენი ოჯახი ხომ აქვე ახლოსაა.

— ახლოსაა. ოცი საათის სავალია.

— მარუსია როგორ არის? შე როგორღაც დიდი ხანია წერილი არ მიმიღია მისგან.

— ვინ იცის, — მიუგო მარკუშევმა. — მეც აგრე სამი თვეა წერილი არ მიმიღია. არ ვიცი. ახლა ყველაფერი ხდება...

მასში გაიღვიძეს სამწლიანხვერის მოლოდინის მთელმა სიმწარემ, მთელ-მა შეშფოთებამ და ეჭვებმა. თუმცა სადღაც, სულის სიღრმეში მტკიცედ სჯეროდა, რომ მის ოჯახში არაფერი არ მომხდარა, მაგრამ როგორც ხშირად მოსდით ხოლმე ფრონტლებს, ამაზე გაცილებით უფროსწინაქაღ ლაპარაკობდა ხამაღლა, ვიდრე თავისთვის ფიქრობდა. სწორედ ასე სთქვა ახლაც წერილების შესახებ. სრულიად არ უხსენებია, რომ ეს წერილები სამი თვის განმავლობაში უფრო იმიტომ არ მოდიოდა, რომ მას საველე ფოსტის მისამართი შეუცვალეს.

— ყველაფერი ხდება, — განიშეორა მან და ამ ნაღვლიანად გაქედრებულ ფრაზით დამალა გულში აღძრული უსაზღვრო ნაღველი ოჯახზე.

— ნუ ლაპარაკობ ავრე, სერიოფა, — უთხრა ზინაიდა ივანოვნამ, — მარუსიას უყვარხარ, შენ იცი და...

— რაი „და“?

— და არაფერი არ შეიძლება მოხდეს.

— მაშ კარგი. დავლით ოჯახთან შეხვედრისთვის, — სთქვა მარკუშევმა და არაყი დაისხა. — შენ მეტს არ დაღვე?

— არა.

— მაშ მარტო მე დავლევ. ხომ მე უნდა შევხვდე ოჯახს.

ერთ ყლუპად გადაკრა ჭიქა და პაპიროსს მოუკიდა.

— დაყოლე რამე, — შეებატივა ზინაიდა.

— რაღაც არ მინდა. პაპიროსს მოვწევ.

რამდენჯერმე დაკრა ნაფაზი, თავი ასწია და ჰერს დაუწყო ცქერა იმიტომ, რომ იგრძნო, თვალბზე ცრემლი მოადგა. ამ წუთს იგი, მგონი, ყველაფერს დასთმობდა ამ ქვეყნად, რომ ერთი საათის შემდეგ იქ, ტაგილში, თავის ოჯახში გაჩენილიყო და დაენახა მარუსია ბავშვებიანად, როგორ არიან ისინი, უკუვიღო მთელი მტანჯველი ეჭვები და მხოლოდ მისი თვალების დანახვით, შეუკითხავად დარწმუნებულყო, რომ ის, რაც მას გულის სიღრმეში სწამდა მთელი ამ წლების განმავლობაში, ნამდვილად სიმართლეა.

— რაც უნდა იყოს, რა საძნელოა ამდენ ხანს უნახაობა, პა? — სთქვა მან იმავე მდგომარეობაში და ძლივს დაიმორჩილა თავისი ხმა.

ზინაიდა სდუმდა. ან რა შეეძლო ეპასუხნა?

— შენ კი, — სწრაფად გადაიხარა იგი ქალისაკენ, — იგი, როგორც მე, სამწელიწადნახევარს ფრონტზე რომ ყოფილიყო და არც ერთხელ არ მოსულყო შენ, — რას იზამდი?.. მითხარ, ზინა.

— რად შეკითხები მაგას?

— ისე, მინდა ვიცოდე, მის ადგილას შენ როგორ მოიქცეოდი. საზოგადოდ, სისულელეს გეკითხები.

მეორე ოთახში ტელეფონი აწკრიალდა, ხოლო ნახევარი წუთის შემდეგ კარი კოლიამ გააღო.

— ძია ფელია მთხოვეს გაგაფრთხილო, რომ შესაძლოა მალე ერთი საათით მოვა შენ სავახშმოდ.

— კარგი, — მიუგო ზინაიდა ივანოვნამ. — აიღე, კოლია, ჩაიდან და სამზარეულოში დასდგი ნავთის ქურაზე, გატყელდეს.

— ვინ არის ეს ძია ფელია? — ჰკითხა მარკუშევმა, როდესაც კოლია გავიდა.



- ჩემი ქმარია, — მიუგო ზინაიდა ივანოვნამ.
- დიდი ხანია?
- ნახევარი წელიწადია. მერმე რა?
- არაფერი, — მიუგო მარკუშევი და კიდევ ერთი უკმაყოფილოდ დასძახა.
- ორში ერთი, — უთხრა ზინაიდა ივანოვნამ, — ან დასჯი რამ, ან ნუ-
ღარ სვამ.
- არაფერია, მიჩვეული ვართ.
- ეგ მხოლოდ გეჩვენება, — მიუგო ზინაიდამ.
- სურდა ჭიქა იქით მიეწია, მაგრამ მარკუშევი სწრაფად სწვდა და გამოს-
ცალა, სანამ ქალი აღებას მოასწრებდა.
- აი ასე, — სთქვა მან, — იმისათვის, რომ ერთნი კვლებიან, სხვები კი
ცოცხლობენ.
- რა გინდა მაგით სთქვა?
- განსაკუთრებული არაფერი. ვინ არის შენი ქმარი? სამხედროა?
- არა, ინჟინერია.
- ვასაგებია, — სთქვა მარკუშევი. — მაშასადამე, ფრონტისა და ზურგი-
სათვის.
- სერგი...
- რაო სერგი? მე მხოლოდ, პირიქით, ვამბობ — კარგია... რომ ყველაფე-
რი ჰქრება ამ ქვეყნად.
- იცი რა, — უთხრა ზინაიდა ივანოვნამ და ხელი მტკიცედ დაადო ხელ-
ზე. — თუ გინდა რაიმე მითხრა, ან მისაყვედურო, ან მკითხო, მაშინ პირდა-
პირ მითხარი. ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით.
- აი სწორედ, ვიყავით.
- ჰო-და, თუ აგრე დაიწყებ ლაპარაკს, მაშინ — ვიყავით.
- მარკუშევი ადგა და კედელთან მივიდა.
- კარგი სურათია, — სთქვა მან და კვლავ დააცქერდა ფოტოგრაფიულ
სურათს.
- სერიოზა!
- თუ იგონებ მაინც?
- სერიოზა...
- მან შეჰხედა ქალს, იგრძნო, რომ რაღაც ბოროტად ლაპარაკობს ისეთს,
რაც არც საჭიროა და არც სამართლიანი, მაგრამ უკვე თავი ვეღარ შეიკა-
ვა. მთელი ეპიკები, წერილების მთელი მტანჯველი მოლოდინი, მთელი წა-
მება და მოგონებანი გაცოცხლდნენ საშინელი ძალით და ამ წუთს მას
ჩვენებოდა, რომ ისინი მის რწმენაზე უფრო ძლიერნი იყვნენ.
- რა თქმა უნდა, ასე უკეთესია გათხოვებულიყავი, — სთქვა მან. — ყო-
ველ შემთხვევაში იცი, რომ ქმარს არ მოგიკლავენ.
- ზინაიდა ივანოვნა უხმოდ შესცქეროდა ცრემლით სავსე თვალებით. იგი
ხედავდა ამას და უნდოდა ახლავე, დაუყოვნებლივ ეთხოვა მისთვის პატი-
ება, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო და გრძნობდა, რომ, გონიერების საწინა-
აღმდეგოდ, თუ კიდევ ილაპარაკებს, უფრო უაზროსა და სასტიკ რამეს
იტყვის.
- წინაქარში ზარის ხმა გაისმა. სასადილო ოთახის კარი გაიღო და სწრაფად
შევიდა ნიკოლსკი, რომელიც გზადაგზა იხსნიდა ლურჯი მუშური კომბინე-
ზონის ზემოთ მოხვეულ შარფს.

— მეგონა, ვერ დაებრუნდები-მეთქი, მაგრამ აი ერთი საათით მაინც... — დიწყო მან და შოლოდ ახლა შეამჩნია, რომ სუფრასთან მარჯვენა იჯდა.

— გაიცან, ფედია, — უთხრა ზინაიდა ივანოვნამ, რომელსაც ოდნავ კიდევ უკანალებდა ხმა წყენის გამო. — ეს არის სერგეი ნიკოლსკი პეტრე ივანოვიჩისა და ჩემი ძველი მეგობარი.

— დიად, დიად, გამიგონია, — აჩქარებით სთქვა ნიკოლსკიმ, როგორც ყოველთვის. — გამიგონია. გამარჯვება. ძალიან სასიამოვნოა. ძალიან, ძალიან.

და სუფრას მიუჯდა.

— თქვენ, ალბათ, დელეგაციასთან ერთად მოხვედით ჩვენს ქარხანაში?

— დიად, — კუშტად მიუგო მარკუშევმა.

— გამიგონია, გამიგონია, — სთქვა ნიკოლსკიმ.

— თქვენ იქ ხომ არ მუშაობთ? — კვლავ კუშტად ჰკითხა მარკუშევმა.

— დიად, დიად, სწორედ ქარხანაში, სწორედ იქ. ხვალ დაათვალიერებთ?

— დიად.

— დაათვალიერებთ, დაათვალიერებთ, გირჩევთ. დაათვალიერებთ. თქვენთვის საინტერესოა. ჩვენ იქ ყველაფერი თქვენთვის გვაქვს.

— დიად, თქვენ იქ ყველაფერი ჩვენთვის გაქვთ, — გააჯერებით სთქვა მარკუშევმა. იგი გრძნობდა თავის უსამართლობას, მაგრამ იმავე დროს არ შეეძლო თავი შეეკავებინა. — არაყს მიირთმევთ? — დაუმატა ცოტა ხნის შემდგომ.

— არა, არა ვსვამ.

— ჯანმრთელობას უფრთხილდებით?

— დიად.

— ჰო-და, ჩვენ კი არ ვუფრთხილდებით, — სთქვა მარკუშევმა, კვლავ დაისხა და სწრაფად გადაჰკრა.

ზინაიდა ივანოვნა მიუახლოვდა.

— ბავშვები უნდა დავაძინო. ფედია, თქვენ კაბინეტში გადადით, ისინი კი აქ გამოგზავნეთ. ჩაის იქ მოგართმევთ.

— გთხოვთ, გთხოვთ, — სთქვა ნიკოლსკიმ და მარკუშევი წინ გაატარა.

მარკუშევი წაღების კრაქუნით გავიდა კაბინეტში. თავი უბრუნდა გულს სევდა აწვა.

— ზინაიდა, ალბათ, მართალია, არ უნდა დამეღია, დღეს ძალიან დავიღალე, — გაიფიქრა მან.

კაბინეტში ფართო ტახტი, სამუშაო მაგიდა და ორი სავარძელი იდგა-ქედლები თითქმის შიშველი იყო.

— კარგად ვერ მოწყობილხართ, — სთქვა მარკუშევმა.

— დიად, როგორღაც ვერასოდეს ვერ მოვიცალეთ, — სთქვა ნიკოლსკიმ.

უკვე თავს აბეზრებდა ეს მობუზღუნე კაცი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, წყნარად, მშვიდად უპასუხებდა და არაფრით არ აგრძნობინებდა თავის უსიამო გრძნობას.

— არ შეიძინეთ, მამასადამე, — გაიმეორა მარკუშევმა და კვლავ იგრძნო, იმას როლი ვამბობ, რაც საჭიროა. — მე კი მეგონა, სანამ ჩვენ იქ ვიმობთ, თქვენ აქ ეწყობით.

— რაო? — უცერად შეეკითხა ნიკოლსკი და ხმაში რაღაც ახალი კილო დაეტყო. — რით ვეწყობით?

— ყველაფრით ეწყობით, — მიუგო მარკუშევმა, — ქალა შეგირთავთ, ბინა შეგიძენიათ, საერთოდ — ყოველივე.

— მერმე? — ჰკითხა ნიკოლსკიმ.

— რაღა მერმე?

— გისმენთ, კიდეც რას იტყვით?

— კიდეც რაღა? მეტი აღარაფერი შეიძლება. მეგობარი მყავდა და დაიღუპა. მის სურათს თან ვატარებდი. აი!

მარკუშევმა გიმნასტურის ჯიბე გაიხსნა და გაცვეთილი ფოტოგრაფიული სურათი ამოიღო, ისეთი, როგორიც ზინაიდა ივანოვნას ოთახში ეკიდა. — აი ერთად არიან გადაღებული. თქვენ კი ამ სურათზე, სხვათა შორის, არა ხართ. ვასაგებია თუ არა თქვენთვის? თქვენ მისი სიკვდილის შემდეგ გამოჩნდით... იმიტომ რომ თქვენს ჯანმრთელობას უფრთხილდებით. იგი კი არ უფრთხილდებოდა.

ნიკოლსკი წამოდგა და ერთი ნაბიჯი მარკუშევისაკენ გადასდგა.

— აი თურმე... — სთქვა მან.

— რა? — ჰკითხა მარკუშევმა და ისიც უნებურად წამოდგა.

— წაბრძანდით ჩემი სახლიდან — უთხრა ნიკოლსკიმ წყნარ, მაგრამ იმავე დროს მოულოდნელად გამკაფიოებული ხმით.

მარკუშევმა თვალი გაუსწორა. ამ ხმამ, ამ თვალებმა, რომლებიც რაღაცნაირი მოლილილი სიმშვიდით უცქეროდნენ, რატომღაც გაახსენეს საარტილერიო კორპუსის მეთაური, ასეთივე დაბალი, ხმელ-ხმელი კაცი, რომელსაც ასეთივე წყნარი ხმა და თითქმის ასეთივე თვალები ჰქონდა. ისიც, როცა ჯავრობდა, ასევე წყნარად და მშვიდად ლაპარაკობდა. და სამსახურებრივი მდგომარეობის მიუხედავად. მხოლოდ ადამიანობის თვალსაზრისით არ შეიძლებოდა არ დამორჩილებოდა მას ასეთ წუთებში.

ზინაიდა ივანოვნამ კარი შეაღო და ხონჩა შეიტანა..

— აი ჩაიც, — სთქვა მან.

— მოიცადე, — მისკენ მიუბრუნებლად უთხრა მარკუშევმა.

— თქვენ მაგას მე მეუბნებით? — ბეჯითად ჰკითხა მან ნიკოლსკის.

— თქვენ, — მიუგო ნიკოლსკიმ. — წადით, და უმჯობესია, თუ ახლავე წახვალთ.

მარკუშევმა იგრძნო, რომ ეს კაცი რაღაცით მასზე ძლიერია, — მაგრამ ვერ გაეგო, თუ რით. და სწორედ თავისი უძღურებისა და უმართლობის ამ შეგნებით მარკუშევმა უეცრად იგრძნო, რომ სისხლი თავში აუფარდა. სურდა მაშინვე სცემოდა ამ კაცს, დაერტყა და, ვინ იცის, კიდეც რა ყოფა დაეწია. ნებისყოფის მხოლოდ უმაგალითო დაძაბვით შეიკავა თავი. მიხვდა, რომ ის, რისი ჩადენაც ახლა სურს, შეუძლებელია, წარმოუდგენელია, საშიზღარია. ხელები საშინლად დამუშტა, მაგრამ მყისვე დაუშვა, ქუსლები მაკაბუნა და ყოველი ასო მკაფიოდ წარმოსთქვა: „გისურვებთ კარგად ყოფნას“. მერმე მიბრუნდა, ზინაიდა ივანოვნას ისე ჩაუარა გვერდით, რომ არც კი შეუხვდია, ქუდი დაიხურა, ფარაჯა ჩაიცვა, ყველა ღილი შეიბნია და გავიდა. კარის დახურვისას უკანასკნელად შეიკავა თავი, რომ არ მიეჯახუნებინა.

— ფედია, რა მოხდა? — ჰკითხა ზინაიდა ივანოვნამ.

ქალმა იგრძნო, რაც მოხდა, მაგრამ არ შეეძლო არ ეკითხნა.

— მე ვუთხარი, ჩემი სახლიდან წადი-მეთქი, — მიუგო ნიკოლსკიმ იმავე წყნარი და წკრიალა ხმით.

— მაგრე არ შეიძლება, ფედია, — უთხრა ზინაიდა ივანოვნამ, — არ შეიძლება. ის ხომ ფრონტელია! და სამწელნახევარს არ უნდა წავიხვი. საზოგადოდ ეს მისთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა. დამიჯერებინა, იგი ამაყი კაცია. ამას არასოდეს არ დაიფიწყებს.

— მეც ამაყი კაცი ვარ, — მიუგო ნიკოლსკიმ და ხელები ისე ჰქონდა დაშვებული, როგორც მარკუშევს. — შე არავეისთვის არ მომიპარავს შენი თავი და არავეისგან არ დამიმსახურებია საყვედური ჩემი ცხოვრების გამო. მეც ამაყი კაცი ვარ და ნებას არ მივცემ შეურაცხყოფა მომაყენონ მე და მამასადავ, შენც. ომში არა ვყოფილვარ, მაგრამ აქ ყველაფერი ფრონტი-სათვის შემოწირავს. ყველაფერი, რაც კი მქონდა. და მე არ ვუფროთხილდები სიცოცხლეს ისევე, როგორც ისინი. და ნურაინ მჩრის ამას ცხვირში. არა მსურს! და ნებას არ მივცემ!

იგი იღვრა სწორად, წელში გამართული, და მისი თვალები ისეთი იყო, როგორც ზინაიდა ივანოვნას მისთვის არასოდეს არ შეუშინებია.

და უეცრად ამ წუთს პირველად იგრძნო ჭალმა მასში ის, რაც თვითონ მუდამ აკლდა, — ის, რაც განსვენებულ საზონოვს ჰქონდა. საზონოვი დიდი, ძლიერი კაცი იყო, რომელსაც შეეძლო დაეცვა ცოლი. და ზინაიდა ივანოვნა ზოგჯერ მის გვერდით თავს ისე გრძნობდა, როგორც პატარა, თითქმის ბავშვი. და ეს გრძნობა განიცადა მან ახლა. მის წინაშე იღვრა დიდი, — სწორედ დიდი კაცი. მიუხედავად თავისი წყნარი ხმისა, თავისი გამზდარი და დაღლილი სახისა, ვიწრო მხარ-ბეჭისა და უშნოდ, ტომარასავით დაკიდებული კომპინეზონისა, იგი ძალიან ძლიერი იყო იმით, რომ მგზნებარედ სწამდა თავისი სიმართლე, თავისი საქმე და სიცოცხლე.

— მე დავემტკიცებ, რომ იგი მართალი არ არის, — სთქვა ნიკოლსკიმ. — და რომ მე კი არა, მან მომაყენა შეურაცხყოფა.

იგი მოიხარა და საშინლად, დიდ ხანს ახველა. ზინაიდა ივანოვნა მიუახლოვდა და მხრებზე ხელი მოხვია. მან ხელები ჩამოიშორა.

— საჭირო არ არის, საჭირო არ არის! — კვლავ აუტყდა ხელები, წელში გაიმართა, მაგიდას მუშტი დაარტყა და დაიყვირა შესაძლოა პირველად მათი ნაცნობობის მთელი ხნის განმავლობაში. — არა მსურს ხელები, გესმის, არა მსურს! არა მსურს-მეთქი! და არც დავახველებ! — და ტალანში გავარდა.

— სად მიხვალ? ჩაი არ გინდა? — მიაძახა ზინაიდა ივანოვნამ.

მაგრამ მან საჩქაროდ ჩაიკვა თავისი ტყავის ჭურთლუკი, შარფი ყელზე შემოიხვია, კები დაიხურა და მხოლოდ კარებში მოუბრუნდა მას:

— მე ხომ ტყუილი ვთქვი ტელეფონით, ერთი საათით ამოვალ-მეთქი, მხოლოდ ნახევარი საათით შემეძლო.

— რა არის, ერთ საღამოს მაინც დაგესვენა, — უთხრა ზინაიდამ, რომელსაც მის სახელოში ეკიდა ხელი.

— არ შემეძლია. განსაკუთრებით დღეს არ შემეძლია, გესმის, ზინა. — მისი ხმა კვლავ წყნარი და ფიქრიანი გახდა, როგორც ყოველთვის. — ის ხომ, მართლაც ფრონტელია, შენ მართლაც ამბობ. მაგრამ როდესაც მე მეუბნებიან იმას, რაც მან მითხრა, მსურს მხოლოდ ისე ველაპარაკო

მას, როგორც ველაპარაკებოდი, თუმცა იგი ფრონტელია. მსურს მხოლოდ ასე ველაპარაკო. მსურს მქონდეს ამისი უფლება. ხოლო ამ უფლებებისთვის საფასური უნდა გავიღო. და მხოლოდ ერთი რამით: მუშაობით. ჩემი მუშაობით. დღისითა და ღამით. როგორც მთელი ამ წლების განმავლობაში.



მარკუშევი დიდ ხანს დაეხეტებოდა ქალაქში, ცუდად ეძინა და დილით რომ აღგა, თან აჰყვია იმის გამოუსწორებლობის მძიმე გრძნობა, რაც გუშინ მოხდა. ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, რომ მას მიაყენეს შეურაცხყოფა, ცდილობდა გაჯავრებულიყო, მაგრამ გულში, რა კი გულახდილი კაცი იყო, არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ, თუნდაც მას უსამართლოდ მოპყრობოდნენ, მაინც რაღაც დიდი უსამართლობა ჩაიდინა.

ამ გრძნობით წავიდა იგი ქარხანაში. ღირეჰტორი, როგორც გუშინ, მათ კაბინეტში შეხვდა.

— თვითონ წაგიყვანდით ქარხანაში, — სთქვა მან, — მაგრამ ეს წვეული ფეხი... და თანაც მე აქ ახალი კაცი ვარ, სულ ერთი თვეა, ყველაფერი როდი ვიცი დაწერილებით. მაგრამ აი ჩემი, ასე ვთქვათ, მარჯვენა ხელი, მთავარი ინჟინერი ყველაფერს გიჩვენებთ. უკანასკნელ პაწია ბრახნსაც კი გაიცანით.

გენერლის ახლოს მდგარ ჯგუფს გამოეყო დაბალი, ხმელ-ხმელი კაცი, რომელსაც უშნოდ დაჰკიდებოდა ლურჯი კომბინეზონი. მარკუშევი მხოლოდ ახლა შეამჩნია იგი. ეს იყო წსორედ ის კაცი, რომელთანაც გუშინ მოუხდა ის, რაც ასე სატანჯველი ეჩვენებოდა დღეს დილით.

მარკუშევი წოდებით უფროსი იყო დელეგაციაში, და მთავარი ინჟინერი პირველად მას გაეცნო.

— ნიკოლსკი, — სთქვა მან, ხელი გაუწოდა მარკუშევის და თვალში პირდაპირ შეჰხედა ისე, თითქოს მათ შორის გუშინ არაფერი მომხდარაო.

— მარკუშევი, — შეუგნებლად დაასახელა თავისი გვარი და ხელი გაუწოდა მარკუშევი.

— ძალიან სასიამოვნოა, — მიუგო ნიკოლსკიმ და ახლა სხვა ოფიცრებს გაეცნო.

— მაშ ახლა დროს ნულა დაგვარგავთ და წავიდეთ. დღეს მთელი საქმეები ჩემს მოადგილეს დავუტოვე, იმიტომ, რომ ქარხანა ისეთია, გაუჩერებლადაც რომ ვიაროთ, დაღამებამდე ძლივს მოვასწრებთ დათვალეირებას.

მათ, მართლაც, ათ თუ თერთმეტ საათს იარეს ქარხანაში მცირე შესვენების გამოკლებით სადილისათვის. ეს იყო ჭეშმარიტად გიგანტური საწარმო, რომელიც თავისი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიით თითქმის ნახევარ არმიას ამარაგებდა. ჭვემეხების ლულეები, რომლებიც ადგილიდან ადგილზე ამწებით გადაჰქონდათ, უზარმაზარ საამქროებში სათამაშოებივით სჩანდნენ. ქარხნის ეზოებში, სადაც მზა პროდუქცია პირდაპირ პლატფორმებზე იტვირთებოდა, იმდენი ჭვემეხი იყო, რომ მარკუშევის ამდენი არასოდეს არ უნახავს ფრონტზე. თვით უდიდეს შეტევების დროსაც კი.

მაგრამ მთავარი, რამაც იგი გააოცა, იყო ოცი თუ ოცდაათი ათასიანი არმია ადამიანებისა, რომელთაც, ყოველივე ნიშნის მიხედვით, ღირეჰტორ-

თან ერთად სრულუფლებიანად განაგებდა ეს პატარა კაცი, რომელსაც ისინი ჭარხანაში დაჰყავდა.

ამ დღესაც კი მას არასდროს არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო გამყოლის როლით, რაც თავისი ნებით იკისრა. ხან აქ, ხან იქ, ყველგან მფლუნობდა ზოლმე სამჭროების უფროსებს, ოსტატებს და გზადაგზამჭრელებს მთელ ბრძანებას. და ყოველივე ის, რასაც და როგორც იგი დაპირებულა და როგორც უსმენდნენ, რაღაც მეტისმეტად ჰგავდა არმიაში არსებულ წესს, რაღაც ზუსტ და სხარტ არმიულ ჩვევას.

უკვე თითქმის დამით, დათვლიერების დამთავრებისას, ივინი საცდელ ლაბორატორიაში მოხვდნენ. მთავარი ინჟინერი და მარკუშევი ერთად მივიდნენ კედელთან მდგარ ზარბაზანთან.

— აი უკანასკნელი, — სთქვა ნიკოლსკიმ. — საუკეთესო, რისი გაკეთებაც კი შეეძლებოდა. ერთს ბრიგადაში უკვე გამოსცადეს.

- ვიცი, — მიუგო მარკუშევი. — ჩვენს ბრიგადაში.
- თქვენსაში?
- დიად.
- მერმე, როგორია?
- ხუთი ჯგრიით და უფრო მეტიც.
- სასიამოვნო რამეებს მეუბნებით როგორც საშეფო შეფს? — ღიმილით ჰკითხა ნიკოლსკიმ.

— არა, როგორც მეტაფრი მეთაურს, — მიუგო მარკუშევი და ცოტა ხნის დუმის შემდეგ დაუმატა: — ტანების წინააღმდეგ რომ ასეთი ლაშხებით დაგვეწყო ომის პირველსავე თვეებში, ძველ არტილერიისთა შორის ბევრი როდი დაიღუპებოდა.

— მგონია, რომ აგრეა, — უთხრა ნიკოლსკიმ. — მაგრამ მათს შესაქმნელად საჭირო იყო წლები.

— დიად, მარტო ქირურგები როდი იხსნიან ადამიანთა სიცოცხლეს, თქვენც იხსნით. — სთქვა მარკუშევი, — გესმით? — მერმე თვალი გაუსწორა ნიკოლსკის და დაუმატა: — მოდი დაევიწყოთ გუშინდელი ამბავი. მე უღირსად და სულელურად მოვიქეცი.

— თქვენც მამართიეთ გუშინდელი სიმწევე, მაგრამ გუშინ მე სხვანაირად არ შემიძლო.

— აი სწორედ იმიტომ, რომ გუშინ თქვენ სხვანაირად არ შეგიძლოთ მოქცეულიყავით, სწორედ იმიტომ ვითხოვ პატიებას. სხვანაირად როდი გთხოვდით. და იცით რა? მოდი ერთხელ კიდევ ისე მოვიქცეთ, თითქოს უცნობები ვიყოთ და მესამეჯერ გავეცნოთ ერთმანეთს საბოლოოდ.

- მარკუშევი, — სთქვა მან და ხელი გაუწოდა ნიკოლსკის.
- ნიკოლსკი, — მიუგო ნიკოლსკიმ და მანაც ხელი გაუწოდა.
- ძალიან სასიამოვნოა, — გაიღიმა მარკუშევი.
- ჩემთვისაც, — მიუგო ნიკოლსკიმ, თვითონაც გაიღიმა და დაუმატა: — ჩვენ რაღაც დიდი ხანია პაპიროსი არ მოგვიწევია. არ ინებებთ?

მე ისევ მახსოვს

ბავშვობის სატრფოვ — გულს რომ აკვდები —
სად დამეკარგე, მაისის მსგავსო?!
შენი ციური სახის ნაკვთები
რათ მავიწყდება, რათ აღარ მახსოვს?

მაგრამ ის, რითაც მანეტარებდი,
რაც უტკბეს სიზმარს სიცოცხლეს აქსოვს,
დღეს, მდგომს პირისპირ კუბოს კარებთან,
მე ისევ მახსოვს, მე ისევ მახსოვს!

30 აპრილი, 1945 წ.
თბილისი.

ღიმილი

ნაწვიმარ მიწას მზე ეფრქვევა. ფრინველთ ნავარდი
ისმის ჰაერში. შრიალებენ ფოთლები ხისა.
ზევით — უძირო, უნაპირო ცისა ლავევარდი,
როგორც ღიმილი უკვდავების და სიცოცხლისა.

რადაც დიადია, გულს უეცრად ხელი შეახო,
რადაც სინაილე იღუმალი ჩემში ინთება...
ვიგრძენი წუთით: თითქოს ღმერთი სდგას შორი-ახლო,
ღიმილით უსმენს ჩემს გულისტქმას და... მაკვირდება.

6 მაისი, 1945 წ.
თბილისი.

ღაპიწყება

მახსოვს, ოდესღაც, ეს საფლავი იყო შემკული,
ვიღაც უვლიდა მას ერთგულათ და მოკრძალებით,
თუჯის მოაჯირს ეხვეოდა ყვავილთ კრებული,
სჩანდა სურათიც ნორჩი ქალის მოგრძო თვალებით.

პატარა სკამზე, ჯვარის ახლოს, ისე ვით ცვარი,
მომსხო წვეთები დაფრქვეული ზშირათ მინახავს,
და მიფიქრია, თუ ვინ არის, სატრფო თუ ქმარი,
ვინც ამ სამარეს ასე უვლის, ასე ინახავს?

წაქცეულ ჯვართან ეკლის ბარდებს დღეს ქარი ჰკეცავს.
გამხმარ ყვავილთა და დაღეწილ სკამის მახლობლათ
მხოლოდ სურათი გაცრეცილი ქანაობს ობლათ
და ბრმა თვალებით ის გაჰყურებს უძირო ზეცას.

11 მაისი, 1945 წ.
თბილისი.



შეთქმული ქვეყრი

წიგნიდან: „ჩემს ძველ სახლში“

დიდ უარზე იდგა ოსტატმა: ნუ მოხდი, შეთქმული გაქვს, ბიჭი კარს მოადგება და ჯღვინოთ ზომ შერცხვებით.

ხელიც კი წაატანა ქვეყრის თავზე მოფუსფუსე დედაბერს, რომელიც დაინებით იმეორებდა: ღვინით თუ არ დავილოცეთ, ახალ ჭერქვეშ ცხოვრებას რა მადლი ექნება, სახლი უნდა გამხიარულდეს, ვაჟაკის ხმა გაიგონოსო.

— მაშ სამძიმარა აღარა ვყოფილვარ, თუ ჩემი გიორგის მაგიერობა არ გაეწიე, ოხრად არ დავარჩენ?... ოღონდ ის დამიბრუნდეს და, ღვინოს კი არა... თქვენ რომ დღეს ამაგი დამდეთ, სახლს ჭერი დამიხურეთ... აბა, რა სათქმელია აბა, ეს აიტანეთ და მეც ამოვალ, სუფრა აგაშლილია.

და ჭარმაგმა დედაბერმა ოსტატს ჩაფით ღვინო მიაწოდა. ოსტატსაც აღარ დაუყოვნებია, ჩაფს ღვინოთ დასწვდა, ბიჭებს ანიშნა და კბეებზე აუძღვა.

სამძიმარამ ერთი ჩაფიც ამოიღო ქვეყრიდან, სარქველი ფრთხილად დაბჭურა და მარნის კარი გამოიხურა.



კაკლის ხეებით დაბურული ორღობე გიორგიმ ისე გაიარა, რომ გზაში არაფერს შეხედდრია.

ბინდდებოდა. ამ დროს ზომ ყველა თავის კარზე ფუსფუსებს და მალე, სულ მალე სოფელი ძილს მისცემს თავს.

არც უნდოდა ვინმეს შეხედროდა: დააყოვნებდნენ, სალამს და მოკითხვას ამბის თხრობა მოჰყვებოდა... და... არა, ექვსი თვის შვებულება წინ უდევს ჰოსპიტალიდან გამოწერილ ჯარისკაცს და ყველაფერი, ყველაფერი მოესწრება, — შემოდგომის ბნელ ღამეებში მეზობლებთან თავგადასავლის მოყოლაც და, რაც მთავარია, დაძველებული, კრამიტაყრილი სახლის შეკეთებაც. ბაღებს წვიმა და ქარი ველარ შეაწუხებს ზამთარში. დატრიალდება ოჯახში ვაჟაკი, შერყეულ თავებს ისევ ბურჯად შეუდგება. სასიამო შეხედრის წინ ფრონტელ მეგობრებთან განშორება გაიხსენა და რატომღაც უფრო მწვავედ იგრძნო უმათობა.

— ახ... ნეტამც აქ შევანდნენ ისინიც, არ მოვილხენდით ამაღამ!

გაიფიქრა და მისი გონება ახლა მეზობლებს მისწვდა:

— იმათ მაინც დაეუძახებ, ის ქვეყრი ზომ ჩემთვისაა შეთქმული და... კარის მეზობელს კინაღამ შეეხმიანა, მაგრამ უეცარი გაოცებისაგან შეკრთა და ბაგეებთან მომდგარი ძახილი უნებურად ჩაახშო.

აი, ის დიდი კაკლას ხე ისევ თავის ადგილზე დგას, თითქოს ფოთოლიც

არ მოკლებია მის ახოვან ტოტებს. აი, ეს მცირე ხილის ბუდეც, მის სახლს რომ მარცხნივ აკრავს, მაგრამ სახლი... სახლი რაღა იქნა? ძველი მშობლიური სახლი?..

ეს ქსნის კრამიტით დახურული ახალი შენობა ვისაა? რა იქნა? ფანჯრებიდან შუქი გამოკრთის და თვალს ახარებს. ძიგაა? რა იქნა? ძველი, გვერდზე გადახრილი მშობლიური სახლი რა იქნა?

— გზა თუ ამებნა, — რა ვიცი?.. ეს კაკლის ხე, ეს ჩვენი ბაღია... აი, ჩახრიალა... აგერ წისქვილიც...

ღია კარიდან ხმაური ისმის... ერთის კი არა: ბევრის... აღგზნებული ნაცნობი ხმა. დედის ხმაც გააჩნია, ჭირგადაბდილი, ცხოვრებაში ნაომარი, მაგარი დედაკაცის ომახიანი, მშობლიური ხმა.

გული შეუთრთოლდა. მიხვდა, იგრძნო... აი, ხალხის ძალა, აი, მშობლიური ამაგი. კინალამ მუხლებზე დაეცა, კინალამ აკოცა ამ საყვარელ მიწას, კაკლის განიერ ტანს მიეყრდნო წამით, რომ გულის ცემა შეეჩერებინა, სიგრილემ ერეოლა მოკვებარა, ცრემლი, ტკბილი ცრემლი მოსწყდა თვალს და გულს დაუყუჩება უბრძანა.

კაკლის ხეს მოსცილდა და ფრთხილად შეალო ეზოს კარი. კარმა სუსტად დაიჭრიალა. ისე, როგორც წინად, ამ სამი წლის წინად დაიჭრიალებდა ზოლმე. ფრთხილი ნაბიჯით აპყვა კიბეს და აიენის მოაჯირს მიადგა.

ღია კარიდან გრძლად გაშლილ სუფრაზე ჯერ დედას მოკვრა თვალი. დიად, სუფრის თავში იჯდა თავსაფრიანი ქართული ქალი, ხელში ხელადა ეჭირა და ჯამში ღვინოს ასხამდა. დედის გვერდით ქალაჩა ოსტატი იდგა. ფეხზე იდგა და რაღაცას ამბობდა. ალბათ სადღეგრძელოს.

ხმა ესმოდა გიორგის — სიტყვა კი არა... გულის და სმენის ყური ჯერ დახშული ჰქონდა.

შემდეგ სახეანთებული, სუფრის აქეთ-იქით დამწკრივებული შეზობლები დაინახა. სულ ბოლოს, სუფრის ბოლოში თავისი ცოლის ოდნავ მოხრილი მხრები დაინახა: კარისკენ ზურგმკეპცეული იჯდა, მაგრამ გიორგის ისე მოეჩვენა, თითქოს მის სევდიან სახეს მაინც ხედავდა. ბალებს მისჯდომოდა და აშოშმინებდა, აპურებდა. მათს პაწაწინა მხრებსაც დააკვირდა სიყვარულით. გული შეუტოკდა, ნაბიჯი წადგა წინ, მაგრამ ისევ შეჩერდა, ეხლა-ღა გაარკვია მოლაპარაკის სიტყვები:

— აბა, მაშრა გვექნა, — ამბობდა ოსტატი და სამძიმარას შეჰყურებდა, — სოფელს ასი ხელი იმიტომ აქვს, რომ მარტოხელს და გაჭირვებულს წაამგელოს; ჩვენთვის ამ კედლების ამოყვანა წამია, თქვენ კი სიცოცხლეს წაგართმევდათ... ალალი იყოს ჩვენი ამაგი თქვენზე... ნეტამც გიორგის ორდენებით აყვავებული მკერდი დაგვანახვა და...

უნებურად მკერდზე დაიხედა გიორგიმ და კვლავ წადგა ნაბიჯი წინ. სადღეგრძელო ღობურად ჩამოტარდა.

— სადღეგრძელო. მასპინძელო, სადღეგრძელო დალიე შეილისა! — ღიმილით უთხრა ოსტატმა დედას და უღვაშები ჩამოიწმინდა.

— სადღეგრძელოსაც დავლევ და სამადლობელსაც ვიტყვი ჩემი ბიჭს მაგიერად... თქვენ რომ ამაგი დამდეთ, თქვენ რომ მეზობლობა გამიწიეთ... „მე ვიტყვი სამადლობელს... მე თვითონ“...

ვაიფიქრა გიორგიმ და ღია კარის ზღურბლს მიადგა.

ბირველად დედამ დაინახა კარის ზღურბლზე გაჩერებული შვილი.

ღვინით სავსე ჯამის დადგმა ვეღარ მოიაზრა და ისე გაიქცა მისკენ, თითქოს სამადლობელი უნდა ათქმევინოსო.

— შეილო, შეილო... გიორგი...

ყველაზე ბოლოს კარისკენ ზურგით მჯდომმა ცოლმა შეიქცა და შეიქცა და, მობრუნდა და, აცრემლებული ღედის თავსაფრის ზემოდან გიორგიმ ეხლა კი ნამდვილად დაინახა მისი ოდნავ გამხდარი სევდიანი სახე.



როცა ოთახში სიწყნარე ჩამოვარდა, გიორგიმ ნაბოლარა ბაღლი, რომელიც მის მკერდზე ბრჭყვიალა ნიშნებს ეთამაშებოდა, ღედას გადააწოდა, ღვინით სავსე ჯამი ჩამოართვა და თანამესუფრეთ გადახედა.

— შემოსასწრებსაც დავლევ, სამადლობელსაც და კარგადაც მოვიღებინოთ მეზობლებო... გზაში თქვენ გნატრობდით...

მოხუცი ოსტატი, რომელსაც თვალებში ცრემლი უბრწყინავდა, ფეხზე წამოდგა და სუფრის თავში მჯდომ სამძიმარას ღიმილით უთხრა:

— ჭალო, კი არ მიწყინო, მაგრამ... ქვევრი რო მოჰხადე, ბიჭს ხომ არ ელოდი, ხომ არა იცოდი რა?

ბედნიერმა ღედამ შეიღას სიყვარულით შეჰხედა, ახალი სახლის თავებს გაუღიმა და წამოიძახა:

— მაშ, მაშ... ვიცოდი... გულმა იცოდა!

ძველი სახლის თავზე

ღვინოს სატევარსავეთ ორი პირი აქვს. მაგრამ სატევრის ორივე პირისათვის ოსტატს თანაბარი ეშხი, ძალა და ელვარება მიუცია. ბახუსისათვის მას არ მიუბაძავს. ბახუსს საქართველოს ორლობებში ხშირად უბარბაცნია, მან იცის, რომ აღმართს დაღმართი მოსდევს, მის ჯიშთან ცრემლს ჯერ ნათელი ფერი დაჰკრავს, მერმე ბნელი. ჯერ შეგახურებს, გვერდში ამოგიდგება, წაგატეხებს, თავბრუს დაგახვევს და უზრუნველი სიძლერით აგიყვანს მწვერვალზე, შემდეგ კი, თვალებში ჩაგხედავს, უთუოდ დაგცინებს, შენს მოქანცულ სახეს რომ დაინახავს, შენი უღონობა მას სდცილს მოჰგვრის, ახითხითდება და მიგატოვებს.

იწყება თავქვე დაშვება, გამოფხიზლება, გულისტკივილი.

ბნელი პირი სატევრისა შენს წინ აღიმართება და ჰქრება ნათელი სხივი, რომელიც წინ მიგიძღოდა.

მართლაც რომ ღვინოს სატევარსავეთ ორი პირი აქვს...

გულაღმა ვწევარ, ჩემი ძველი სახლის გრძელ თავებს შევყურებ და ვიხსენებ წუხანდელს... ცოდვის გამხელა სინიდისის ქენჯნის ნახევარს მაინც აქრობს.

დამათრო წუხელ ბერკაცმა, დაღლილი თუ ვიყავ. შევყვევით და დიდხანს ვისაუბრეთ, თან ესვამდით ქართლის რქაწითელს, რომელმაც შეგმარავე ტყუილი იცის.

მამანემის მთელი შთამომავლობა სუფრას უსხდა. ჩემი ბავშვები მამანემს ისე შესცქეროდნენ და უსმენდნენ, როგორც ოდესღაც მე პაპაჩემს შევყურებდი. ვიჯექ მათს შორის და ფიქრით ვხედავდი ჩემს შვილიშვილებს, ჩემს თავს მათთან მჯდომს, მოსაუბრეს.

და მიხროდა, მიხაროდა... ვიცნობდი, იცით, როგორ?... ვიყავი მზიარული და ბედნიერი... ისეთი ბედნიერი, რომ ხელს მზარავს მოგონება: დიდი ბედნიერება ხომ უბედურების გვერდით დგას... ავიყვანე ხელში ჩემი ოჯახის ბურჯი, ჩემი ბედი და ჩემი ვაჟოც თვალბში.

მის დიდ, ნათელ თვალბში გაოცება კრთოდა: ჰკვირობდა, მუდამ პირქუში მამის მოთვინიერებას და ალბად ნატრობდა ამ წუთების მარადისობას. ცბიერი ღიმილიც შეენიშნე მის თვალბს, უხერხული, ეშმაკური გამოხედვა. ჩემს გულჩვილობას თუ დასცინა ჩემმა შთამომავალმა.

შოხუცები და ბავშვები ხომ განუყრელი მეგობრები არიან. როგორც არიფნი სხედან და ტკბილად ლუღუნებენ მეორე ოთახში.

შინდა წამოდგე, გავიდე მათთან, მაგრამ ვშიშობ, მე თითქოს უცხო ვარ მათთვის: ჩავდგები მათს შორის, როგორც ხიდი, რომელიც ერთი მხრიდან მომავალ ვზას მეორესთან აერთებს და... ჰყოფს, აშორებს კიდევ. ვიცი გაჩუმდებიან. მათი თავისუფლება შეიზღუდება, სჯობს აქედან ვუსმინო.

გარედან თვითმფრინავების გუგუნე ისმის.

ბავშვები აღარ გარბიან აივანზე. ისინი შეეჩვივნენ ამ ხმას.

— ჩვენი!

იძახის ერთი და გაოცებით შეჰყურებს დიდიდედას, რომელიც პირჯვარს ისახავს და სასოებით ჩურჩულებს:

— ღმერთო, შეამაგრე ამ ოჯახის თავზე, არ დაანგრიო ეს სახლი.

— ვინ უნდა დაანგრიოს ჩვენი სახლი?!

კითხულობს ოჯახის ბურჯი, კალთაში უჯდება დიდიდედას და გამომცდელი თვალბებით აშტერდება მას.

— არაფერ შვილო...

— ჰო, არაფერ, განა არ ვიცი, გერმანელებმა!

— გერმანელები ჩვენს სახლს ვერ დაანგრევენ, შვილო...

— ჰო, თუ ეუბნებარა ჩანთაგდეს, ხომ დაინგრევა.

— ვერა, შვილო, გერმანელების ყუმბარა ვერაფერს დააკლებს ჩვენს სახლს!

ამშიდებს დიდიდედა შვილიშვილებს და ოხვრით უმატებს:

— ან სად არიან გერმანიის თვითმფრინავები?..

— სად არიან? განა ვერ ვცნობ მათ ხმას... ჩიკორივით ბზუიან!

ეს აღმოჩენა და შედარება ალბათ მას ეკუთვნის, რომ ეს პატარა კოლუმბი ამაყად იჯგიმება და სერიოზულად დასცქერის სახლიკაცების დაფიჭრებულ სახეებს.

— ჩვენი სახლი მაშინ დაინგრევა, — ამბობს სევდიანი ხმით მოხუცი, — თუ ჩვენი ბიჭები არ დაბრუნდებიან! მაგრამ ეს კი არასოდეს არ მოხდება...

— რად დაინგრევა, ყუმბარა ვერაფერს დააკლებს და...

— თუ ამოწყდებით, სახლიც დაინგრევა და კარიც...

— მერე ჩვენ, დიდიდედავ, ჩვენ?..

დიდიდედა თვალბში ჰკოცნის ოჯახის ბურჯს, საუბარში პაპა ერევა-მესმის მისი ღინჯი, მონოტონური ხმა:

— ჩენი სახლი არ დაინგრევა... თუნდ მიწასთან გასწორდეს, არ დაინგრევა. თქვენ ააშენებთ ახალს, უფრო ნათელს, ბედნიერს.

ვესმენ ამ საუბარს და ვხედავ წარსულს კვამლში ახანძრულს... მხრებულ საქართველოს, სდუმან ნასახლარები. ნასახლარებში შექცევიან სახლები. ფერფლად და ნაცრად ქცეულან სოფლები, ჩამონგრეულან ქართული აივნები და დაბურული ტყის ბილიკით, ქართლის გრძელი გზით კახეთიდან მოდის ჭაბუკი, მას სადავით მოჰყავს შავი ცხენი...

უკულმა შეუკაზმავს ბედაური ჭაბუკს, შავი სამკერდულით მოურთავს, მოჰყავს სადავით და მოქანცული მწერით ათვალეირებს უცნობ მიღამოს. უახლოვდება ძველი სახლის ნასახლარს. ქართლის სევდიან შემოგარეს აცქერდება.

დამწვარა ქართლიც. უბედობის გრივალს ისიც გაუნადგურებია. მართო კახეთს არ სწყვევია შავი ჭირი: ძველ, ჭარმაგ ქართლსაც გაუზიარებია იავარქმნილი მის ბედი.

უახლოვდება ჭაბუკი ძველი სახლის ნასახლარს. დაღუპული ვაეკაციის გორდა დაუბლუჯავს. ხურჯინში ამ ხმლით დაკეპილი რკინის ნაჭრები ჩაულაგებია და მოდის უმაგალითო ვაეკაცობის მაცნე, რომ შეასრულოს დაღუპულის უკანასკნელი ნატვრა, მისი ანდერძი: უნდა გადასცეს არწივის მართეებს მამის ჭანგები... დაიხრდებიან შურისძიებად...

ათვალეირებს ჭაბუკი ნასახლარს.

ჩამონგრეულა ჭერი, გამურულან კედლები, გადაუწვათ სამტრედე. ნაცრად ქცეულა საფურცრე. ფურცელი არ იძვრის საფურცლეში... მხოლოდ თავზე, ძველისძველი თავზე შერჩენია კედლისთავებს. ცეცხლს ვერ შთაუნთქავს თავზე.

ნასახლართან, ძველი კაკლისქვეშ, ზავსიან ნიშთან ზის დედაბერი, შვილიშვილებს აპურებს... შეხედავს ჭაბუკს, შავ ბედაურს, შეიცხადებს. აკანკალდება. უხმო ქვითინით დაუკოცნის თვალებს ჯერ მაცნეს, მერმე შავ ბედაურს. აგონდება როგორ დაულოცა შვილს გზა, როგორ გასწირა ქვეყნისათვის მისი ძვირფასი სული.

ვენახი აუჩეხავთ, ნაცრად ქცეულა მარანი, ზანძარს დაუხეთქავს ქვევრები, ბავშვები ნაყრდებიან სატაცურას და სოკოს ფუშრუკით, პაგრამ ეს ზომ საქართველოა: ქართლის მკაბე ღვინით უვსებენ წაფურას კახელს...

შეხედავს ჭაბუკი გარუჯულ თავზეს და სვამს მის საღლეგრძელს...

და აღსდგა შემდეგ სახლი ფენიქსებრ.

დამშვენდა ეზო. რქაწითელმა იყარა რქა წითელი. ბაღში აყვავდა თურაშაული, ვაყებმა მოირგავს მამის ჭანგები და გაჰყვენენ არწივის კვალს.

ბავშვები გარეთ გასულან, ეზოდან ისმის მათი ყვილი. თვითმფრინავს შესძახიან ისინი:

— ჩენია, ჩენია, ჩენია...

შევყურებ თავზეს და ვფიქრობ:

არ დაინგრევა ძველი სახლი, არ დაიწვის თავზე. თვით საქართველოა იგი.

ალიო მახაშვილი

მ რ ი ლ ე ქ ს ი

უამოდგომა

დაიგუგუნა მეხმა მეხურად,
დასცა, დალეწა ქარმა რტოები,
წვიმას დაასწრო ერთმა ბელურამ,
ტოტზე შემოჯდა განმარტოებით.

ხე იშმუშნება, ეძებს ლაფაროს, —
როგორმე თავი, რომ შეაფაროს.

ქარი ჰქრის, გმინავს, ბელურას ცივა,
მატულობს წვიმა... და ნაწყვეტებით
ტოტიდან ცივა გაბნეულ მძივად
წვიმის და ცრემლის თეთრი წვეთები.

ვაჰ, თუ ბუდეში აწვიმს პატარებს,
ამდროს ამ ქარში რა გაატარებს?

ისევ წვიმს, ელავს, ისმის გუგუნო,
დაჰქრის ქარი თუ მავნე სულია,
უახლოვდება სოფელს უკუნი,
ღრუბლის მღვიმეში მზე ჩასულია.

ქარი ჰქრის, წვიმას ვერ იგერიებს,
ანჩხლობს, ქოხებში აქრობს კერიებს.

რა ქნას ბელურამ, სახლში უცდიან,
სულ ერთი-კონა მიაქვს თავთავი,
დღემდე სიმშლი არ განუცდია,
შინ გულჩიორა ჰყავს მომაკვდავი.

ქარი ჰქრის, წვიმს და... ცივა ბელურას, —
თავზე ფოთოლი წამოეხურა.

ციცინათულა



რა დილა იყო ის წინა-დილა,
 ჰქროდნენ ფიჭვები ნიაქარულად,
 შემოჭრილიყო ციციანათულა
 ღიათ დარჩენილ გულში ფარულად,
 შემდეგ ამდგარა და გაპარულა.

ღამით მოსულა ის უჩინარი,
 მსურდა სინათლე, მზისკენ ვიღწოდი,
 ვეომებოდი ფიჭვს უძინარი,
 და მთელი-ღამე, თურმე, ვიწოდი,
 ცეცხლი შეკიდა, მე რა ვიცოდი?

და სიყვარულის იმ ნაბერწკალმა
 უცებ ამინთო გულში ზანძარი,
 ელვისფრთიანმა ერთმა მერცხალმა
 დამწვა, დამფერფლა, როგორც ნაცარი,
 გარედ გამოსვლა ვერ მოვასწარი.

ტფილისი. 1945 წ.
 10 მაისი.

ხალხური სიმღერა

შეხედე, ყორღანთან კამკამა ნაკადულს,
ცრემლივით მდინარი ტრამალზე ჩხრიალებს.
აქ იმის ვერცხლისფერ ტალღების სარკეში,
მთოვარის შუქი და მზის სხივი ციალებს.

მის ფსკერზე ანკარა წყაროა ფარული,
უშრეტი სიცოცხლის ჩახჩახით მჩქეფარე,
ის ჰვეებავს დღემუდამ პატარა ყვაევილებს,
ველებს რომ ამშვენებს გარშემო მდებარეს.

გვაცოცხლებს ეს წყარო საამურ დინებით,
საესეა ის ხალხის მღვდარე ნაღველით.
ჩუხჩუხებს იმაში გულისთქმა მართალი,
მარადი ტრფიალის ანთებით მდაგველი.

და ისე, ვით წყაროს სათავეს იღუმაღს,
წიაღით ამოაქვს ნაკადი უღევი, —
ჩვენ გვესმის აქ ხალხის მწუხარე სიმღერა,
რომ ცეცხლის ალივით აგვინთოს გულები.

თარგმანი პოლიო აბრაამიანი.

ემინ ჩეკანი

ემინ ჩეკანი თანამედროვე არაბეთის აღმოსავლეთის ყველაზე პოპულარული მწერალია. იგი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების არაბ კოლონისტთა წრიდან არის გამოსული. არაბთა ემიგრაცია ამერიკაში დაიწყო წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როდესაც რამდენიმე ბეთლემელმა ხელოსანმა გაიტანა ფილადელფიის გამოფენაზე პალესტინის ინკრუსტირებული ნახელავის ნიმუშები. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. მალე ამის შემდეგ ამერიკაში გააქვთ ლიბანის აბრეშუმი და დამასკის ქსაივლები, ასეთივე შედეგებით.

ამ დროიდან იწყება ლიბანისა და სირიის მეწარმეთა გადასახლება ახალ ქვეყანაში. პირველ ხანებში მათი რიცხვი რამდენიმე ათეულს არ აღემატება, შემდეგ კი ყოველწლიურად უკვე მრავალი ათასი არაბი სტოვეშს თავის სამშობლოს ბედის საძებრად ოკეანის იქითა მხარეში. მათი რიცხვი ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ამერიკაში გადასახლდა სირიის მთელი მოსახლეობის მეოთხედი, ხოლო ზოგიერთი რაიონიდან — თითქმის ნახევარიც კი.

ამჟამად ამერიკაში ნახევარ მილიონამდე არაბს ვარაუდობენ. ისინი ცხოვრობენ უმთავრესად ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრაზილიაში, ნაწილობრივ კანადასა და მექსიკაში, აგრეთვე არგენტინაში, კოლუმბიაში და სხვაგან. ემიგრანტთა უმეტესობა ვაჭრობას მისდევს. ქონების შექმნის შემდეგ ნაწილი სამშობლოში ბრუნდება. ზოგი თავის დანაზოგს შინ გზავნის სახლებისა და მანულის შესაძენად. ამის შედეგია, რომ ლიბანის სოფლები გასაოცრად განსხვავდებიან არაბეთის აღმოსავლეთის სხვა დასახლებული ადგილებისაგან ევროპულად მოწყობილი სახლებით.

ემიგრაციის ასეთი მასშტაბი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა მეტროპოლიის არა მარტო ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ვაჭრებისა და საქმის კაცების გვერდით ამერიკის არაბთა შორის ჩნდებიან მასწავლებლები, მწერლები, ჟურნალისტები, რომელთა მოღვაწეობისათვისაც საკმაო ნიადაგია მომზადებული. არსდება ჟურნალები (მათ შორის ძვირფასად ილუსტრირებული ჟურნალი ხელოვნების დარგში), გაზეთები და სხვა პერიოდული გამოცემები, რომლების რიცხვი მრავალ ათეულს აღემატება. ყალიბდება თეატრალური, ლიტერატურული და სხვა ზასიათის წრეები, რომლებმაც ისეთი გავლენა მოიპოვეს ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რომ ზოგჯერ მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ნათ ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარებისას. ამ წრეების თანამშრომლები გამოდიან საჯარო ლექციებით და მოხსენებებით არაბულ, ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალურ ენებზე და ცხოველი ინტერესი

ეხმაურებიან ყოველგვარ მნიშვნელოვან მოვლენას თავიანთი ქვეყნის ისტორიიდან.

ამერიკაში იქმნება თავისებური ხასიათის არაბული ლიტერატურა, რომელიც ზოგადად და საერთოდ ტრადიციულ არაბულ მწერლობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მას ამასთანავე ახასიათებს მთელი რიგი თვისებები, რომლების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ ამერიკაში არაბთა ცხოვრების პირობებით. ეს თავისებურება თავს იჩენს არა მარტო ახალს იდეებში, არამედ აგრეთვე არაბული მწერლობისათვის მანამდე უცნობი ფორმების განვითარებაში. უცხოეთში შექმნილი ამ „არაბულ-ამერიკული“ ლიტერატურის წარმომადგენლები გაბედულად უარყოფენ ტრადიციულ ფორმებს, ძველთაგან დაკანონებულს სტილს და ინტერესს იჩენენ არაბული მწერლობისათვის მანამდე უცნობი პროზაული *essai*-ებისა და ლექსებისადმი პროზით.

ახალი მიმდინარეობის „სირიულ-ამერიკულ სკოლას“ სათავეში უდგას ნიუ-იორკის ლიტერატურული წრე „არ-რაბიტა ალ-კალამია“ („მწერალთა კავშირი“). რომელსაც ხელმძღვანელობს თანამედროვე არაბული ლიტერატურის ორი გამოჩენილი წარმომადგენელი ჯებრან ჯებრანი (1883 — 1931) და ემინ რეჰაჰანი (1879 — 1940).



ემინ რეჰაჰანი თორმეტი წლის იყო, როდესაც პირველად გაემგზავრა თავის სამშობლო ლიბანიდან ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც თვითონ გადმოგვცემს, მაშინ მან მცირეოდენი არაბულისა და ფრანგულის გარდა არა იცოდა-რა. არაბებისა და მათი აზვების შესახებ არა გაეგებოდა-რა, გარდა იმისა, რასაც ეუბნებიან დედები ლიბანში თავიანთ ბავშვებს: „ჩუ, მოვიდა ბედუინი! „ბედუინი“ და „არაბიელი“ მხოლოდ, როდესაც სურს დედას შეაშინოს თავისი პატარა „ბუას“ საშუალებით“. დასტოვა თავისი სამშობლო, და გულში მათი შიში ჰქონდა, ვის ენახებოდაც ლაპარაკობდა, მათი სიძულვილი, ვისი სისხლიც იყო მის ძარღვებში, და „ეს შიში და სიძულვილი პარმონიულად შეეხამებოდა უვიცობას“. ფრანგებზე კი, იმ ცნობების მიხედვით, რომლებსაც სკოლა ავრცელებდა ლიბანში, მას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ ეს არის „უდიდესი ხალხი ქვეყანაზე, უკეთილშობილესი, უმდიდრესი და უპირატესი; ეს არის ვარსკვლავი ცივილიზაციისა, ტახტი სინათლისა და სილამაზისა, ფარშევანი-ვი ხალხთა შორის“.

ახალს სამშობლოში ახალგაზრდა ემინი, გაოცებული და მოზიბლული ამერიკელი ხალხის ენერჯით, სიტყვისა და აზრის თავისუფლების სიყვარულით, ცდილობს შეიძინოს ცოდნა და ახლოს გაიცნოს ამ ალთქმული ქვეყნის სულიერი და გონებრივი საგანძური. დააიწყა მას ყოველივე ფრანგული, გარდა მწერლობისა, იმ მწერლობისა, რომელმაც „შეჰმატა მას უძღურება და მერყეობა“, შეაძლებინა უარყოფა ინტერესი პატერიალური კეთილდღეობისადმი და გაუღვიძა სურვილი ინტელექტის ყოფის შეცნობისა. ხოლო ინგლისური ლიტერატურის საშუალებით იგი ახლოს გაეცნო ინგლისის ხალხს, რომელიც „აღმოჩნდა მისთვის, მრავალმხრივ, — ზნეობრივი და სოციალური თვალსაზრისით, უპირატესი ამერიკელებთან

შედარებით, ან უფრო საყვარელი ისეთებისათვის, როგორც თვითონ იყო. ინგლისელთა ამ უპირატესობის შეგნებამ შეაძლებინა მას გადარჩენილიყო გამგრიკელების იმ სენისაგან, რომლითაც ბევრი ემიგრანტი არაბი იყო შეპყრობილი. ამაში ღვაწლი მიუძღვის ახალი ქვეყნის მთავარ მოაზროვნეს ემერსონს, რომლის ნაწერების საშუალებით შესძლო მან დენნახა ინგლისელი ხალხის დადებითი თვისებები. ემერსონმა გააცნო იგი აგრეთვე კარლელს, ხოლო ეს უკანასკნელი პირველი იყო, რომელმაც დაუბრუნა რეპანი ოკეანის იქითა მხრიდან არაბეთის ქვეყანას. „შეიძლება გაცემა გამოიწვიოს, თუ ეიტყვი, — ამბობს ემინი თავის ავტობიოგრაფიულ ესკიზში, რომ ინგლისელის საშუალებით გავიციანი მე არაბთა დიდი მეუფე მაჰმად წინასწარმეტყველი. და პირველად ვიგრძენი რაღაც სიყვარულის მსგავსი რამ არაბთა მიმართ“.

მასში გაიღვიძა ძლიერმა სურვილმა შეესწავლა თავისი ხალხი, მისი ისტორია, მწერლობა. იგი კითხულობს წიგნს ალ-ჰამბრას შესახებ, ალტაცებული მუსლიმანური ხელოვნების ამ შესანიშნავი ძეგლით, რომელიც წარმოადგენს „მარგალიტს არაბული გვირგვინისას ანდალუსიაში“. ეცნობა აბუ ლ-ალა მარრის, X—XI საუკუნის ბრმა პოეტს და ფილოსოფოსს, რომელმაც ესოდენი გავლენა მოახდინა დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ და რომელიც ერთად-ერთია არაბ პოეტთაგან, მსოფლიო ლიტერატურაში საბატიო ადგილის დაპერის უფლებას რომ უტოვებენ. იგი თანდათან სწავლობს არაბულ ენას, მწერლობას, და „მის გონებას, შეზავებულა ამერიკულის, ფრანგულისა და ინგლისურისაგან, ემატება არაბულ-აღმოსავლური“. ამგვარად, ეს დასწავლებული ლიბანელი, საოცრად თავდაპირვლი, განსხვავებით ჩვეულებრივ ექსპანსიური არაბებისაგან, პარალელბული მარცხენა ხელით, დაეხეტება ნიუ-იორკის ქუჩებში, „დამწუხრებული, მტვირთველი წიგნისა“. იგი უკავშირდება ამერიკულ არტისტულ-ლიტერატურულ ბოქმას, მოღვაწეობს თეატრში, თანამშრომლობს პრესაში, ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას. პირველ ხანებში იგი ინგლისურად სწერს, და მხოლოდ 1901 წლიდან იწყებს არაბული ენის გამოყენებას თავის სამწერლობო მოღვაწეობაში, თუმცა შემდეგშიც არ ივიწყებს ინგლისურს და თავის 1912 წელს გამოსულს რომან-პოემას „ხალიდის წიგნი“ (The Book of Khalid) ინგლისურად წერს. დამახასიათებელია მისთვის, ერთის მხრით, ნიკრე წერილები, ეტიუდები სხვადასხვა თემაზე, როგორცია ეთიკისა და პოლიტიკის საკითხები, სოციალური და ლიტერატურული პრობლემები; მეორე მხრით — ლექსები პროზით, პირველად მის მიერ ფართოდ გამოყენებული არაბულს მწერლობაში. „ალტაცებული პირველ ხანებში ყოველგვარი ამერიკულით და ევროპულით, იგი მალე ამჩნევს საშინელ სიყალბეს, რომელიც თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციას უდევს საფუძვლად, და დაუნდობლად ამხელს ცხოვრების წინააღმდეგობებს „თავისუფლების“ ქვეყანაში“ („ასეთ დღეს ჰიენაც კი საყვარელია“). თავმობეზრებული, მოყრიჭებული და გულგატეხილი დასავლური ცივილიზაციით, იგი გაურბის მას და უბრუნდება მშობლიურ ბუნებას. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი საუკეთესო ნაწარმოებები, მათ შორის, ლექსები პროზად, რომლების ერთი ნიმუში ქვემოთ მოგვყავს.

რეპანის სახელს ლიბანის ველების არომატი ახლავს. არა ნარტო იმიტომ, რომ რეპანი არაბულად ბაზილიკს ნიშნავს (აქედან ქართული

რეპანე). არც იმის გამო, რომ ლიბანიდან არის პოეტი, ამ სხეულის შეტარებელი. არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ ამ არომატიან არის გაქვნილი ნათელი მისი პოეზია. იგი გრძნობს მას და ყნოსავს მამულებს, როდესაც უშუალოდ განიცდის თავის სამშობლო ლიბანის კედრთა სუნსა და მასწავს, როდესაც ბრუკლინის ხიდზე დგას ნიუ-იორკში. მთელს არაბულს პოეზიაში ვერ პოულობენ მეორე პოეტს, რომელსაც ისეთი ძლიერი გრძნობა ჰქონდეს ბუნებისა, როგორც ემინ რეჰჰანის აქვს. „პოეზია და ბუნება მისთვის განუყოფელია. დაქანებული სული ცდილობს შეეხოს ბუნებას, რათა სიმშვიდე პოვოს“. ამ დროს იზაბელა შედევრები მისი პოეზიისა, ამ დროს პათოსი ბიბლიურს სახელებს აღწევს. „თეთრი ლექსი“ ქღერს როგორც მონუმენტალური მუსიკალური ნაწარმოები, როგორც ჰიმნი ან სავალალობელი უზენაესი ღვთაების მიმართ.

თავის ერთს წერილში ემინ რეჰჰანი ამბობს: „ლიბანზე ჩემი სულია, გული — პარიზში, ხოლო სხეული ამჟამად — ნიუ-იორკში“. მიუხედავად იმისა, რომ თავისი პაროქენების შემადგენელი ელემენტები ემინმა სხვადასხვა კონტინენტზე გაანაწილა, იგი მაინც არაბია, ნამდვილი არაბიელი, სახელდობრ ლიბანელი. ლიბანი არის მის ოცნებათა და ნატურათა მისაქცეველი, მისი კეთილშობილი და გულწრფელი სიყვარულის საგანი, — ლიბანის ეს მთა, რომელიც აღძრავს ფანტასტურს წარმოდგენებს წარსული დიდების შესახებ, კედრთა ზეივნებით, ცაში აზიდული სპილენძისა და მარმარილოს სასახლეებით, ქურციკთა ჯოგებით, მის ფერდობებზე რომ სძოვდნენ. მაგრამ ამ უსაზღვრო სიყვარულს სამშობლო ბუნების მიმართ თან ახლავს წარმოუდგენელი მწუხარება, და ეს ორი გრძნობა — სევდა და სიყვარული — განსაზღვრავს ემინის ნერვიულ პოეტურ ბუნებას. ესენი არიან წყარო იმ უსაზღვრო პათოსისა, რომლითაც ასე გამოირჩევა ამ ევროპულ სმოკინგში გამოწყობილი არაბის მთელი შემოქმედება.

მაგრამ ემინ რეჰჰანი მაინც ორი მსოფლიოს მიერ წარმოშობილი ნაყოფია, აღმოსავლეთის და დასავლეთისა. იგი ზარბად ითვისებდა ორივე სამყაროს კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტებს და ცდილობდა მათს გაერთიანებას თავის არსებაში. ერთის მხრივ, აბუ ლ-ალა მაარჩი, მუთანაბბი და იბნ-საპლი, მეორეს მხრივ — ვოლტერი, გოეთე, ბალზაკი, კარლეილი, კიტსი, უოტ უიტმენი და სხვანი, სხვადასხვა სამყაროს ეს სხვადასხვა სილიდებები როგორღაც თავსდებიან ერთად ემინ რეჰჰანის პაროქენებაში. იგივე ითქმის ლექსების ფორმის შესახებ. ემინის თეთრი ლექსები შედგება სხვადასხვა ზომის სტროფებისაგან, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა რიტმით. რითმა მოეპოვებათ მხოლოდ სტროფების ცალკეულ წევრებს, მაგრამ, წინააღმდეგ ტრადიციისა, იგი ცვალებადია. ზოგჯერ სტროფებს თან ახლავს მისამღერელი (припев), როგორც ერთგვარი მუსიკალური კადენცია, რომელიც ოდნავ შეცვლილი სახით მეორდება ზოგიერთი ან ყოველი სტროფის შემდეგ. საყურადღებოა, რომ არაბული ენა თითქოს შექმნილა ამგვარი ფორმის პოეზიისათვის. მის ჩანასახს ჯერ კიდევ ყურანში ვხვდებით. მაგრამ ლექსის ეს ფორმა ვერ განვითარდა არაბულს მწერლობაში და პირველად იგი მეოცე საუკუნეში ჩნდება ფართო მასშტაბით, ემინ რეჰჰანის წყალობით. თვით რეჰჰანი თავის თავს აცხადებს მიმდევრად Walt Whitman-ისა, რომელმაც პირველმა განათავისუფლა ლექსი რიტმის ბოკილისაგან (free verses),

ისევე, როგორც თავის დროზე შექსპირმა რითმისაგან. რეჰმანი ამ განცხადებას თანამედროვე ევროპული კრიტიკა სკეპტიკურად უყურებს. მისი მტკიცებით, ემინის პროზით ნაწერი ლექსების პროტოტიპს მაჰმად წინასწარმეტყველის შთაგონებულ სიტყვებში უფრო ვიძინებოდა ვიდრე იმ ალტაცებული ამერიკელის პოეზიაში.

მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა ითქვას რეჰმანის პოეზიის შესახებ, რომ ეს არის ფლობერის „აღმოსავლეთი ფრაკში“, ან გამოდგება თუ არა ეს პოეზია უარსაყოფად რედიაოდ კაბლინგის ცნობილი სიტყვებისა:

Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet,
Till Earth and Sky stand presently at God's great Judgment Seat,¹⁾
მაგრამ უეჭველია, რომ იგი წარმოადგენს ამ დებულების უარყოფის ცდას თვით ცხოვრების მიერ. თანამედროვე არაბეთისა და საერთოდ აღმოსავლეთის წიგნი ლიტერატურის ძირითადი მოტივი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების გაერთიანებაა. ამაზე ოცნებობს რეჰმანიც, ხოლო მისი პოეზია საფუძველს არ გვაძლევს, რომ ეს ოცნება გულუბრყვილო ლეგენდად მივიჩნიოთ.



ქვემოთ მოთავსებული ტექსტი ემინ რეჰმანის ლექსისა პირველი ცდაა არაბული პოეზიის ნიმუშის ქართულად თარგმნისა. ჩვენ ვცდილობდით, ტექსტი რაც შეიძლება ზუსტად გადმოგვედო, მაგრამ ისე, რომ ქართული ენის ნორმები არ დაგვერღვია. ანტონ ზოგჯერ იძულებული გავხდით, ოდნავ დაეშორებოდით ორაგინალს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს თარგმანი ერთგვარ სურვილს გაუღვიძებს ჩვენს ახალგაზრდა არაბისტებს, განაგრძონ მომავალში თარგმნა იმ ხალხის ლიტერატურული საგანძურისა, რომელსაც წარსულში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მჭიდრო კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანასთან.

თარგმანი შესრულებულია ტექსტიდან, რომელიც მოთავსებულია კ. ოდე-ვასილევას (ქელთუმ ნასრ ოდე) წიგნში *الاصناف الأدبية العربية الحديثة*. წერილისათვის ესარგებლობდი ემინ რეჰმანის წინასიტყვაობით, რომელიც დართული აქვს მის წიგნს *الاصناف الأدبية الحديثة* („ირაბთა მეფენი“), აგრეთვე ე. კრაიკოვსკის შრომებით: „Ново-арабская литература“, ЗИВ, III, 159—182; „Арабская литература в Америке“. Известия Лен. Гос. Ун. т. 1, л. 1928, 1—27; მისივე წინასიტყვაობით, რომელიც კ. ოდე-ვასილევას ზემოხსენებულ წიგნს მიუძღვის. მისი შრომა „Амин Рейхани: Избранные произведения“ (Петр. 1917) თბილისში ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ემინ რეჰმანის პორტრეტი მოთავსებულია K. T. Khairallah-ის წიგნში, *La Syrie*, პარიზი, 1912, 111 გვერდთან. . ا. ا. ا.

¹⁾ „ო, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი — დასავლეთი. ისინი არასდროს არ შეერთდებიან, ვიდრე ცანი და ქვეყანანი არ წარსდებიან ღვთის უმაღლესი სამჯავროს წინაშე“.

განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო!

განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო, განმკურნე მე;
ქალების ქალღმერთო, მომიხსენე მე; ველთა ქალღმერთო,
გამამართლე მე;
გალობათა ქალღმერთო, შემეწიე მე.

განა არ ვახსოვს ის დღე, როდესაც მე ვამცნე ზეშთაგონება შენი იმ
ხალხს, რომელსაც ბაალის გარდა არა სწამდა სხვა ღვთაება?

ის დღე, როდესაც მე ასპიროზს მსხვერპლი შევსწირე მისი ხელით, ვინც
არ იცნობდა სხვა ღვთაებას თვინიერ მისა?

ან ის დღე, როდესაც ვახსენე მე შენი სახელი იზიდას ტაძარში და
გამაძევეს მე ქურუნიებმა იმ ტაძრიდან?

და დღე, როდესაც ოლიმპზე კვამლი აღიოდა შენი საკმეველისა, რის
გამო მოიღუწა შუბლი კერბთა უფლისა?

მე ვარ, ვინც დასდვა შენი საკმეველი რომაელთ ტაძრების მსახურთა
ცეცხლზე.

მე ვარ, ვინც გააბა შენი სიმები ბაბილონის მროკველ ასულთა და
იონიის ხელოვანთ ქნარზე.

ან დაგავიწყდა, თემუზის ტაძრის გარშემო ჩემმა ხელებმა რომ ხეები
დარგეს?

ან ფინიკიელთ დედოფალს რომ ჩემმა ხელმა გვირგვინი მოღუწა დაფნისა
და ყუაეილებისგან?

ან რა ჩასწერა ჩემმა ხელმა მზისა და ცეცხლის მსახურთა წიგნში?

ან ჩემმა ხელმა რომ დაამსხვრია მტარვალთა კერპნი და ნეტართ
ძეგლები?

განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო, განმკურნე მე;
ველთა ქალღმერთო, გამამართლე მე; გალობათა ქალღმერთო,
შემეწიე მე.

მიგალობე მე შენს ქნარზე გალობანი, რომელთაც დღეს მოსძახიან
ტყის ფრინველები და ბალის შაშვები.

მიმღერე მე სიმღერები, რომლებიც ზევდრია საქონელთ მწყვეტებისა.
 ხმა შენი სტვირისა მწუხრის ეამს, ხმა შენი ორღანოსი განთოთისას,
 მასმინე მე.
 ხმისაქენ შენი მონებისა მდინარის ნაპირს და ხმისაქენ შენი მონებისა
 უღაბნოში წარმომელ მე.

მოჰფინე აწ ჩემი სარეცელის გარშემო სუნნელება, რომელსაც მალავენ
 მინდვრები.

დაღვარე ჩემს თავზე ის, რაც დასტოვეს ჩემს თავში წარსულმა წლებმა.
 შემმოხე მე შენი სიყვარულით, კეთილმცხე მე შენი ნელსაცხებლით,
 მაკოცხლე მე შენი ბაგეების ჩურჩულით, შენი თითების შეხებით.
 დაუბრუნე ახლა ჩემს სასმენელთ, რაც დამაფიწყდა შენ მიერ ნასწავლებ
 გალობათაგან.

მასმინე ახლა ის, რაც შევითვისე შენგან ბაბილონისა და იონიის ხელოვანთ
 საკრებულოში.

განმკურნე მე, ზევის ქალღმერთო, განმკურნე მე;
 გალობათა ქალღმერთო, შემეწიე მე.

მე სტვირი ვარ მწყვეტებისა შენ მონათაგან. მე ჩანგი ვარ შეყვარებულთა
 შენ მონათაგან.

მე ორღანო ვარ მოხეტიალისა შენ მონათაგან. მე ქნარი ვარ შენი
 დღესასწაულის ღამეს მოცეკვავე ასულებისა.

მე ვარ შენს სილამაზეში გამოვლენილი სული, საიდანაც ნათელი შენი
 წარმოდინდება,

რონლითაც შენი სიბრძნის წიგნები აღიბუქდება
 და რომელსაც თავს დასტრიალებენ შენი გრძნების ბუღბუღნი.
 მე ხმა ვარ შენი, დროის მიერ ზორცმესხმული; მე სული ვარ შენი,
 გარდამოსული ვედასა და ფსალმუნში.

მე მოციქული ვარ შენი, უერთგულეს მონისა მიმართ: წარჩინებულის
 მიმართ იმათგან. ეინც აღამაზებს მომავლის სიზმრებს;
 არა, ყველას მიმართ, ეინც „დაეხეტება ყოველგვარ ზევში“.¹⁾
 მე შთაგონება ვარ შენი ქებათა ქებაში. მე ნათელი ვარ შენი მის სულში,
 ეინც გალობით შეიმოსავს სინანულს.

მე ჰანგი ვარ შენი ქნარისა, დატყვევებული სიშმაგის მიერ პირამიდების
 კედელთა შორის.

არა, მე გალობა ვარ, უკუქცეული ღამეების მიერ წარსულ წლებისკენ.
 ნე შენს ქნარზე სული ვარ ფენიქსისა, დამარხული ბედისწერის ფერფლ
 ქვეშ; არა, სული ორფეოსისა ხელოვნებათა ტალღებზე.

¹⁾ ივლიძისებმა პოეტები, რომლებიც დახასიათებული არიან ყურანში, „პოეტთა სურა“, 26, 221 — 226. მთარგმნელი.

პო, მე ქნარი ვარ შენი, მე ხმა ვარ შენი, გალობა ვარ შენი.
მაგრამ ხელმა ცოდვილმა დაახრჩო ბუღბუღნი იმ ქნარზე და დასწყდა
სიმები.

დღეს კი მოვიდნენ ასულნი ლულუნისა¹⁾ და განკურნავენ
ელურტულით ჩემს სწულს.

განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო, განმკურნე მე;
ველთა ქალღმერთო, გამამრთელე მე; გალობათა ქალღმერთო
შემეწიე მე.

შემეხე მე შენი თითებით, რომ დამიბრუნო ბრწყინვალეობა ჩენი
მეფობისა.
დამიბრუნდი მე განთიადისას, რომ შენი სუნთქვით დაამაგრო სიმები.
განმბანე მე წყლული შენი ღვთაებრივი წყალობის ტალღებით.
გააბი ჩემი სიმები გრძნებით შენი ნუსიკის გრძნებათაგან.
დამიბრუნე მე, ტკივილებმა რომ პოეტური ცხოვრების დიდება
ნომტაცეს.

მიმიკარ შენს მკერდზე, ასულო მარადისობისა და დაუსრულებლობისა,
რომ წარბოცოს ჩემი შუბლიდან მწუხარება თაობებისა
და განაყოფიერდეს ჩემში უნაყოფობა წინაპრებისა.
შემდგომად მისა, რაც წარსულში შენ დაგშორდნენ ჩემი თვლები, მე
ალარ ვიცი კენესაზე მეტად მიშზიდველი რამ შენს სიყვარულში.

როდემდის უნდა გრძელდებოდეს ეს უარყოფა, ეს სიმკაცრე, განშორება
და დავიწყება?

ნომიხსენე მე, თუნდაც ერთხელ, ჩემს წყვილადში.
დამიბრუნდი მე, თუნდაც ერთხელ, ჩემს ზმანებაში.
შემეწიე მე, ვიდრე ჩემი დღეები დაქანებოდეს.

არაბულიდან თარგმნა ზიორაზი წმინთაძემ

¹⁾ ბინთ ილ-ჰადილ „ასულნი ლულუნისა“ ჩვეულებრივი არაბული გამოთქმაა
მტრედის აღსანიშნავად.



გამოჩენილი მარქსისტი და ჩავოლუნთიკი მოლჰანე¹

ალ. წულუკიძის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის გამო

ამხანაგებო! ჩვენი ინსტიტუტის ეს სამეცნიერო სესია მიძღვნილია გამოჩენილი მარქსისტის, რევოლუციური მოღვაწის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნის საქმეში ამხანაგი სტალინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის — ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნისადმი.

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი ზეიმობს ისტორიაში უდიადეს გამარჯვებას, მას კარგად ესმის, რომ ამ გამარჯვების პირობები მდგომარეობდა თვით საბჭოთა სისტემაში, რომ ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა წყობის საფუძველზე.

ჩვენი სამშობლოს ხალხებმა მშვენივრად იციან ისიც, რომ ამ წყობის სულსა და გულს, მის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს ლენინ-სტალინის დიადი პარტია. ამიტომ გამარჯვების საზეიმო დღეებში განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ ხსოვნა რევოლუციური მოღვაწისა, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა ბოლშევიკური პარტიის შექმნის საქმეს, საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველი სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეების ჩამოყალიბების საქმეს, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის განმტკიცების საქმეს, ყოველგვარი დამახინჯებისაგან რევოლუციური მარქსიზმის დაცვისა და ფართო მასებში კომუნიზმის ყოვლისადაძლევი იდეება დანერგვის საქმეს.

ხანმოკლე იყო წულუკიძის სიცოცხლე. ჯერ კიდევ 29 წლისა არც კი იყო ის, როცა საქართველოს რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მასებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა დაჰკარგეს ეს უკეთილშობილი, მოაზროვნე, მშრომელთა საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი. მასთან სიცოცხლის უკანასკნელი წლები მას განუკურნელმა სენმა გაუფწარა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წულუკიძემ არა მარტო დავიტოვა უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა, მარქსისტულ იდეათა ნამდვილი საგანძური, არამედ თავის თანამებრძოლებს, მეგობრებსა და თანამიმდევრებს უანერგა ურყევი რწმენა კომუნიზმის გამარჯვებისადმი. სიკვდილის წინ მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „იდეა მაინც გაიმარჯვებს!“ წულუკიძე გულისხმობდა ბოლშევიზმის იდეას, რომლის წინააღმდეგ ამხედრდნენ ინტელიგენციის ყველა რეაქციური ელემენტები.

1) შესავალი სიტყვა ა. წულუკიძის გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში.

წულუკიძეს რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე გამოხსენებულა მოხუცდა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ საფრანგული იმპერია იყო ნათელი კლასობრივ ძალთა თანაფარდობაში. წულუკიძის მოძრაობის განვითარების პერსპექტივები. მაგრამ ის უკუტყუნოდა ისეთ შემოქმედ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც შესწევთ წინასწარხედვის უნარი, ერკვევიან არა მარტო გარშემომცველ რთულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ ურთიერთობაში, არამედ შეუძლიათ კიდევ განსაზღვრონ მომავალი. წულუკიძეს სწამდა ეს მომავალი არა როგორც ფანატიკოსს, არამედ როგორც მარქსისტს, რომელიც ღრმად ერკვეოდა საზოგადოებრივი განვითარების კანონებში.

როცა ჯერ კიდევ 21 წლისა იყო, წულუკიძე მოსკოვიდან სწერდა ძავეის მეგობარს: „სწორედ ალტაცებაში მოვდივარ, პესიმისტობა არ შემიძლია, რადგან მწამს უკეთესი მომავალი, მწამს პროგრესი“ (ა. წულუკიძე. თხზულებანი, 1943 წ. გვ. 280).

ეს სიტყვები ნათქვამი იყო ზოგიერთი ლიტერატურული კრიტიკოსისა და პუბლიცისტის ცდის გამო პესიმისტურად გამოცხადებინა მთელი ქართული ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზრი. ამ დროს წულუკიძე მუშაობდა თავისი თეორიული მომზადების გასაღრმავებლად, ეკონომიური, ისტორიული და პოლიტიკური ლიტერატურის შესასწავლად.

ცნობილია, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა წულუკიძეს მოსკოვში. მოსკოვიდან ერთერთ პირველ წერილში ის სწერს: „ღრმის გაჭირვებით შევაგროვე წამოსასვლელი თანხა, რომელმაც მოსკოვს მომიყვანა და ცოტა ხანს აქაც მაცხოვრებს“ (თხზულებანი, გვ. 276). წულუკიძეს რომ შესძლებოდა იმ პირობების წარმოდგენა, რომლებშიაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართველი ახალგაზრდობა ეუფლება მეცნიერებას როგორც ჩვენში, საქართველოში, ისე მოსკოვშიც, უსაზღვრო იქნებოდა მისი სიხარული.

ფრიად ქუთისსასწავლო უნდა იყოს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ის, რომ წულუკიძე ეუფლებოდა მეცნიერებას ისე, რომ მას შესაძლებლობაც კი არ გააჩნდა მარქსის „კაპიტალის“ შესაძენად. აი რას სწერდა ის ამის გამო მოსკოვიდან: „კარგა ხანია მაგ წიგნს მოველი, ყველგან მივიწერე, და აი, ეხლა თქვენ გწერთ, რადგან ჩემთვის ძლიერ საჭიროა და ხელახლად მისი შეძენა, ხომ მოგეხსენება, ჩემისთანებებისათვის მეტად გასაჭიროა, თითქმის შეუძლებელიც არის“ (თხზულებანი, გვ. 280). მას ღრმად სწამდა ის, რომ რევოლუციური მარქსიზმის თეორიის დაუფლებით ის შეიძენს მიაღწევდა. სახელდობრ, მეცნიერულმა თვალის ახელამ გამსჭვალა იგი ასე მხნე ოპტიმიზმით, შთააგონა მას შეუღრეკელი რწმენა პროგრესისადმი.

აღნიშნავთ რა წულუკიძის ხსოვნას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე მთლიანად შესწირა იმისათვის ბრძოლას, რაც მაშინ იყო შორეული მომავალი და რაც დღეს სინამდვილე გახდა. ის საფრანგული დაიდერფლა ამ ბრძოლაში, სიკვდილამდე არ გაუშვია ხელიდან კალამი და ეხმარებოდა ბურჟუაზიული და ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ, ოპორტუნისტული, ანტიმარქსისტული და ცრუმარქსისტული

მიმდინარეობების წინააღმდეგ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თეორიული და პრაქტიკული ბრძოლის ყველა საკითხს.

პირდაპირ გასაოცარია ის, თუ რაოდენი თეორიული მარტოობა და ვიტირება წულუკიძემ. არ არის მარქსისტული მოძღვრების არც ერთი მხარე, რომელსაც ამათუბი ფორმით არ შეხებოდა წულუკიძე. მასთან იგი არა მარტო ფართო რევოლუციური მასებისათვის ხელმისაწვდომ ფორმებში განმარტავდა რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლებს, არამედ მას შესწევდა უნარი საქართველოსა და ამიერკავკასიის სინამდვილის კონკრეტულ პირობების გამოჩვენებაში შემოქმედურად გამოეყენებინა რევოლუციური მარქსიზმის პრინციპები.

წულუკიძის ნაშრომთა პოპულარობა არასოდეს ყოფილა საზარალო აღძრულ საკითხთა გაშუქების სიღრმისათვის და, მასთან ერთად, მას შესწევდა იშვიათი უნარი ხატოვანი სტილისა, რომელიც მიმზიდველ და ხანდახან პირდაპირ წარმატებულ საკითხავად ხდიან განყენებულ საკითხებზე დაწერილ მის თხზულებებს.

სამართლიანად ამბობდა ამხანაგი ბერია თავის მოხსენებაში:

„ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საქმეში ფრთხილ თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამხ. ა. (სამა) წულუკიძე. ამხ. წულუკიძემ, უმცირესობის წევრმა, სხვა ამხანაგებზე აღრე დაიწყო მუშაობა და ამასთან ერთად ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობასთან“.

მე არ შეეჩერდები ყველასთვის ცნობილ წულუკიძის ბიოგრაფიაზე. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ პირობები, რომლებშიც იზრდებოდა ის ბავშვობასა და სიყრმეში, ზრდიდნენ იმ მოქმედებებსა და უსაქმურებს, რომლებიც „ამშვენებდნენ“ ჩვენი ქალაქების ბულვარებსა და გასართობ დაწესებულებებს. მაგრამ, როგორც კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა“ აღნიშნავდა, „ის არ შთაინთქა ქართველ „სახელოვან“ თავდაზნაურობის ქაობში, როგორც მრავალი მისი წრის შეილები“ (თხზულებანი, გვ. 288). და როცა ძველი გიმნაზიის ველურმა რეჟიმმა აიძულა ის, გაეკრიახი გონებისა და ცოცხალი ხასიათის მქონე ახალგაზრდა ადამიანი, დაეტოვებინა სასწავლებლის კარები, იგი მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში ამოვარდა საზოგადოებრივი ცხოვრების კალაპოტიდან.

ის სწრაფად ერკვეოდა ვითარებაში. მის კეთილშობილურ ხასიათს არ შეეძლო შერიგებოდა პრივილეგირებული კლასების მუქთახორობასა და ქვედა ფენების შემამრწუნებელ სილატაკეს, და იგი შეუერთდა „მესამე დასის“ ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს.

ჩვენ ვიცით, რომ „მესამე დასში“ წულუკიძის შემდეგ კეცხოველისა და სტალინის შესვლით ჩამოყალიბდა ის რევოლუციური ფრთა, რომელმაც ყველა მიმართულებით ბრძოლა გაუმართა სხვადასხვა ბურჟუაზიულ პარტიებს, ნაციონალისტურ და სხვა ანტიმარქსისტულსა და ცრუმარქსისტულ მიმდინარეობებს. ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ ამ სახელოვან სამეუღლს აერთიანებდა ის უღრმესი პრინციპული და უანგარო მეგობრობა, რომელიც ახასიათებთ მხოლოდ დიდ რევოლუციურ მოღვაწეებს. ამასთან მე მინდო-

და აქ აღმენიშნა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: იმათ აერთიანებდა არა მარტო მეგობრობა ერთობილს ბრძოლაში, არამედ მათ შორის როლებიცა და მოვალეობათა ის გამოიჯენა და განაწილება, რომელმაც წინასწარ განსკვირბა პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის მომავალი პოზიციები.

გაცნობა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისა, რომელიც მეცნიერულად, ბოლშევიკურად პირველად იქნა გაშუქებული ამხანაგ ბერძანს მიერ, — გვიჩვენებს, რომ როლებისა და მოვალეობათა ამ გამოიჯენაში საერთო ხელმძღვანელი როლი იღებური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ყველა საკითხში ეკუთვნოდა ამხანაგ სტალინს. კეცხოველს ეკისრება უმთავრესად პრაქტიკული განხორციელება ძირითად ორგანიზაციულ ღონისძიებათა, რომელთა შორის, იმ დროს, მთავარი იყო არალეგალური გაზეთის შექმნა. წულუკიძეს კი ევალებოდა რევოლუციური მარქსიზმის მასობრივი პროპაგანდა.

ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ წულუკიძის თხზულებათა დიდი უმრავლესობა გამოქვეყნებული იქნა ლეგალურ პრესაში. იმ დროს, როცა ამხანაგ სტალინის მრავალრიცხოვანი თხზულებები ამ პერიოდში მიძღვნილი იყო მარქსისტული თეორიის საფუძველზე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამის, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკვანძო საკითხების გაშუქებისადმი, წულუკიძის თხზულებები ეძღვნება მარქსისტული თეორიის სხვადასხვა საკითხთა პოპულარულად გადმოცემას, მარქსიზმის დამახინჯების წინააღმდეგ პოლემიკას ლეგალურ პრესაში. მაგრამ, თუ ამხანაგი სტალინი თითქმის განსაკუთრებით არალეგალურ პარტიულ პრესაში აქვეყნებდა თავის გენიალურ თეორიულ თხზულებებს, რომლებიც აშუქებდნენ საპროგრამო, სტრატეგიულსა და ტაქტიკურ საკითხებს, — ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ის უდიდეს მნიშვნელობას არ აძლევდა ლეგალურ პრესაში რევოლუციური მარქსისტების გამოსვლას. პირიქით, ამხანაგ სტალინს ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა ბრძოლა მაშინდელი პერიოდის საქართველოს პირობებში იმ ფრიად სხვადასხვაგვარ და მრავალრიცხოვან ჯგუფებთან და მიმდინარეობებთან, რომლებიც ამახინჯებდნენ მარქსიზმს, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესებს უფარდებდნენ რევოლუციურ მარქსიზმს, აცლიდნენ რა მას რევოლუციურ შინაარსს.

იმ პერიოდის პრესის ელემენტარული გაცნობა გვაძლევს წარმოდგენას, თუ როგორ მომრავლდნენ ლეგალურ-მარქსისტული და ლიბერალური ორგანოები, რომლებსაც ხანდახან პირდაპირ, ხოლო უმთავრესად არაპირდაპირ, შენიღბულ ფორმაში მხარს უჭერდა ხელისუფლება. ეს ორგანოები მარქსიზმის პროპაგანდის დროშით ცდილობდნენ დაენერგათ მასებში დამახინჯებული, შინაარსგამოცლილი, ბურჟუაზიის ინტერესებთან შეგუებული მარქსიზმი. აი ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წულუკიძის გამოსვლა უმთავრესად ლეგალურ პრესაში გამოხატავდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის ხაზს, რომ წულუკიძე სრულიადაც არ სწერდა ლეგალური პრესისათვის თავისი მოწოდების გამო, მით უმეტეს თავისი მიდრეკილების გამო, არამედ იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რევოლუციურ ფრთას საჭიროდ მიანდა ბრძოლა გაემართა ოპორტუნისტებისათვის, ცრუმარქსისტებისა და

ანტიმარქსისტებისათვის, რომლებიც, მარქსიზმშია დროშას ამოთავსებენ, გამოდიოდნენ უმთავრესად ლეგალურ პრესაში.

საქმაოა, თუნდაც ვაკვირთ ვავეცნოთ წულუკიძის თანხლებებს, რომ ვიგრძნოთ, თუ როგორაა ჩაზნობილი მეფის ცენზურის მიერ მისი მგზნებარე რევოლუციური კილო. და, მიუხედავად ამისა, მაინც აქა-იქ, ეს რევოლუციური აღტყინება თავს აღწევს ცენზურის მარწუხებს და მოწოდების ნაბათად გაისმის რევოლუციური მასებისათვის.

შეუძლებელია მოკლე შესავალ სიტყვაში გადმოვცეთ წულუკიძის იდეური მემკვიდრეობის თუნდაც ზოგადი დახასიათება. ნებას მივცემ ჩემს თავს შევჩერდე მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე.

ავიღოთ საკითხი საქართველოს სინამდვილის პირობებში მარქსიზმის შემოქმედებითი შეფარდების შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციაც შეეცადა ხელი მოეხებო საქართველოს პირობების სპეციფიკაზე, მაგრამ ის ცდილობდა ეს სპეციფიკა გამოეყენებინა სრულიად სხვა მიზნით — საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივათა დამახინჯების მიზნით, კლასობრივი ბრძოლის უარყოფის მიზნით, ნაციონალისტური ბურჟუაზიის ინტერესთა დაცვის მიზნით. როდესაც ერთ-ერთი ასეთი ბურჟუაზიული ინტელიგენტი, არჩილ ჯორჯაძე, გამოვიდა საპროგრამო წერილით, რომელშიც ის ქადაგებდა ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის საერთო ნიადაგის იდეას და განსწავლული მცოდნის სახით ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ანალიზით ცდილობდა ამ თავის „თეორიის“ გამართლებას, — წულუკიძე გამოვიდა თავისი განთქმული ნაშრომით „ოცნება და სინამდვილე“, რომელიც უშეშარიტად რევოლუციური მარქსიზმის ენციკლოპედიას წარმოადგენს.

ეხება რა საქართველოს პირობებს, წულუკიძე, ჯორჯაძესთან დაპირისპირებით, აღნიშნავს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების არა განსაკუთრებულ გზას, არამედ ქართველი ბურჟუაზიის რეაქციური როლის განსაკუთრებულ მიზეზებს.

თქვენთვის ცნობილია საერთოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიების მისწრაფება არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ რუსეთშიაც, გამოეყენებინათ ამათუმი მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობა მარქსისტულ პრინციპთა მოუღებლობის დამტკიცების მიზნით. საქართველოს პირობებში ეს ცდა რამდენიმედ სხვა სახით იყო წარმოდგენილი. ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს სპეციფიურ პირობებში, ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალური დამოკიდებულება, განსაზღვრავენ მის უფრო მეტად პროგრესიულ როლს სხვა ქვეყნების ჩამორჩენილ ბურჟუაზიასთან შედარებით. წულუკიძე კი სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ისიც აგრეთვე აღნიშნავს ჩამორჩენილი ბურჟუაზიის ნაციონალურ დამოკიდებულებას, აკუთვნებს მას სპეციფიურ როლს, მაგრამ არავითარს შემთხვევაში არა პროგრესიულს, არამედ უფრო რეაქციურს. კერძოდ, ბურჟუაზიულ ნაციონალისტათვის ჩვეული მოტივი, — თითქოს კულტურა და უწინარეს ყოვლისა ენა, ე. ი. მოღვაწეობის სულიერი სფერო, აერთიანებს ქართველ ბურჟუაზიასა და ქართველ მუშებს, — წულუკიძემ გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაათარა.

„ქართველ ბურჟუაზიისათვის ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს: მართლმსაჯულებას იგი სხვა ენაზე დაეძებს, მეცნიერებას სხვაგან ეწაფება, უბრალო სავაჭრო რეკლამებსაც კი სხვა ენაზე სწერს, მისი ოჯახიდან ქართული ენა სრულიად განდევნილია, ვით „არა ღირდაცურია“ ენა, მის ბავშვებს ევროპელი „გუვერნანტები“ თავს ევლებიან; ხოლო საქველმოქმედო მიზნით თუ იწერენ რომელიმე ქართულ გაზეთს, ისიც ხშირად გაუხსნელი დევს სამწერლო მაგიდაზე და, როგორც ერთმა ქეთათურმა „ინტელიგენტმა“ აღიარა, რაოდენიმე წლის წინეთ ერთ კრებაზე „შაბათობით თავის შესაქცევათ“ თუ წაიკითხებდა. ერთი სიტყვით, ქართული მათთვის ფუფუნებას შეადგენს და ხშირად რომელიმე — ძის ქალიშვილი, რომელიც ბავშობისას ჩვენს სოფელში ფეხმისველა ღობე-ყორეს ედებოდა, დღეს პრანჭიობით ეკითხება „კავალერს“: „а что такое джинчари?“

და ქვემოთ მიყვება დასკვნა:

„...თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურათ ხელმოკლე და გონებრივად ახლათ აღორძინებული მშრომელი ხალხი“ (თხზულებანი, გვ. 112).

წულუკიძე კონკრეტული ისტორიული ანალიზით ამტკიცებს, რომ თუ ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ეკონომიკა დასავლეთის პირობებში პროგრესიული მოვლენები იყვნენ, საქართველოს პირობებში თვით კაპიტალიზმის განვითარების პროგრესიულობასთან ერთად ფეოდალიზმთან შედარებით, ბურჟუაზია პოლიტიკისა და კულტურის სფეროში უფრო მეტად რეაქციონარია, ვიდრე დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიაო. უფრო მეტი, ქართველ ბურჟუაზიის ნაციონალური დამოკიდებულება ხლდა მას უფრო მეტად რეაქციურს ლიტერატურისა და ენის საკითხებში, ერთი სიტყვით, სულიერი კულტურის სფეროში.

როცა ბურჟუაზიული იდეოლოგიები გამოდიოდნენ საქართველოში ქაღალდებით მივლით დასავლეთის ცივილიზაციიდან მხოლოდ მისი დადებითი მხარეები, სხვა ქვეყნებიდან განსხვავებით, რომლებიც, თითქოს, განურჩევლად მიყვებოდნენ ევროპის ცივილიზაციას, წულუკიძემ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და, მიჰყვა რა მარქსის მიერ პრუდონის კრიტიკის პრინციპებს, დაამტკიცა, რომ ჩვენს ნებასურვილზე სრულიადაც არაა დამოკიდებული — ვლდებულობით თუ არა ჩვენ დასავლეთის ცივილიზაციის ამითიმ მხარეებს.

„...სიმდიდრე იზრდება, მდიდარი მდიდრდება, ღარიბი უკანასკნელ ფიზიკურ ძალას სხვისი სიმდიდრის შეძენას ანდომებს, თვისი ტანჯვით სხვას იზარებს და ბოლოს სადმე სარდაფში ჩამკვდარა, ყველასაგან დავიწყებულს სამარეში ჩატყენიან ხოლმე. აი რას გვაჩვენებს სინამდვილე ყველგან.

ეს არის კაცობრიობის საჭირ-ბოროტო კითხვა; ეს არის ის საერთო სენი, რომელიც კულტურამ შემოიტანა ცხოვრებაში; ის მატლი, რომელიც გულ-ღვიძლს უღრდის საყოველთაო მშვიდობიანობას. როგორ დახედენ ჩვენებური პუბლიცისტები ამ შემოპარულ სენს, როგორი ექიმები გამოდგენ, რა წამალი მიაწოდეს? არავითარს ჩვენში ეს სენი ვერ შემოვთავ, ჩვენი ერის ორგანიზმი მაგ ჭირისაგან დაცულია, ჩვენ მხოლოდ კულტურა შემოვიტანათ, რაც კარგია სხვაგან, აქ წამოვიღოთ, ცუდი იქვე დაე-

ტოვით; თუ შემოსვლა მოინდომოს, ნუ შემოვლევებთ; ფარგონებში გაეჩალოთ, შრომის ნაყოფიერების გასაორკეცებლად ევროპის ტენიკა შევიძინოთ, მხოლოდ რაც ევროპაში დღევანდელ წყობიერებას უპირატესად შეუქმნია: ჩარჩ-ბაცაცობა, სიღარიბე-სიღატაკე, პროსტიტუცია და სხვა ათასგვარი სენი, რითაც ასე მწარეთ კვნეისს და ოხრავს და წინაურებული ქვეყნები, ჩვენ არ გვინდა, ნუ მივიღებთო, ვიქადავოთ ზნეობაზე, ვდევნოთ ჩარჩ-ბაცაცები, მოვსპოთ პროსტიტუცია, ყოველნაირი დანაშაული და მაშინ წმინდა, ფაქიზი ცივილიზაცია დაგვჩვენა, მით ძალას მოვიკრებთ და გარეშე მტრებსაც ჯეროვნათ შევებრძოლებითო. ასე დასაწყისად ჩვენი „ნაფიცი“ პუბლიცისტები. ამნაირად ესმით მათ საზოგადოებრივი განვითარების ისტორია და რა გასაკვირველია, რომ მათ ეტყობოთ ყოველი ახალი აზრი, რომელიც არ ეთანხმება ხანგასულ ცხოვრების იდეალებს. მათ არ იციან, რომ დღევანდელი წარმოების თანშობილია ყოველაფერს, რაც მათ აწინებს, ვერ ამჩნევენ მათ შორის განუშორებელ კავშირს; ამ ორ მოვლენას, რომელთაგან ერთი მიზეზია და მეორე შედეგი, სრულიად დამოუკიდებლად არკვევენ და არჩევენ“ (თხზულებანი, გვ. 41).

წულუკიძის ნაშრომებისათვის დამახასიათებელია პრობლემათა თეორიულად გარჩევის განუწყრელი კავშირი საქართველოს სინამდვილის პრაქტიკული ამოცანების გარჩევასთან. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილი ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ. ის არ კმაყოფილდება ლაბრიოლას წიგნის მარტო შინაარსის გადმოცემით, ლაბრიოლას მიერ მარქსიზმის ცალკეულ დამაზინჯებათა კრიტიკის შევსებითაც კი, — ის ეხება საქართველოს სინამდვილეს.

„ჩვენი საზოგადო მოღვაწეები პატარა ცოდნით არიან აღჭურვილნი, მაგრამ ნუ გეშინია, მკითხველო, ყველაფერი იზრდება და ვითარდება, ჩვენც ვიზრდებით და ვითარდებით. დღეს ის აღარ ვართ, რაც გუშინ ვიყავით, დღევანდელი დღე სულ სხვა მომავალს ამზადებს და ჩვენი ფიქრები და სურვილები ფერს იცვლის, სხვანაირდება.“

ჩვენი იდეალი მომავალში უნდა იყოს, აწმყო იმდენათ საინტერესოა, რამდენათ ის მყობადის საძირკველია. მუდმივი ცვლა არის ბუნებრივი გონი, რომლის ძალას ვერ უძლებს ვერავითარი ძველი წესწყობილების ტრფიალი და დანემება“ (თხზულებანი, გვ. 28).

ანვითარებს რა მარქსიზმის ცალკეულ დებულებებს არა მარტო საქართველოს სინამდვილის პირობებში, არამედ ზოგად-თეორიული თვალთახედვით, წულუკიძე იძლევა მთელ რიგ საინტერესო შენიშვნებს ზოგიერთ საკითხთა გამო. კერძოდ საინტერესოა მისი აზრი სოციალური ფსიქოლოგიის რეაქციურობის შესახებ, რომელიც „უფრო დღეგრძელია თავის მშობელზე და ამიტომ მწერლობაც რამდენიმე ხანი ამ ფსიქოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფება, სანამ ახალი საზოგადოებრივი განწყობილება სრულიად თვალსაჩინო ახალ სოციალურ სფერას არ შექმნის. ამან სამუდამოდ უნდა აღვაოს წარსულის ნაშთი თანამედროვე ცხოვრებიდან და მით საკუთარი სოციალური ფსიქოლოგია გაამეფოს“ (იქვე, გვ. 28).

როცა ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი ა. ჯორჯაძე გამოვიდა ინტელიგენციის ერთიანობის იდეის ქადაგებით და მოითხოვდა პო-

ლემიკისა და მკვეთრი ბრძოლის შეწყვეტას, წულუკიძე აძლევდა თვით ინტელიგენციის კლასობრივი არსის შესანიშნავ ანალიზს.

„...ეკონომიურ ჯგუფთა ბრძოლა გაჩაღებულა... სწორედ ამ დროს იხსნება „გონიერებათა“, ე. ი. ინტელიგენტთა წინააღმდეგობა, ^{ინტელიგენტთა} ინტელიგენტული ხედვიანი იმოქმედონ ამ სინამდვილის და გვარად და „დაიყონ და დატყუდდნენ“, ერთის იდეალი მეორესას შეაჯახოს იმდენათ, რამდენათ ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი მეორეს წინააღმდეგია ეკონომიურ ცხოვრებაში. ინტელიგენტი, ნებისთ თუ უნებლოეთ, რომელიმე მხარეს ეკიდება, იქ, სადაც ცხოვრების შინაარსს მოწინააღმდეგე ჯგუფთა ინტერესების შეტაკება წარმოადგენს და ერთის გამარჯვება დაწყარებულა მეორეს დამარცხებაზე, ყველასი თანაწილი ძიძობა შეუძლებელია: ან ერთს უნდა აწოვოს ინტელიგენტმა თავის გონიერების ძეძუ ან მეორეს: გონიერებას შეუძლია თავისი ოცნების აშკი ტომას მორის კუნძულზე ააგოს, მხოლოდ გონიერებას არ შეუძლია პრაქტიკულ მოქმედებაში ჩაებას და არც წყაღი დასწვას, არც შამფური, ყველას ერთნაირად მოუხდეს მისი მალაპო“ (თხზულებანი, გვ. 96 — 97).

მაგრამ, არ კმაყოფილდება რა ინტელიგენციის კლასობრივი არსის ამ ანალიზით, წულუკიძე ააშკარავებს ბურჟუაზიის იდეოლოგია მისწრაფებას დააბნელონ მასების რევოლუციური შეგნება, დავიწყებას მისცენ კლასობრივი ინტერესები:

„ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველთვის ამნაირათ უხვევენენ საზოგადოებას თვალს, აჯერებდნენ მუშათა კლასს: თქვენი ინტერესები მოითხოვენ ვაჰარ-მრეწველნი გამაგრდენ, გაძლიდრდენ, ჩადგან დარწმუნებული უნდა იყონ, თქვენც არ დაგივიწყებენ და საზოგადო „საერო“ საქმესაც გააყეთებენო. ეს პანგები არა ერთხელ სმენია ევროპის დემოკრატის. დღეს მას ჩვენში იმეორებს ბ. არჩილ ჯორჯაძე, მხოლოდ ამათ, მით ვერვის დააჯერებს და სინამდვილე ოცნების ფრთას, პუბლიცისტურ სანავარდით გაშლილს, შეაკვებს, შეამცირებს“ (თხზულებანი, გვ. 108).

როგორც თქვენთვის ცნობილია, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგის საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული ბურჟუაზიის განმანათლებლობა სახალხო თეატრების, სახალხო სახლებისა და სხვათა სახით. მასთან ბურჟუაზია თავისი იდეოლოგიების პირით ცდილობდა დამტკიცებინა ამით თავისი განსაკუთრებული რილი, თითქოს ის გამოდიოდა ქართველი ხალხის ზოგადნაციონალური ინტერესებიდან, თითქოს ის ივიწყებდა თავის კლასობრივ ინტერესებს და ატარებდა კულტურულ ღონისძიებებს მასების გასანათლებლად.

წულუკიძე ააშკარავებს ბურჟუაზიის ასეთ ღონისძიებათა ფარულ მიზნებს და ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია არასოდეს არაფერს არ აკეთებს თავისი მოწინააღმდეგის — მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

„სახალხო კითხვები, — ამბობს წულუკიძე, — სახალხო თეატრი და სხვა მსგავსი დაწესებულებანი თავიდანვე განსაზღვრულ სახეს ღებულობს, გამორკვეულ ნიადაგზე მყარდება; ხალხის თვითცნობიერების გასაღვივებლათ არის იგი ქვეყნათ მოვლენილი, თუ ამ თვითცნობიერების დასახშობათ, ჯგუფთა ინტერესების დასაფარავათ, ჩასაფურჩეხებლათ. პირველ მოთხოვ-

ნიღების დასაკმაყოფილებლათ მოქმედებს თვით ხალხი, მხოლოდ მეორეს-თვის ბურჟუაზია და თუ რასმე გაიღებს უკანასკნელი, ან რაიმე მონაწილეობას მიიღებს, სწორედ ამ აზრით, ეს არის ბურჟუაზიის უკანა ხალხო მოღვაწეთ“ გადამქცევი და, რაც უფრო იზრდება ჯგუფთა“ წინააღმდეგობა, მით უფრო ფრთას იშლის ეს მოღვაწეობაც“.

და ქვევით:

„...მაშინ, როდესაც ხალხს ასაზრდოებს და ასიამოვნებს სცენაზე გაუპტ-მანის „ფეიქრები“-ს ყურება, მაშინ, როდესაც ყურწამოცქვეტით უსმენს ლექტორს, რომელიც შრომისა და კაპიტალის დამოკიდებულებას ფარდას ხდის და სინამდვილეს აცნობს, ბურჟუაზიული „სახალხო მოღვაწეობა“ „ზიდიას გამოხუმრებით“ იქცევის თავს და „ეკოლას ნაამბობით“ უმასპინ-ძლდება მაყურებლებსა და ამასაც აქადის ხალხს: აი რამდენს ვშრომობთ თქვენთვის, თქვენ კი რაღაც ანტაგონიზმზე ლაპარაკობთ, კიდევ არ ისეე-ნებთ, უმადურებოო!..“ (თხზულებანი, გვ. 113).

განსაკუთრებული როლი ითამაშა წულუკიძემ ნამდვილი მარქსისტული რეალისტური ლიტერატურული კრიტიკის შექმნის საქმეში. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ წულუკიძე არის მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებელი საქართველოში. ჯერ კიდევ 1898 წელს ის გამოვიდა შესანიშნავი წერილით „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, სადაც პოვეცა ლიტერატურული ნაწარმოების მარქსისტული ანალიზის ბრწყინვალე ნიმუში. მოვიყვან მხოლოდ ერთ ადგილს ამ შესანიშნავი წერილიდან:

„...ავტორმა თუ ნიკო“, —

ე. ი. შობადი კლასის წარმომადგენელი, —

„ფირალის მსხვერპლი გახადა, ეს ფაქტია, საზოგადო ცხოვრების შე-ნაარსს დაშორებული. ჩვენი აზრით, ლალიონს, რომ ამ ორ ტიპთა შორის ბრძოლა, რომლითაც თითქმის იწყება მისი მოთხოვნა, ბოლომდის ლოდი-კურად გაეტარებინა, არ აპყლოდა ფანტასტიურ გულისთქმას, არამედ ცხოვრებას ბოლოშიაც დაჰკითხებოდა, იგი ნიკოს არ მოაკვლევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ამ ახალ ტიპს შეაჩვენა, თუმცა აქ გამარჯ-ვება მხოლოდ ფიზიკურია, მაგრამ მოთხოვნა, რომელიც ამ ორ ტიპთა ბრძოლის დამახასიათებელია, იმით უნდა ბოლოვდებოდეს, რითაც თვით ცხოვრებაში ბოლოვდება. თუმცა ამნაირი შემთხვევა შესაძლებელია ხში-რათაც ხდებოდეს, მხოლოდ იგი მაინც არ არის დღევანდელი ჩვენი საზო-გადოების კლასიური ბრძოლის დასკვნა; იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვ-რების ნამდვილ სურათს არ წარმოადგენს“ (თხზულებანი, გვ. 17 — 18).

აქ ლაპარაკია ობიექტური სინამდვილისადმი რეალისტურად მიდგომის პრინციპთა შესახებ. სხვათა შორის, წულუკიძემ პირველმა გაიგო მე-19 საუკუნის დასასრულის ლიტერატურის საზოგადოებრივ-მხატვრული აზრი და გამოვიდა მის დასაცავად. მან გაილაშქრა იმით წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მე-19 საუკუნის დასასრული არის ლიტერატურის და-ცემად, და ვერ პოულობდნენ ვერც ერთ მწერალს, რომლის ნაწარმოებები წაკითხვის ღირსი იქნებოდა.

კონკრეტული ანალიზით წულუკიძე ამტკიცებს, რომ ეს არაა სწორი. საჭიროა გვეონდეს ლიტერატურის გაგების უნარი, უნდა ვიცოდეთ მისი წაკითხვა, მასში სინამდვილის ანარეკლის დანახვა. წულუკიძე მკაცრად

აკრიტიკებს ავტორს, როცა ის გვერდს უვლის რეალურ წინამძღვრებს. ეს პრინციპები მან განავითარა შემდგომ წერილში, რომელიც მიეძღვნა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებს. მაგრამ არა მარტო ამ წერილებში, არამედ სპეციალურად მიძღვნილნი არიან ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლები, რომელთა თითქმის ყველა თავის ნაწარმოებებში ის გააძლევს მთელ რიგ ძვირფას შენიშვნებს, რომელთა შესწავლა, უდაოდ, ხელს შეუწყობს ჩვენს კადრებს მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლების გაგებაში.

მარქსიზმის რომელ მხარესაც არ შევბო წულუკიძე თავის თხზულებებში, ის მთავარ ყურადღებას უთმობს მარქსიზმის რევოლუციურ არსს. თვით მარქსიზმის ისტორიული წინამძღვრების გამოკვლევებშიც კი მას სიმბოლის ცენტრი გადააქვს იდეოლოგიის კლასობრივ არსზე. კერძოდ, თავის წერილში „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“ საცესებით ობიექტურად გადმოგვცემს ადამ სმიტისა და რიკარდოს მოძღვრებას და, აღნიშნავს რა მათს დამსახურებებს ეკონომიური მეცნიერების წინაშე, წულუკიძე ააშკარავებს მათი მოძღვრების ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ ხასიათს. ეს ეკონომისტები, კერძოდ ადამ სმიტი, თავის თავს მშრომელა ხალხის მომხრეებს უწოდებდნენ, მაგრამ წულუკიძე გვიჩვენებს, რომ მათი ეკონომიური მოძღვრება ემსახურებოდა მათი თანამედროვე ბურჟუაზიული წყობის უყვედო ყოფას.

დამახასიათებელია ამ წერილის ბოლო:

„მუდმივობა და უცვლელობა საზოგადო ცხოვრების თანამედროვე წესწყობილების მაცოცხლებელი აზრია. არსებული პირობები, სმიტის აზრით, თავის პრინციპით სწორეთ უმაღლეს კულტურას შეეფერება, მხოლოდ ცოტა შალაშინი უნდა გაეკრას ცხოვრებას აქა-იქ და უსწორმასწორობაც მოისპობა და ყველანი ბედნიერნი და კმაყოფილნი იქნებიან. ადამ სმიტისათვის სრულიად გაუგებარი იყო ის ქვეშაობრივობა, რაც მხოლოდ ერთადერთი აბსოლიუტური ქვეშაობრივობაა. ეს ის, რომ ყველაფერი იცვლება, არაფერი მუდმივი, გარდაუვალი არ არის“ (თხზულებანი; გვ. 58 — 59).

მე არ შეგჩერდები აქ მთელ რიგ საკითხებზე, სადაც წულუკიძე გვიჩვენებს არა მარტო მარქსიზმის, კლასობრივი ბრძოლის ისტორიის, საერთოდ ისტორიის ღრმა ცოდნას, არამედ ორიგინალობას და შემოქმედურ მიდგომას გასარჩევი საკითხებისადმი. რამდენიმე სიტყვით შევეხები მხოლოდ მის შესანიშნავ ნაშრომს „ნაწყვეტებს პოლიტიკური ეკონომიიდან“. ამ ნაშრომს არა თუ არ დაუკარგავს თავისი იმდროინდელი მნიშვნელობა, არამედ დღესაც, უდაოდ, არის და კვლავ დიდხანს იქნება საუკეთესო დამხმარე წიგნი მარქსის ეკონომიური მოძღვრების შესწავლისას.

ჩვენ ვიცით, რომ იმ პერიოდში, როცა წულუკიძე თავის ნაშრომს სწერდა, ჩნდებოდნენ მარქსის „კაპიტალის“ ეგრეთწოდებული პოპულარული გადმოცემები, მათ შორის კაუცკის, ბორჰარდისა და სხვათა ნაშრომები. ზოგიერთ ნაწილში მარქსი უფრო ადვილი გასაგებია, ვიდრე ბორჰარდი. წულუკიძის თხზულება სჯობს კაუცკისა და ბორჰარდის ნაშრომებს, არა მარტო თავისი პოპულარობით, ის უდაოდ უფრო ღრმად აშუქებს მარქსის ეკონომიური მოძღვრების არსს.

საკითხთა გაშუქების სიღრმესთან გადმოცემის განსაკუთრებული ხელმისაწვდომობის შეხამება, რაც წულუკიძეს თხზულებას ახასიათებს, წარმო-

ადგენს კლასიკური სტილის ნიმუშს. მაგრამ მარტო ამაში როდია წულუკიდის შესანიშნავი ნაშრომის არსი; ცარიზმის დროს არსებული დევალური პრესის ცენზურის პირობებში, წულუკიძე ახერხებს პოლიტიკურ-ეკონომიის თეორიულ პრობლემათა ანალიზის უშუალო დაკავშირებას მუშათა კლასის პრაქტიკულ რევოლუციურ ამოცანებთან.

ჩვენ ვიცით, რომ ეკონომისტები მე-2 ინტერნაციონალიდან, მარქსიზმის ეს შენიღბული მტრები, რომლებიც გამოდიოდნენ მარქსიზმის დროშით, მატერიალისტური მოძღვრების გადმოცემისას, ეფარებოდნენ ობიექტივიზმის პრინციპებს, ფაქტების მიუდგომლად გადმოცემის პრინციპებს. წულუკიძე არა თუ არ უვლის გვერდს მეცნიერულ ობიექტურ ანალიზს, ის ხაზგასმით აღნიშნავს კიდევ კაპიტალისტური ეკონომიკის დამახასიათებელი მომენტების ისტორიულ აუცილებლობას, მაგრამ, ამასთან ერთად, ის ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ აღამიანები ჰქმნიან ისტორიას, რომ ისტორიის აზრი — ეს საზოგადოების ცხოვრებაა და ამიტომ, არ კმაყოფილდება რა ეკონომიურ ფაქტთა ობიექტური ანალიზით, ის ააშკარავებს მუშათა კლასის პოლიტიკურ ამოცანებს.

ჩვენ ვიცით, რომ მე-2 ინტერნაციონალის თეორეტიკოსები ცდილობდნენ კორექტივი შეეტანათ მარქსის ეკონომიურ მოძღვრებაში, ცდილობდნენ შეევესოთ მარქსის ეკონომიური მოძღვრება.

მე-19 საუკუნის დასასრული და მე-20 საუკუნის დამდეგი ხასიათდება მონოპოლისტური კაპიტალის განვითარებით, კარტელების, სინდიკატების, ტრესტების განვითარებით. ცხადია, მარქსს, რომელიც გარდაცვალებული საუკუნის 80-იან წლებში და მასთან ვერ მოასწრო თავისი ეკონომიური ნაშრომის დამთავრება — არ შეეძლო მოეცა ანალიზი იმ მოვლენებისა, რომლებიც გაიშალნენ მისი სიკვდილის შემდეგ. ეკონომისტები და რევიზიონისტები, რომლებიც მარქსის მოწაფეებად აცხადებდნენ თავს, ამტკიცებდნენ, თითქოს მარქსს რომ ეცხოვრა კარტელების, სინდიკატებისა და ტრესტების ეპოქამდის, — ის გაიგებდა, რომ კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი არ წარმოადგენენ დაუძლეველს თვით კაპიტალიზმის წიაღში, რომ კონკურენცია უფრო სუსტდება და ბოლოსა და ბოლოს, საქმე იქეთკენ მიდის, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა თავისუფლდება თავისი შინაგანი წინააღმდეგობებისაგან, სძლევეს მათ და იშლება კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების ახალი განუსაზღვრელი პერსპექტივები.

თუ მარქსის მიხედვით კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი დაუძლეველია მისსავე საკუთარ წიაღში, ისინი თანდათან უფრო მწვეავდებიან და აუცილებლად იწვევენ კაპიტალიზმის დაღუპვას, მაშინ ამ ვაი-ეკონომისტთა აზრით, ახალი პირობები შლიდნენ სრულიად ახალ პირობონტებს კაპიტალიზმისათვის.

ამ ეკონომიურ დასკვნას, როგორც თქვენთვის ცნობილია, მოსდევდა პოლიტიკური დასკვნა: თუ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი არ მწვეავდებიან და არ მიყვანთ ის დაღუპვამდე, თუ პირიქით, იშლება კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების შემდგომი პერსპექტივები, მაშინ პოლიტიკურ სფეროშიც აღარაა მოსალოდნელი სოციალური (სოციალისტური) რევოლუცია და მუშათა კლასს დაჩინება კაპიტალიზმთან მეტად ან ნაკლებად შეგუებათ. ამიტომ ბურჟუაზიასთან კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად უნდა მი-

ვალწიით მასთან კლასობრივ თანამშრომლობასო. ასეთი იყო მე-2 ინტერ-ნაციონალის ოპორტუნისტთა რეაქციური დასკვნა და აი, წულუკიძე სრულ-ლიად დამოუკიდებლად იძლევა კარტელების, სინდიკატებისა და ტრეისტების ნამდვილ ლენინურ ანალიზს და ამტკიცებს, რომ ისინი კი არ სპობენ, არამედ, პირიქით, აფართოებენ და ამწვავებენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობას. აი რა საერთო დასკვნას აკეთებს წულუკიძე თავისი ნაშრომის ბოლოს:

„...წარმოების განვითარებასთან, სიმდიდრის ზრდასთან ერთად სიღარიბე მატულობს, მწარმოებლის წილი მის მიერ შექმნილ სიმდიდრეში კლებულობს. კაპიტალისტური წარმოების განვითარება მოასწავებს, როგორც ვნახეთ, უმრავლესობის გაღატაკებას. ერთა სიტყვით, ხალხის უმრავლესობა დღით-დღე ღარიბდება და ქვეყნის სიმდიდრის განაწილების დროს მისი მონაწილეობა შედარებით მცირდება. ესეც შეუსაბამობაა არსებული კაპიტალისტური წარმოების.

ეს შეუსაბამობა, წინააღმდეგობა ბადებს საზოგადოებრივი ოჯგუფების შეტაკებას, ამწვავებს განწყობილებას, აჩენს სასტიკ ბრძოლას... ამ ბრძოლის გადამწყვეტი საბოლოოთ ცნობიერათ მოხმარებული ძალაა...

ეს ცნობიერება კი დღითი დღე იზრდება, ეს ძალა თანდათან მატულობს...

არსებული წინააღმდეგობიდან გამოსავალ გზას თვით ცხოვრება უთითებს: წარმოების მოუწყსრიგებლობა მოწყსრიგებას საჭიროებს, საერთო საქმე საერთო პატრონობას მოითხოვს...“ (თხზულებანი, გვ. 215).

ეს იწერებოდა ლეგალურ გამოცემაში, ცარიზმის პირობებში! წარმოების მოწყსრიგება ხომ ნიშნავს საზოგადოების ხელში საკუთრების გადასვლას, ე. ი. სოციალისტურ რევოლუციას.

ამხანაგებო, თქვენ ყველამ იცით, რომ წულუკიძე უღმობლად აკრიტიკებდა რევიზიონიზმს, ბერშტეინსა და კამპანიას. აქ მოვიყვან ერთ ადგილს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შემოქმედულად ითვისებდა და იყენებდა იგი მარქსიზმს საყოველთაოდ ცნობილ ავტორიტეტთა დამოუკიდებლად.

თქვენ იცით, რომ 1906 — 1907 წლებამდე კაუცკი ჯერ კიდევ ბოგინობდა რევოლუციური მარქსიზმის ბანაკში, ყოველ შემთხვევაში, მაშინ არ ამტკიცებდა თავის რევიზიონისტულ არსს და ამ პერიოდში იგი ავტორიტეტად ითვლებოდა რუსეთში, თვით წულუკიძეც კაუცკის ეპყრობოდა, როგორც ავტორიტეტს. მაგრამ როცა ერთერთი საკითხის (ნაციონალური საკითხის) შესახებ მოწინააღმდეგეებმა დაიმოწმეს კაუცკის ავტორიტეტი, წულუკიძემ შემდეგი პასუხი გასცა:

„ბ. განი იმასვე იმეორებს, მხოლოდ კაუცკის სახილთ გვაშინებს და გვარცხენს: ეს როგორ არ იცითო? რატომ გონია ბ. განს, რომ „პრავდაში“ კაუცკის წერილს ჩვენ ვერ წავიგითხავდით, ეს რა ასეთი უხილავი დოკუმენტია. ვაუწყებთ ბ. განს, რომ კაუცკის მოყვანილი ადგილი სრულიად არ არღვევს ჩვენსას, სულ უბრალო მოსაზრებით: ის ჩვენს ავტონომიაზე და აქაურ პირობებზე არ ლაპარაკობს! ჩვენ არ ვიცით, რას იტყვის კაუცკი ამის შესახებ (გვეგონია, თქვენ არ დაგეთანხმებათ), მხოლოდ ჩვენ არც ისეთი ბრმა აყვანისმცემლები გახლავართ ავტორიტეტ-

ბის, რომ, თუ ევროპაში კატეციმ თქვა, უკრიტიკოთ გაგინეროთ. ჩვენ-
თვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში მავნებელია — ი-
მოკლეთ ჩვენი აზრი და ამ აზრის დასარღვევად ავტორიტეტსა და საბუთს,
მოვსთხოვთ, უმეტეს თქვენისთანა უფხო მწერლებს“ (თხზულებანი, გვ. 261).

ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენის შემოქმედებით უდგებოდა წულუკიძე რე-
ვოლუციურ მარქსიზმს და გარემო სინამდვილის ანალიზს. ერთხელ როცა
ერთ-ერთმა ოპონენტმა წულუკიძის წინააღმდეგ საბუთად წამოაყენა:
„თქვენი ბელადი სდუმს და თქვენ წაგაქეზათ ჩემზეო“, — წულუკიძემ რის-
ხვით უპასუხა:

„იმის თქმა, თითქო მე „იმიტომ“ ვიცავ ნ. ჟორდანიას უმცირებას, რომ
იგი ჩემი „ბელადია“ შეუძლია მხოლოდ იმისთანა პუბლიცისტს, რომელ-
საც პირადი წერილმანი ინტერესები დიდ რწმენათ გამოაქვს და სხვათა
ამნაირ სათვალეებიდან უცქერს—არა მყავს და არც მინდა ვისიმე ბელადო-
ბა“ (თხზულებანი, გვ. 70).

შეიძლებოდა მთელი რიგი სხვა ადგილების მოყვანა, სადაც წულუკიძე
გამოდის, როგორც შემოქმედებითი მარქსისტი, რომელიც მარქსიზმს უყუ-
რებს არა როგორც დოგმას, არამედ გამოდის მისი რევოლუციური არსი-
დან, დიალექტიკურად ითვისებს მას.

არ დაჩენილა პოლიტიკური ბრძოლის არც ერთი საკითხი, რომელსაც
არ შეებოდა წულუკიძე. კერძოდ, თავის დაუმთავრებელ წერილში, რომ-
ელიც გამოქვეყნდა ავადმყოფობამდე რამდენიმე დღით და სიკვდილამდე
ერთი თვით ადრე, წულუკიძე იძლევა ტრედუნიონიზმის გამანადგურებელ
კრიტიკას.

მას მშვენიერად ესმის, რომ კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენს პოლი-
ტიკურ ბრძოლას.

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პირობებში ცდილობდნენ საღის-
კუსიოდ გადაექციათ საკითხი კლასების შესახებ.

როგორც ცნობილია, მარქსს, ძლიერ ბევრს ლაპარაკობდა რა კლასებისა
და კლასობრივი ბრძოლის შესახებ, არ მოუცია კლასის ჩვეულებრივი გან-
საზღვრა, ე. წ. დეფინიცია. ამის გამო ბევრი თავგზააბნეული, ანტიმარქსის-
ტი და ცრუმარქსისტი ცდილობდა დაემახინჯებია მარქსისტული ცნება
კლასების შესახებ.

წულუკიძე მარქსიზმის საფუძველზე იძლევა კლასისა და კლასობრივი
ბრძოლის საუცხოო განსაზღვრას.

ის სწერს: „...მაშასადამე კლასი კრებულია იმ ადამიანების, რომელნიც
წარმოებაში ერთგვარი მდგომარეობის გამო საერთო ეკონომიური ინტერე-
სებით არიან გამსჭვალულნი. თვითეულ კლასს განსაზღვრული მდგომარე-
ობა უჭირავს წარმოებაში და განსაზღვრული ეკონომიური ინტერესები
აქვს. ეს ინტერესები მის მდგომარეობას შეეფერება. ერთი კლასის მდგო-
მარეობა მიორებს საზიანოთ უმჯობესდება, ამიტომ ერთის ეკონომიური
ინტერესები მეორესას ეჯახება; თვითეული კლასი თავის ინტერესებს
იცავს; ცხადია, ეს დაცვა წინააღმდეგობას იწვევს, ე. ი. კლასთა ბრძოლას.
შეკარა, კლასთა ბრძოლა კლასთა არსებობის აუცილებელი შედეგია...
შეგნებული პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა ყოველთვის იმავე დროს

პოლიტიკური ბრძოლაც არის. თავისი ეკონომიური ინტერესების დაცვა არსებული პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ აღაშქრებს პროლეტარიატს; ერთი მეორეს იწვევს უკანასკნელი პირველს „**სტალინიზმის** თან მოყვება“ (თხზულებანი, გვ. 217 — 218).

ამგვარად წულუკიძე შედის საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, როგორც ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთერთი ფუძემდებელთაგანი. წულუკიძე არის რევოლუციური მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი, რომლის თხზულებები მიეკუთვნება რევოლუციურ-მარქსისტული ლიტერატურის კლასიკურ ფონდს. მაგრამ წულუკიძე იყო არა მარტო თეორეტიკოსი, არა მარტო მგზნებარე პროპაგანდისტი, ის იყო მგზნებარე პროლეტარული მებრძოლი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის შეგნებული პროლეტარიატის ყველა რევოლუციურ ღონისძიებაში. ის იყო ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლის დროს ლენინური ხაზის განხორციელების საქმეში.

ცნობილია, მეუმრავლესეთა, ე. ი. ბოლშევიკების თუ როგორი მგზნებარე მომხრე იყო წულუკიძე. თავის თეორიულსა და პრაქტიკულ საქმიანობაში მას არასოდეს არ გადაუხვევია რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებიდან, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის ლენინურ-სტალინური ხაზიდან.

აი ამიტომ ასე უყვარდათ და აფასებდნენ წულუკიძეს საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური მასები, აი ამიტომ ასე უყვარდა და აფასებდა მას ამხანაგი **სტალინი**.

სტალინურ გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“ წულუკიძის გარდაცვალების წლისთავზე, მოწინავე წერილის ნაცვლად მოთავსებული იყო ნეკროლოგი. ამ ნეკროლოგში, რომელიც სტილით მოგვაგონებს **სტალინის** შეუღარებელ ფიცს ილიჩის კუბოსთან, ნათქვამია:

„არიან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაიფიქებს.

ისინი მოკვდნენ, ისინი სამუდამოთ დაგვმორდნენ, მაგრამ მათი წმინდა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: **იბრძოლეთ სოციალიზმისთვის!**

დიდება და სახელი მათს აჩრდილებს!

ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მაღლიანი სახეები, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები, ჩვენს წინ სდგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისთვის!**

დიდება და სახელი მათ სახეებს!

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმიდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა ჯერ კიდევ ყურებში გვიტრიალებს: **სისხლი აიღეთ!**

დიდება და სახელი მათს გამოშალვიძებელ ხმას!

აღქმანდრე წულუკიძე ასეთ პირებს ეკუთვნის, და მას ვერ დაივიწყებს პროლეტარიატი“ (თხზულებანი, გვ. 3).

ჩვენ ვიცით, თუ როგორ გამოეხმაურა საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა წულუკიძის გარდაცვალებას.

„პროლეტარიატის ბრძოლაში“ მთელი პირველი გვერდი მიუძღვნა წულუკიძეს. ჭალაქ ქუთაისის განაპირა უბნებამდე მის კუბოს მიჰყვებოდა რამდენიმე ათეულათასი კაცი. კოკისპირულ წვიმაში რამდენიმე ათასი გამცილებელი ფეხით მიყვებოდა მის ცხედარს და ხელით მიჰქონდათ იგი ქუთაისიდან ხონამდე და ცვლიდნენ ერთიმეორეს.

აი, რას ამბობს ამხანაგი ბერია წულუკიძის დაკრძალვაზე:

„წულუკიძის დაკრძალვა, რომელსაც, მნახველთა გადმოცემით, 10.000-ზე მეტი კაცი დაესწრო, გადაიჭვა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამხ. წულუკიძის დაკრძალვაზე ამხანაგი სტალინი გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვით, რომელშიაც მან, საშა წულუკიძის მუშაობის შეფასებასთან ერთად, გადაშალა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ამოცანები და სურათი“ (ლ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, მეხუთე შევსებული გამოცემა, გვ. 37).

კავკასიის კავშირის ორგანოს გახეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ სარედაქციო ნეკროლოგი აღნიშნავდა, რომ წულუკიძის დაკრძალვა გადაიჭვა წულუკიძისადმი, როგორც მებრძოლისა და მოღვაწისადმი, რევოლუციური მასების არა მარტო სიყვარულის დემონსტრაციად, არამედ აგრეთვე მათა ღრმა სოლიდარობის ნიშნად იმ იდეათა ათვისების საფუძველზე, რომელთა პროპაგანდას მოახმარა წულუკიძემ მთელი თავისი სიცოცხლე.

თუ ბურჟუაზიულ-მემამულური ჩაგვრის პირობებში თანამედროვეები ა. ეთის სიყვარულით ეპყრობოდნენ საშა წულუკიძეს, მაშინ ჩვენ, მცხოვრებნი იმ წყობის გამარჯვების პირობებში, რომლისთვის ბრძოლას შესწირა წულუკიძემ თავისი მგზნებარე სიცოცხლე, ვაფასებთ მის დაუფიწყარ ზსოვნას, როგორც ზსოვნას ადამიანისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

წულუკიძის მოღვაწეობა, მისი ბრძოლის მნიშვნელობა როდი განისაზღვრება მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში. ის ეკუთვნოდა რევოლუციონერთა იმ სტალინურ პლეადას, რომელიც თავის ბრძოლით ხელს უწყობდა ლენინ-სტალინის დიდი პარტიის განმტკიცებას, რომელიც თავისი დაუცხრომელი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით გზას კაფავდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ. ამიტომ წულუკიძის ზსოვნა ძვირფასია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

თავისი მგზნებარე ბრძოლით, თავისი დაუღალავი მოღვაწეობით წულუკიძე ემსახურებოდა ხალხთა იმ დიდი სტალინური მეგობრობის გამარჯვებას, რომელიც იყო ჩვენი გამარჯვების ერთერთი გადამწყვეტი პირობა ჩვენი სამართლიანი საქმისათვის ახლანდელს ისტორიულ ბრძოლაში.

საგზო ბილაია

შიო არაგვისპირელი¹

შიო არაგვისპირელის შემოქმედება ლიტერატურულ-ფორმალური ძიებით დაიწყო. ეძებდა რა მწერლობისათვის ახალ ფორმას, იგი მოპასუნისა და ჩეხოვის მსგავსად უმთავრესად მიმართავდა ნოველას.

შიო არაგვისპირელი თავის ნაწერებში ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სიზუსტითა და ობიექტურობით გადმოეცა მოვლენის რომელიმე ერთი მხარე. რთული და ვეებერთელა სინამდვილე მის აპერცეპტიაში გაშლილია ცალკეულ შთაბეჭდილებად. საგანი წარმოადგენს შთაბეჭდილებათა ჯამს. მწერალი იღებს ამ მთლიანი ჯამის ცალკეულ ელემენტს. არაგვისპირელისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოთხრობაში საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილების ძირითად ხაზს, რომელიც მთლიანის ნაშლს წარმოადგენს. ამითაა გამოწვეული, რომ მას აქვს შესაძლებლობა მოთხრობის მცირე ფორმაში ჩაატოს მთელი ამბავი.

არაგვისპირელის მოთხრობა მცირე მოცულობისაა. თუ მხატვრული სიტყვის ისეთი დიდი ოსტატები, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, თავიანთ მოთხრობებში იძლეოდნენ ვეებერთელა სინამდვილეს, ამ სინამდვილეში მოშქმედი ადამიანების ვრცელ და დაწვრილებითს დახასიათებას, აღწერდნენ მათ წარსულსა და აწმყოს, შიო არაგვისპირელი, პირიქით, უპირისპირდებოდა წერის ამ მანერას. მინიატურული ეპიკის მოთხრობისა, რომელიც არაგვისპირელმა აირჩია, აიძულებს მას მოთავსდეს ვიწრო ჯარგლებში, რაც თავისებურ ელფერს აძლევს მის ნაწარმოებთა სიუჟეტს, პერსონაჟს, დიალოგს, პეიზაჟს და კომპოზიციის სხვა ელემენტებს.

პირველი და ძირითადი დამახასიათებელი თვისება შიო არაგვისპირელის ნოველებისა არის ის, რომ მათში ერთი ამბავია ყოველთვის გადმოცემული. მოქმედება სწარმოებს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ე. ი. არახდება სიუჟეტის გაშლა, მოქმედების განვითარება დროის განზომილებით, სადაც ერთ აღებულ დროს სცვლის მეორე დრო, ერთ მომენტს მეორე მომენტი და სხვ. მონიატურული ფორმა მითხრობისა არაგვისპირელს უკარნახებს ყურადღება გადაიტანოს მომენტზე, ცალკეულ შემთხვევაზე, რომელსაც აღწერს, და არ ეძიოს ის მიზეზები, რომელნიც აღებულ ფაქტებს იწვევენ.

შიო არაგვისპირელის ნაწარმოებებში მთლიანობა მყარდება არა მიზეზობრიობის კავშირით, არამედ მეზობლობის კავშირით. ნაწილების ერ-

¹ ერთი თავი მონოგრაფიიდან „შიო არაგვისპირელის ცხოვრება და შემოქმედება“.

თიანობას ჰქმნის ერთი ძირითადი ფსიქოლოგიური სულისკვეთება, რომელიც აღებული აქვს მწერალს. ეს სულისკვეთება იზრდება არა მიზეზობრიობის შედეგად, მოვლენების სინამდვილესთან კავშირში, არამედ მწერლის მიერ წინასწარ მოფიქრებული ფაქტების ზეგავლენით. ფსიქოლოგიაში გმირის შინაგან ბუნებაში მოძებნილია იმავეთვე ისე, რომ იქ „ძიებას“ ადვილი არა აქვს. ესეც აძლევს არაგვისპირელს შესაძლებლობას მცირე ფორმაში დიდი „ამბავი“ ჩაატოს.

მინიატურული ფორმა მოთხრობისა აიძულებს შოთ არაგვისპირელს, მომქმედ პირთა რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანოს. ნოველებში ორი-სამი პერსონაჟია წარმოდგენილი. მაგრამ ვერც ამ პერსონაჟთა მცირე რიცხვის სრულ დახასიათებას გვაძლევს მწერალი. მომქმედ პირთა ვრცელი დახასიათების საშუალებას ართმევს ავტორს პატარა მოცულობა მოთხრობისა. იმის მაგიერ, რომ მოგვეცეს ამა თუ იმ პერსონაჟის ვრცელი დახასიათება, ბიოგრაფია, იგი იღებს ერთ რომელიმე მომენტს გმირის ცხოვრებისას, მოწყვეტილს მთლიანობისაგან და გვაძლევს ერთ შტრიხს, პერსონაჟის მთლიანი ცხოვრების ერთ ნატეხს. არაგვისპირელის პერსონაჟები ყოველთვის რამდენიმე სიტყვით არიან დახასიათებულნი.

აქედან წარმოსდგება არაგვისპირელის მოთხრობებში სიტყვიერი მასალის უაღრესი ეკონომია. აქ ყოველი სიტყვა თითქოს მათემატიკურად არის წინასწარ გამოანგარიშებული, სადაც არ შეიძლება არაფრის გამოკლება ან მიმატება.

შოთ არაგვისპირელის ნაწარმოებთა მიზანია—აღძრას მკითხველში გარკვეული სულისკვეთება ისე, რომ არ ეძიოს სინამდვილეში ამის მიზეზები. ასეთი ობიექტური მიზეზები მხოლოდ მოთხრობებში იგულისხმებიან. და მკითხველიც იძულებული ხდება თვითონ ეძიოს მწერლის მიერ აღწერილი ფაქტების მიზეზები. არაგვისპირელი გმირების შინაგან მდგომარეობას გვიჩვენებს აღებული მომენტით, მაგრამ არ ახდენს ამ მდგომარეობის ანალიზს. არაგვისპირელისათვის ანალიზის მომენტი გამორიცხულია. აღწერილი ფაქტი იძლევა პერსონაჟის განცდას, მაგრამ როგორ ჩამოყალიბდა ეს განცდა, აღარ აინტერესებს არაგვისპირელს.

და ყველა ამის გამო შოთ არაგვისპირელის მოთხრობები შექუმშული შინაარსისანი არიან, შექმნილნი უდიდესი მხატვრული ჰედადობით, რასაც არაგვისპირელი აღწევს ადამიანის ყოფისა და მისი ფსიქოლოგიის ღრმაცოდნაზე დამყარებით.

არაგვისპირელის ნოველები შეეხებიან მოვლენათა ცალკეულ ეპიზოდებს. ნაწარმოებები, არ მოგვითხრობენ რა მოვლენათა მთლიან სახეზე, პერსონაჟის მთლიან ზასიათზე ვითარლებიან სწორხაზობრივად, სწრაფად, ყოველგვარი გადახვევებისაგან თავისუფალნი. აქედან წარმოსდგება არაგვისპირელის ნაწარმოებთა ძლიერი დინამიურობა, რიტმიულობა და ლირიზმი.

ასეთია არაგვისპირელის მინიატურულ მოთხრობათა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. ამ ნიშნებს არაგვისპირელი ზუსტად იცავს.

შოთ არაგვისპირელის მინიატურულ მოთხრობებში დაცულია ნოველისათვის დამახასიათებელი ძირითადი მოთხოვნილებები: სიღრმის სიმკვეთრე, სიუჟეტური მასალის ჰედადობა, მომქმედ პირთა სიციერე, პერ-

სონაეების ერთი ტიპიური ხასიათისათვის ხაზგასმა, თხრობის მცირე ეპიზოდური ფორმა და სხვა.

საილუსტრაციოდ შევჩერდეთ რამდენიმე ნაწარმოებზე.

გოგია მეწისქვილე გულხელდაკრეფილი მივიდა წისქვილის ქვასთან და ალას კვირისტავებით მიეყრდნო, ვულდასმით გამონჩხრიკა წისქვილის ყველა კუთხე, დაათვალიერა სასიმიინდე კოდი, კასრი და ზოსკი, მაგრამ ამოდ. რას ეძებდა გოგია ასე მოუსვენრად? ფქვილს, ფქვილსა და ფქვილს¹⁾.

გუშინ უკანასკნელი ნახევარი თეფში ფქვილი ხშირად გამოაცხო და გუშინვე შეჭამა. მას აქეთ მშვიერია და ვერსად იშოვა ერთი „ბეწო ფქვილი“, რომ დამშეული კუჭი გაიძლოს.

იმედდაკარგული გოგია წარსულის მოგონებამ გაიტაცა: „ესმის გოგიას, რომ დატვირთული ურემი ჭრიალით მოადგა კარს. აგერ ტომრების შემოტანას უშველა და მინდის აღება დაიწყო. რა მერე, რამდენ მინდს იღებს? ისმის წისქვილის სარეკელას საყვარელი ხმა. გოგია ისე გაიტაცა მირაემ, რომ წისქვილში შემოსული კაცი ვერ შეამჩნია. მერე მათ შორის ასეთი საინტერესო დიალოგი იმართება:

— „პა!.. საფქვავეი მოიტანე?

— პო!..

— გვიან მოგერგება ჯერი, სხვაგან წაიღე, ვერა ხედავ, რამოდენა საფქვავეია აქ“.)

წარსულის მოგონება ასე დამაჯერებელ ფაქტად იქცა გოგიასთვის. გამოფხიზლდება და ეს ყველაფერი მოჩვენებად გადაიქცევა. ყველაფერი ეს ლამაზი მირაეი იყო წარსულისა. სინამდვილეში კი მას ხელთ შერჩა ნაცნობი კაცი ნახევარი კოდი ფქვილით. გოგია ვერ იღებს ამ ნახევარი კოდიდან მინდს, სირცხვილით როგორ სთხოვოს მინდი ნახევარი კოდი ზორბლის დაფქვაში.

ახმაურდა წისქვილი. გოგიამ ველარ გაუძლო სარეკელას საყვარელ ხმას და გარედ გაეარდა. მაგრამ გარედ შიმშილმა აღარ დააყენა: სირცხვილი და შიმშილი ებრძვიან გოგიაში ერთმანეთს. ბოლოს შიმშილი თავისას გაიტანს და შეეა წისქვილში, რომ ცოტა ფქვილი სთხოვოს მოხუცს.

„ის თავს წაადგა ბუხრის პირას მწოლარეს და დაიწყო აკანკალებულის ხმით: — „შენი ჭირიმე, გეგე“...“

მაგრამ გეგეს ჩასძინებოდა და ეხლა განზრახვა იმით შესცვალა, რომ ჩუმად მოეპარა ერთი თეფში ფქვილი. შეასრულა კიდეც განზრახვა. როდესაც მოპარულ თეფში ფქვილს დახედა, ეცოტავა და გადასწყვიტა მოეკლა გეგე და ფქვილი სულ წაეღო. და აი „თვალეზანთებული და ნაჯახამართული თავს წაადგა მძინარე გეგეს“, მაგრამ ამ დროს იდუმალმა ხმამ ჩასჩურჩულა ყურში: „აბა, შენი ჭირიმე, გოგე, დროით დააბრუნე, თორემ შინ საზლობა შიმშილით მიწივის“.

ამ ხმაზე გოგიას მკლავი მოუღუნდა და ნაჯახის მავიერად ფეხი ოდნე წაჰკრა თავში—აღე, ჩამოვიდაო— ფეხის წაქერასთან ერთად აღელვებული ხმით დასძახა ზევიდან და საჩქაროდ გარედ გაეარდა... ასეთია შიო არაგვისპირელის საინტერესო ნაწარმოების „აღე, ჩამოვიდა“—ს შინაარსი, რომელსაც ნოველის ყველა ნიშანი აქვს.

1) შ. არაგვისპირელი, მეორე წიგნი, გვ. 7. მეორე გამოცემა, აქ ყველგან იმ გამოცემით ვნარკველობ.

აქ განგებ შეგჩერდით ასე ვრცლად ამ ნოველის შინაარსზე. მისი სიუჟეტი მარტივია: აღებულია ერთი მომენტი — მეწისქვილე გოგიას ფსიქოლოგიური განცდა ფაქტის უქონლობით გამოწვეული შიმშილისა გამო. ეს ერთი.

მეორე: სიტყვიერი მასალა უაღრესად შეკუმშულია, არც ერთი ზედმეტი ადგილი. ასეთია ლექსიკა ამ ნოველასი.

მესამე: ნოველის პერსონაჟების რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი. სულ ორი მოქმედი პირია გამოყვანილი, გოგია და გეგე. პერსონაჟები არ არიან მოცემული მთელი თავიანთი თავგადასავლით, ნაჩვენებია მხოლოდ ერთი მომენტი მათი ცხოვრებისა. ნაჩვენებია პერსონაჟების შინაგანი ცხოვრება აღებულ მომენტში, მაგრამ არ არის მოცემული ანალიზი ამ მდგომარეობისა, ე. ი. გმირები მოცემული არიან თავიანთი განცდებით, მაგრამ არ არის ახსნილი — როგორ შეიქმნენ ეს განცდები.

მეოთხე: მოვლენა თავისი ხასიათით ეპიზოდურია. ლოგიკურად ვითარდება რა აღებული ფაქტი, იგი თავისუფალია ყოველგვარი ლირიული გადახვევისაგან. ნოველის სიუჟეტი ვითარდება სწორხაზობრივად.

ამგვარად „ადე, ჩამოვიდა!“ ტიპური ნოველაა, მას ნოველის ყველა დამახასიათებელი ნიშანი აქვს.

ასეთივეა არაგვისპირელის სხვა ნაწარმოებიც: „მომილოცნია ახალი წელი!“, „უცნაურია, უცნაური!“, „ციცინათელა“, „შემუსრული სამი ცნება“, „ადაშიანი“, „ეპ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი“, „ხითხითებს და ხითხითებს“ და სხვა.

საილუსტრაციოდ შეგჩერდეთ კიდევ ერთ მათგანზე „მომილოცნია ახალი წელი“

ამ ნაწარმოების თემად აღებულია როსკიბი ქალის ბედი. შოა არაგვისპირელს ქუჩის ქალის მთელი ხედრი აწერილი აქვს სულ ოთხიოდე გვერდზე. მაგრამ ისე დამაჯერებლადაა იგი მოცემული, რომ ვერც ერთი სქელტანიანი წიგნი ამაზე სრულ სურათს როსკიბი ქალისას ვერ მოგვემდო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ქალის ბედი როდია მთლიანად აქ მოცემული, — აღებულია მხოლოდ მისი ცხოვრების ერთი „ნაგლეჯი“.

„ხელა ახალი წელიწადია, — ამბობს მთლად ჩამომხმარი და წელში მოხრილი დედაბერი“, სანამ ახალგაზრდა იყო ეს ქალი „საკუთარი ხორციით“ ვაჭრობდა და ამით ოღონდ მიდიოდა. ეხლა სილამაზე წავიდა და შემოსავეალიც მოაკლდა. დაუძღურებული დედაბერი აღარავის უნდა. იგი სჯის თავის ბედს და მის უბედურების მიზეზს სამართლიანად ეძებს მისი შინაგანი ბუნების გარედ: არსებულმა ყოფამ აიძულა ის დაეწყო საკუთარი „ხორცის ყიდვა“. „მსრისეს, მტანჯეს, ვიდრემდი ჩემი სახე ხიბლავდათ, და ეხლა კი, როგორც უხმარი ნივთი, ამ სოროში ჩამომიძახეს“. ასეთია განაჩენი კაპიტალისტური საზოგადოებისა. ნახევრად გიჟს, აღქაჯად ქვეულ დედაბერს შურისძიების გრძნობა იპყრობს. იგი ხედავს, რომ „ხალხი“, რომლის მსხვერპლი ის გახდა, ქეიფით ხედება ახალ წელს, მას კი ლუკმა პური ვერ უშოვნია, რომ გამხმარი კუჭი გამოაძლოს. ცხოვრებისაგან გატანჯული დედაბერი ცეცხლს მისცემს ერთ ხალხს, საიდანაც „როილის გრიალი და ხმაურობა მოისმოდა და თვითონაც შიგ შევარდება“.

ასეთია ამ საინტერესო ფსიქოლოგიური ეტიუდის შინაარსი. აქ დაცულია მინიატურული თხრობის ყველა წესი. შიო არაგვისპირელი იძლევა რუსკიბი ქალის ფსიქიურ განცდას აღებულ მომენტში, კერძოდ, მთავრადის გარეშე. აღებულია გმირი იმგვარად, როგორც თვითონ ეგრევე აღებულ მომენტში.

შიო არაგვისპირელმა ჩვენს მწერლობაში პირველად აღორძინა და განამტკიცა სრული ფორმით, პროზის ურთულესი ფორმა — ნოველა და ეტიუდი. შიო არაგვისპირელი ძირითადად არის ნოველებისა და ფსიქოლოგიური ეტიუდების მწერალი. საგულისხმოა, რომ შიო არაგვისპირელის ნაწერები, რომელსაც იგი ხშირად „მოთხრობას“ აწერს, არსებითად ნოველას წარმოადგენს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა შიო არაგვისპირელის „დიდება მარიამი და ხატაურა“¹⁾ ამ ნაწარმოებს არაგვისპირელი მოთხრობას უწოდებს. არსებითად კი იგი ნოველაა.

„დაქვრივებული დედაბერი — დიდდა მარიამი“ ოჯახში მარტოკაა. მიუხედავად ქალიშვილის თხოვნისა, რომ მასთან გადავიდეს საცხოვრებლად, დედაბერი არ სტოვებს საკუთარ კერას. დედაბერს მარტოობას უჭარბულად ეატა ხატაურა. დიდდა მარიამმა ოჯახის წევრის მსგავსად შეიყვარა ხატაურა. სტუმრად მისული შვილიშვილი ურჩევს, გადაადგოს კატა და მოაშოროს ოჯახის სიბინძურის ბუდე. დედაბერი დაუჯერებს შვილიშვილს და დიდი გულისტკივილით ხატაურას სტოვებს შორს, მტკვრის პირად. შინ დაბრუნებული მარიამი მთელი სიმძიმით გრძნობს მარტოობას და ლამის შიშმა გადარიოს. დიდდა მარიამი დაუყოვნებლოდ მოსძებნის თავის საყვარელ ხატაურას და კმაყოფილი სიკვდილამდე არ იშორებს მას. კატისადმი დედაბერის გადაქარბებული სიყვარული ექვს კბადებს სოფელში. დიდდა მარიამს კუდიანობას სწამებენ სოფელი და ნათესავები, თავს არიდებენ დედაბერს და იგი უთვისტომოდ კვდება.

აქ არაგვისპირელის მინიატურულ თხრობისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან გვაქვს საქმე და ჩვენ ეს „მოთხრობა“ ამიტომაც მიგვაჩნია ნოველად.

ამ ნაწარმოებს ნოველის შემდეგი ნიშანი აქვს:

1) მოცემულია გმირის ცხოვრების ერთი მომენტი: აღამიანის მარტოობის განცდა, რაც დიდდა მარიამის „თავგადასავალიში“ არის მოთხრობილი, მაგრამ მოთხრობილია ისე, რომ დიდდა მარიამის მთელი თავგადასავალი კი არაა მოცემული, აღებულია მხოლოდ ერთი მომენტი მისი ცხოვრებისა.

2) ნაწარმოების სიუჟეტი უაღრესად მარტივია. მოცემულია ერთი რკალი, ყოველგვარი სიუჟეტური ხლართებისა და კვანძების გარეშე.

3) უაღრესად შეკუმშულია სიტყვიერი მასალა.

4) მინიმუმამდე არის დაყვანილი პერსონაჟების რიცხვი (სულ სამი მოქმედი პირია გამოყვანილი).

5) ნაწარმოები ვითარდება სწორხაზობრივად, იგი თავისუფალია მეორედი მომენტებისაგან.

მეტად საინტერესოდ არის მოცემული ამ ნაწარმოებში მარტოდ დარჩენილი აღამიანის ფსიქიური განცდა.

ხუთი წლის განმავლობაში, რაც მარტოდ-მარტო დარჩა (დიდება მარიამი), მის სახლში მხოლოდ კატის კნავილი, იმის ხატაურას კნავილი

¹⁾ შ. არაგვისპირელი „ჩვეულებრივი ნაწერები“ გვ. 3

გაისმოდა. შეეჩვია იმის კნავილს, არად აგდებდა კნავილს და მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ ხატატურას კნავილი იმის სიცოცხლის ნაწილს შეადგენდა, რის დაკარგვაც მხოლოდ ეხლა ემწვავა, საგრძნობიერო განდ...
 უეცრად სიჩუმემ ყურში ჩასჩურჩულა და სხეულის ყველა ნაწილში დაურბინა.

მოხუცებული შეერყოლდა, შეეშინდა მარტობისა და მუხლმოდრეკილი ხმამაღლივ ღმერთს შეევედრა: „თავგები მაინც ამოძრავეო“, და ყურები ცქეცია, თითქოს თავის ვედრების შესრულებას მოელოდა, მაგრამ ხატატურას კნავილით დაფანტული თავგები მაგრე სწრაფად არ დაბრუნდებოდნენ... ისევ სიჩუმე გამოეხმაურა. კიდევ გაერყოლდა, სანქაროდ ლოგინში თრთოლით ჩაწვა, საბანი თავპირზე წაიხურა და თვალბეზე, ყურებზე ცერების დაცმით, თითები მიიჭირა. ჰტიქრობდა, ამ საშუალებით განედევნი სიჩუმესაო, მაგრამ ცერა თითებს ქვეშ, ყურის სიღრმეში უჩურჩულებდა, თითქოს უეცარი დაცმით იქ ჩაჭუქქულიყო სიჩუმე“).

ასე დამაჯერებლად ახერხებს შოა არაგვისპირელი ადამიანის ფსიქოლოგიის გადმოცემას.

შოა არაგვისპირელის ნაწარმოებთა შორის მეტად საყურადღებოა „გიულიც“. „გიული“ ძირითადად ნოველის სტილით არის დაწერილი. ნაწარმოების ძირითადი თემაა — უიმედო და განწირული სიყვარული გიულისა, რომელიც „საბედისწეროდ“ თავდება.

ახალგაზრდა გიულის მიათხოვებენ მეორე ცოლად შეძლებულ, მაგრამ ბებერ თათარს ალიას. რამდენადაც ალია უძლურია, იმდენად საბედისწეროა მისი ვეწბა... და სიყვარული გიულისადმი. სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალს შეუყვარდება მოჯამაგირე მიტრო. ჩუმად და ფარულად მიმდინარეობს ალიას სახლში რომანი მიტროსა და გიულის შორის. ალიას შეილი ქერბალაი გაიგებს დამალული სიყვარულის ამბავს: ქერბალაი მეგობრობას შეჰპირდება მიტროს და ამით გამოსტყუებს სიყვარულის საიდუმლოებას. ბოლოს იგი უღალატებს მეგობარს და ამ ღალატის მსხვერპლი ხდება გიულიც და ქერბალაიც. საბოლოოდ განწირულია მიტროც. ასეთია ამ უაღრესად მიშვიდველი ნაწარმოების მოკლე შინაარსი.

როგორც ვხედავთ, არაგვისპირელის შემოქმედებითი სტიქია სრული სახით ნოველის ფორმაში გამოვლინდა. თავის დროზე ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერიაში“ აღნიშნა ეს გარემოება:

„არაგვისპირელის ნაწერების თავისებურ თვისებას ის შეადგენს რომ მისი მოთხრობის საგანი მულამ დასაბუთებია ცხოვრების რაიმე ღრმა საკითხისა და არა თვით ცხოვრების აქტიურ მოქმედებათა, ე. ი. ადამიანთა ტიპებისა. მას აინტერესებს უფრო პრობლემა ვიდრე სიუჟეტის ხლართი.“)

შოა არაგვისპირელის ნაწარმოებთა თემატიკა

არაგვისპირელი თემატურად მრავალფეროვანი მწერალია. იგი შეეხო თავისი ეპოქის ყველა მტკივნეულ საკითხს. შოა არაგვისპირელის მრავალფეროვან თემატიკიდან ჩვენ გვინდა გამოვყოთ ძირითადი საკითხები: ადამიანი და საზოგადოება. ადამიანთა და საზოგადოების ურთიერთ და-

1) შ. არაგვისპირელი: „არჩული ნაწერები“, გვ. 10.
 2) „ივერია“, 1901 წ. № 20.

მოკიდებულების თემა იყო შიო არაგვისპირელის შემოქმედების სათავეც, ატმოსფეროც და პიროვნული სევდიანობის ძირითადი მიზეზიც.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში აზროვნების უფიქრეს ტიტანებს მუდამ აფიქრებდათ პიროვნების ბედი, ადამიანის ადგილი კოსმოსში. ცნობილ მწერლებს არა ერთჯერ უცდიათ ამოეხსნათ ეს საიდუმლოება, უცდიათ მოენახათ ადამიანის დანიშნულება, გამოეყოთ იგი ცხოვრების ჯაჭვიდან და განეხილათ მისი ადგილი მსოფლიოში.

„ფაუსტის“ ავტორს ყველაზე უფრო ადამიანის ბედი აფიქრებდა, მისი საიდუმლოების ამოხსნა აწვალებდა. სურდა რა გოეთეს ჩასწვდომოდა ადამიანის რაობას, იგი ამ საკითხმა ადამიანის განსაზღვრულობის აღიარებამდე მიიყვანა. ადამიანის საიდუმლოებათა ჩაწვდომის სურვილმა წელში გატეხა და ბერიკაცად აქცია ახალგაზრდა ფაუსტი. მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა. ცხოვრება მასზე მალლა აღმოჩნდა. ამით გოეთემ ადამიანის შეზღუდულობა გამოამჟღავნა.

შიო არაგვისპირელიც უფიქრდება ამ საკათხს. მან ადამიანის „ბედის“, „მისი რაობის“ საკითხი თავისი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ეტიუდებისა და ნოველების ძირითად საგნად გახადა. რა არის ადამიანი? რა უფლებები და შესაძლებლობები აქვს მას? როგორია მისი ხედვარი? როგორია დამოკიდებულება ადამიანსა და საზოგადოებას შორის,—აი რა საკითხები აწუხებდნენ არაგვისპირელს. და ისიც იძლევა პასუხს ამ საკითხებზე.

ადამიანი მთელი თავისი სიძლიერითა და სისუსტით, სიმშვენიერითა და სიმახინჯით აღწერილი აქვს არაგვისპირელს. ადამიანის გდნება თავისუფლებისა და ბედნიერების დაუცხრომელი მაძიებელია, სინამდვილეში კი ადამიანთა უმრავლესობას წართმეული აქვს თავისუფლება და ბედნიერება: კაცობრიობის უმრავლესობა სხვისი მონობის უღელქვეშ ლევს ცხოვრების დღეებს. ადამიანი ბუნების მეფეა, იმავე დროს მისი მორჩილი მონა. ასეთ წინააღმდეგობათა ხლართშია მოქცეული არაგვისპირელის თანამედროვე ადამიანი. არაგვისპირელი ოსტატურად უპირდაპირებს ერთმანეთს ადამიანში მოცემულ ამ ორ საპირისპირო მომენტს.

შიო არაგვისპირელს სურს ადამიანი უფრო ძლიერი და კმაყოფილი იყოს თავისი ხედვისა, ვიდრე იგი ახლა არის. ამიტომ მას ასეთი კითხვა ესახება: როგორ შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს ბედნიერებას, იყოს კმაყოფილი თავისი ხედვისა? აქ კი თავს იჩენს მეორე საკითხი: როგორ უნდა მოწესრიგდეს ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის? არაგვისპირელის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრება მაზინჯია და ამან თავის მხრივ პიროვნებაც დაამახინჯა. კაპიტალისტურმა საზოგადოებამ პიროვნება ნივთად გადააქცია, რის შედეგადაც ადამიანი გახდა მატყუარა, თვალთმაქცი, მკვებარა. არაგვისპირელმა ამ მომენტს სწორად გაუსვა ხაზი.

შიო არაგვისპირელის გამსახურება იმაშია, რომ მან შენიშნა და კარგად დაახასიათა კომფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. მაგრამ არაგვისპირელმა ვერ მოგვცა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებული კონფლიქტის პერსპექტივაში განჭვრეტა: რა პქმნის საზოგადოებასა და პიროვნებას შორის კონფლიქტს, როგორია მისგან თავის დაღწევის გზები? ეს აღარ ესმოდა არაგვისპირელს. ვერ მისცა რა სწორი ახსნა ამ მიზეზებს, რომელთაც ეს მოვლენები გამოიწვიეს, მას ხელთ შერჩა უპერსპექტივო ადამიანები.

ამიტომ არაგვისპირელის ნაწარმოების კითხვის დროს ისეთი მთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორს ადამიანის ღირებულების საზომად მისი პირადი კმაყოფილებისა და უკმაყოფილების გრძობა მიაჩნდეს. ენერგიული, აქტიობა და მებრძოლი საზოგადოებრივი სული აკლიან არაგვისპირელის გმირებს.

არაგვისპირელის გმირებს აქვთ შეგნება — განიმჭვალონ და აღენთონ საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ. გასწიონ მისი სიტყვიერი კრიტიკა, მაგრამ მათ არა აქვთ ნათელი, ზუსტი, სინამდვილის ცოდნაზე დამყარებული გამოკვლევის უნარი და მოქმედების გზა. ისინი მომხიბლავად მეტყველებენ, მაგრამ უკვალოდ ქრებიან.

არაგვისპირელის გმირები გონებით საკმაოდ განვითარებულნი არიან. მათ შეუძლიათ შეამჩნიონ თავიანთი ეპოქის ნაკლი და სიღუბნით, მაგრამ მთავარ შემთხვევაში მოკლებულნი არიან უნარს — გაარღვიონ ეს საზოგადოებრივი წრე, გადალახონ მისი საზღვრები და პერსპექტივაში დაინახონ მომავლის ძალები. მათ არა აქვთ უნარი მონახონ ის საზოგადოებრივი ძალა, რომელთანაც ერთად უნდა აწარმოონ ბრძოლა საზოგადოების უკეთესი მერმისისთვის. პაერზე გამოკიდულნი ისინი მარტობას გრძობენ. ეს წვრილბურჟუაზიული უპერსპექტივობა თან სდევს არაგვისპირელის ნაწერებს ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემის გადაწყვეტის დროს.

როგორც აღენიშნეთ, შოთ არაგვისპირელს, მსოფლიოში ცნობილი მწერლების მსგავსად, აწუხებდა კითხვა — რა არის ადამიანი? ამ კითხვის გამორკვევას არა ერთი და ორი დიდი შესანიშნავი ნაწარმოები უძღვნა არაგვისპირელმა. მათ შორის მის ეტიუდს „შემუსრულ სამ ცნებას“ ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

ახალგაზრდა მეფისწულს, რომლისთვისაც განზადებულია სამეფო ტახტი, ნადირობის დროს ერთი უცნობი მოხუცი გადაეყრება. „თუმცა სახის გამომეტყველებაზე შეატყო უცხო კაცს შეშლილობა“, მაინც ჰკითხა ვინა ხარო.

— ადამიანი, — იყო პასუხი შეშლილისა.

— სულელო, ადამიანისა რა გაქვს? — ღიმილით შეეკითხა მეფისწული.

— ხიპ! სისულელე!.. — ღრეკით უბასუხა შეშლილმა.

მოსვენებას არ აძლევს მეფისწულს ეს ჭეცხური პასუხი შეშლილისა. მას სურს „განმარტება თავის არსებისა“.

...ერთი თვეა მის გონებას თავს არ ანებებს ერთი და იგივე კათხვა. არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევს, განმარტება სურს ამ კითხვისა. თითქოს კიდევაც სწვდება გონება მისი, შორს, შორს იხატება მისი ახსნა, განმარტება. შორით უღიმის, აგერ, კიდევაც ფრთოვანდება სიხარულით მისი არსება: უნდა დაიძახოს: ეხლა კი გამოვარკვიეო...¹⁾

მაგრამ იღუმალებით მოსილი კითხვა მაინც ამოუხსნელი რჩება მეფისწულისათვის: „შეუძლებელია, ადამიანი ცხოვრობდეს და კი არ იცოდეს, რას წარმოადგენს, რა ადგილი უჭირავს სხვა ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა შორის!“²⁾ და გადასწყვეტს ახალგაზრდა ჰბუეკი ვაიგოს „რაღაა ადამიანი?“ მეფისწულმა მიატოვა სამეფო ტახტი და ოცდაათი წლის განმავლობაში „მინდორ-ველად იხტილა“, მაგრამ კითხვა მაინც ამოუხსნე-

1) შოთ არაგვისპირელი, მე-4 წიგნი, „შემუსრული სამი ცნება“, გვ. 148.

2) იქვე, გვ. 153.

ლი დარჩა. ბოლოს, მეფისწული გადაეყრება სიცოცხლით კაცზე ახალ-გაზრდა ქალს. გამოირკვევა, რომ ეს ის ქალია, რომელიც მეფისწულის საცოლედ იყო მიჩნეული. ქალიც გაიგებს, რომ მის წინაშე მდგომ მოხუც კაცს რამდენიმე წლის წინად გმირობითა და სილამაზით განაქვნივლი ცნობილი ახალგაზრდის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ეზლა ამ მეფისწულს გულზე მათხოვრის მსგავსად „ქვის ფიცარი“ ჰქვია, რომელსაც ასეთი უცნაური წარწერა აქვს:

„ჰოი, კაცო! ნურას დროს ნუ დაეკითხები შენ თავს: რა არის ადამიანი“ „უოველგვარ მოვლენას შენ ცხოვრებაში გულგრილად შეხვდი“ „ეცადე, შენი ცხოვრება მხოლოდ სიამოვნებით გაატარო!“

მოხუცი ქალს შეხედავს, სინანულით გაიხსენებს წარსულს და თავის „ოცდაათი წლის ნაშრომს“, რის შედეგადაც მას ეს წარწერა შერჩა, მიწაზე დაანარცხებს. „ადამიანის რაობის“ გარკვევას ასეთი პესიმიისტური ფინალი მოსდევს. არაგვისპირელი ამაზე მაინც არ ჩერდება. მას სურს ერთგვარი ახსნა მისცეს დასმულ კითხვას და ამის ლოგიკურ განვითარებას იგი ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის გარკვევამდის მიჰყავს.

შოი არაგვისპირელის აზრით, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ამოუქსებელი უფსკრულია. კაპიტალისტურ საზოგადოებაში არაგვის არ აფიქრებს ადამიანის ბედი. „თანამედროვე საზოგადოება ძალმომრეობაზე, ექსპლოატაციაზე, ერთმანეთის გაუტანლობაზე აგებული საზოგადოებაა“. ერთი მომქმედი პირი სწორად შენიშნავს: „მოლაღობა, სუსტის განადგურება, ძალმომრეობა და ფეხ-ქვეშ დაგება მე არ შემიძლიან და თუ ეს ასე არ მოიმოქმედე, მაშინ ადგილი არა გაქვს საზოგადოებაში.“¹⁾

შოი არაგვისპირელს სძულს ძალმომრეობაზე აგებული საზოგადოება. „თანამედროვე საზოგადოება სიძულვილის ღირსია“, შენიშნავს იგი. არაგვისპირელის გმირები ამხელენ და აკრიტიკებენ ასეთი საზოგადოების კლასობრივ ბუნებას, მაგრამ არაგვისპირელთან ერთად მისი გმირებიც უძლურნი არიან თანმიმდევრულად იბრძოლონ მახინჯი სინამდვილის გარდასაქმნელად, მის მოსასპობად.

— „ოხ, მომეციო რწმენა მომავლისა და აი ამ მთას მეორე ნაპირას გადავდგამ, თავს შევაკლავ!“

სწორედ ეს „რწმენა მომავლისა“ არა ჰქონდა არც არაგვისპირელს და არც მის გმირებს.

კოდახევის შესართავთან, პატარა კლდეზე დგას დაღონებული გაბრო და ფიქრობს, თუ როგორია პატარა არსების ბედი: პატარა კლდეს არაგვი ერევა და მის ხსენებას სპობს. მაგრამ თვით არაგვი დიდ შტკვარს ერთვის და ამის შემდეგ მისი სახელიც იკარგება, და ასე შემდეგ, დაუსრულებლად. ადამიანის ბედიც ამ პატარა არსების ბედსა ჰგავს. ეს გაბრომ თავის საკუთარ მაგალითზე იცის.

გაბრომ გადაფურცლა თავისი ცხოვრების მატრიანე და სანუგეშო ვერა ჰპოვა-რა. რას ელტვის, რისთვის ან ვისთვის ცხოვრობს? აი რა კითხვები უტრიალებენ გაბროს თავში. ვისთვის და საზოგადოებისთვის, — ეტყვის მას იღუმალი ხმა, მაგრამ გაბროს მზადა აქვს პასუხი:

¹⁾ შ. არაგვისპირელი, „გულუციობა“, მეორე წიგნი, გვ. 163 — 64.

— „მაშ კარგი, ყური დამიგდე: საზოგადოებამ დაგბადაო, მე ბუნები, ეგ ტყუილია. მე არ ვიცი კი რა განზრახვით, ბუნებამ გაგზარდა, სოლო საზოგადოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანიჭა. ან კიდევ, თუ არ წამართვა, — დამიმახინჯა, გამირყენა და შემიღალა.“¹⁾

პიროვნებას საზოგადოება ისე ეპყრობა, როგორც გულქვა დედისა ცვა-
ლი თავის გერს. საზოგადოება პიროვნებისაგან ყველაფერს მოითხოვს, თვითონ კი არაფერს აძლევს. „გულქვა, გულცივი, თავის წვერის ფეხის დამჭირებელი საზოგადოება მოდის და გუებნება: „შენ ჩვენი მოძმე ხარ, ესა და ეს ჩვენთვის უნდა გააკეთო... გვანაცვალე ჩვენი, ვინც კი გყავს, ან გაქვს რამე. შენ მოვალე ხარ“... კარგი, პატიოსანი. თუ მე ვარ მოვა-
ლე, პატივცემულ საზოგადოებაც, შენც მოვალე ხარ: თუ მე შენ გეკუთ-
ნი, შენ კიდევ მე უნდა მეკუთნო. საზოგადოება მსხვერპლს გთხოვს, ძა-
ლას გატანს. შენ კი დანა ყელთან რომ გქონდეს მიტანილი, ხელს გამო-
გიწვდის საშველად! როდის გაუწვდია თავის წვერისათვის ძმურად ხე-
ლი, გაუმხნევებია სასოწარკვეთილი, აღუდგენია სულით დაცემული? გე-
ყურება? შენ გეკითხები, შენა, რომ საზოგადოების ვალს თავს მახვევი!“²⁾

საზოგადოება ფეხქვეშ სთელავს პიროვნებას, ამცირებს მას, სამაგიე-
როდ საზოგადოება მას მხოლოდ გლოვობს და გლოვობს არა იმიტომ,
რომ გული შესტყვივა მასზე, არამედ იმიტომ, რომ რაღაცა სასარგებლო
დაკარგა მან პიროვნების დაქარგვით.

— „ხა, ხა, ხა! „გლოვობს“... დიად, გლოვობს, სწუხს, სტირის, მაგრამ
აბა ჩაუკვირდი, რას წარმოადგენს ეს გლოვა, ტირილი, მისი ცრემლი?
დაკარგულ წვერს გლოვობს თუ თავის თავს, დაკარგულ წვერისთვის
აფრქვევს ცრემლს თუ თავის თავისათვის? აბა, შენ იყავ მხოლოდ ადა-
მიანი, უჩინარი, თუ შენ გიგლოვოს, ცრემლი აფრქვიოს. იმას ჰგონია,
რომ შენის დაქარგვით არა დააკლდება-რა. შენს უბედურებას ვერც-კი
შეიტყობს. თუ მასხარა ხარ, საზოგადოება გიგლოვს, ცრემლს დააფრქვევს,
რადგანაც მოაკლდება შენი მასხარობა, ვეღარ იმხიარულებს შენის მას-
ხარობით. შენ გიგლოვს, როგორც მასხარას და არა როგორც წვერს-ადა-
მიანს. მწერალი ხარ ან სხვა რაიმე ხარ, რითაც შენ საზოგადოებას ამხიარ-
რულებ, ასარგებლებ, — გიგლოვს, რადგანაც შენის უბედურებით აკლდე-
ბა მას სიამოვნება, სარგებლობა. შეიგნე, რომ თავის სიამოვნების შემ-
ცირებას გლოვობს და არა დაკარგულ წვერს! მაშ...“³⁾

ასეთია თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც ზიზღით იხსენიებს
არაგვისპირელი. მაგრამ ასე არა ყოფილა წინად. იყო დრო, როდესაც სა-
ზოგადოებას პიროვნების ბედი აინტერესებდა:

— „დავანებოთ თანამედროვე საზოგადოებას თავი. სიძულვილის ღირ-
სია. აბა ახლა გაიხედ-გამოიხედ: ხედავ, აგერ იქ, ზედაძნის საბეროს
მთის წვერზედ, ქვევით კიდევ, ჯვარ-პატიოსნისას, მცხეთის ტაძრებს,
ნანგრევებს და აი შენს გვერდით „ბებრის ციხეს“? ვერ ხედავ, როგორ
გამოკრთიან მთვარის შუქზედ? ნუ-თუ შენს სულს და გულს შენი დიდე-
ბის მოწმენი არას ეუბნებიან? განა ყოველივე ეს შენს წინაპართ არ გა-

¹⁾ იქვე, გვ. 161.

²⁾ იქვე, გვ. 162.

³⁾ „გულცივობა“, მეორე წიგნი, გვ. 162 — 63.

გონებს, როდესაც მათი სიცოცხლე დულდა და გადმოდიოდა ამ მხარეს? განა...

— კმარა... ვხედავ, კარგად ვხედავ ჩვენს წინაპართ დიდებას და იმასაც კარგად ვხედავ, რომ ამ დიდებას ჩვენი გათახსირება, ^{განადგობა} მოჰყვა. რას წარმოადგენს ის დიდება, რომელსაც შედეგი ასეთი ეწეება? ჩვენი არარობა იმ დიდების შემდეგ უფრო მწვევია, უფრო...¹⁾

ამგვარად, წინაღ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ურთიერთი კონტაქტი არსებობდა. ესლა, კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, ეს კონტაქტი მოიშალა და პიროვნების ბედიც უნუგეშო გახდა. ასე გაგრძელდება, თუ არის ხსნა? გამოჩნდება თუ არა გზა, რითაც დააღწევს ადამიანი თავს ამ უნუგეშო ყოფას? ეს ამ ნაწარმოებებიდან აღარ სჩანს. შ. არაგვისპირელის გმირი ამ კითხვას უპასუხოდ სტოვებს, მაგრამ ის ფაქტი რომ იგი ფაფს იხრჩობს, თავის-თავად ცხადყოფს იმას, რომ რწმენა მომავლის იქ არ არის. ასეთია აზრი ამ საინტერესო ნაწარმოებისა. შიო არაგვისპირელი სხვაგანაც უბრუნდება ამ საკითხს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ კაპიტალისტურმა საზოგადოებამ დააწვრილმანა, გაათახსირა ადამიანი. ადამიანები ცბიერობენ, ერთმანეთს ატყუებენ. ადამიანმა დაკარგა გულწრფელობა. გულწრფელობას არსად არა აქვს ადგილი, იგი კაპიტალისტის ქისამ შესცვალა. ანტაგონისტური საზოგადოება წარმოადგენს „სისაძაგლის მორევს“, მისი წევრები კი საზიზღარნი, ბილწნი და თვალთმაქცნი არიან. — ეს აზრი აქვს არაგვისპირელს განვითარებული თავის ეტიუდში, „გმადლობ, უფალო, გმადლობ!“

მწერალს უნდა ადამიანის გულწრფელობა სწამდეს: „მინდა ადამიანის გულწრფელობა მწამდეს!.. მაგრამ... რომ ეს გულწრფელობა არსად არის!“

— „უფალო, უფალო... ნუთუ აღარავან დარჩა?.. ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელსაც თავისი თავი არ გაედმერთებინოს და გულწრფელად მოქმედებდეს... ღმერთო...“²⁾

„მწერალი ეკლესიაში, ღვთის ამ წმინდა ტაძარში, სინჯავს ადამიანის გულის უფსკრულთა საიდუმლოებას და ანალიზს უკეთებს ადამიანთა „გულწრფელ განცდებს“. აგერ დედაბერი ყავარჯენზე დაბჯენილი მიუახლოვდა ეკლესიის კარებს. მან თითქოს ღვთის მშოსავი ადამიანის სახელი მოიხვეჭა. პატროსანისა და მართალი ადამიანის ჯილა დიდხანია საზოგადოებამ თავს დაგადგა... მაშ გიცრუვია საზოგადოებისათვის, თვალები აგიხვევია... ღმერთო, რა გაიძვერად უმოქმედნია... აი, ესლაც წმინდა ადგილას, შენს წინაშე ცრუობს... არ გინდა, მოხუცო, სიბერის დროს მაინც გულწრფელი იყო და ქვეყანას არ ატყუებდე!? პირჯვარს იწერ, სიტყვებს გაიძახი და გული კი, თი, საით გაგირბის? შესდექ, შესდექ!.. ღირსი არა ხარ მანდ... არ გამოგონე და შეხვედი! შენი სისაძაგლე არ დამაფიყდება, შენ...“³⁾

სიბერის დროსაც არ უნდა ადამიანს იყოს გულწრფელი, მით უმეტეს ახალგაზრდობის დროს არ არის იგი ასეთი. გულწრფელი არ არის ქალი ქმრის მიმართ. აი აგერ „სათნოებით სავსე მშვენიერი არსება“ ღმერთს

¹⁾ იქვე, გვ. 164 — 65.

²⁾ შ. არაგვისპირელი: „გმადლობ, უფალო, გმადლობ!“ მეორე წიგნი, გვ. 136.

³⁾ შ. არაგვისპირელი: „გმადლობ, უფალო, გმადლობ!“ მეორე წიგნი, გვ. 130.

ვედრება, თითქოს უყვარს მას ქმარი, ნამდვილად კი ლალატობს იგი თავის ქმარს“ და ბრანშორელი მწერალი ხმამაღლა სწყევლის ცხვირს:

„ოი, წყველო თვალთმაქცი!.. შესდექ, შესდექ! სხვისთვისაც გიცემს გული?! მოტყუებულო მეუღლე! აი შენი გულწრფელი გრძობა“¹⁾
 მაგრამ ასევე ატყუებს ქმარი „თუ ეს ამ ატყუებს, არც ის დააქლებს იქ. ორსავე ერთმანეთისა სწამთ, ორნივე კი ერთმანეთს ატყუებენ, ღირსნი არიან ორნივე ერთმანეთისა.“²⁾

ატყუებენ ერთმანეთს შეყვარებულებიც. მათ სათავეში დაიწყეს ცრუობა, „თვით კეთილი მწყემსიც ცრუობს“.

ამ სურათით გულმოკლული მწერალი უკიდურეს დასკვნამდე მიდის. „ღმერთო!.. ვინდა დარჩენილა? უფალო, შეარყიე ტაძარი, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ მყოფ შემუსრეს ყოველი ადამიანური გრძობა და...“³⁾

ასეთია გულსაკლავი სურათი ჩვენი ყოფისა.

ამ პირობებში არაგვისპირელმა ვერ გაარკვია ადამიანის მოვალეობა, მისი ადგილი, მწერალმა ვერ განჭვრიტა მომავალი. არაგვისპირელის გმირებმა ხშირად არ იციან „რას უნდა ემსახურონ“, „რა დაისახონ იდეალად“.

— ვერც ერთმა მათგანმა ცოტად თუ ბევრად ვერ დაასურათა თავისი მომავალი, ვერ გამოარკვია, თუ რისთვის ითმენდა წარსულში ან ითმენს ეხლა ამოდენა სიღუბეჭირეს, რა იქნება და ან რას გააკეთებს მომავალში, როცა ცხოვრების მორევში ჩაერგვა. ყოველივე ეს ბინდით იყო მოცული. მარტო ჰგრძობდნენ, სწამდათ, გონების თვალთ ხედავდნენ შორს, ძალიან შორს, რაღაც ბრწყინვალეს, რომელსაც უნდა ემსახურნენ, იდეალად უნდა ჰქონოდათ. მაგრამ იმას კი ვერ მიხვედრილიყვნენ, თუ ეს საგანი რა იყო; ვერ გამოერკვიათ, ღირსი იყო ეს საგანი იმისა, რომ იდეალად დაესახათ, მაგოგად გაეხადათ, რომელსაც უნდა ემსახურნენ და სიცოცხლე შესწირონ, რომელიც აწმყოში და მომავალში უნდა აღფრთოვანდეს“.⁴⁾

არაგვისპირელის გმირები ხედავენ არსებულ უსამართლობას, კაპიტალისტური საზოგადოების სიმახინჯეს, მაგრამ როდის „მოედება ბოლო ამისთანა ყოფას, ამის გამოცნობა ძნელია“ მათთვის.

არაგვისპირელის გმირებს გარს არტყია ცხოვრების სიცრუე, პირმოთნეობა, გაუტანლობა, ეგოიზმი, ისინი კაპიტალისტურ საზოგადოების წუშპეში ჭყუშპალობენ.

არაგვისპირელმა მეტად შავი ფერებით დაგვიხატა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებული დამოკიდებულება. მწვავედ გააშიშვლა კონფლიქტი მათ შორის. შოთ არაგვისპირელი, როგორც რეალისტი მწერალი, ეძებდა ადამიანის ადგილს საზოგადოებაში და მის დანიშნულებას საზოგადოების წინაშე, ხშირად იგი რევოლუციურ დასკვნებსაც იძლეოდა.

ამ მხრივ საინტერესოა ეტიუდი „ციცინათელა“.⁵⁾

1) იქვე, გვ. 131.

2) იქვე, გვ. 132.

3) იქვე, გვ. 136.

4) შ. არაგვისპირელი: „ადამიანი“, წიგნი პირველი, გვ. 155 — 156.

5) შ. არაგვისპირელი: „ციცინათელა“, მეოთხე წიგნი, გვ. 199.

გიორგი დაამცირეს, შეურაცხვეს, მიწასთან გაასწორეს. საზოგადოებამ მას ზურგი შეაქცია. მიუხედავად ამისა, გიორგის ადამიანის მოვალეობად მიაჩნია — იბრძოლოს საზოგადოების უკეთეს მერმისისათვის. გიორგი თავის ბედს ციცინათელას ადარებს:

„...რა არის ციცინათელა? სულ უბრალო, მცირე მწერი და აგერ იგიც, თუმცა ეს სასტიკი ქარი საშინელის სიძლიერით ებრძვის, სცდილობს, თუმცა შეუგნებლად, მის პიროვნების წაშლას, იგი მაინც თავისას არ იშლის... უძალიანდება, ვიდრემდის არ გაშეშდება, არ მოკვდება, ამ ძალის მსხვერპლი არ შეიქმნება და უკანასკნელ სულის ამოხდამდის თავის პიროვნებას, თავის არსებობას ამცნევს ქვეყნიერებას... თავის თვისების წაშლა არ უნდა“...?)

ციცინათელას მაგალითი კონტრასტის საშუალებად არის გამოყენებული და ამ ფონზე ნათლად არის გამოკვეთილი ადამიანის მოვალეობა საზოგადოების წინაშე. გიორგისაც შეუხმენია ეს მოვალეობა. გიორგი ვალდებულად ხდის თავის თავს იმუშაოს და იბრძოლოს საზოგადოების გარდასაქმნელად.

— „მოვალედ სთვლის თავის თავს, გააკეთოს და არაფერს შეუშინდეს... დეე, სასტიკი გარემოება, როგორც ციცინათელას, ხელს უშლიდეს, უწინააღმდეგოს, პიროვნებამ თავის უკანასკნელ სულის ამოხდამდის მოვალეობას არ უნდა გადაუხვიოს და წინ მიდიოდეს შეუღრეკელად...

მოქმედი ცა ისევ მოქმედი, სასტიკი ქარი ისევ სასტიკად აცვენებს არემარეს, სოფლიდან ისევ მყრალი სუნი მოისმის... მაგრამ გიორგი პირდაპირ სოფლისაკენ ძლიერის ნაბიჯით მიდის... რამაც გამოაქცია, ეხლა იმისაკენ მიდის, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, რომ ჭაობი ნაკადულად გარდაქმნას. და მის ნაბიჯს არა აფერხებს-რა, თუმცა ქარიც და სოფლის სუნიც ეწინააღმდეგება... მისი რწმენა ეს არის და უკანასკნელ წუთამდის, როგორც ციცინათელას, ვერა შეაყენებს-რა“.

ასეთი რეალისტური დასკვნა აქვს ამ ნაწარმოებს და ეს უთლოდ არაგვისპირელის აქტივში შედის. მაგრამ ეს მომენტი ვერ გადაიქცა არაგვისპირელის შემოქმედების პრინციპად და ამაშია მისი სისუსტეც.

(გაგრძელება იქნება)

ენო ნაკაშიძე

ბავშვების კოეფი და მემოზაიკი ძია შიო

(გარდაცვალებიდან თერთმეტი წლის შესრულების გამო)

პატარაობისას შიოს მეგობრები იყვნენ მისი სოფლის ბავშვები, მასავეთ პატარები და ცელქები. ზოლო როდესაც მოხუცდა, ის უყვარდა მთელ საქართველოს ბავშვებს და მათ მშობლებს. ბავშვები ეძახდნენ მას ძია შიოს, მშობლები კი — ბავშვების გულითად მეგობარს, ბავშვებს საყვარელ პოეტს, შიო მღვიმელს. მისი სახელი და გვარი იყო შიო ქუჩუკაშვილი. სამოცდა ექვსი წელიწადი იცოცხლა შიომ. დაიბადა შიო ქართლში, ხილის ბაღებით, ოქროს თავთავიანი ყანებითა და ყვავილებით სავსე, მზით გაშუქებულ სოფელ ბრეთში.

ბრეთის ამწვანებულ ხეებსა და ბუჩქებში აუარებელი ჩიტი ბუდობდა, რომელთაც განუწყვეტელი ყრიაბული გაჰქონდათ. მთელი დღეობით ისმოდა მათი სტვენა და გალობა.

ჭრელი ბებლები თავს დაჰხაროდნენ ყელმოღერებულ ლამაზ ყვავილებს. პატარა შიოს უყვარდა ლამაზი სოფელი ბრეთი. უყვარდა ტოროლას გალობის მოსმენა დილაობით, მზის ამოსვლისას, როდესაც მზიარული ჩიტუნა ფრთებგაშლილი, ფარფატით მიიწევდა ზევით, უმღეროდა ცაში მზეს და დაჰხაროდა ძირს მწვანე მდელოს.

უყვარდა კურდღელი, განთიადისას რომ შეცუნცულდებოდა ბოსტანში ლობიოს ფოთლის მოსაცუცნავად, უყვარდა ხის ტოტზე შესკუბებული კუდაპრებილი თრითინა, თხილს რომ მზიარულად აკნატუნებდა. ბრეთში ვერც ერთი ბავშვი ვერ შეედრებოდა კოჭობასა და კაკლობანაში ხელმარდ პატარა შიოს.

შიო ხედავდა, როგორ გამოდიოდნენ კვირა-სალამობით ბრეთის ახალგაზრდები სოფლის მოედანზე და როგორ ეჯიბრებოდნენ ისინი ერთმანეთს ლექსებისა და შაირების თქმაში. და შიოც შეჰკრებდა ხოლმე თავის ტოლებს სადმე სოფლის ბოლოში, მღელვარე თავთავიან ყანის გვერდით და მოუყვებოდა მათ თავის ლექსებს ბელურებისა და ციციუნის ოინების შესახებ. უამბობდა, როგორ მოჰპარა კრუხს წიწილა წუწუმა მელიამ და როგორ აღელდა და ეძებდა შვილებს კრუხი, როგორ უყვარს ბულბულს მთვარე და როგორ უგალობს მას ყოველ სადამოს, როგორ იძახის მალაღღრი დილაობით შეწუხებული—შვილო გოგია, ეხვეწება ბავშვებს, ხელი არ ახლოთ ჩემს ბუდეს, თორემ ჯავრით მოკვდებიო. როგორი ალერსით შემოგვეყურებენ ყვავილები, თითქოს გვთხოვენ, არ დაიჭიროთ ბებლები, დაიხოცებიან. ვეღარ ჩაგვეკონებიან და ვეღარ გავვახარებენო.

ბევრი ამბავი იცოდა შიომ ჩქრიალა ნაკადულებზე, შხაბუნა თევზებსა და შრიალა ტყეებზე.

შიოს უყვარდა ზამთარიც, თოვლის თეთრი ფანტელებით რომ ბარდნიდა ხეებსა და არემარეს. მოსწონდა გადათეთრებული მინდორებიც, იტაცებდა გუნდაობა, ციგაობა. მხოლოდ ებრალებოდა დამწეული პატარა ბელურები და ყოველ საღამოს უყრიდა მათ ნამცეცებს. იცოდა, რომ დილით აღრიან მოფრინდებიან ქლურტულები. ხარობდა და სიამით დახტოდა თვითონ, როდესაც ხედავდა, რა სხაპა-სხუპით კენკავდნენ ნამცეცებს და ფეტვს მისი პატარა მეგობრები.

უყვარდა, როდესაც სისხამ დილას ხედავდა შეშისათვის ურმის კრიალით და ზღაზვნით მიმავალ მეზობლებს, თავზე რომ ყაბალახები წაეკრათ და მაზარებში გახვეულიყვნენ. თვითონაც რამდენჯერ წაჰყოლია მეზობლებს ტყეში. უყვარდა აგრეთვე ბუხართან მიმჯდარი გამდელი ბებია ჩირთა, ჩურჩხელებით საცხე ჯიბეებით, ალერსიანი ჩიფჩიფით მოლაპარაკე.

და რა არ უყვარდა და რა არ ახარებდა პატარა შიოს მზიურ სოფელ ბრეთში!

მაგრამ და ბიჭუნას უბედობას: ჯერ კიდევ პატარას, ექვსი-შვიდი წლის შიოს დაეხოცნენ მშობლები. დაობლდა შიო, დარჩა ღარიბი ძმების ანაბარა.

წიგნის კითხვა კი ისწავლა, მაგრამ ვის უნდა შეეყვანა ის სკოლაში, ვის უნდა ეყიდნა მისთვის წიგნები, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ვის უნდა გადაეხადნა სწავლის ფული?

მაშინ ხომ თვითმპყრობელი მეფის მთავრობა განაგებდა ქვეყანას, რომელიც სრულიად არა ზრუნავდა ბავშვების განათლებისათვის, ნამეტნავად ღარიბი სოფლელებისა და მუშების შვილებისათვის. დიად, იმ დროს ასე კი არ იყო, როგორც ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს არის. ახლა ყველგან, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, სკოლებია გამართული და ყოველ ბავშვს შეუძლია და უნდა ისწავლოს კიდევაც. ღარიბი ბავშვებისათვის საბავშვო სახლებია გაართული საცხოვრებლად და ამ სახლებში სიყვარულით და ყურადღებით ზრდიან პატარებს, რომ სიღარიბე და ობლობა არ აგრძნობინონ. ჩვენს დროში სკოლის გარეთ არა რჩება არც ერთი ბავშვი. იმ დროს კი სხვებთან ერთად შიოც რჩებოდა სკოლის გარეთ, უსწავლელი. შიო წამოიზარდა. ძმას სანდროს უყვარდა ნიჭიერი პატარა შიო. ებრალებოდა იგი, არ უნდოდა მისი უსწავლელად დატოვება, მაგრამ შიოს ძმა ხომ ღარიბი იყო და რა უნდა ექნა?

ბევრი იფიქრა სანდრომ და ბოლოს ერთ დღეს ჰკითხა:

— შიო, ბიჭო, ძალიან გინდა სწავლა?

— ძალიან.

— მაშ წაგიყვან ჩემ მეგობარ ბერებთან კახეთში, შუამთის მონასტერში.

— იქ კარგად მასწავლიან წერა-კითხვას?

— გასწავლიან. წამოხვალ?

— წამოვალ.

— მაშ მოემზადე, წავიდეთ.

შიომ მონახა თავისი ძველი წულა, ჩაიცვა და გაუდგნენ გზას.

იმ დროს შიოს ძმა, სანდრო ქუჩუქაშვილი ოსეთში ცხოვრობდა, სოფელ ჯავაში.

მიუახლოვდნენ ქალაქ გორს. გზაში სანდრო ჭკუას არიგებდა თავის პატარა ძმას.

— აი ახლა შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, თერთმეტ-თორმეტი წლისა. უნდა კარგად ისწავლო, არ შემარცხვინო, უნდა ყველაფერი დაეუფლო ბერებს. მონასტერში, ხომ იცი, ბერები არიან. ჯერ დიაკვნობას გასწავლიან, მერე, რომ გაიზრდები, თუ მოისურვებ, მღვდელი გახდები ან ბერად დარჩები.

სანდრო ერთ წუთს შეჩერდა და მარცხნივ აღმართულ უშველებელ გორისციხისკენ გაიხედა. უთუოდ შიომაც მიიხედა იქითკენ, და უცებ მოწყდა ადგილს და ფაცხა-ფუცხით აღმართს შეუდგა. სანდრომ ვერც კი მოასწრო სიტყვის თქმა, რომ შიო უკვე კარგა მალა იყო.

„მაშ ტყუილად ვარიგებდი, — გაიფიქრა სანდრომ და ერთ წუთს რისხვა გამოეხატა სახეზე, უნდოდა დაეძახა, დაეტუქსა ცელქი, მაგრამ მერე გაეცინა: — არა უშავს-რა, ნახოს ციხე, მივიყვან შუამთაში და იქ ისწავლის ჭკუას“.

გზის პირას, ხის ძირში დაჯდა და დაუცადა. კარგა ხანს უცდიდა სანდრო და ბოლოს გაბრწყინებული თვალებით ჩამოიჩინა შიომ.

— აჰ, სანდრო, რა დიდი ციხე ყოფილა! მართლა ჩვენი მეფეები ცხოვრობდნენ შიგ?

— ამბობენ, ცხოვრობდნენო, — მიუგო სანდრომ.

— იცი, სანდრო, რა ვადმოსახედეა იქიდან? რა ლამაზია ღიახევი, მტკვარი... ფრინველიც ბევრი ეცოდინება უთუოდ აქ. გაიხედე, რა ქოჩორა ტყეებია გალმა. უფრო შორს მთები მოჩანან. ეტყობა, იმიტომ ცხოვრობდა აქ ხელმწიფე, რომ ასეთი სილამაზეა ირგვლივ.

— ბიჭო, შენ ხელმწიფეებს და ჩიტებს თავი დაანებე და სწავლა თუ გინდა, სწავლაზე იფიქრე, — უთხრა ძმამ, ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ.

— რომ ვისწავლი, სანდრო, ისეთ ლექსს დავსწერ გორის ციხეზე...

— ლექსებზე ნუ ფიქრობ, იმაზე იფიქრე, რასაც იქ გასწავლიან, დავითზე...

— შენ თვითონ არ ამბობდი, დავითნი ლექსებიაო ებრაელების მეფის დავითის დაწერილიო.

— ლექსები კია, მაგრამ შენს ლექსებს კი არა ჰგავს.

— მეც კარგ ლექსებს დავწერ, ისეთს, რომ ყველა ჩემ ამხანაგს მოეწონოს — თინიკოსს, სესესს, ნაბიას, ლუკას, თამრიკოსს. ნახავ, ყველა სხვასაც მოეწონება...

— ჰეიჰე! შენ ამხანაგებს მოეწონებათ? როგორ, ბიჭო, სულ ბავშვად აპირებ დარჩენას? — გაიცინა სანდრომ.

შიოს შერცხვა და ისედაც აწითლებული ლოყები უფრო აუწითლდა.

— აჰა, მოვედით კიდევაც, — სთქვა სანდრომ, — აქ ცოტა ხანს დავისვენოთ ჩემ მეგობარ შიო დავითაშვილთან.

სანდრომ დააკაუნა. ჭიშკარი ქერა კაცმა გაუღო.

— აჰა, შიოს გაუმარჯოს! — შესძახა მას მხიარულად პატარა შიოს ძმამ სანდრომ.

შიო დავითაშვილი დააცქერდა სტუმარს:

— ბიჭო, სანდრო, ეგ შენა ხარ? მაგრამ ამას რას ვხედავ: ანაფორა ჩაგიცვამს?

— რა ვქნა, ძმაო შიო, მღვდელობა ვიკისრე. სხვაფრივ თავი ვერ ვირჩინე.

— ეს ბავშვი ვილაა?

— ჩემი ძმაა, შიო. სწავლა უნდა. სხვა საშუალება არაა. მშობლის მონასტერში მიმყავს, ბერებს მინდა მივბარო, დიაკვნობას ასწავლიან, წერა-კითხვა ეცოდინება...

— რას ამბობ? ჩვენს დროში ბავშვი დიაკვნად უნდა გაზარდო? ჩემთან დატოვე, აქ შევიყვან სკოლაში.

სანდრო სიხარულით დასთანხმდა და დიდმა შიო დავითაშვილმა პატარა შიო ქუჩუკაშვილი თავისთან დაიტოვა საცხოვრებლად და მალე სკოლაშიც შეიყვანა.

ამგვარად დასრულდა პატარა შიოს ბავშვობა სოფელ ბრეთში.

დიდი ხალისით შეუდგა შიო სწავლას. სასწავლებელში მან გაიცნო სხვა მოსწავლეები—ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა და დაუმეგობრდა მათ. მწერლები სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური მათი მასწავლებლები იყვნენ.

როდესაც კარგად ისწავლა წერა-კითხვა, შიოს უფრო შეუყვარდა ლექსების წერა. ვაჟა-ფშაველაც ხომ სწერდა ლექსებს, ბაჩანაც, თედო რაზიკაშვილიც. სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური ხარობდნენ მათი ნიჭით. ყოველნიარად ზელს უწყობდნენ მათ სწავლის საქმეში.

შიომ ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დაიწყო ლექსების წერა და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში სწერდა იმათთვის და იმათზე, ვინც უყვარდა და ვისაც უყვარდა იგი პატარაობისას—ბავშვებისათვის. მან იცოდა, რა ახარებდა ბავშვებს და ცდილობდა გაეხარებინა ისინი. უყვარდა და ებრალებოდა ყველა ცოცხალი და ლამაზი არსება. უყვარდა ბუნება—ტყე, მინდორ-ველი, ცისარტყელა და სხვ. უნდოდა პატარებსაც შეჰყვარებოდათ ყველაფერი ის, რაც აფაქიზებდა ადამიანს და ამშვენებდა მის ბუნებას.

შიომ დაასრულა დაწყებითი სასწავლებელი. მის გულში იმდენი სიყვარული და სიხარული ტრიალებდა, რომ უნდოდა ყველაფერი გამოეთქვა, გადაეტანა ქალაღზე ხალისიან ლამაზ ლექსებად. მაგრამ როგორ? შიო ხომ ზელმოკლე იყო, მას უნდა ემუშაენა, ემსახურა სადმე, რომ თავი ერჩინა. მაგრამ სად იყო შესაფერი სამსახური? ვინ მისცემდა მას იმდენ დროს სამსახურში, რომ ლექსები ეწერა.

იმ დროს, როდესაც შიომ სასწავლებელი გაათავა, რუსეთის მეფის მთავრობა არსებობდა. როგორც ვიცით, მეფის მთავრობა საზოგადოდ მშრომელი ხალხის სასარგებლო მწერლობის ჩანშობას ცდილობდა. განსაკუთრებით სდევნიდა ქართულ ენას და ეჯავრებოდა იგი. მას უნდოდა ქართველი ხალხის გარუსება, გადაგვარება. ეს ამნელებდა ქართული ენისა და ხელოვნების განვითარებას. სკოლებშიაც სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებდა და ეს, რასაკვირველია, აღუზრებდა ქართული მწიგნობრობის განვითარებას. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ წიგნების გამოცემის საშუალება შეზღუდული იყო, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რა აუტანელი მდგომარეობა იქნებოდა.

და აი შიომ ბოლოს მაინც იპოვა გამოსავალი.

იმ დროს თბილისში არსებობდა ერთი ქართული საზოგადოება — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეს საზოგადოება დააარსეს ქართველმა მოწინავე მწერლებმა და მოღვაწეებმა: დიდნა ილია ჭავჭავაძემ, „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შემსრულებელმა იაკობ გოგებაშვილმა, დიდმა აკაკი წერეთელმა, დიმიტრი წიფჩიანმა და სხვა პატრიოტებმა. ამ საზოგადოებამ გამოითხოვა ნებართვა — ებეჭდა ქართული წიგნები, გაეხსნა ქართული ბიბლიოთეკები, ქართული სკოლები და ქართული წიგნის გასასყიდი მაღაზიები.

რასაკვირველია, ამ ერთი პატარა საზოგადოების მოღვაწეობა ვერ დააკმაყოფილებდა მთელი ქართველი ხალხის მოთხოვნილებას, მაგრამ მაინც ხომ ცოტათი დაეხმარებოდა ქართულ საქმეს. ამიტომ ყოველი ქართველი ცდილობდა ამ საზოგადოების დახმარებას.

აი ამ საზოგადოებაში მოეწყო შიო სამსახურში. ბევრნიარ მოვალეობას ასრულებდა იგი სამსახურში. სხვათა შორის ზის მოვალეობას შეადგენდა წიგნების გაყიდვაც.

შიო უკვე ათავსებდა ლექსებს მაშინდელ ერთად-ერთ საბავშვო ქუჩრნალ „ნობათში“.

ბავშვებს უყვარდათ ის, მაგრამ ახლა მოწაფეებს უფრო მეტად შეუყვარდათ იგი. გაკვეთილების შემდეგ შეცვივდებოდნენ ხოლმე ბავშვები პატარა მაღაზიაში სასახლის (ახლა კომინტერნის) ქუჩაზე. იქ კრიაბულით შემოეხევიდნენ შიოს. შიოც ალერსიანი ღიმილით ზედებოდა მათ. ერთხელ (1895 წლის შემოდგომაზე) მეც დავესწარი ბავშვების ასეთ თავდასხმას.

- ძია „დედა-ენა“ გაქვს? — შეეკითხა ერთი ბავშვი.
- გვაქვს, — მიუგო შიომ.
- მომეცი ძია საუკეთესო „დედა-ენა“, გოგებაშვილის.
- აი შენ საუკეთესო „დედა-ენა“, გოგებაშვილის.
- ძია, მეც ამისთანა მინდა.
- აჰა, შენც ამისთანა.
- ძია მეც, მეც მინდა საუკეთესო, „მზეო ამოდი, ამოდი“ რომ სწერია.
- მე მინდა „კურდღელი ჩამოცანცალდა“.
- მე მინდა „თხა და გიგო“ რომ არის, ამაში არ არის.
- ძია, ამ წიგნში შიო მღვიმელის ლექსი არის?
- აკაკის ლექსი აქ არ არის?

შიო მზიარულად უშლიდა ყველას წიგნს და აძლევდა პასუხს.

— დაიცათ, დაიცათ, ერთბაშად ხომ ვერ გიბასუხებთ ყველას. აი შენ „თხა და გიგო“, აჰა „კურდღელი ჩამოცანცალდა“, „მზეო ამოდი, ამოდი“... შენ აკაკის ლექსი გინდა? მაშ ეს ვისია: „ჩემსა ბებიას ერთი თხა ჰყავდა“, — ეუბნება პატარას, რომელიც გაცხარებული ეძებდა ამ ლექსს.

— ძია, ეს ძია ამბობს, — ბავშვი უთითებს დიდ აღამიანზე, რომელიც წიგნის სასყიდლად მოსულა და ელის თავის რიგს, — რომ შიო მღვიმელი შენა ხარ. მართლა შენ დასწერე: „კოწომ კუწოს გადასძახა“?

— „დედა-ენაც“ შენ დასწერე, ძია? — ეკითხება ახლა სხვა.

— შიო მღვიმელი მართლა მე ვარ, — უპასუხებს შიო, — მხოლოდ „დედა-ენა“ ძია იაკობ გოგებაშვილმა დასწერა, აი გარედ, კარებთან რომ ზის.

ბავშვები გარედ გაცვივდნენ. მაღაზიის კარების წინ აივანზე მართლა

იჯდა იაკობი სკამზე. ხელში ჯოხი ეჭირა და კისერზე ყაბალახი ჰქონდა მოხვეული.

ბავშვები ერთ წუთს მოწინებით შეჩერდნენ იაკობის წინ.

— ძია, მართლა თქვენ დასწერეთ „დედა-ენა“? — ეკითხებოდა უფრო გაბედული ბიჭი, სხვები კი მორიდებით დგანან შორი-ახლოს.

— მე დავწერე.

— ძია, დედა ამბობს, იაკობ გოგებაშვილს უყვარს ბავშვები და იმიტომ დასწერა „დედა-ენა“. მართალია? — გაბედა მეორემაც.

— მართალი უთქვამს დედაშენს, — უთხრა დინჯად იაკობმა.

ბავშვები ისევ შეცვივდნენ მალაზიაში და ისევ დააყარეს შიოს კითხვები:

— ძია შიო, შენც იმიტომ სწერ ლექსებს, რომ გიყვარვართ?

— მართლა ამოსვლივს ცელქებმა მაწონი?

— მერე ბებიამ მართლა ვერ შეიტყო?

— ბებია არ გაუჯავრდათ?

და შიო ისევ და ისევ აძლევდა პასუხს. არ ილღებოდა, არ ბეზრდებოდა ბავშვებთან ლაპარაკით. აქი იმიტომაც სწერდა მხოლოდ მათზე და იმათთვის.

როდესაც დაარსდა საქართველოში საბავშვო ჟურნალები „ნობათი“, „ჯეჯილი“ და „ნაკადული“, შიო ყველა ამ ჟურნალებში სწერდა ლექსებს ბავშვებისათვის. ამ ლექსებს შემდეგ სახელმძღვანელოებში ბეჭდავდნენ და მასწავლებლები სკოლებში ასწავლიდნენ. მთელმა ქართველმა მოსწავლე ბავშვობამ გაიცნო და შეიყვარა შიოს ლექსები.

ბევრი ბავშვი სწერდა შიოს წერილს. ყველას ენატრებოდა მისი ნახვა. და აი მშობლებმა და საზოგადოებამ განიზრახეს ეჩვენებინათ შიო ბავშვებისათვის და შიოსაც ენახა ბავშვები, თავისი შეითხველები, თავისი ყვავილები, როგორც ის ბავშვებს ეძახდა. მოუწყეს კიდევ შიოს დღესასწაული — იუბილე.

მანამდის არავის ენახა ასეთი დღესასწაული — ბავშვების დღესასწაული. ოპერის დიდი თეატრი თბილისში გაჭედული იყო ბავშვებით. სცენაზე, მაღალ საეარძელში იჯდა შიო. მის ფეხთით და ირგვლივ ისხდნენ და იდგნენ ქართულ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები. ამდენი მოედურტულე, მზიარული, მღელვარე ბავშვობა ერთად დიდი და იშვიათი სანახაობა იყო.

ფარდის ახდისას იგრიალა ათასზე მეტმა ბავშვის ხმამ:

— გაუმარჯოს ძია შიოს!

— გაუმარჯოს კარგ ძიას!

— ვაშა ძია შიოს!

შიო გახარებული იდგა და სალამს აძლევდა ყველას. შემდეგ მიულოცეს ოცდაათი წლის მწერლობის იუბილე. წაიკითხეს ლექსები, დაჰკოცნეს იუბილარი, იმღერეს, იცეკვეს და დადგეს ცოცხალი სურათები და პატარა-პატარა სცენები, შიოს მშვენიერი ლექსებიდან ამოღებული.

შიო ძალიან ააღელვა ბავშვების ასეთმა აღერსმა და სიყვარულმა. მასაც უნდოდა წაეკითხა მაღლობის ლექსი „თავის ყვავილებისათვის“, მაგრამ მეტი სიხარულისა და მოჭარბებული გრძნობისაგან ხმა ვერ დაიმორჩილა, უმტყუნა ძია შიოს ხმამ და ატირდა სიხარულის ცრემლებით.

რასაკერველია, ბავშვების მშობლებმაც, მწერლებმაც და საზოგადო მოღვაწეებმაც მიულოცეს შიოს ეს დღესასწაული, მაგრამ დიდები გამოდიოდნენ, ულოცავდნენ და მიდიოდნენ, სჩანდნენ მხოლოდ ბავშვები და შიო.

დღესასწაულის შემდეგ შიო მიიწვიეს ვორში, ქუთაისში, სკანდინავია და ლეჩხუმში, ყველგან სიყვარულით ეკებებოდნენ აღფრთოვანებულ ბავშვები და მშობლები. ბევრ ბავშვს აუსრულდა ნატერა და პირადად ნახა თავისი საკეთარი პოეტი და მეგობარი ძია შიო.

შიომ ამ დღესასწაულის დროს პირველად ინახულა საქართველოს ზოგიერთი კუთხე. ეს იყო 1915 წელს.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, შიოს გაეხსნა ნამდვილი სარბიელი საბავშვო მწერლობისათვის. არ დარჩა არც ერთი კუთხე საქართველოში, რომ არ გახსნილიყო სკოლა, არც ერთი ბავშვი აღარ იყო დარჩენილი სკოლის გარეშე. აუარებელი მკითხველი ბავშვი მოემატა შიოს.

1921 წელს მწერლების პირველ კრებაზედვე, რომელიც გახსნა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელმა და მთავრობის დავალებით გადასცა კავშირის საჩუქრად ის სასახლე, სადაც ახლაც არის მოთავსებული კავშირი და სადაც უწინ კერძო მდიდარი კაცი ცხოვრობდა, დაესწრო შიოც.

შიომ, რომელიც არასოდეს არ ლაპარაკობდა კრებებზე აღელვებულმა ალტაცებით წარმოსთქვა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა:

„მე დარწმუნებული ვარ, ამას იქით საბავშვო ლიტერატურასაც გაეხსნება ფართო გზა“-ო.

და მართლაც არ მოსტყუვდა ძია შიო. მართლა რომ ფართო გზა გაეხსნა საბავშვო ლიტერატურას და ერთი უპირველესი ადგილი დაიჭირა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში. ცალკე დაარსდა საბავშვო წიგნების გამომცემლობა და საბავშვო ჟურნალ-გაზეთებთან ერთად ათაობით და ათიათასობით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა წიგნები ბავშვთა შორის.

შიოსათვის სამსახური აღარ იყო საჭირო, მას ნატერა აუსრულდა, ის ახლა სწერდა თავის საოცარ ლექსებს იმათთვის, ვინც მას უყვარდა და ვისაც ის უყვარდა, და თუ უწინ უფრო შეძლებული ხალხის შვილებს ჰქონდათ საშუალება დამტკბარიყვნენ შიოს ნაწარმოებებით, ახლა წერა-კითხვის მცოდნე ყველა ბავშვისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა შიოს წიგნები. წერა-კითხვა ხომ ახლა ყველამ იცოდა.

1925 წელს შიოს მწერლობის თრმოცი წლის იუბილე გაუმართეს უკვე არა კერძო პირებმა, არამედ განათლების სახალხო კომისარიატის ინიციატივით თბილისის სკოლებმა. ოპერის თეატრი ვერ იტევდა მისალოცავად და სანახავად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საგანგებოდ ჩამოსულ პიონერებს. შიო ახლაც სცენაზე იჯდა თეთრად გამოწყობილ, წითელ ყელსახვევებიან, მზიარულად მომღერალ ბავშვთა შორის. სცენას ამშვენებდნენ ბელადების სურათები და პიონერების დროშები. ათასზე მეტმა ბავშვმა უმღერა შიოს ჰიმნი, ათასზე მეტი ბავშვი აღფრთოვანებით უკრავდა მას ქებისა და აღფრთხილების ტაშს. დიად, ეს დღესასწაული შიოს ცხოვრებაში უდიდესი სასიხარულო დღესასწაული იყო.

საქართველოს ყველა ქალაქიდან და სოფლიდან ჩამოსულმა პიონერებმა მიიწვიეს შიო თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში, და ამ დღისათვის შემდეგ დაიარა პირველად შიომ საქართველოს კუთხეები: ფთი, ბათონი, ჭიათურა, ზესტაფონი, და სხვა მრავალი ადგილი. ყველგან აღტაცებას იწვევდა და ყველას ახარებდა შიოს ჩასვლა. შიოს იწვევდნენ აგრეთვე პიონერ-ბანაკებში, სკოლებში, საბავშვო სახლებში, საბავშვო ბაღებში. შიო ყველგან და ყველასთან სიბარულით და სიყვარულით მიდიოდა.

შიოს უკვე იცნობდა საქართველოს თითქმის მთელი ბავშვობა. ყოველთვის, როცა კი გამოჩნდებოდა შიო ქუჩაში, სიბარულით მისცვივდებოდნენ ხოლმე მას ბავშვები, ზოგი მიუაღერებდა, ზოგი ჰკოცნიდა და ზოგიც ყვავილების კონას სთავაზობდა.

არავის არ უნახავს შიო გაჯავრებული. მისი ქალიშვილები, რომელთაც ის, როგორც საერთოდ ბავშვებს, რასაკვირველია, „ჩემ ყვავილებს“ ეძახდა და რომელნიც ახლა უნივერსიტეტ-დამთავრებული ქალები არიან—ნიონო, თამარ და ქეთევან, ამბობენ, ისე გავიზარდეთ, რომ არ გვახსოვს როდისმე მამა გაგვეჯავრებოდესო, ჩვენც ვცდილობდით არასოდეს არ გვეწყენინებინა მისთვის, რადგან ვიცოდით, ეს ძალიან დაალონებდაო. განა ბევრ შვილს შეუძლიან სიტყვას თავის მამაზე, ვცდილობდით არ გვეწყენინებინა და არ გაგვეჯავრებინაო?

შიონ მეუღლე ამბობს, ოცდათორმეტი წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად და არ მახსოვს შიოს ჩემთვის როდესმე წყენა მოეყენებინასო.

და განა სხვას ვის ახსოვს შიოსაგან წყენა? ყველა იგონებს მას, როგორც ტკბილ მოუბარს, მომღიმარს, თავმდაბალს, ზრდილობიანს და კეთილს.

გორის სასწავლებლის გათავების შემდეგ შიო მუდამ თბილისში ცხოვრობდა. ბოლო დროს ის ბინადრობდა პატარა სამოთახიან ბინაში, მაგრამ, როგორც ანდაზა ამბობს, კეთილი ადამიანის ბინის კედლები რეზინასავით დრეკადია, საჭიროების დროს გაიწივს და მახლობლებს ყოველთვის დაიტევსო. შიოს პატარა ბინის კედლებიც თითქოს ამ ანდაზის განხორციელებას წარმოადგენდნენ, თითქოს ფართოდ იწეოდნენ და იტევდნენ არა მარტო მახლობლებს და სოფლიდან ჩამოსულ მეგობარ-ნაცნობებს, არამედ ნაცნობების ნაცნობებსაც კი, ლარიბებს, რომელთაც არა ჰქონდათ ქალაქში დამის გასათევი ბინა და ავადმყოფებს. სამი ოთახიდან შემდეგში ერთი ოთახი წაართვა კიდევაც ერთმა „მეგობარმა“.

თბილისში ჩამოვიდა ცოლშვილით შიოს ერთი მეგობარი და სთხოვა მას.

— შიო, შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ, ერთი-ორი დღით დამითმე ერთი ოთახი, ბინა ნაშოვნი მაქვს, ბარგს გადავიტან, გადავალ და დიდი მალე დავრჩებო.

— რასაკვირველია, გათხოვებ, — მიუგო შიომ, — ერთი-ორი დღე კი არა ერთი კვირაც შეგიძლია იცხოვრო, უარს როგორ გეტყვი.

და დაუთმო „მეგობარს“ საუკეთესო ოთახი. „მეგობარი“ იმ დღესვე გადმოვიდა, მაგრამ გადასვლით კი აღარ გადასულა: დარჩა საცხოვრებლად შიოს ოთახში.

შიონ რომ პირობა გაახსენა „მეგობარს“, მან მიუგო:

— მე არსად არ შემიძლიან გადასვლა, თუ გინდა მიიხველე.

შიომ არ უჩივლა.

— არასოდეს არავისთვის არ მიჩვილა და ისევე მოვიტმინებო, — სთხოვა მან ცოლშვილს და ითმენდნენ ყველანი.

შიოს ბინაში არა თუ აღამიანები, ბელურებიც კი პოულუბედნენ — გულუხვ მასპანძლობას: აივნის მოაჯირზე და აივანზე მკლამ მოტრეფებულ ფიჭოთის შიოს მიერ დაყრილი ნამცეცები. ოთახის ფანჯრების რაფები სავსე იყო სხიდასხვა შიოს საყვარელი ლამაზი ყვავილებით.

მისი პატარა შესახვევი, რომელსაც მაშინ ანაურის ქუჩას ეძახდნენ, ახლა კი შიოს პატივსაცემად შიო მღვიმელის ქუჩა დაარქვა თბილისის ქალაქის აღმასკომმა, ფართო და მზიანია. ამ ქუჩიდან იშლება ვერის ხეობის სანახაობა, შორს კი გაწოლილა კავკასიონის ქედი. მაღლიდან ამაყად გადმოიციქირება მზათ გაშუქებული ორთავიანი თეთრი მყინვარწყვირი.

ძია შიოს უყვარდა ეს სანახაობა, ეს მზიანი ქუჩა, და ამ ქუჩაზე ყვავილებით სავსე პატარა ბინაში გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით 1933 წლის 28 დეკემბერს შიო მღვიმელი.

აუარებელმა ხალხმა, დიდმა და პატარამ, მიაცილა ძია შიო დიდუბის სასაფლაოზე და იქ მწერლების პანთეონში დაკრძალეს თავის მეგობრის ბაჩანას გვერდით.

ბევრი ლექსი დასწერა ძია შიომ თავის სიცოცხლეში, ძალიან ბევრი. ის ზომ ორმოცდაათ წელიწადზე მეტხანს სწერდა.

და დაიღალა. შეჩერდა მისი კეთილი გული — თერთმეტი წელიწადია დადუმდა მისი კალამი მისი სამელნეს გვერდით.

ალარ სწერს ძია შიო ლექსებს პატარებისათვის, აღარ სწერს იმიტომ, რომ ჩვენთან აღარ არის. ახლანდელი ბავშვები ვერ ნახავენ მის ნათელ სახეს.

მაგრამ შიოს მოსიყვარულე გული ზომ ცოცხლობს და ფეთქავს მის შშვენიერ ლექსებში. ზომ გრძნობდა მისი გული, რა უყვარდათ, უყვართ და ეყვარება ყოველთვის პატარებს — წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც.

ბავშვებს უყვართ და ეყვარებათ ყოველთვის მამაცი და გმირი ბავშვების თავგადასავალი, კარგი ამხანაგების, მოსიყვარულე შეილების, დაძმებისა და მეგობრების ამბები, სუსტის მიმართ სიბრალული, უფროსების პატივისცემა, ამხანაგისათვის თავგანწირვა, სამშობლოს სიყვარული. ბავშვებს უყვართ ცელქობა, თამაში, ტყის შრიალი, ანკარა წყარო, შხაუნა თევზები, ზღაპრები და სხვ. და ყველაფერი ეს ზომ სასიხარულო და საგულისხმეიროა და განა შეიძლება ის, რაც სასიხარულო და საგულისხმეიროა არ ახარებდეს ყველას ყოველთვის?

დიახ, შიო მღვიმელის ლექსები ყოველთვის და ყოველ დროს საყვარელი საკითხავი იქნებიან და ბავშვების გულში მუდამ იცოცხლებს მათი საკუთარი პოეტი და მეგობარი ძია შიო.

აკიზორი ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებდან

(გარდაცვალების წლისთავის გამო)

ეს იყო, მგონია 1908 წლის მაისში თუ ივნისში. ნიკო ლორთქიფანიძე შემოვიდა ჩემთან თბილისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში, სადაც მე მდივნად ვმსახურობდი.

— დღელი მომელის და სეკუნდანტობასა გთხოვ. მეორე სეკუნდანტი გიორგი ამირეჯიბი იქნება, — მითხრა მან დინჯად თავისი დაბალი ბასურბარიტონული ხმით.

— რას ხუმრობ, ყმაწვილო, რის დღელი? — განცვიფრებით შევეკითხე მე.

ჩემი განცვიფრება სრულიად კანონიერი იყო, ნიკოს დარბაისლური ხასიათი რო ვიცოდი. მუდამ ზრდილობიანი, ერთავათ კორექტული დიდთანაც და პატარასთანაც. თითონ არავის შეურაცხყოფდა და სხვაც ამას ვერ გაუბედავდა.

— არ ვხუმრობ, მართალს გეუბნები, — მიპასუხა ნიკომ იმავე დამშვიდებული, წყნარ კილოთი.

— შერე, ვისთან?

— ერთი რუსი ოფიცერია, აკიზორი... კლუბში სკანდალი ამიტება და გავლაზე.

ახა, ღმერთო ჩემო! ნიკო და სკანდალი ნიკო და ვისიმე ვალახვა!

ახლა კი მიგხვდი, რომ აქ ხუმრობა არ არის და რომ არც თვით ეს დღელია სახუმარო.

სახუმარო-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ იმ ხანებში რამდენიმე დღელი მოხდა მართლაც ოხუნჯური ხასიათისა.

დადგებოდნენ მოწინააღმდეგენი ორმოცდაათ ნაბიჯზე, გაისროდნენ საღუელო დამბაჩებს თითოჯერ, რასაკვირველია ორივენი ააცდენდნენ ტყვიას და ამა თუ იმ პირის შეურაცხყოფილი ღირსება აღდგენილად ითვლებოდა. და მოწინააღმდეგენი ერთმანეთს მეგობრულად ხელს გაუწვდიდნენ, თითქო ერთი წუთის წინ მოსისხარი მტრები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ რომელიმე მელოდრამის პერსონაჟები.

ჩემთვის აშკარა იყო, რომ ნიკოს და მის სეკუნდანტებს საქმე გვეკონდა არა თეატრალურ, არამედ სერიოზულ დღელთან. ოფიცრის ვალახვა იოლი საქმე არ იყო, ვინაიდან, მძლავრად რომ ვთქვათ, ეს მისთვის მოქალაქეობრივ სიკვდილს მოასწავებდა, უფრო მსუბუქად რომ ვთქვათ — მთელი კარიერის დაღუპვას. არც ერთი სამხედრო ნაწილის ოფიცერთა საზოგა-

დოგმა ნაცემ ოფიცერს თავის წრეში არ დასტოვებდა. მაშასადამე, მას თავისი შეზღუდული წოდების ღირსება საკუთარი ან მოწინააღმდეგის სისხლით უნდა განებანა.

და აი, სწორედ ამიტომაც ნიკოს სეკუნდანტების პასუხისმგებლობა ძალიან რთულდებოდა. ჩვენ უნდა ევდილიყავით, რაც შეიძლება ნიშნულამდე მიგვეყვანა ჩვენი მრწმუნებელის რისკი. ეს კი საეჭვო იყო, რადგანაც სამხედრო ხალხთან გვექონდა საქმე და ისინი თავისი მხრით, რასაკვირველია, ეცდებოდნენ გაეძლიერებინათ ეს რისკი. რაღა თქმა უნდა, აქ საქმის მორიგებით გათავებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ერთის წამითაც.

ასეთ შემთხვევაში დუელიანტი მიმართავს პირველ ყოვლისა თავის გულთაღ მეგობარს და ამასთანავე ამგვარ საქმეში დახელოვნებულ ადამიანს.

გიორგი ამირეჯიბის კანდიდატურა სრულიად გასაგები იყო. იგი ნიკოსავით უცხოეთში სწავლობდა და იმ სტუდენტთა წრეში ტრიალებდა, სადაც დუელი თითქმის ყოველდღიური მოვლენა იყო. თითონ გიორგისაც ჰქონოდა რამდენიმე დუელი და სეკუნდანტადაც ხშირად ყოფილიყო.

მე არც დუელი მქონოდა და არც სეკუნდანტად ვყოფილიყავ.

მაგრამ, რაკი ნიკომ ასეთი საპატიო ნდობით აღმჭურვა და თავისი ღირსების დაცვის საქმე მომანდო, რა მორალური უფლება მქონდა უარი მეტყევა?

მართალია, კატასტროფული შედეგის შემთხვევაში სეკუნდანტებიც ისჯებოდნენ ხოლმე კანონით, მაგრამ სასჯელი შედარებით მცირე იყო და ეს მე ვერ დამაბრკოლებდა. მოსალოდნელი იყო სხვაგვარი გართულება: ჩვენ სამხედრო ხალხთან გვექონდა საქმე. ვინ იცის, რა ხასიათისა და ზნის ადამიანებს წავაწყდებოდით ნიკოს მოწინააღმდეგის სეკუნდანტების სახით? ამხანაგის მარცხით გაგულისებულთ შეიძლება მოლაპარაკების დროს უღირსი რამე ეკადრებინათ ან ჩვენი კლიენტისათვის, თუნდაც ზურგუკან, ან პირადად ჩვენთვის და ჩვენ თვითონ მოგვხედომოდა ბარიერთან გასვლა ახალ დუელში. მაგრამ ამ საბაბითაც სეკუნდანტობაზე უარის თქმა არ შეესაბამებოდა საზოგადოების წესიერი წევრის თავმოყვარეობას.



იმავე საღამოს მე და გიორგი ამირეჯიბი ნიკოს მოწინააღმდეგის სეკუნდანტებს შევხვდით ნეიტრალურ ადგილას — ჩემ სამუშაო ოთახში.

ჩვენი კოლეგები — არტილერიის ოფიცერები იყვნენ. ერთი შტაბს-კაპიტანი იყო, მეორე პორუჩიკი, გვარები არ მახსოვს. ორივენი მეტად ზრდილობიანი და სიმპათიური ადამიანები გამოდგნენ, განსაკუთრებით შტაბს-კაპიტანი.

მათ გაგვაცნეს თავიანთი ნაწილის ოფიცერთა საზოგადოების სასამართლოს დადგენილება, რომელიც ვალდებულ ხდიდა პორუჩიკ აკიშოვს აღედგინა შეურაცყოფილი ღირსება ოფიცერისა სათანადო წესით. დადგენილებაში პირდაპირ დასახელებული არ იყო დუელი, მაგრამ იგი თავისთავად იგულისხმებოდა სიტყვებში „სათანადო წესით“.

ამის შემდეგ შტაბს-კაპიტანმა განმარტა: ეს სამწუხარო ინტენდენტი მეტად შიშვე მდგომარეობას უქმნის პორუჩიკ აკიმოვსაო. მისი სასახურებრივი კარიერა გათავებულია. ყოველშემთხვევაში, დუელის შემდეგაც ჩვენი ნაწილის ოფიცერთა საზოგადოება ვერ დასტოვებდა მას. მისი წრე-შიო. შესაძლებელია მხოლოდ დუელმა ის შეღავათი მისცეს. ჩემი ნაირად სხვა ნაწილში გადავიდესო. ამისათვის კი აუცილებელია, დუელი მეტად სერიოზული იყოს, სახელდობრ იმის მაჩვენებელი, რომ პორუჩიკმა სიცოცხლე არ დაზოგა, რათა აღედგინა თავისი შეურაცხყოფილი სახელი ოფიცრისაო. ამიტომ ჩვენი პირობები დუელისა შემდეგია: ხუთ-მეტი ნაბიჯი ბარიერებ შორის, სამჯერ სროლა, თუ პირველი ორი სროლა უშედეგო გამოვა, და იარაღი ხაზიანი, ე. ი. ან ნაგანი ან სმიტ-და-ვესონიო.

გიორგი ამირეჯიბი და მე მომზადებული ვიყავით ასეთი უმძიმესი პირობებისათვის. ჩვენ უკვე გავიცანით სადუელო ლიტერატურას, კერძოდ სადუელო კოდექსებს და წესებს და ჩვენი პასუხი ასეთი იყო:

ის პირობები, რომლებსაც ბატონი ოფიცრები გვიყენებენ, ჩვენი გავებით დუელი არ არის, არამედ კაცის კვლა, ვინაიდან ხუთმეტ ნაბიჯზე ხაზიანი იარაღით აღამიანს კი არა, ჩიტსაც არ ააცდენს ვინც ცოტად თუ ბევრად სროლა იცის. დუელი ჩვენი აზრით დიდ რისკსა ჰქმნის აღამიანის სიცოცხლისათვის, მაგრამ იმას კი არა გულისხმობს, რომ უეჭველად ვინმე იქნეს მოკლული ან დაჭრილი, არამედ გულისხმობს აგრეთვე საბედნიერო შედეგსაც. მერე, დუელისათვის არსებობს საყოველთაოდ აღიარებული სადუელო უხაზო დამბაჩები და არა ისეთი ტყვიის მიზანში სწორმიმტანი იარაღი, როგორც ნაგანია და სმიტ-და-ვესონი, ამიტომ ჩვენი პირობები ასეთია:

ოცდაათი ნაბიჯი ბარიერებ შორის და ხუთ-ხუთი ნაბიჯი ბარიერამდე იმ ადგილიდან, სადაც დუელიანტი იდგება. ამასთანავე დუელიანტს უფლება აქვს თავის ადგილას დარჩეს და ბარიერის ხაზზე არ მივიდეს. სროლა თითო. იარაღი — სადუელო დამბაჩები.

ამ ორი რიგი პირობების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელმაც სამ საათამდე გასტანა. ორივე მხრიდან, თავაზიანობა და კორექტულობა ერთის სიტყვითაც არ დარღვეულა.

ბატონი ოფიცრები თანდათან დათმობაზე წამოვიდნენ. დაგვიწყეს ვაპრობა, მეტადრე მანძილზე და სროლის რიცხვზე. იარაღის თაობაზე არ გამოგვედევინენ, ვინაიდან ერთბაშადვე იგრძნეს, რომ ეს მათი მოთხოვნობა წრესგადასული იყო.

ერთი სიტყვით, ჩვენ გავიმარჯვეთ: მიღებულ იქნა ჩვენი პირობა მანძილზე. ხოლო სროლის რიცხვზე არასგზით არ დაგვეთანხმნენ, იძულებული გავხდით ჩვენც კომპრომისზე წაჭსულიყავით და მიგველო ორ-ორი სროლა.

შევადგინეთ აქტი ორპირად და ოთხივემ ხელი მოვაწერეთ.

დუელის ადგილად მანდორი „დულისი“ ავირჩიეთ. შეხვედრა მეორე დღის დილით ექვს საათზე. სადუელო დამბაჩების მოტანა გიორგიმ იცისრა. ექიმის მოყვანა სახვევი მასალით — ოფიცრებმა და ასე სიამტკბილობით დავიშალენით.

დუელის პირობები მაშინათვე ნიკოს ვაცნობე.

— კეთილი, — თქვა მან თავისი მომხიბლავი ღიმილით. — ხეარ რილით შემოიარე. მზად დაგხედები.

— აბა კარგად გამოიძინე და მხნედ იყავი. დუელის ^{პირველები არც} ისე ურიგოა, — ვუთხარი მე და გამოვემშვიდობე. ^{გიგალონიძე}

— ეგ სულ ერთია... დუელი ალაღბედზეა დამოკიდებული. მაშ გელი, — მითხრა დინჯად და იმავე ღიმილით ნიკომ.

ნიკოს ვურჩევდი, კარგად გამოიძინე-მეთქი, მაგრამ მე თითონ ეს რჩევა ვერ შევასრულე. მთელ ღამეს ძილი არ მომკარებია. ისე ვღელავდი, თითქო რამდენიმე საათის შემდეგ დამბახის ტუჩი ჩემკენ უნდა ყოფილიყო მოქცეული.

მშვენიერი დილა გათენდა. სრულ ხუთ საათზე ეტლით მივადექი ნიკოს ბინას ჭავჭავაძის ქუჩის ერთ-ერთ შესახვევში. მაშინაც იმ უბანში იდგა, ხოლო ცოტა ქვემოთ.

ნიკო ფეხზე დამხვდა სერთუჯში გამოწყობილი. მეც სერთუჯი მეცვა, თუმცა ზაფხული იყო და ცხელოდა. დუელის ეთიკეტი მოითხოვდა ამას.

— გეძინა? — ეკითხე მე.

— არა, — მიბასუხა ნიკომ.

— რატომ?

— ფიქრებმა წამიღეს.

— დუელზე?

— ყველაზე ნაკლებ დუელზე...

თითქო სალაპარაკო ბევრი რამ გვექონდა, მაგრამ რატომღაც ორივენი ვლუმდით. თითო-ოროლა სიტყვას თუ გადავუგდებდით ერთმანეთს. ისიც არა დუელზე, არამედ სულ სხვა რამეზე: ამინდზე, მაგალითად, ეტლის ცხენებზე, „დელისისაკენ“ რომ მიგვაჭროლებდნენ. ის თუ საერთოდ სიტყვაუბები არ იყო, შე ხომ ენაზე ქალი არ მომედებოდა. მაგრამ ვღელავდი და შეშინოდა მღელვარება მისთვისაც არ გადამედო. ისიც კი დამავიწყდა შეკითხნა, სროლა კარგად იცოდა თუ არა.

პირიქით, იმას არაერთი მღელვარება არ ეტყობოდა. მხოლოდ ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი იყო. ალბათ, უძილოდ გატარებული ღამის გამო.

ქალაქს რომ გავცდით, გიორგი ამირეჯიბი წამოგვეწია, მაგრამ არ გაჩერებულვართ და ასე ორი ეტლით გზიდან „დელისის“ მინდვრისაკენ გადაუხვიეთ.

მივედით. სამი ოფიცერი დაგვხვდა. ორი ჩვენი ნაცნობი სეკუნდანტი და მესამე — დუელიანტი. მეოთხე — სამხედრო ექიმი. დუელიანტი პორუჩიკი აკიმოვი შუათანა ტანის კაცი იყო. ქერა კატის უღვაშებიანი და წყალ-წყალთვალუბა. რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა. ღელავდა უეჭველად. ერთავათ თვალებს ახამხამებდა და ენით ტუჩებს ილოკავდა, თანაც ხელის გადასმით. ბახუსის მოძღვრებისა უნდა ყოფილიყო. ნიკოს ოლიმპურ სი-დინჯესთან შედარებით პორუჩიკი აკიმოვი ხაფანგში გაბმულ თავებს მოგავიწყებდა.

სამხედროებმა იმიტომ მოგვასწრეს, რომ ვერის დაღმართთან განლაგებული საარტილერიო დივიზიონიდან იყვნენ წამოსულნი, ამას მოწმობდა მათი სამხედრო ეტლი მხედარ-კუჩერით და ექიმის ექვეყნებულ ეტლი ასეთივე კუჩერით. ჩვენ პუნქტუალურად ეჭვს საათზე მივდევდით.

საერთო სალაში მივეცი თავისდაკვრით. მერე ორივე მხარის სექუნდანტები განემარტოვდით. გიორგიმ გადმოიღო ეტლიდან საღუელო დამბაჩების ყუთი, რომელშიაც ორი შავად-მოლაპლაპე დამბაჩა იყო, და სხვა სასროლი მასალა: დენთი, მრგვალი ტყვიები და საცობი—ტიზტი. ყველამ გულდასმით გავსინჯეთ დამბაჩები. ორივე, რაღა თქმა უნდა, ერთი მარკისა იყო და თანაბარი.

დუელიანტები განზე იდგნენ, ერთმანეთის მოშორებით. ნიკო არხენად პაპიროსს სწევდა და ერთ ადგილას იდგა. აკიმოვი მოკლე-მოკლე ნაბიჯით ბოლთასა სცემდა ვიწრო წრეში.

მზე იკბინებოდა, მაგრამ გრილი ნიავი ჰქროდა და სიციხეს ანელებდა. დუელიანტების დასაყენებლად ისეთი მყუდრო ადგილი ავირჩიეთ რომ არც ერთი მათგანისათვის მზეს თვალეშში არ ეჭყიტნა. დუელის განმკარგულებლად გიორგი იქნა არჩეული და მან და შტაბს-კაპიტანმა მანძილი გადაწომეს ნაბიჯით, ბარიერებად ხმლის პირები დაურქვეს. და ამ ბარიერებიდან ორივე მხრით ხუთ-ხუთი ნაბიჯი წაუმატეს. აქ უნდა მდგარიყვნენ დუელიანტები ერთმანეთის პირდაპირ. მათ შეეძლოთ სროლის დროს თავიანთ ადგილას დარჩენილიყვნენ ან ბარიერთან მისულიყვნენ.

გაიტენა დამბაჩები ყველა სექუნდანტის თვალწინ. მოშორებით მდგარმა ეჭომმა ეტლიდან სახვევი მასალა და ინსტრუმენტარიის ყუთი გადმოიღო და მზადებას მიჰყო ხელი.

სექუნდანტებმა ჩვენ-ჩვენი კლიენტები მათ-მათ ადგილას დაეყენეთ.

მე და გიორგიმ გავაფრთხილეთ ნიკო, ბარიერთან არ მისულიყო მოწინააღმდეგის სროლის დროს. ამით ხუთ ნაბიჯს ვიგებდით და მანძილს ბარიერებ შორის 30 ნაბიჯის ნაცვლად 35 ნაბიჯად ვზდიდით.

დუელიანტებს დამბაჩები გადაეცათ. ნიკომ იგი მაშინვე ძირს დაუშვა. ხელში არც კი უსინჯავს. აკიმოვმა, პირიქით, რამდენჯერმე ასწივ-დასწია დამბაჩა.

ჩვენ ვურჩიეთ ნიკოს ცოტა გეზად მდგარიყო და არა პირდაპირ მკერდ-გამართული. ხელი აეღო სულგრძელობაზე და მისი სროლის დროს კარგად დაემიზნა. პირველი გასროლა აკიმოვს ეკუთვნოდა, როგორც შეურაცყოფილს. მეორე — ნიკოს. მესამე — კვლავ აკიმოვს და მეოთხე, უკანასკნელი ისევ ნიკოს. თუ ძალიან უნდოდა, დიდსულოვნება ნიკოს შეეძლო მხოლოდ უკანასკნელი გასროლის დროს გამოეჩინა, რადგანაც დუელი ამით თავდებოდა. თანაც მე სერთუკის საყულო და ლაცკანები ავუწიე და დავუფარე თეთრი პერანგის გულისპირი და ზედ შავი ჰალსტუხი, რაც კარგ სამიზნო ნიშნად მოჩანდა.

ნიკო არას გვეუბნებოდა და მხოლოდ თავს გვიქნევდა ოდნავი ღიმილით, რომელსაც რაღაც ირონიული იერი დაჰკრავდა.

სექუნდანტები გვერდზე მივდექით, ვინაიდან იწყებოდა მრავალმეტყველი საბედისწერო წამი. გიორგი, როგორც განმრივე, ცოტა წინ იდგა.

და ამ დროს ჩემდა შესაძრწუნებლად დავინახე, რომ ნიკო პირდაპირ მკერდ-გამართული დგას და სერთუკის საყულო და ლაცკანები გადაუწყე-

ვია, თეთრი გულისპირი და ზედ შავი ჰალსტუხი სასროლო ნიშანივით გამოირჩევა მთლად შავ ფიგურაზე.

რა იყო ეს?

ბრავადა, რაინდული სულისკვეთება, თუ სიკვდილის ატეხილ ნაღველა? შეიძლება — ერთიც, მეორეც და მესამეც! გვიანდა იყო. ვერ ჩავერევო-დი, რადგანაც გიორგიმ დაიძახა:

— მოემზადენით!

ამის შემდეგ გაიარა ხუთმა წამმა და კვლავ გაისმა მისი ხმა:

— ერთი!—მცირე პაუზა.—ორი!—კვლავ პაუზა.—სამი! — თანაც თე-თვეულ რიცხვს ტაშის შემოკვრა მოსდევს.

ვიგრძენი, რომ ყელის ძარღვები მეჭიმება, სუნთქვა მეკვრის და გული მეღვება.

პორუჩიკი აკიმოვი დაიძრა თავის ადგილიდან. მივიდა ბარიერთან. ას-წია დამბაჩა.

გადის რამდენიმე წამი. მარცხენა თეალის მოჭუტვით იგი კარგა უმიზ-ნებს, მაგრამ დამბაჩის მოლაპლაპე ლულაზე ეტყობა, ზელი უკანკალებს. ნიკო ისე დგას, თითქო აინუნშიაც არ მოჰქონდეს ის, რაც ახლა მას მოელის: დინჯი, აუშლერეველი, ნათლად გარკვეული ირონიული ღიმი-ლით, თითქო ბაგეს არხევს სიტყვა: „სა-ბრა-ლო“.

გაისმა ბოხი ჭახანი, იელვა ცეცხლმა დამბაჩის ტუჩიდან და აშკარად დავინახე რომ ნიკომ ოდნავ თავი მარჯვნივ გადასწია. დუელის შემდეგ ნიკომ მითხრა, ტყვიამ საფეთქელთან გამიარაო.

გაღებული გული გადამიქანდა, მაგრამ იმწამსვე საჯულეში დაბრუნდა.

ნიკო უფნებელი იდგა.

ახლა იგი სწევს მარჯვენა ხელს და მყისვე მოისმის დამბაჩის ჭახა-ნი. არც ბარიერთან მისვლა, არც დამიზნება.

აცდენა, რასაკვირველია.

ხანგრძლივი პაუზა. დუელიანტებს დამბაჩებს ვართმევთ და ვტენავთ.

მეორდება პირველი სროლის სცენა.

ნიკო კვლავ უფნებლად დგას, დინჯი, იმავე ირონიული ღიმილით.

მეთთხე გასროლაზე ნიკოს დამბაჩის ლულა, მართალია, პორუჩიკ აკიმო-ვისკენ არის მიმართული, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დამბაჩის ტუჩი არა-ერთიარ ნიშანს არ ეძებს აკიმოვის ფიგურაში.

კვლავ აცდენა.

დუელი თავდება. ყველა პირობა შესრულებულია. სეკუნდანტები ულო-ცავენ დუელიანტებს გადაჩენას ხელის ჩამორთმევით. მე და გიორგი უნებურად ვებევეით ნიკოს და ამით ვარღვევთ სერიოზული დუელის სტილს. მოწინააღმდეგენი შორიდან ერთმანეთს თავს უკრავენ. აკიმოვი საფეთქელთან ხელის მიტანით.

ექიმი ბარგს ჰკრავს, ჯდება თავის ერთცხენიან ეტლში და მიდის, ალ-ბათ, უკმაყოფილო, რომ დილითადრიან ტყუილად შეაწუხეს.

ნიკოს ჩემი ეტლით შინ ვისტუმრებთ მარტოდ. აკიმოვი სამხედრო ეტ-ლით მიდის. სეკუნდანტები, თთბივე, გიორგის ეტლით მივდივართ საარ-ტილერიო დივიზიონის შტაბში სადღეულო აქტის შესადგენად.

და სწორედ აქ მოგველის მე და გიორგის სურპრიზი: აქტი შედგენილია

ორ ცალად. აქტში აწერილია დუელის მიმდინარეობა — ფორმალურად. ყველანი ხელს ვაწერთ.

ამ დროს ორივე ოფიცერი-სეკუნდანი წამოდგება, მაგრაძესთან და სამხედრო პატივის ნიშნად ისინი გამოიკიბებიან ჩვენს წინაშე ვეფერგი და მეც ვდგებით. შტაბს-კაპიტანი მოგემართავს შემდეგი განცხადებით, რაც ძალიან კარგად მახსოვს, სიტყვა-სიტყვით თუ არა, პაერთო შინაარსი და ცალკეული გამოთქმები.

— მოწყალო ხელმწიფენო! ნება გვიბოძეთ გამოვთქვა ჩემი და ჩემი ამხანაგის ალტაცება თქვენი მრწამსების განსაცვიფრებელი მოქმედების გამო. ჩვენ, სამხედრო ხალხი, ისე ვართ აღზრდილნი, რომ ყრმობიდანვე ვეჩვენით, საფრთხის დროს სიკვდილს ისე ვუყუროთ, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, რომლისთვისაც ყოველ წამს მზად უნდა ვიყვნეთ. მაგრამ როდესაც ჩვენ ვხედავთ ადამიანს პარტიკულარულ ტანისამოსში, რომელსაც საბედისწერო წამს ისე უჭირავს თავი, თითქო სიკვდილს აბუჩად იგდებდეს თავისი ადამიანური ღირსების დაცვის დროს, ამას არ შეუძლიან ჩვენი ალტაცება და პატივისცემა არ გამოიწვიოს. ჩვენ დიდი უზრადლებით ვადევნებდით თვალს თავად ლორთქიფანიძის ყოფაქცევას დუელის დროს და თვითუღმა მისმა მოძრაობამ, ფიზიკურმა და სულიერმა, აშკარად გვიჩვენა: რომ იგი ჭეშმარიტად რაინდია უშიშარი და უმწიკვლო. სამწუხაროდ, ჩვენ ეს პირადად ვერ განვუცხადეთ მას ბრძოლის ველზე, რადგანაც ეს დიდი დამცირება იქნებოდა ჩვენი ისედაც ხაკმაოდ დამცირებული ამხანაგისა. და ამიტომ თქვენა გთხოვთ, ბატონებო, გადასცეთ მას ეს ჩვენი გულწრფელი სიტყვები და უღრმესი პატივისცემა.

შეტი რა დაგვჩინოდა გიორგის და მე, რომ დიდი მადლობა არ გვეთქვა ორი ოფიცრისათვის და ისე გამოვმშვიდობებოდით ამ ზრდილობიან ადამიანებს.

როდესაც გიორგიმ და მე გადავეცით ნიკოს შტაბს-კაპიტანის სიტყვები; ნიკომ თავისებურად გაიღიმა და მერე სერიოზულად თქვა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ის საბრალო ხომ დაიღუპა!

ბ რ ი ბ ო ლ ჩ ი ბ ო ლ შ ა ნ ი — „მოსხრობები“

საბლიტბაში, 1945 წ.

ომის თემაზე კარგი მოთხრობები დასწერა მწერალმა გრიგოლ ჩიჭოვანმა. ეს მოთხრობები ყურადღებას იქცევენ ცხოვრების ცოდნით, საზოგადოებრივი მოვლენების რეალისტური გადმოცემით და ხასიათების მკვეთრი გამოსახვით. მწერალი თანაბარი მხატვრული აღლოთი ხატავს როგორც ფრონტს, ისე ჩვენი ქვეყნის ზურგს და მის სახელოვან ადამიანებს ომის დღეებში. ეს არის მთავარი ღირსება აღნიშნული მოთხრობებისა.

მოთხრობაში „მეორედ შეხვედრა“ ავტორმა დახატა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი, კოლმეურნობის ფოსტალიონი. სოფელში ყველას უყვარს ენატბილი, კეთილი მოზუცი მელია, მისი გამოჩენა სოფლის ორლობეში დღეების, შედარაილი გოგონების, დიდის თუ პატარას საერთო სიხარულია. მოიტანს სამკუთხად გაკვეცილ წერტილს ფრონტისადმი და უჩვეულო სიხარულს დაჰხადებს ყველას გულში. და ერთხელ კოლმეურნობამ მელია იხმო და დააეღა გააყვეს ხელმძღვინელად დელიგაციას, რომელსაც საჩუქრები მიატვს ფრონტზე. გაიხარა ხანდაზმულმა ვაჟკაცმა, ოცდახუთი წლის შემდეგ მელია ბალათორია კვლავ შეხვედბა საძულველ მტერს პირისპირ. მან ფრონტზე გაატარა ახალგაზრდობა-ჯერ იყო და შორეულ აღმოსავლეთში იაბონიას ებრძოდა. მერე გერმანელებს ერეკებოდა უკრაინისა და რუსეთის მიწიდან.

დიდ პატრიოტიზმთან ერთად მელიას პიროვნებაში ფაქტბად შერწყმულია შეილის სიყვარული. ბარდლას სახე უღვას წინ ფრონტისკენ მიმავალ მოზუცს ის წამდაუწყებ გაიხარბს: „ფრონტზე მივალ, შეილთან, ჩემ ბარდლასთან, ენაცევალოს მისი ბაბაწილი“. ამ სიყვარულის უშუალო განცდისას თავგანწირვით ებმება მელია ბრძოლაში.

ნაცნობი ქალაქის განთავისუფლებისას, რომლისათვის წინადაც უბრძოლია მელიას, ძველი ვაჟისკაცი იღუბება. მელიას საბით მწერალმა დახატა მეტად საინტერესო ხასიათი ჩვენი დროის ადამიანისა, ჩვეულებრივი, ხშირად შეუმჩნეველი, მაგრამ დიდი პატრიოტული გზნების მქონე.

„მეორედ შეხვედრა“ ერთ-ერთი გამოჩინეული მოთხრობაა, რომელშიაც მწერალმა ნათლად დაგვიხასა სამამულო ომის მრისხანე დღეებში სამეგრელოს სოფელი, მისი ყოველდღიურობა, ის დიდი შრომა, რომელსაც გმირულად ეწეოდნენ ჩვენი ქვეყნის ზურგის ადამიანები სამშობლოსათვის, უზარმაზარ ფრონტისათვის. აქვე გამოკვეთილია ცალკეული სხელები, რომლებიც რჩებიან დიდხანს მკითხველის მეხსიერებაში. განსაკუთრებით საინტერესოა კოლმეურნე ქალი ძაბული.

მოთხრობა კიდევ უფრო მოიგებდა, რომ ნაკლებად იყოს მასში გამოყენებული პროვინციული სიტყვები.

ჩიჭოვანის მოთხრობა „დაბრუნება“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია სამამულო ომის პერიოდის ქართულ პროზაში. ავტორი გვიხატავს ახალგაზრდა კაცის ცხოვრების ერთ მომენტს, რომელიც ვეაგრძობინებს საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელ პატრიოტულ თავდადბას, დიდ შინაგან შორალურ ძალას, რაინდულ სულს.

მოთხრობაში არის ერთი საინტერესო ადგილი, სადაც მიიმედ დაპირილი ხუტა მოთხრობის მთავარ გმირს გვიჩს ეტბნება:

„გაბსოვს, როგორ ვეშხადებოდით უმაღლესისათვის, აღგებრაში რომ უკანასკნელი მგალითი ვერ ამოვსენით, რამდენი იყინა ნიაში, როგორ გრცხვენოდა მვალითა მიინც ამოვსენელი დავგრჩა, არც წაგვიშლია ის დიდა, ისევ აივანზე ეკიდება. ახლა შენ დაბრუნდები შენ. ახლა ხომ ამოხსნი გვიჩი?“

ხანდაზმულ უკორობას, ხუტას მამას ხმა, ჩვენი მამების, ჩვენი ქვეყნის სამართლიანი ხმა: „ვერ დამინგრევენ სახლს! სახლი ყველას ატვს ახლა გვიჩი ამიტომ ვერ მოგვერევა“

ჩვენ მტერი. ამიტომ ვართ ჩვენ სხვებზე ძლიერი". უკოჩობა საუკეთესო წარმოადგენელია ჩვენი საბჭოთა გლახობისა.

მოთხოვნაში ნაჩვენებია ჩვენი ხალხის ბრძოლა, ფრონტისა და შორეის განუყოფელი მთლიანობა. ავტორი მკითხველის შეგნებაში ილაღგენს ავრეთვე ჩვენ, მწიგნობარს საბრძოლო ტრადიციას, მათ გმირულ სულს და უტებ ძალას. მოთხოვნაში უკრძანებს მხატვრობას, სტოვეს მკითხველზე ეპიზოდი, უკოჩობის მიერ ნაამბობი, სადაც ზორციანი იცავს სამეგრელოს თურქეთის შემოსევისაგან. მკითხველს თვალწინ ებატებიან ფუნთის ღამეში ჩრაღღნებით მტრის წინააღმდეგ ამხედრებული მეგრელი ვაჟაკები გრ. ჩიჭოვანს ახასიათებს ნათელი მხატვრული ხილება.

მოთხოვნაში ავტორი ბევრგან ბუნებრივად აგვიწერს ადამიანურ ვულისტკივილს, თუ დიდ სიხარულს.

მოთხოვნაში ცალკეული საფრონტო ეპიზოდები და ბატალური სცენები რეალურად არიან გადმოცემული.

გრ. ჩიჭოვანს ეხერხება სამეგრელოს პეიზაჟის დაბატა.

მოთხოვნებს აქვს ზოგიერთი ნაკლიც. ზოგჯერ საგრძნობია ჩართული ამბავის სიჭარბე, გაჭიანურებულია უკოჩობის სადღეგრძელოები, ხუტას ამბავის მოგონება და სხვ.

დავით შახათაშვილი.

გრ. ბარამიძე და გრ. ჯაკობია — „ქართული ლიტერატურა“

საშუალო სკოლის 8 კლასის სახელმძღვანელო, 340 მ. ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელმწიფო, 1944 წ. ტირაჟი 5000, ფასი 25 მან.

ქართული ლიტერატურის მასწავლებლის მუშაობის ყველაზედ უფრო ძნელ უბანს საშუალო სკოლაში მე-8 კლასი წარმოადგენს. ამ კლასში ქართული ლიტერატურის საკითხების დამუშავება მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელეანი ვარჯიშული მიზეზებით არის გამოწვეული. მაგალითად, მე-V და მე-VII კლასის მოსწავლენი „ლიტერატურული კითხვის“ პრინციპების თანახმად სწავლობენ ცალკეული მწერლის ცალკეულ ნაწარმოებებს და არა მის მთლიან შემოქმედებას. 8 კლასის მოსწავლენებს კი ევალებათ ისტორიულ-ლიტერატურული პრინციპების მიხედვით მოახდინონ მწერლის შემოქმედების ანალიზი, ეს კი საკმაოდ რთული საქმეა და ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად ბავშვებს უფრო სათანადო ჩვენებები არა აქვთ გამოყენებული. ვარდა ამისა მე-8 კლასის ქართული ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული მასალა, რომელიც შეტად ვრცელ პერიოდს მოიცავს (5 — 18 ს. ს. მწერლობა), საგრძნობლად დაშორებულია 19 საუკუნისა და თინამედროვე ეპოქის მხატვრულ ნაწარმოებებს ენობრივი თვალსაზრისით. თვით ამ მოზრდილი პერიოდის შინაპერიოდებიც, ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ ვანახვავებულ ლიტერატურულ ძეგლებს ქმნიან, რაც ბავშვისათვის ძნელი დასაძლევია. სიძნელეს ქმნის ავრეთვე ზოგიერთი ნაწარმოების თემატიკობა („მეშინიის წამება“, „ახოს წამება“ და სხვ.), რაც ბავშვისათვის უცხოა და ბნობრად გაუგებარია, თუ წესით ბელმძღვანელი არა ჰყავს. დღემდის მდგომარეობას ამოთულებდა განსაკუთრებით ის ვარჯიშობა, რომ მე-8 კლასის მოსწავლენებს ძველი ქართული ლიტერატურის შესასწავლად შოლოდ ქრესტომატია გააჩნდათ და არ ქონდათ სახელმძღვანელო, რომელიც მისცემდა მათ მწერლის ეპოქის დახასიათებას, ბიოგრაფიულ ცნობებს, ნაწარმოების შინაარსულ, იდეურ და მხატვრულ ანალიზს, ნაწარმოების პერსონაჟთა დახასიათებას და სხვა. ამგვარი ცნობების ერთდერთ წყაროს მოსწავლეთათვის შოლოდ მასწავლებლის სიტყვა წარმოადგენდა. მოსწავლენი იწერდნენ მასწავლებლის ნათქვამს, ისიც შოლოდ ნაწილს, და ამგვარად ადგენდნენ კონსპექტს. მასწავლებლის მიერ შეუძლებელი იყო თითოეული მოსწავლენის კონსპექტის გადითვალისწინება, რის გამოც ჩაწერის დროს დაშვებული შეცდომები არასწორად ისწავლებოდა მოსწავლეთა მიერ და შედეგ მათი გამოსწორებისათვის აღრაცხელი დრო და ენერგია იხარჯებოდა.

გარდა ამისა, მასწავლებლობაც ხშირად სხვადასხვა სიღრმითა და სხვადასხვა თვალსაზრისით აშუქებდა ძველი ქართული ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხს, რაც პროგრამული მასალის მტკიცე ათვისებას დიდად უშლიდა ხელს.

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დეფენსურმა განყოფილებამ და გ. ჯაკობიას მიერ შედგენილმა ქართული ლიტერატურის მძლევანელთა ალკეითა ეს დეფენსები ჩვენს სკოლაში.

საბელმძლევანელო შედგენილია ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით. ლიტერატურული ფაქტები ამგვარად არის გაშლილი, რომ ნათლად წარმოუდგენს მკითხველს ისტორიული განვითარების პროცესს, ამა თუ იმ საკითხის გასაშუქებლად ავტორები იყენებენ როგორც ძველ, ასევე უახლეს გამოკვლევებს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში მიღებული პერიოდიზაციის თანახმად სახელმძლევანელოში ძველი ქართული შეწერლობა სამ პერიოდად არის გამოყოფილი: 1. 5—9 ს.ს. 2. 11—12 ს.ს. და 3. 13—18 ს.ს.

წიგნს წამძლევარებელი აქვს შესავალი „ქართული შეწერლობის დასაწყისი და მისი განვითარების პერიოდები“, სადაც მოკლედ მივჩინებ ნათლად და დამაჯერებლად არის განხილული საკითხები: ქართული მწერლობის დასაწყისი, ქართული ანბანი და მისი ევოლუცია და სხვ.

თითოეული პერიოდის შეწერლის შემოქმედებას წინ უძღვის ეპოქის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების ზოგადი მიმოხილვა, რაც ვასაგებს ხდის პედაგოგიკის, თუ რატომ განვითარდა ამა თუ იმ პერიოდში ესა თუ ის თემა, უნარი, სტილი და სხვა. სახელმძლევანელოში განსაკუთრებით ვცალად არის მიმოხილული 11—12 საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების პირობებში იგი განხილულია არა იზოლირებულად, არამედ მსოფლიოსთან კულტურულ ურთიერთობაში.

თითოეული შეწერლის შემოქმედების ვარჯიხის დროს ძირითადი საკითხები ქვესათაურებად არის გამოყოფილი; მაგალითად, ავტორები არჩევენ რა იაკ. ხუცესის შემოქმედებას, მასალას შლიან შემდეგი ძირითადი საკითხების ორგვლივ: „ი. ცურტაველის ვინაობა“, „შუშანიკის წამების დაწერის დრო“, „შუშანიკის დახასიათება“, „ეარსკენის დახასიათება“, „ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობა ამ ნაწარმოების მიხედვით“, „ნაწარმოების ლიტერატურული მნიშვნელობა“ და სხვა. ასეთი მეთოდი დაბუნდა ყველა სხვა შემთხვევაშიც. ძირითადი საკითხების ქვესათაურებად გამოყოფა ამსაყუფა ამსაყუფებს მოსწავლის ყურადღებას ამ საკითხების ორგვლივ, უადვილებს მათ შესწავლას და ნათელ წარმოუდგენს აქედან რთული ლიტერატურული ძეგლის ძირითადი საკითხების ორგვლივ.

საყურადღებოა ავრთვე ის ვარჯიშები, რომ თითოეული შეწერლის შემოქმედება ნათლად ნებისა, როგორც შეწერლობის განვითარების ახალი საფეხური, მაგრამ ისე, რომ თითოეულ შეწერლის შენარჩუნებული აქვს თავისი პოეტური ინდივიდუალობა. ნაწარმოების შინაარსობრივ ანალიზთან ერთად საკმაო სისრულით არის მოცემული ნაწარმოების მხატვრული ანალიზიც, რის შედეგადაც სასულიერო შეწერლობის იმგვარი ძეგლები, როგორც არის „შუშანიკის წამება“, „იოანე საბანისძის ცხოვრება“ და სხვ. აღარ სტოვებენ მხოლოდ საკულტო ისტორიული ნაწარმოების შთაბეჭდილებას და მხატვრული სიტყვის ნიმუშებად წარმოგვიდგებიან.

აქვე განსაკუთრებით ერთ ვარჯიშებს გვინდა გაუსვათ ხაზი: ნაწარმოების მხატვრული ანალიზის დროს ავტორებს დასჭირდათ პოეტის იმ ცნებების გამოყენება, რომელთა შესწავლაც თანამედროვე პროგრამის მიხედვით 8 კლასში არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, პროგრამა არ ითვალისწინებს ალიტერაციის შესწავლას 8 კლასში, მაგრამ ავტორები „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზის დროს ჩერდებიან ალიტერაციის საკითხებზე. ვფიქრობთ ავტორების მიერ გადადგმული ნაბიჯი უდაოდ მართებულია, რადგან ალიტერაციის, როგორც პოეტური ხერხის გაცნობა, მოსწავლეთათვის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლასთან დაკავშირებით უფრო ბფილია და, გარდა ამისა, ამ ცნების გაცნობა გაუადვილებს მოსწავლეს ტექსტის ათვისებას და თვით პოემის სხვა მხატვრულ ხერხებსაც უფრო სრულყოფილად წარმოუდგენს მათ. ასევე სხვა შემთხვევებშიც. ეს ვარჯიშები კი გვაფიქრებინებს, რომ ურიგო არ იქნება თუ ამავედ მომქმედ 8 კლასის ქართული ლიტერატურის პროგრამებს თვალს გადავაყვებთ და ამ მხრივ მათ წიგნის მიხედვით შევასწავრობთ.

იმ მიზნით, რომ ავტორებს მოსწავლეთათვის ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების მთლიანი სურათი მიეცათ, ისინი არ შეზღუდულან მხოლოდ პროგრამაში გათვალისწინებული მასალით და წიგნში შეტანილთ ისეთი საკითხები, როგორიც არის პინო-

Handwritten number 44

გრაფია, ფილოსოფიური შერლობა და სახობო პოეზია. ამ შემთხვევაში ავტორების მიერ გადადგმული ნაბიჯი უდაოდ გამართლებულია, რადგან ამ საფუძვლებზე უმეტესწილად შემთხვევაში მოსწავლეს გაუტარდება მთლიანი წარმოდგენა ეპოქის ძველი ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. ამიტომ, ვფიქრობთ, პროგრამაში უმეტესწილად მოითხოვს გადასინჯება და შესწორებას.

ბიბლიოგრაფია

საერთაღმდეგო ავტორებზე შემდეგი გარემოება: დღემდის არსებული ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებს მოსწავლეთათვის ის ზიანი მოჰქონდათ, რომ სახელმძღვანელოს ავტორები, იძულებულნი იყვნენ ნაწარმოების შინაარსს, ბავშვები მხოლოდ ამ შინაარსის გაცნობით კმაყოფილდებოდნენ და ნაწარმოების ტექსტს ალარ კითხულობდნენ. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ავტორებმა სახელმძღვანელო ისე ააგეს, რომ წიგნის შესწავლა აუცილებლად გულისხმობს მხატვრული ტექსტის წინასწარ წაკითხვას. ავტორები არ იძლევიან ნაწარმოების შინაარსს (გარდა ორისა „სიბრძნე ბაღევისა“ და „სიბრძნე სიცრვისა“). ავტორები ერთდებთან ავტორები ვერც კი ციტატებს, ციტირებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ და ი-ე მერად დაბეჭდილია.

საჩუქრებითაა წიგნი თუმცა სასკოლო სახელმძღვანელოს წარმომადგენს, მაგრამ პოპულარული ენა, მასში მოცემული საკითხების მთლიანობა, სისრულე და სისტემატური დალაგება ამ ნაშრომს სკოლის გარეშე საკითხავი წიგნის ხასიათსაც აძლევს. ეს სახელმძღვანელო დიდ სარგებლობას მოუტანს ყველას, ვისაც ჩვენი ძველი შერლობის პოპულარული გადმოცემა აინტერესებს.

ასეთია სახელმძღვანელოს ძირითადი დადებითი მხარეები. სასურველია ამ წიგნის მეორე გამოცემაში გათვალისწინებული იქნეს შემდეგი გარემოებები:

1. ავტორები აცხადებენ: „უბეჭდულობის საბუთების მტკიცდება, რომ ქართველებს მე-5 საუკუნეზე ადრე ჰქონიათ გამოკონილი საკუთარი ანბანი და გაანდიათ შერლობა“ (გვ. 4). საჭირო იყო ორიოდე საბუთის მოტანა მაინც, რათა ამ განცხადებას დეკლარატიული ხასიათი არ ჰქონოდა.

2. ავტორები კარგად მოკვივლან, როდესაც წიგნში ასომთავრული, ნუსხა ხეცური და მხედრული დამწერლობის ნიმუშები მოუტანიათ, მაგრამ საჭირო იყო თითოეულ მათგანს ჰქონოდა წარწერა, რომელიც გვაგებინებდა ბავშვს, თუ დამწერლობის რომელი ფორმა ეკუთვნის ასომთავრულს, რომელი მხედრულს და სხვ.


3. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე საკითხის განმარტება ჩამდენჯერმეა მოცემული, რაც ტვირთავს წიგნს, მაგალითად: ავტორები მე-14 გვერდზე განმარტებენ რა ჰაგიოგრაფიას, ამავე განმარტებას იძლევიან მე-16 გვერდზეც. სამაგიეროდ არ არის განმარტებული პიტიახის მნიშვნელობა.

ორჯერ არის ღამაჩაი იმის გამო, რომ უშინივი ოცნებობს ირეალურ სამყაროზე, სადა არ იქნება გახსნავეება მამაკაცსა და დედაკაცს შორის (გვ. 18, 21).

4. ავტორები, ახილავენ რა ი. საბანისძის შემოქმედებას, რამდენჯერმე უსამერ ხაზს ამ გარემოებას, რომ არაბთა ბატონობამ ქართველებს შეუქნა ნაციონალური გადაგვარების საფრთხე (გვ. 24, 29, 30). პირველ შემთხვევაში საკითხი მხოლოდ ზოგადიდაა დაყენებული და ამდენად იგი ზედმეტია, მეორედ კი, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, იგი დამაჯერებლად იშლება და ამიტომ უკეთესი იქნებოდა, საუბარი ეროვნულ-გამართლების საფუძველზე იდროლოგიის აღმოცენებაზე ი. საბანისძის ეროვნულ-საწმენოებრივი იდეების განხილვის დროს ყოფილიყო მოცემული.

5. გ. მერჩლის შემოქმედების განხილვა იწყება ქვესათაურით: „ავტორის ვინაობა“, მაგრამ ავტორის ვინაობაზე აქ მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა ნათქვამი, დანარჩენი საუბარი კი ეხება იმას, თუ როდის დაიწერა ნაწარმოები, ვინ მიაწვდა ავტორს ცნობები ამ ნაწარმოებისათვის და ვინ დაეხმარა ამ ცნობათა შეკრებაში. მართალია, ცნობები მერჩლის ვინაობის შესახებ ძნელად შემოიწმინდა ჩვენს ისტორიას, მაგრამ რაც გვაქვს, მისი უფრო ვრცლად მოცემა იყო საჭირო.

6. წიგნში მხოლოდ რამდენიმე ილუსტრაციაა, რაც საკმარისი არ არის. ილუსტრაციის როლი სწავლების საჭეში, საკმაოდ დიდაა, ამიტომ წიგნში მათი მოცემა მეტია რაოდენობით იყო საჭირო. უფრო მეტი ილუსტრაცია საილუსტრაციო მასალას წიგნი დიდი რაოდენობით იძლევა. რაც შეეხება ტირის, იგივეა მტკიცე და ოდნევიდაც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი მოსწავლეთა ინტელექტუალური მოთხოვნილებას.



შინაარსი

აბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი

მხატვრული ლიტერატურა



	შპ
გრიგოლ აბაშიძე — ატენური ლექსები: ატენში, მარანში, ხატობა, ძველ ტაძარში	3
აკაკი ბელიაშვილი — ქარიშხალი (რომანი)	5
ხანდრა მანშიაშვილი — დედა (პოემა, დასასრული)	35
კ. სიმონოვი — ამაყი კაცი (მოთხრობა)	46
კოლაუ ნადირაძე — მე ისევ მახსოვს, ღიმილი, დავიწყება (ლექსები)	64
გიორგი შატბერაშვილი — შეთქმული ქვევრი	65
ძველი სახლის თავზე	67
აღიო მამაშვილი — ორი ლექსი	70
ივანე ფრანკო — ხალხური სიმღერა (ლექსი, თარგმ. პოლიო აბრამიასი)	72
გიორგი წერეთელი — ემინ რეჰმანი (წერილი)	73
ემინ რეჰმანი — ვანწყურნე მე, ხევის ქალღმერთო! (ლექსი, თარგ. არა-ბულიდან — გიორგი წერეთლისა)	78
ბ. შარია — გამოჩენილი მარქსისტა და რევოლუციური მოღვაწე	61

ქრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

ხერგო კვლიაია — შიო არაგვისპირელი	95
---	----

მოგონებანი

ნინო ნაკაშიძე — ბავშვების პოეტი და მეგობარი ძია შიო	109
ილია ზურაბიშვილი — ეპიზოდი ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებიდან	118

ბიბლიოგრაფია

დავით შამათავა — გრიგოლ ჩიქოვანი — „მოთხრობები“	125
ი. ბოცვაძე — გრ. ბარამიძე და გრ. ჯაკობია — „ქართული ლიტერატურა“	126

ფან 8 826.

*მედიკალი
მაგაზინი*

საქართველოს
საბავშვო



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ